ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

2

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲙᲝᲛᲒᲐᲠᲨᲘᲠᲘ!

* * *

ძველი მთიბავი ძველ სათიბს თიბავს,
ძველნის ჩრიალი გაწყრონილი ცელის.
მაგრამ უკეთეს თივების დიბას
ძველი მთიბავი ახლისგან ელის!

ძველი მხატვარი ძველ ხატებს ხატავს,
მაგრამ მძახვთი გუმანი მუელის
და ფერებს ბევრად ცხადია და მრთელს
ძველი მხატვარი ახლისგან ელის!

ძთიბავი თიბავს, მთოსნელი თოსნის,
მხატვარი ხატავს, პოეტი ძღერის,
ძველი მხედარი ძველ გზასე ია ჭრის,
და ახალ მხედრებს ქვეყანა ელის...

კერთხეულ თეთს ბრძოლა, ძესებ!
იცვლება ბრძოლითი ხაქარო ძველი
და უკეთესი ღლის გაოფებს
ეს ძველი ჩანგიც ახლისგან ელის!

მურმან ლეგანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

153

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

2

თებერვალი

1970

თბილისი

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა

3. **რეზო ჭეიშვილი.** დალი. რომანი. გაგრძელება
55. **თამაზ გოდერძიშვილი.** ჯუჯუნები პაპიროსის კვამლში. მოთხრობა
64. **ზურაბ რცხილაძე.** მათეს სიცრუე. მოთხრობა

პოეზია

53. **ბიძინა მინდაძე.** ლექსები
60. **ხუტა გაგუა.** ლექსები
62. **ჯარჯი ფხოველი.** ლექსები
68. **ტაგუ მეგუარიშვილი.** ლექსები
70. **ოთარ შალამბერიძე.** ლექსები

პოეზიის მერიდიანები

71. **გულგარელი პოეტები:** გიორგი სვეტინი, ევტიმ ევტიმოვი, დამიან დამიანოვი, ვასილი ხანჩევი. ბულგარულიდან თარგმნა **მუხრან მაჭავარიანმა**

გმირული დღეების გახსენება

75. **იაროსლავ იოსელიანი.** ქარიშხალში. მოთხრობა. დასაწყისი

ნარკვევი

90. **სიმონ წვეარავა.** ყვიგისის მთებიდან

ლენინიანა

101. **დუმიშხან ცინცაძე.** ვ. ი. ლენინი საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ

წერილები

104. **ოტია პაპკორია.** დრო და სახელები
110. **თამარ ჯეირანაშვილი.** კონსტანტინ კაუსტოვსკის ხსოვნისათვის
113. **გიორგო კარტოზია.** ხელოვნების თეორიის საკითხები შ. ნუცუბიძის შემოქმედებაში
116. **თამაზ ჩხეიძელი.** ვუმენიერი მაძლევარი

ჩვენი კალენდარი

135. **ვარლამ დონაძე.** ინდოელი ხალხის დიდი შვილი

საფიქსაუსიო ტრიბუნა

142. **დიმიტრი კუმანიშვილი.** შენიშვნები ზ. კიკნაძის წერილის გამო

ი უ მ ო რ ი

149. **გიგი ჩარკვიანი, რევაზ გაბრიაძე.** ფეოლა. მოთხრობა. გაგრძელება

159. **ყოველი მხრიდან**

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი გაჭრაძე,
ია გამრეკელი,
გიგი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია პაპკორია,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ ფულეისერი,
ბარიელ ფანტურია,
სergი ფილაია,
თამაზ ფილაძე,
ლაშა ჯანაშია,

რეზო ჭეიშვილი

თავი მეათე

ელგუჯა ხარკოვიდან თბილისში დაბრუნდა. მართალია, თავიდანვე სოფელში წასვლას აპირებდა, მაგრამ მაინც თბილისში ამოყო თავი. თვითმფრინავიდან ყველაზე ბოლოს გადმოვიდა. ფეხი განგებ აითრია, შეეშინდა. დამხვდურებმა, ხალხმა და ჯამაათმა იმ დიდი სპორტული ბრძოლების და შეხლა-შემოხლის მონაწილედ და გმირად არ ჩამთვალონო. ელგუჯას არ უჭიდავია. იმ გუნდურ პირველ ადგილში. საქართველოს გუნდმა რომ მოიპოვა, წილი არ ედო, მაგრამ სხვაზე ნაკლებ არ ყოფილა გაბარებული. სათადარიგო სკამზე იჯდა თუ მაყურებლებში ყოველთვის შეშინებულ შეჰყურებდა განთებულ ხალიჩას და მტკივნეულად განიცდიდა თანაგუნდელების წარმატება-წარუმატებლობას; ხანდახან თავს მოუდიოდა წარმოიდგენდა და მარტო ამის გაფიქრებაზე გულ-ბაგა-ბუგი გაუდიოდა. მწვრთნელები შეჯიბრების მერეღა მიხვდნენ, რომ ელგუჯა მაინც უფრო ივარგებდა, ვიდრე მისი თანაგუნდელი, რომელმაც მხო-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 1.

ლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა საშუალო წონაში.

აერոდრომზე დახვედრის, ზეიმისა და ცერემონიალის იმედი ელგუჯას გარდა (ბოლომდე ისიც არ იყო დარწმუნებული) არავის ჰქონია, მაგრამ ასეთ უსულგულობასაც ბევრი არ ელოდა. ახლო-მახლო ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ტრაპთან მხოლოდ ერთი კაცი იდგა, მფრინავის ქუდით სახეს იჩრდილავდა და სადღაც სულ სხვაგან იხედებოდა. აეროპორტში დასიცხული მგზავრები წრიალებდნენ. მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა მოიხედა და ახლადგამოჩენილ მგზავრებს ზანტად გააყოლა თვალი.

ვინც როგორ მოახერხა, ისე გაიკვლია ქალაქისკენ გზა. ბევრი, მათ შორის ელგუჯა, ავტობუსით წავიდა.

ელგუჯამ ძლივს იცნო თავისი ოთახი. იგი ათასგვარი ხარახურით იყო გამოჭედილი. დიასახლისმა კარის გაღებამდე მოიხადა ბოდიში: არ გელოდით, აქაურობა ცოტა არეულ-დარეულია, არ გაგიკვირდესო, მაგრამ მდგმურმა გაოცება მაინც ვერ დამალა. „აქედან ჩანს, ამ ბუნგს, რომ ადამიანის სადგომად არ თვლიან... ფული კი უნდათ“.

ჩახუთულ ოთახში შმორის სუნი იდგა. ეს სუნი აქ სხვა დროსაც ტრიალებდა, მაგრამ მობინადრე სუნს მალე ეჩვეოდა და მერე ვეღარაფერს გრძნობდა. დიასახლისს ერთმანეთის მიყოლებით გაჭქონდა უსარგებლო ნივთები და იქაურობას ფაცხა-ფუცხით ალაგებდა. ელგუჯამ ჩანთა მტვრიან მაგიდაზე დადო, დაიბარა, საღამოს მოვალო და წავიდა. მდგმურის ასე უდროო დროს გამოჩენით შეწუხებულმა დიასახლისმა რაღაც ჩაილაპარაკა და რეცხვას და ხეხვას მიჰყო ხელი.

თბილისს ცეცხლი ეკიდებოდა. ხალხი გაკრეფილიყო, ვისაც დრო და საშუალება ჰქონდა თავისთვის ეშველა. საერთო ეზოებიდან ბავშვების ჟრიამული აღარ ისმოდა. მთავარ ქუჩებს რწყავდნენ, მაგრამ ასფალტი იორთქლებოდა და მალე შრებოდა.

ელგუჯამ ქალაქში ერთი ახლო ნაცნობიც ვეღარ აღმოაჩინა. გარდა იმისა, რომ კიმოთე უნივერსიტეტში მოწყენილიყო. ახალი ამბავიც არაფერი დახვედრია. გივისიანებიც წასულიყვნენ. ელგუჯას გივის ნახვის იმედიც არ ჰქონია, მაგრამ რედაქციაში მაინც შეიარა.

ნახევრად ბნელ დერეფანში თითქოს უფრო გრილოდა, სამაგიეროდ ნივთი არ იძროდა და ისეთი ჩახუთული ჰაერი იდგა, რომ კაცს სუნთქვა შეუკავდებოდა. ელგუჯამ იქაურობა მოათვალიერა და ალალბედზე შეაღო ერთ-ერთი ოთახის კარი.

მოზრდილ ოთახში რამდენიმე მაგიდა იდგა. ფანჯარა ღია იყო. გარეთ ეკლის ხე და ჩაჟანგული სახურავები ჩანდა. ერთი ბიჭი გაზეთს კითხულობდა, დანარჩენები ხელნაწერებს ჩაყურებდნენ. ხელმარცხნივ, პირდაპირ მაგიდაზე გივი დამჯდარიყო და კოლეგებს უაზროდ დასჩერებოდა ზემოდან. კარის ჭრიალზე ყველამ ერთდროულად ასწია თავი. ელგუჯა შეცბა, ეგონა, გივიმაც ვერ მიცნოო.

— ოჰ! — იყვირა ცოტა ხნის მერე გივიმ, ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა და ელგუჯას ხელი გაუწოდა. ამ ხმაზე ერთმა ბიჭმა გაზეთი დაკეცა, ფანჯრის რაფაზე მოისროლა და მომსალულ-დამხვდურს მიაშტერდა. დანარჩენები ისევ თავთავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ.

— როდის ჩამოდი, ბიჭო, შენ? — კითხულობდა გივი.

— დღეს.

— დღეს?.. წასული რომ იყავი, რა გააკეთე?

— არაფერი...

— აბა რაზე გაგიშვით?

— შეჯიბრებაზე არ მომიწია გამოსვლა და ისე რა უნდა გამეკეთებინა.

— ესე იგი, სამარქაფოდ ყავდით... ისე ხომ იდექი კლდესავით?

— კი... — გაეცინა ელგუჯას.

— არა უშავს! — დაამშვიდა გივიმ. — ზევით ხომ არ ყოფილხარ, ჩვენებთან?

— ჯერ არა.

გივიმ ელგუჯა ამხანაგებს წარუდგინა, მოჭიდავე არისო, თქვა. დამხვდურებს

ძალიან მოეწონათ, ელგუჯა რომ მოჭიდავე იყო და უაზრო შეკითხვები დააყარეს. ელგუჯა მორიდებით და დაუზარებლად პასუხობდა სუყველას. ინტერესითაც უსმენდნენ, მაგრამ დაკვირვებული კაცი იქავე მიხვდებოდა, რომ ეს ხალხი სპორტს, მით უმეტეს ჭიდაობას, სისულელედ თვლიდა.

— საქართველოს უძლიერესი მოჭიდავეები ჰყავს, ჩვენ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონობა შეუძლია, — თქვა გივიმ და ისე დაამთქნარა, რომ კინაღამ ყბა მოექცა.

— დიდი შეღავათია... — ჩაილაპარაკა პატარა, გამხდარმა ბიშემ, რომელიც აქამდე რაღაცას წერდა და მხოლოდ დროდადრო თუ წამოწევდა თავს. — ჭიდაობაში კი იქნებით მაგარი, თქვენ სხვა თქვით. ადამიანის ნიჭი და ცოდნა ახლა ვის აინტერესებს... თუ მკლავი გივარგა და განსაკუთრებით, — ფეხი, კაცი მაშინ ხარ. ჯერ ერთი, თუ ვინმეს ჭიდაობაში, ჯობიხარ, დიდი ვერაფერი გმირობაა. ვინ გეკიბრება, რომ სჯობიხარ? კულტურული ადამიანი მოჭიდავედ არ ზრდის შვილს... მუსიკას სწავლობენ, ენებს სწავლობენ... საქმე არა გაქვს ..— გამხდარ ბიშს ისე მოეწონა თავისი ნათქვამი, რომ რაღაც უცნაურად გაეცინა, თუმცა იმწამსვე გაჩერდა და რაღაცაზე დაფიქრდა.

რედაქციის თანამშრომლებმა ამის შემდეგ ფეხბურთზე ილაპარაკეს. ფეხბურთი უფრო იცოდნენ და ისეთი უვიცობა არ გაუმჟღავნებიათ, როგორც ჭიდაობაზე საუბრის დროს დამჭართათ.

ელგუჯას რედაქცია სულ სხვანაირი ეგონა, მაგრამ ის ატმოსფერო, რომელიც იქ დახვდა, მისთვის მაინც უცნო აღმოჩნდა.

ოთახში დიმიტრი შემოვიდა.

— გაუმარჯოს დემეტრეს! — დაიძახა გამხდარმა.

დიმიტრიმ პირველად ელგუჯას ჩამოართვა ხელი, რადგან იმ ბიშის დანახვა უფრო გაუკვირდა, მერე ჩამოიარა და ყველას სათითაოდ მიესალმა. სულ ბოლოს გამხდარს მიადგა, თვალებში მეაჩერდა, თითქოს ჰიპნოზს უკეთებდა.

— ო, რა ხარ, გაინაღდე არა უკვდავება?

— დაჯექი, დაწყნარდი! — უთხრა გამხდარმა.

დიმიტრიმ გაიცინა, მართლა დაჯდა და იმწამსვე ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— გადი, იქით გააბოლე! — უთხრა გამხდარმა და კვამლი ხელით მოიგერია.

— შეეშვი? — ჰკითხა დიმიტრიმ.

— ორი კვირაა. — ძალიან სერიოზულად უპასუხა გამხდარმა.

— რატომ მერე? დიდხანს გინდა იცოცხლო?.. — დაინტერესდა დიმიტრი.

— ცხადია.

— შენ გასუქდი, უკვე! — უთხრა გივიმ.

ყველამ გაიცინა. გამხდარს მიაჩერდნენ.

— ვერ დავიჯერებ, — დაიწყო დიმიტრიმ. — რომ პაპიროსი არაფერს არ უხდება, ხომ ყველა მეცნიერი და ფილოსოფოსი (ფილოსოფოსი რა შუაში იყო, ვერავინ გაიგო) ამტკიცებს, პაპიროსი ჯანმრთელობის მტერიაო. ბოლოს ნახავთ თქვენ თუთუნის სიკარგე თუ არ გამოირკვევა... გეუბნებით, ალბათ თამბაქომ რამდენიმე ავადმყოფობას მოუღო ბოლო და არავინ არაფერი არ იცის...

— დაწერე რასაც ლაპარაკობ და საღამოს გაზეთში მიიტანე! — ურჩია გამხდარმა.

— სხვათა შორის, ბიჭიკო კენჭაძეა მოსული, — თქვა დიმიტრიმ.

— სადაა?

— არჩილთან შეეგზავნე.

— ერთად მოდით? — ჰკითხა გამხდარმა და გივის თვალი ჩაუკრა.

— ო, რა ხარ, პატარა უკვდავო! — ჩაიცინა დიმიტრიმ და პაპიროსი მარმარილოს საფერფლეს დაასრისა.

რეზო ჭეიშვილი

დ ა ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი წერილი მეათე ნომერში წავიდა, გვერდებში ამოსულია, თუ გინდა ნახე... — უთხრა დიმიტრის გამხდარმა.

— ამოიღეთ რამე?

— არაფერი.

— მაშინ იყოს, არ მინდა.

— სადაა ბიჭიკო, მალე მაინც მოვიდოდეს! — ინატრა ვიღაცამ, რომელიც მოწყენილობისაგან სულს ღაფავდა.

— კარგი, კაცო, — უთხრა გამხდარმა. — მაგის შემხედვარეს, აღარც მეცინება, აღარც მეტირება. ძალიან ერთფეროვანი გახდა.

ელგუჯამ ვერ გაიგო, ვისზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ბევრი ცდაც აღარ დასჭირვებია. ვიღაც სქელი კაცი ხვნეშით შემოვიდა ოთახში და ენერგიულად ჩამოართვა ყველას ხელი.

— რა კაცია ეს თქვენი რედაქტორი, ვერაფერი ვერ გავიგე! — თქვა მოსულმა და ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა.

— რა არის, ბიჭიკო, გაუგებარი? — ჰკითხა ერთმა ლიტმუშაკმა.

— პიესებს და ისტორიულ პოემებს არ ვბეჭდავო, ამასწინეებზე ვიყავი, ორმოცი ლექსი დავუტოვე და ჯერაც არ წაუკითხია, რას მიკეთებს მაგ კაცი, ვერ გავიგე!

— არაფერს... — უთხრა ვიღაცამ.

—უჩივლე, მაგ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება! — დაარიგა გამხდარმა.

— სად ვუჩივლო, ანდა როდის... ერთი დღე მაქვს სულ თავისუფალი... ახლა ყველა რედაქცია შემოვიარე.

ბოლოს მოდი ხომ ჩვენთან? — ეწყინა ერთს.

— აბა რა მექნა, კონსტუდიაში ს

სუხა ბიჭიკომ. იგი ამ დროს ქალალდებს აგროვებდა და ამ საქმით იყო დაკავებული.

— ხომ ვამბობდი მე! — თქვა ისევ სერიოზულმა კაცმა, რომელსაც აქამდე, რატომღაც, თავი არაფრით გამოუჩენია.

კენწაძემ ამოოხრა და განაცხადა:

— კაცობრიობა დაღუპვის კარზეა მისული. დედამიწის ტოტალური დაღუპვა ემუქრება, ადამიანების უგნურების გამო. მიწა ერთი რიგითი ვარსკვლავია, რომელიც სხვისი დახმარებით ანათებს. ასეთი ვარსკვლავები ბევრი ჩამქრალა, ბევრი ჩაქრება. მე თვითონ მინახავს სოფელში, საწყობში სამას სანთლიანი ნათურა ჩართეს, მოვარდა დენი და გადაიწვა. მატარებელში ნათურა რომ გადაიწვება ახალი უნდა გააკეთო, შენი ფულით, სხვათაშორის...

— დედამიწის დაღუპვის მომასწავებელი აშკარა ნიშნები ხომ არაფერი შეგიმჩნევია ჯერჯერობით?—ჰკითხა ერთმა.

— კი.

— მერე თქვი, ნუ დაგვიმალავ.

— რა მაქვს დასამალავი... ჯერ მარტო ავიღოთ გაზი, ჩვეულებრივი გაზი საქმელებს რომ ვაკეთებთ ისეთი... საიდან მოდის ეს გაზი? დედამიწის წიაღიდან. დედამიწის გული გავსებულია გაზით და ამიტომ ტრიალებს ასე თავისუფლად ჰაერში. მიწა თუ ამ გაზიდან დავცალეთ, დირიჟაბლივით დაეშვება ქვეკეთ, თანდათან დაშორდება მზეს და გაიყინება...

— მართალია ხომ იცი, მაინც ზოგიერთი გაზჭურას კი არ ჩააქრობს... არაფერი ზედ არ უდგას, არ წვავს, არ ხარშავს და ფანტავს ამ გაზს სულ ტყუილუბრალოდ... — თქვა სერიოზულმა კაცმა, რომელსაც ბიჭიკოს ნათქვამი სადღაც მაინც ენიშნა და ერთი პირობა, ეს დებულებაც კინაღამ დაიჯერა.

— საერთოდ, მე ჩაგონებული მაქვს და ხალხს უნდა ვუწინამძღვრო, გზა უნდა გავუნათო. ამისათვის სიცოცხლეში არავინ დამფასებს და ჩინ-მედლებსაც არ მომცემენ!.. — აღიარა გულჩაწყვეტილმა ბიჭიკომ.

— აბა ეს რა არის? — ჰკითხა გვიან. კენწაძეს კიტელის ჯიბეზე რაღაც ფბგ-ლარალო სამკერდე ნიშანი ჰქონდა ჩამოპორწიალებული.

— ეს არაფერი არ არის, მაღაზიაში ვიყიდე.

— როგორ, არაფერი არ არის?!

— როგორ და კარგად! — ჩაილაპარაკა ბიჭიკომ და ელგუჯას ალბომი გამოართვა. ელგუჯა ამ დროს მფრინავი მოტოციკლის მოდელს ათვალიერებდა და გული დაწყდა, დაკვირვებით რომ ვერ მოახერხა ალბომის გაჩხრეკა.

— პრემია მოგცეს ხომ?! — მუქარით იკითხა გამხდარმა.

— არა კაცო, უბრალოა.

— პრემიის ნიშანია! — არ დაიჯერა ერთმა.

— აუ! — გული მოუვიდა ბიჭიკოს.

— ოქროა!

— ოქრო კი არა, კიდევ რა გინდა! — ბიჭიკომ მკერდიდან ნიშანი მოიგლიჯა, ყველას ეგონა, ფანჯრიდან ისვრისო, მაგრამ ჯიბეში შეინახა.

— საერთოდ... — თქვა ბიჭიკომ, როცა სიცილი მიწყდა. — ყველაფერი გამართლებაზეა. არავინ არ იცის, სიცოცხლეში ვის რა ელის. წუთისოფელი გაუტანელია. ამას ზოგი აღრე გიგებს, ზოგი გვიან. არაფერი გაუგებარი არ დარჩება, რადგან ბოლო ერთია. მზე ვარდსა და ნეხვს ერთნაირად ეფინება. თანასწორობა გვინდაო, რომ იძახით, ყველაფერი თანასწორი იყო თავიდანვე. ყველაფერი გათანასწორებული და გათვალისწინებულია. მეფე და მონა, მდიდარი და ღარიბი, სულელი და ჭკვიანი, ცოლიანი და უცოლო ერთნაირად კვდება... — ბიჭიკომ ხმამაღლა გაიცინა, ჭილის შლიაპა მოიხადა, ყველას დაემშვიდობა და საქმიანად წავიდა.

ოთახში სიჩუმე დადგა. ზოგმა გააბოლა, ზოგმა ფანჯარაში გადაიხედა.

რეჯო ჭეიშვილი
ᲓᲐᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ იყო ეს კაცი? — ხმადაბლა ჰკითხა ელგუჯამ გივის.

— ბიუიკო კენჭაძე. — გივის მაგივრად უპასუხა გამხდარმა. — სხვათაშორის, არც ისეთი მოკთავებულია, ერთი შეხედვით რომ ჩანს. მუშაობს, ელექტრომონტიორია. არაფერი არ ეშლება, რომ იცოდე. ცოლ-შვილს არჩენს, მტერი-მოყვარე იცის და მეტი რა გინდა. კენჭაძეა გვარად. მამის სახელი არ ვიცი, მართალი გითხრა!

„რაში მჭირდება მაგის მამის სახელი?“ — გაუკვირდა ელგუჯას, ხმა კი არ ამოუღია. ეგონა, გამხდარი კიდევ იტყვის რამესო, მაგრამ გამხდარი ილიმებოდა და ელგუჯას მისჩერებოდა. ელგუჯამ თვალი მოარიდა.

— მოდი დღეს ჩვენთან, ამასწინეებზე ნელი გკითხულობდა, სად დაიკარგაო...

— ვიყავი თქვენთან, წასული არიანო...

— წყნეთში ვართ და ერთად ავიდეთ. შენ დღეს საქმე გაქვს რამე?

— არაფერი.

ელგუჯამ გამხდარისაკენ გაიხედა. გამხდარი ბიჭი უკვე ფანჯარასთან იდგა, დიმიტრის ხმადაბლა ელაპარაკებოდა და თავისთვის ქირქილებდა. ერთი ლიტმუშაკი ცნობილი მწერლის გვარს და სახელს ახსენებდა. ელგუჯამ ყური მიუგდო და მიხვდა, რომ მწერალს აგინებდნენ. მისდაგასაოცებლად, არავის ეს ამბავი არ უკვირდა. სულ ბოლოს ერთმა მსუქანმა კაცმა დაასკვნა: მაგ მწერალი სულელიაო და ტელეფონის ყურძილი აიღო. ამ სიტყვაზე გამხდარი მოტრიალდა და სიამოვნებით გაიბადრა. „ეს კაცი წეღან კენჭაძეს აქებდა.“ — გაიფიქრა ელგუჯამ. სინამდვილეში გამხდარს კუჭი ძმარავდა და არც გაუგია, რაზე იყო ლაპარაკი. ელგუჯას რომ ეგონა, იცინის და უხარიაო, მაშინ იგი ტკივილისგან იმანჭებოდა და ფიქრობდა, ამ თვის ბოლომდე ღვინოს აღარ დავლევო.

„ესენი ჩემზე რაღას იტყვიან, გარეთ გავალ თუ არა სულ მომსავრასალებენ.“ — ანგარიშობდა შეშინებული ელგუჯა, მაგრამ, საბედნიეროდ, გვანობამდე ოთახიდან ფეხი აღარ მოუცვლია. გივი შეყოვნდა და ელგუჯაც იქ დარჩა. გამხდარმა კი ვერაფრით ვერ მოახერხა გივისთვის ეკითხა, ვინ იყო და — რა გვარი ეს ცისფერთვალებიანი ბიჭი, რომელმაც მასზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. იგი კარტის სათამაშოდ წასვლას აპირებდა, მაგრამ პირდაპირ სახლისაკენ გაუხვია, რათა ეგვიპტური ლექსებისათვის მიეხედა, რომელთა თარგმნა კარგა ხნის წინ ჰქონდა დაწყებული.

თავი მეთერთმეტე

დალი შელია ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა მოსკოვიდან. ჟუჟუნა და ბავშვი უკვე წყნეთში ისვენებდნენ. სახლს დანატრებული დალი თავისიანების ნახვამ გაახარა, მაგრამ მაინც მალე მოიწყინა. დიდი ხნით შინ ყოფნა ყოველთვის უჭირდა. არ შეეძლო უამხანაგებოდ, უსამსახუროდ.

აგარაკის აივანი ტყიან გორებს და გაბუჭჩარებულ ფერდობებს დაჰყურებდა. საღამოს ბუჩქებსა და ბუჩქებს შორის მომწყვდეულ პატარა-პატარა მინდვრებს მთების ჩრდილი ეფინებოდა. მინდორი უფრო მწვანდებოდა, ხავსისფერი ედებოდა. ალიონზე ხრამ-ხევები ჩაინისლებოდა. მზე ამოდიოდა, ნისლი წყლისფერდებოდა, ფერდობებს ჩრდილი ეცლებოდა, მერე ყველაფერი თვალისმომჭრელად აკაშკაშდებოდა და ღამით გახედვაც აღარ ღირდა. ნასაუზმევს დალი ბავშვს ასეირნებდა. დედა და შვილი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი დადიოდნენ ხელოვნური ტბის პირას. ტბიდან დროდადრო ვერცხლისფერი თევზები ხტოდნენ და მოლიელეე წყალზე პატარა-პატარა წრეები ჩნდებოდა. დალს ბავშვის აღტაცება ედებოდა. ჩიტის ხმა, ცვრიანი ტოტის ხელის შეხებაც ახარებდა, მაგრამ ხანდახან თვალი გაუშტერდებოდა, სულ უმიზეზოდ დაფიქრდებოდა, წვრილმან, უმნიშვნელო ამბებს იხსენებდა და თავს იტკივებდა. ბორცვიდან სიცხის ბუღში გახვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეფორმირებული, უმისამართოდ სხვადასხვა მხარეს გაშლილ-გაწყლილი თბილისი ჩანდა. დალის მაინც იმ ჭისაკენ მიუწევდა გული. წყნეთიდან თითქოს ფეხის მოცელსასაც არ აპირებდა, მაგრამ როცა შაბათ-კვირას, ანდა სხვა დროს ქვევით ჩასვლა მოუწევდა, სიზარმაცე იპყრობდა. გაჭეიდილი ავტობუსი და სიმაღლის ცვალებადობა ღლიდა. ეგონა, მგზავრობასაც ვერ ვიტან, თბილისის სიცხე მკლავსო, სინამდვილეში უკან დაბრუნებაზე ფიქრი აწუხებდა.

იმ დღეს თავისი ქუჩიდან ჩაიეკა თუ არა, მომწვანო „ვოლგა“ რბილად ამოუდგა გვერდში. დალის იქით არ გაუხედია, თუმცა კარგად იგრძნო, რომ მანქანა უმიზეზოდ არ გაჩერებულა. ახალგაზრდა კაცმა კარი გამოაღო და დალის მიესალმა. დალიმ ინსტიტუტის ამხანაგი იცნო. იმ ბიშმაც უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა და იმჟამად, დალის გარაუდით, მილიციაში ან რკინიგზაში მსახურობდა.

— საით?

— წყნეთში. — უთხრა დალიმ.

ბიჭს ელდა ეცა, მაგრამ არაფერი დასტყობია. დალი მანქანაში არ ჩაჯდა; მოიმიზეზა, სხვაგან უნდა გავიაროო და მადლობა თქვა. ვამიმიყენეთ, კაცო, გამიმიყენეთ, აბა რა ჭირად მინდა ეს ოხერი მანქანა, თქვა გახარებულმა ამხანაგმა. გზა რომ არ გაუმრუდდა, კარგ ნიშნად ჩათვალა და ქალს ღიმილით დაემშვიდობა. დალის მაინც ეგონა, ნაწყენი წავიდაო.

დალი ავტობუსის გაჩერებაზე დადგა. მოზრდილი ტყავის ჩანთის სახელურს ორივე ხელი მოჰკიდა. ჩანთა მუხლებზე მიეკრო თუ არა, მისდაუნებურად შეტრიალ-შემოტრიალდა და წელი შეარხია, თითქოს ცეკვავდა, უცბად შეჩერდა და შემკრთალი თვალებით მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მხედავსო. თითქოს ჯინაზე ვიღაც მაღალი, ბობრი ბიჭი დაეინებით და ცოტა უცნაურადაც კი მისჩერებოდა. დალიმ ბიჭს თვალი გაუსწორა და მერე ძირს დაიხედა. „ღმერთო, სად მინახავს, ჩვენთან ერთად იმგზავრა მოსკოვამდე... ნამდვილად ის არის, თუმცა მგონი, მოსკოვამდე ჩავიდა...“ დალიმ ვეღარაფრით ვერ გაიხსენა, ნახა თუ არა ეს ახალგაზრდა იმ დილით მოსკოვის სადგურში. „რატომ არ ჩავუჯექი ვახტანგის მანქანაში, — ფიქრობდა იგი. — რა მოხდებოდა, ბაგებამდე მაინც ამიყვანდა. თუმცა უცხო კაცია ხომ არ იცის, ვის უზიხარ და — რატომ. ათასნაირ კუდს გამოაბამენ. მერე ვიღაც ბადრის ენას მიუტანს. თბილისი მაინც არ არის დიდი ქალაქი, თუნდაც ამიტომ. აქ ყველა ერთმანეთს იცნობს, ყველას ერთმანეთის ამბავი აინტერესებს“... დალიმ ეოთი წამით ისევ გააპარა თვალი გვერდზე. ბიჭი ისევ ისე უცნაურად იყურებოდა. „ესეც ჩემი ბრალია? რატომ ადანაშაულებენ ყოველთვის ქალს?.. მანქანაში რომ ჩავჯდარიყავი, ნამდვილად დავაშავებდი“. — იმართლებდა იგი ვიღაცის წინაშე თავს. დალი არასოდეს არ იყო დარწმუნებული, რომ რამეს არ აშავებდა. ეს აზრი აკეიტებული ჰქონდა და ვერასოდეს თავიდან ვერ იშორებდა. გათხოვების შემდეგ ეს ჭირდა. დავაშავე, რომ გავთხოვდიო, გაიფიქრა თუ არა, გათავდა სულ რაღაცას აშავებდა, სულ ვიღაცის წინაშე ტყუოდა, ვიღაცას რაღაცას უფუჭებდა. ვინ იყო ეს ვიღაცა, არ იცოდა; არც შეიძლებოდა, ცოდნოდა, რადგან ვიღაცა იყო არაკონკრეტული, არარსებული და ამასთანავე, ყველაფრის შემცველი. ეს გრძნობა დაყვებოდა ყველგან და ყოველთვის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ არც ისე ძალიან აწუხებდა.

ავტობუსი მალე მოვიდა. დალი ღია ფანჯარასთან დაჯდა. ფანჯრიდან გახედვაც დაეპირა, მაგრამ ამდენი უფლება უკვე თავს აღარ მისცა. აინტერესებდა კი, იდგა თუ არა ის ბიჭი ისევ ინ ალაგას. ეს სურვილი წყნეთამდე აჰყვა და ცხადია, ვერაფერი გაარკვია, თუმცა უც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობს ამის შემდეგ თავი მაინცადამაინც აღარ მოუნატრებია.

ელგუჯა მთელი ორი კვირა დარჩა გივისთან. ბავშვები შეიჩვია და გივის ცოლსაც ისე დაუახლოვდა, რომ შინ გაშვებასაც აღარ უპირებდნენ. ელგუჯა გივის მანქანას უვლიდა, რეცხავდა და აპრიალებდა. სამაგიეროდ, ალიონზე კოჯრის გზაზე მართვასაც სწავლობდა. დილა-საღამოს, ხანდახან შუადღითაც დალის ხედავდა. ყველაფერი საათივით ჰქონდა აწყობილი, მაგრამ თვის ბოლოს მაინც მანდიკორში გაემგზავრა. დალიმ უცნობი ვაჟი მოისაკლისა და უფრო მეტი მარტოობა იგრძნო.

პირველ სექტემბერს, პირველსავე ლექციაზ-სემინარზე დალი შელია ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის ერთ-ერთ ჯგუფში შევიდა და სულ ბოლო მერხზე ის მაღალი ბიჭი დაინახა, რომელიც ასე მოულოდნელად გაუჩინარდა წყნეთიდან.

„ეს უკვე მეტისმეტია!“ — გაიფიქრა დალიმ და სიის ამოკითხვას შეუდგა. ამ ფაკულტეტზე პირველად ატარებდა სემინარს და ასეთი ხალხრავლობა ეუცხოვა, იმ ბიჭმა კიდევ სულ დაახნია და ლექტორობის ხასიათი წაუხდინა. იფიქრა, ეს ჯგუფი აღარ უნდა ამეყვანა, ამდენიც არ უნდა გამებედაო.

დალიმ მალე გაარკვია, რომ ერთიორი კაცის გარდა ჯგუფში ინგლისურის ინჩი-ბინჩი არავის გაეგებოდა. იმ დღეს მეტი ვერაფერი მოახერხა. სტუდენტები ხმაურობდნენ. უმრავლესობა თავის საქმეს აკეთებდა. წინა მერხზე მსხდომი ვოგონები იცინოდნენ და ტოლვიით ელაპარაკებოდნენ. დალის ხანდახან მისდაუნებურად ეცინებოდა, სწრაფად იკავებდა თავს, მაგრამ სტუდენტებს მაინც მოეჩვენათ, რომ ეს ქალი სერიოზულობით და სიმკაცრით ბევრს ვერაფერს გახდებოდა. მასწავლებლის სიცილი იყო რაღაც სუფთა, ბავშვური და დალიმ ამით ბევრის გული იმ დღესვე მოიგო. ელგუჯა ჩუმად იჯდა ბოლო მერხზე და მასწავლებელს იქით თვალმის არც ერთხელ არ გაუხედია.

შესავლებაზე ბიჭები პაპიროსის მოსაჭაჭავად გავიდნენ. მართალია, ერთის გარდა ფაქტიურად არავინ ეწეოდა, მაგრამ ყველამ უკლებლივ დერეფნის ბოლოში მოიყარა თავი. ამის გამო ქალებს სულ არ მოსჩენებიათ, რომ ჯგუფი ცარიელი იყო. ისინი ზარის დარეკვამდე ყაყანებდნენ, სულ უმიზეზოდ. ვატაცებით უარყოფდნენ და უმტკიცებდნენ ერთმანეთს რაღაც უმარტივეს ჭეშმარიტებებს. სანამ ვაჟები უკანვე არ შემობრუნდნენ და ახალგაზრდა ლექტორიც თავზე არ წამოადგათ, მანამდე გაჩუმებაც არ გაეწყოთ.

ლექტორს მოხუცი პროფესორი შემოჰყვა. სტუდენტები გაფრთხილებულნი არ ყოფილან და ჯგუფში სიჩუმე დადგა. თვითონ ლექტორიც დაბნეული და შეწუხებული იყო. ლამაზი სახის თეთრ თმაწვერიანმა მოხუცმა სტუდენტებს სთხოვა, დაბრძანდითო. ყველანი დასხდნენ. ლექტორმა სტუმარს სკამი დაუდგა. პროფესორმა სკამი უკან დასწია და დაჯდა.

მოხუცი ერთი იმაცთაგანი იყო, ვის მხრებზე და მონდომებაზეც დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. ამ ხალხმა გადაიტანა იმ დროის ყველა სიძნელე და სივაგლახე. მოხუცი გრძნობდა, რომ მალე მოკვდებოდა და ის პატივი და სიყვარული, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობდა, სიამოვნებას ანიჭებდა.

გაკვეთილად ჰქონდათ „მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი“. ახალგაზრდა ლექტორი ნაწყენი იყო ნაკლებპოპულარული ნაწარმოები რომ შერჩა ხელში და ცდილობდა, ზოგადი შეკითხვებით მაინც გამოემეღავნებია ჯგუფის ცოდნა, რათა მისი შრომაც დაფასებულიყო.

მოხუცი ხმას არ იღებდა. მალე თავი ჩაქინდრა და თვალები დახუჭა. ყველას ეგონა, დაეძინაო. სტუდენტები ახლა უფრო დაკვირვებულად და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ; ეშინოდათ, სტუმარს არ გაღვიძებოდა. ბერიაკაც ყველაფერი

ესმოდა. მის დაწერილ სიტყვებს სიტყვა-სიტყვით ძალისპირულივით იმეორებდნენ სულ ახლო და კაცს გულს ეფონებოდა. შუა სემინარზე მან თვალიც გაახილა და საუბარშიც ჩაერია, თუმცა არ წამომდგარა.

მოხუცი ისე უბრალო, გასაგები და ტკბილი ხმით ლაპარაკობდა, რომ როიკა ზარი დაირეკა, ადგილიდან არავინ დაძრულა. მოხუცი ბოლოს ზოგიერთის ვინაობით დაინტერესდა. გვარების მიხედვით, საოცარი სიზუსტით გამოიცნო ყველას წარმოშობა-სადაურობა.

— თქვენა რა გვარი ხართ, უკაცრავად.

— ვაშაძე, ბატონო. — წამოდგა ელგუჯა და რადგას მერხში ვერ დაეტია, გვერდზე გამოვიდა.

— მანდიკორელი ხარ?

— დიახ.

მოხუცს ულაშებში გაეღიმა. სტუდენტებმა სრულიად უმიზეზოდ დაიწყეს სიცილი და ელგუჯას მიაჩერდნენ. ელგუჯა ოდნავ წამოწითლდა.

— გელათის მონასტერი გინახავთ?

— დიახ, ბატონო.

მოხუცი ელგუჯას უყურებდა და რაღაცას ფიქრობდა.

— წმინდა გიორგის ეკლესიაში მონასტრის ალაყაფის ჭიშკართან რომ დგას, დასავლეთის კედელზე, ზედ კარიბჭესთან, წმინდა დემეტრეს ფრესკაა დახატული... — თქვა პროფესორმა და ისევ გაჩერდა. ვიღაცამ, რომელიც ამ ლაპარაკს ყურს არ უგდებდა, ხმამაღლა გაიცინა.

— ხომ გახსოვთ? — მიუბრუნდა მოხუცი ლექტორს.

— როგორ არა, ბატონო ბართლომე! — სწრაფად უპასუხა სტუდენტის სიცილით გაღიზიანებულმა ლექტორმა და ვერაფერით ვერ გაიგო, რა უნდა ხსომებოდა. პროფესორსაც მეტი აღარაფერი უკითხავს. წამოდგა და წავიდა. სტუდენტებიც სწრაფად მიიფანტ-მოიფანტნენ და ლექტორიც და პროფესორიც გადაავიწყდათ, რადგან მეორე კორპუსში საერთო ლექცია იწყებოდა და საქმე მოსწრებაზე იყო. უზარმაზარ აუდიტორიის ხარისხებად შეყოლებული მერხები მაინც ზარის დარეკვამდე გაივსო.

აუდიტორიაში საქართველოს ისტორიის ლექტორის მაგივრად დეკანის მოადგილე შემოვიდა. დეკანი სულ სხვა საგანს კითხულობდა და არავითარი საერთო ისტორიასთან არ ჰქონია. ეგონათ, რაღაც ახალს იტყვის, როგორც იცის და გავაო, მაგრამ დეკანის მოადგილე სულ არ აპირებდა სადმე წასვლას. სწავლა სულ ერთი კვირის დაწყებული იყო და ახალი შედგენილი ცხრილები პირველსავე დღეს აირ-დაირია. ისტორიის პროფესორს, რომელმაც არ იცოდა თუ ლექცია ჰქონდა, აკადემიაში მიაწვდინეს ხმა. ისტორიკოსმა თქვა, რა გეჩქარებოდათ, ცოტა გვიან ვერ დარეკეთო. ეტყობოდა, კარგ ხასიათზე იყო, თორემ დიდი ხუმარა კაცის სახელი მაინცადამაინც არ ჰქონია. მალე მოვალო, დაიძახა ბოლოს და ყურმილი დაკიდა. დეკანის მოადგილეს შეეშინდა, სტუდენტები არ დაიფანტონო და სასწრაფოდ მეორე კორპუსს მოაკითხა, თუმცა აუდიტორია კარგა ხანს ვერ მოძებნა.

— ლექცია ცდება, პატივცემულო? — იკითხა ერთმა ვოგომ, რომელიც სულ წინ ჯდებოდა, რათა ლექტორებს ცოდნოდათ, რა ბეჯითი და მეცადინე იყო.

— რატომ ცდება, ვერ მიყურებ თუ თვალში გეპატარავები?

სტუდენტებმა ამ მოსწრებული სიტყვა-პასუხიდანაც ვერაფერი გაარკვიეს და თავთავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ. ზოგი ხატავდა, ზოგი კითხულობდა. ქალიშვილები ლექციებს და დავალებებს იწერდნენ ერთმანეთისაგან. ბიჭებს ესეც ეზარებოდათ. ზოგიერთი ქალიშვილი, რომელიც ჩაცმას მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე სხვას ყველაფერს ერთად, თმაჯალარა ლექტორს სულელურ შეკითხვებს აძლევდა. ლექტორი ნახევრადსერიოზულად პასუხობდა. ქა-

ლებს ეცინებოდათ.. ვინ ვის დასცინოდა, ვერ გაიგებდი.

— აბა ცოტა სიწყნარე, რა ამბავია მანდ!? — ხმას აუწია ლექტორმა.

სულ ბოლო რიგში მართლაც ძალიან გათამამდნენ და ერთი ბიჭი მერხიდანაც გადმოაგდეს. სხვებიც მხიარულობდნენ, მაგრამ თვითონ წაქცეული, ფეხზე რომ ძლივს წამოდგა, სიცილისაგან იხრჩობოდა. ლექტორი ხელმეორედ გაჯავრდა და აუდიტორიაში დროებით სიწყნარე ჩამოვარდა.

— რაზე შეჩერდით საქართველოს ისტორიაში? — ცოტა სიჩუმის მერე საქმიანად იკითხა ლექტორმა.

— ვახტანგ მეფეზე. — უთხრა ერთმა.

— ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა... — ჩაილაპარაკა ლექტორმა.

— ვახტანგ მეექვსეზეა, ბატონო, ლაპარაკი! — წამოიყვირა ვიღაცამ.

— გურგენიძე, დაჯექ მანდ, რას ხტიხარ თუ იცი, გკითხა ვინმემ რამე!?

გურგენიძემ ამხანაგებს გადახედა, ნახეთ, რა ვქენით და ამყოფილი დაჯდა.

— სწორს ამბობს, ბატონო, — გამოესარჩლა გურგენიძეს დროული სტუდენტი. — ვახტანგ მეფეზე, ქართული სტამბის დაარსებაზე და საგარეო პოლიტიკაზე გვესაუბრა ორშაბათს.

— გასაგებია, გასაგები, — დაამშვიდა ლექტორმა დროული სტუდენტი და ხელით ანიშნა, დაჯექით.

დროული სტუდენტი დაჯდა.

— ვახტანგ გორგასალი დიდი ადამიანი იყო... — მაინც თავისი გაიტანა ლექტორმა. — გადმოცემით თქმულა, ამ კარებში არ შემოქცეოდა თურმე, იმსიმაღლე ყოფილა...

— მაინც, პატივცემულო? — დაინტერესდა ვიღაცა.

— ასე დაახლოებით, იქნებოდა ექვსი, შვიდი მეტრი... — უპასუხა ლექტორმა და იმწამსვე გაიფიქრა, ცოტა მეტი ხომ არ მომივიდაო.

აუდიტორია ერთხმად ახრიალდა. ვიღაცას სიცილისაგან გული კინაღამ წაუვიდა.

— რა იყო, რა ამბავია?! — გაგიდა ლექტორი.

— შეუძლებელია, ბატონო! — უთხრა გურგენიძემ.

— რა არის შეუძლებელი?

— ამ სიმაღლე კაცი არ არსებობს.

— ვინ გითხრა?

— ისტორიას არ სმენია, ბატონო პროკოფი.

— რა იცი შენ ისტორიის?

— რაც ვიცი, იმას ვამბობ.

— შე გაჭირვებულო, ყველაფერი პირდაპირ რომ გეყურება, სიტყვას მოჰყვა და იმიტომ ვთქვი, თორემ სამოთხ მეტრზე მეტი რომ არ იქნებოდა, მეც ვიცი... — საბოლოოდ დაზუსტა ლექტორმა.

ახლა უფრო საშინელი ღრიანცელი შეიქნა. როცა აუდიტორია შედარებით მიწყნარდა, ერთი დაბალი ტანის სტუდენტი, რომელიც ჯარში იყო ნამყოფი და არასოდეს სიმაღლეზე ლაპარაკი არ სიამოვნებდა, წამოდგა და ძალიან სერიოზულად დასაბუთა, რომ ლექტორი ცდებოდა. ამ სიმაღლე არ იქნებოდაო, დაასკვნა.

— რამდენი გინდა შენ რომ იყოს?— ჰკითხა ლექტორმა.

— მე არაფერი არ მინდა! — ეწყინა სტუდენტს.

— მაინც?

— დიდი, დიდი ორი და ოცი... — მოითხოვა გურგენიძემ.

— ცოტა მეტი მოგვიდა. — უთხრა ლექტორმა.

— რატომ ბატონო! — გაეცინა გურგენიძეს.

— სინამდვილეში მეტრი და ორმოცდაორი სანტიმეტრი ყოფილა... — დაჯინა ლექტორმა.

ამ ლაპარაკში ისტორიკოსი შემოვიდა. აუდიტორია წამსვე დაწყნარდა. პროფესორმა დეკანის მოადგილეს ხელი ჩამოართვა, დაგვიანებისათვის ბოდიში მოიხადა და თავის საქმეს შეუდგა.

ელგუჯა ყოველთვის ზუსტად, პუნქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუალურად შედიოდა აუდიტორიაში და ჩვეულებისამებრ, ჯდებოდა სულ ბოლოს. საპატიო მიზეზით რომ ლექციები უცდებოდა, იმასაც ჯავრობდა და სულ არ უყურებდა ამხანაგ ბიჭებს, უფრო კი გოგონებს, რომლებიც ლექციების მაგივრად უნივერსიტეტის ბაღში ან კინოში ისხდნენ. დალი შელიას სემინარზე პირველი შედიოდა ოთახში. სულ ელოდა, მომავალ მეცადინეობაზე რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი მოხდებაო, მაგრამ ერთი გაკვეთილი ტყუპის ცალივით ჰგავდა მეორეს. ხმისამოუღებლად, მოწმესავით იჯდა იგი უკან და ისე იქცეოდა, თითქოს მეთვალყურედ იყო გამოგზავნილი.

დალის სადღაც მოსწონდა კიდეც, ბიჭი რომ ხმას არ იღებდა. არც ხმაურობდა, არც არაფერს ედავებოდა, არაფერს არ ითხოვდა. თუ ჩაუთვლი ალბათ ჩაითვლება, თუ არა და მაინც მადლობელი დარჩებოდა. სხვებივით თავს არ დაიმცირებდა, არ დაიწყებდა საპატიო მიზეზების ძებნას და ნაცნობების მოგზავნას. სხვები ხშირად თავს აბეზრებდნენ, ხმაურობდნენ, დავალებებს არ ასრულებდნენ და მერე მოურიდებლად იმართლებდნენ თავს. ყველა ხვდებოდა, დალის რომ თავის უფლებების ბოროტად გამოყენება არ შეეძლო და ზოგიერთს თავს გადიოდა. სამაგიეროდ, ახალგაზრდა მასწავლებელი უყვარდათ და საქმეს ეს ათანასწორებდა. მასწავლებელსაც პატარა რამე ახარებდა. სულ უბრალო რამეზე მთელი სახე გაუნათდებოდა ხოლმე. სამაგიეროდ, ხანდიხან ისე მოიწყენდა, ხასიათი წაგიხდებოდა. ასეთი მომცინარი და მომტირალი სახის ადამიანს იშვიათად შეხვდებოდა კაცი.

სემინარი შედამბულს მთავრდებოდა. ელგუჯა უომედოდ გააყოლებდა შინ მომავალ მასწავლებელს თვალს და თვითონაც სახლში მიდიოდა. დიდხანს იდგა თავისი თოახის ფანჯარასთან და განათებულ ქალაქს და მანქანების ბრუალს უყურებდა. საკვირველი იყო, დიმიტრის გარდა რომ ეჭვადაც არავის უფიქრია, ელგუჯა თუ ლექსებს წერდა. თუმცა ამ კაცმა თბილისში მხოლოდ ერთი ლექსი შეთხზა და იმასაც თავს ვერ დაადგა. ლექსი გაუხარელ, უომედო სიყვარულზე იყო. უგულო, ცივ ქალაქში დადიოდა ერთი ქალი, რომელიც ისამნის ყვავილს ჰგავდა. ბოლოს პოეტს ისამნის ყვავილი არ მოეწონა და სხვა სახელი მოიგონა, მაგრამ ქალი ისევ და ისევ ყვავილად ეხატებოდა. თვითონვე გრძნობდა ამ შედარების შეუსაბამობას. როგორ შეიძლება ქალაქში დადიოდეს ყვავილი, ფიქრობდა და საგონებელში იყო ჩავარდნილი. ლექსს ხვედა და ისევ წერდა. ბოლოს გულდათუთქული კაცის აღსარება საიმედოდ შეინახა და პოეზიას, მისი ფიქრით, დროებით, სინამდვილეში თითქმის სამუდამოდ, მიანება თავი.

თავი მეთორმეტე

ნოემბრის შუა რიცხვებში ელგუჯა ისევ შეჯიბრზე წაიყვანეს. ახლა უკვე მოწმედ აღარ გაჰყოლია გუნდს. პავლემ დიდი იმედებით გააცილა მოსკოვში. მთავარია არ შეგეშინდეს, თამამად იყავი, დაიჯერე, რომ ძლიერი ხარო, არიგებდა ჭკუას.

დალი თითქმის თვენახევარი უშედეგოდ კითხულობდა ჟურნალში ელგუჯას გვარს და სახელს. სტუდენტები პასუხობდნენ, შეჯიბრებაზეა წასულიო. დალის უკვირდა, ვის ეჯიბრებოდა ამდენხანს ის თვინიერი სტუდენტი, ბიზანტიელ მეზღვაურს რომ ჰგავდა. დალიმ ელგუჯას ნახვის იმედიც დაკარგა და წლის ბოლოს სპორტსმენი სტუდენტი პირდაპირ ჩათვლაზე გამოეცხადა.

სტუდენტების უმრავლესობას დალიმ იმ დღესვე ჩაუთვალა. დარჩენილები, რომლებმაც ფაქტიურად არაფერი არ იცოდნენ, მეორე დღეს გამოვიდნენ. მასწავლებელი სულ უბრალო ცოდნას ჯერდებოდა. ბევრი პირდაპირ რვეულიდან პასუხობდა. ზოგი დაწერილსაც ვერ კითხულობდა და მოსწავლის მაგივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მასწავლებელს რცხვენოდა. სულ ბოლოს დარჩა ელგუჯა, რომელმაც საკმაოდ მშვიდად განაცხადა, მე არაფერი არ ვიცი. დალიც ასე ფიქრობდა, მაგრამ მაინც საშინლად დაიბნა.

— სულ არაფერი?

— თითქმის...

— მაშინ ხვალ გამოდით, ან ერთ კვირას გადროვებთ.

— ერთი თვეც რომ მადროვოთ, მაინც არაფერი არ გამოვა.

— აბა როგორ მოვიქცეთ? — იკითხა გაკვირვებულმა ქალმა.

— როგორც თქვენ გინდათ, გინდ ჩამითვალეთ, გინდ — არა, — დალი დაფიქრდა.

— მე თუ არ ჩაგითვალეთ გამოცდებზე არ დაგიშვებენ და რას იზამთ?

— რა უნდა ვქნა...

— მე მესმის, თქვენ სპორტსმენი ხართ, შეჯიბრებაზე იყავით, დრო დაკარგეთ, ალბათ ეს საპატიოა...

— დრო კი დაკარგე. — დაეთანხმა ელგუჯა და იქვე დაუმატა, თუმცა არც იმდენი, კაცმა რომ თქვასო.

— მაშინ სულ ცოტა რამე მაინც გესწავლათ... — შეწუხდა დალი.

ელგუჯამ თავი ჩაღუნა და მერხს დააშტერდა. შავად გაპრიალებულ ფიცარზე ვიღაცას იერიგლიფები ამოექარგა. ქვევით თვე, რიცხვი, წელი, გვარი და სახელი იყო მიწერილი. ნაწერი სინათლეზე ისფრად ილანდებოდა. თავს გვერდზე გაწევდი თუ არა, აღარაფერი ჩანდა. შუქ-ჩრდილების თამაშმა და უფრო კი ამ ეპიტაფიის აღმოჩენამ ელგუჯა ძალიან გაახარა, თითქოს რაღაც გამოსავალი იპოვნა.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა დალიმ.

— სულ ცოტა ვიცი... — ამოღერღა კარგა ხნის შემდეგ სტუდენტმა.

— მაინც?

— რამდენიმე ზმნას ვაუღლებ, ტექსტს წავიკითხავ გაჭირვებით, მაგრამ არ ღირს.

ორთავენი გაჩუმდნენ. ქალმა არ იცოდა, რა ექნა. უკვე იქამდე მაგიდა, რომ რასაც სტუდენტი ეტყოდა, ყველაფერს გააკეთებდა, მაგრამ ელგუჯა კონკრეტულს არაფერს ამბობდა.

— ისე, სხვათაშორის, ხუთოსნებსაც ბევრს ვიცნობ! — წამოიყვირა უცბად ელგუჯამ.

— მერე რა მოხდა?! — შეკრთა დალი.

— არაფერი. მაგრამ, თავი არც იმათ უსაყდებათ... გაქცეულ ინგლისელს ვერ მოაბრუნებენ, ერთი უცხო სიტყვა არ იციან... — ხმას დაუწია ელგუჯამ.

— თუ არ ისწავლეს, არც ეცოდინებათ.

ელგუჯამ უხეიროდ გაიცინა, ამ უბრალო ჭეშმარიტებას რატომ აღრე არ დავუკვირდიო.

— ისე, პრინციპში, თქვენც სწორი ხართ... — დაეთანხმა დალი. — გრამატიკითა და იმ პროგრამით, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, ენას ვერ ისწავლი. ჩემი ბებია, ვინც მე გამზარდა, ინგლისელი ქალი იყო და ენა შინ ვისწავლე. თანაც ბავშვობიდან ინგლისურად ვკითხულობ. ისე აქაც, განსაკუთრებით ჩვენ ფაკულტეტზე, არიან კარგი სტუდენტები.

— თქვენ უნივერსიტეტი დაამთავრეთ?

— მე უცხო ენათა ინსტიტუტი დავამთავრე, მაგრამ ასპირანტურაში აქ ვსწავლობ, რატომღაც ასე მოხდა.

ქალმა მატრიკული აიღო და ჩათვლა გააფორმა.

— დიდი ხანია ვარჯიშობთ? — იკითხა შემდეგ და მატრიკული მერხზე დადო.

— არ არის დიდი ხანი, ისე ადრეც ვვარჯიშობდი, მაგრამ იმას ვარჯიში არ ერქვა. — თქვა ელგუჯამ და მატრიკულს დახედა.

— ახლა რა ქენით, წასული რომ იყავით?

— მეოთხე ადგილი ავიღე.

დალის არაფერი უთქვამს და ელგუჯამ ვერაფრით ვერ გაიგო, კმაყოფილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა თუ არა ეს ადამიანი მისი მეოთხე ადგილით.

—... ვინც უმედლოდ ბრუნდება, ყველა ამბობს. მეოთხეზე დავრჩიო, მაგრამ მე მართლა ავიღე ეს ადგილი, თუმცა სულ არ მიხარია. ისე, ნაკრებში შემიყვანეს და ეს კარგია...

— უმედლოდ დაბრუნება რას ნიშნავს?

— პირველ, მეორე, მესამე ადგილზე მედლები ნაწილდება და მერე აღარაფერი...

— იქნებ სამი კაცის მეტი არც შეგროდა?

— კი, ასეც ხდება... შარშან ნახევრადმძიმე წონაში გამომიყვანეს და მესამე ადგილი ავიღე სამ კაცში.

დალის უცბად გაეცინა და თავი დახარა. ელგუჯამაც გაიღიმა. გამხიარულებული მასწავლებლის დანახვამ გაახარა.

— მერე მედალი მოგცეს?

— არა, სტუდენტების პირველობა იყო, იქ მედლებს არც არიგებენ.

დალის რაღაც გაახსენდა და ისევ გაეცინა, თუმცა ამჯერად მალე დაწყნარდა.

— ჩემი ბავშვი ისეთი სუსტია, გაოცდებით. ექიმმა მირჩია, სპორტზე ატარეთო და არ ვიცი, სად მივიყვანო, თუმცა ჯერ პატარაა.

— ცხრა წლიდან, უფრო ადრეც ცურვაზე სიარული შეიძლება, ცურვა ძალიან კარგია...

— მეც ასე მირჩიეს, ისე ანემიური ბავშვია, სისხლნაკლული... რაღაც უცხოური წამალი გამომიწერეს, მაგრამ ვერსად მოვიძე.

— წამალს მე გიშოვნით, რა წამალიც გინდათ მითხარით და მოგიტანთ, ბიძაჩემი საოფთიაქო სამმართველოში მუშაობს...

— მე ახლა წამლის სახელი არ მახსოვს, მაგრამ გავიგებ და გეტყვით. დილ-დილობით თითქმის ყოველთვის აქა ვარ, სამეცნიერო დარბაზში მომძებნით.

— აუცილებლად განახავთ, მხოლოდ სახელი არ დაგავიწყდეთ.

— თქვენი?

— არა, წამლის.

დალის ხმა აღარ ამოუღია, თუმცა, როცა ჩანთას, საგამოცდო ფურცლებს და რვეულებს ერთმანეთზე ალაგებდა, ეღიმებოდა და თავს ძლივს იკავებდა, რომ არ გაცინებოდა.

ელგუჯამ მატრიკული აიღო და მერხიდან გამოძერა.

გარეთ გასვლისას დალი კართან შეჩერდა, მოიხედა და კარგად იყავითო, თქვა. ელგუჯას ეგონა, ხელს ჩამომართმევსო, მაგრამ ქალი შეტრიალდა და წავიდა.

თითქმის მთელი ღამე არ დაეძინა ელგუჯას. წათვლემდა და ესიზმრებოდა, როგორ ელაპარაკებოდა დალი შელიას. ხელახლა აბარებდა გამოცდებს, წვალობდა და ცოდვილობდა. ისე თვალნათლად ხედავდა ყველაფერს, რომ ძილბურანიდან კარგა ხანს ვერ გამოდიოდა. თვალს კაახელდა, გადაბრუნდებოდა, გადმობრუნდებოდა, ძალისძალით ჩაიძინებდა და ისევ იგივე სიზმარს უყურებდა. დილით თავის ტკივილი აჰყვა. ადრიანად გამოვიდა უნივერსიტეტში. უკვე შუშინებულიყო, აღარ სჯეროდა, თუ დალის ნახვას ეღირსებოდა.

ელგუჯამ დალი დერეფანში დაინახა. ქალს ხელში ჩანთა ეჭირა და მსუბუქად და უდარდელად მოდიოდა. ეტყობოდა, ელგუჯას ვერ ხედავდა, რადგან მოგვიანებით მოულოდნელად გაიცინა და შეჩერდა კიდეც; ბიჭს მიესალმა და ტაყვის ჩანთა ფანჯარაზე დადო.

— როგორ ბრძანდებით? — ჰკითხა ელგუჯამ და იქვე მიხვდა, რომ ამ კითხვის მიცემა სულ არ იყო საჭირო.

—კარგად, გმადლობთ, — დაუფიქრებლად უპასუხა დალიმ. იგი ამ დროს ჩანთაში იქექებოდა.

დალიმ ჯერ წამლის სახელი მოიგონა და მერე დაწერილი ქაღალდიც ნახა. ელგუჯას უთხრა, თუ არ შეწუხდები, ჩაიწერე, უფრო არ დაგავიწყდებაო.

რეზო ჭეიშვილი

დ ა ლ ი

ელგუჯამ უბის წიგნაკი ამოიღო და ლათინური სიტყვა ქართული ტრანსკრიფციით ჩაიწერა.

— დაწერეთ? — ჰკითხა დალიმ.

— კი, — უპასუხა ელგუჯამ.

— კარგად იყავით. — თქვა დალიმ.

— კარგად იყავით.

დალი სწრაფად წავიდა.

ელგუჯამ ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ქალს თვალი გააყოლა, მერე უდარდელად ჩაიღიღინა, წინ წავიდა და სტენდზე გაკრულ სურათებს მიადგა. ცივ მინას ცინლამამ შუბლი მიადო. მოულოდნელად მოეჩვენა, რომ მარტოდმარტო იდგა უზარმაზარ სიცარიელეში, შეკრთა და გვერდზე შეტრიალდა. დერეფანი და გასასვლელ-გამოსასვლელები სტუდენტებით იყო სავსე. ისეთი ჩაგუდული ერიამული იდგა, თითქოს ყველა ერთად და ხმაშეწყობილად ზუზუნებდა.

ელგუჯა მეორე დღესვე ავიდა დეიდასთან და ბიძა მოიკითხა. შალვა სამსახურიდან არ იყო დაბრუნებული.

— როგორა ხარ, ბიჭო, ხომ არაფერი გაკლია, ამ შაბათს ვერ გამოვედი, გასარეცხები ვერ წამოიღე?

— სახლიდან არ მოვდივარ.

— აბა სად იყავი, ზეგ მე თვითონ გამოვალ, სამსახურიდან პირდაპირ გამოგიარ, სახლსაც დაგილაგებ და გასარეცხებსაც წამოვიღებ... მამაშენის წერილი მოვიდა.

— რაო?

— კარგად ვარო, შენზე მწერს, ყურადღება მიაქციეო, ამის თქმა რად მინდა, ისედაც გხედავ. დედაშენის საფლავისათვის, როგორც იქნა, გალავანი შემოუყოლებია. დღესასწაულებზე უნდა წავიდე და ჩემი დის საფლავი ვნახო. ღმერთო, რატომ მოკალი ასეთი ახალგაზრდა, ასეთი ლამაზი, რა დაგიშავა!...

ელგუჯა მეორე ოთახში გავიდა და ფანჯარასთან გაჩერდა. კარგახანს გაშტერებული იცქირებოდა ქუჩაში.

— შენ, ბიჭო, კიდევ ხომ არ მიდიხარ შეჯიბრებაზე? — მოისმა ოთახიდან დეიდის მშვიდი ხმა.

— შეიძლება წავიდე...

— რა გინდა რომ დაიარები, აკეთებდე მაინც რამეს... შენ ის გირჩევნია, სწავლას არ ჩამორჩე... ბიძაშენს რას კითხულობ?

— რაღაც წამალი მინდა, სხვას დავპირდი.

— რა წამალი?

დეიდა ოთახში შემოვიდა. ელგუჯამ ქაღალდი აჩვენა. ქალმა სათვალე მოიხსნა, გაწმინდა და ისევ გაიკეთა. წამლის სახელი ძლივს ამოიკითხა და ქაღალდი პატრონს დაუბრუნა.

— ასეთი არაფერი გამიგონია, შალვა მოვა და აუცილებლად გიშოვნის, შენ უარს არაფერზე გიტყვის, მარა იშოვნის?.. მთელი სამსახურო გადაკიდებული ჰყავს... მაგას უნდა ქვეყანა გაასწოროს და მასე სადაა!

დიდი მეცდინეობის მიუხედავად, შალვამ წამალი მართლა ვერ იშოვნა. ყველა ეუბნებოდა, ასეთი რამე არ გაგვიგონიაო. დეიდა ელენე მაინც დარწმუნებული იყო, რომ ქმარს წამალს უმალავდნენ.

ელგუჯას სულ არ აინტერესებდა, აძლევდნენ თუ არა შალვას წამალს. ბიძის ნდობა არ ნდობის საკითხიც არ აწუხებდა. მთავარი იყო, რომ შერცხვა და დალი შელიასთან მისასვლელი პირი გაიტეხა. ტანჯვით დაწუებული საქმე ასე ჰაიჰარად უნდა ჩაშლილიყო. ელგუჯა ჯავრობდა, ნერვიულობდა, უნივერსიტეტში წასვლა აღარ უნაროდა.

ერთ დღეს უნივერსიტეტის კართან ვიღაცამ მკლავში ხელი მოჰკიდა. ელგუჯამ ქალის რბილი თითები იგრძნო და იმწამსვე მოტრიალდა. დალის ისევ ვაჟის მკლავი ეჭირა, როცა ამხანაგ გოგოს დაემშვიდობა. დაბნეულმა ელგუჯამ ქალს საკმაოდ უხერხულად ჩამოართვა ხელი და იმწამსვე წამალი გაახსენდა, თუმცა არავის არაფერი უკითხავს.

დალი თვალებით იღიმებოდა და ბიჭმა რაღაც ქალური, ეშმაკური მზერა იგრძნო.

— როგორ ხართ?

— კარგად, წამალი ვერ ვიშოვნე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალიმ უადგილოდ გაიცინა, ეტყობოდა, ნათქვამი ვერ გაიგონა. კარგ ხასიათზე იყო, მაგრამ სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა.

— თბილისში არ აღმოჩნდა.

— რა არ აღმოჩნდა თბილისში?

— წამალი.

—თქვენ კი არა, ისეთმა კაცმა ვერ იშოვნა, გაგიკვირდებათ... აქეთ ხომ არ მოდისართ?

დალიმ ვიღაცას მიუხედა, თმაზე ხელი გადაისვა და წავიდა. ელგუჯა გაჰყვა და ამდენი რომ მოახერხა, ძალიან გაუკვირდა.

— მე მალე საბღელგარეთ მომიწევს წასვლა და წამალსაც ჩამოგიტანთ... — არაფერით არ მოეშვა ელგუჯა მედიკამენტებს.

— რაღას ჩამომიტანთ. უკვე გამომიგზავნეს მოსკოვიდან. — უთხრა დალიმ.

— უჰ! — ეწყინა ელგუჯას.

— დაგიმთავრდათ გამოცდები? — სხვაისაშორის იკითხა ქალმა, მაგრამ ელგუჯამ მაინც დაწვრილებით უპასუხა. დალი ღიმილით უქნეოდა თავს, თუმცა არაფერი ესმოდა. ბოლოს ელგუჯაც გაჩერდა. მეტი რაღა უნდა ეთქვა, არ იცოდა. „შეიძლება ჩემთან სიარული ეუხერხულება და თავადი ვგონივარ, ხომ ვერ გამაგდეს!“ — გაიფიქრა ელგუჯამ და ყველაფერს გაცლა ამჯობინა, მხოლოდ ამასაც მოხერხება უნდა და როგორ და რანაირად უნდა ჩამოხსნოდა ქალს, არ იცოდა.

— მართლა საბღელგარეთ მიდიხართ? — იკითხა მოულოდნელად დალიმ.

— დიახ.

— სად?

— შეიძლება იაპონიაში... ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

— იაპონია კარგია, ჩემი ამხანაგი იყო და ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა.

— ამბობენ კი... — თქვა ელგუჯამ და სულ უმიზეზოდ მუშში ჩაასველა.

— სპორტსმენები ბევრს მოგზაურობთ, ბედნიერი ხალხი ხართ... ახალ-ახალ ქვეყნებს ეცნობით.

— მე ჯერ არსად არ ვყოფილვარ, წელს მივდივარ პირველად და ისიც თუ წამიყვანეს... — თქვა ელგუჯამ.

დალი შეჩერდა, ელგუჯასკენ მოტრიალდა და ღიმილით მიაჩერდა. ბიჭი მიხვდა, რომ დალი ეშმედობებოდა. ამასობაში ტროლეიბუსიც ჩამოდგა. კარგად იყავითო. თქვა დალიმ და ვაგონში ავიდა.

თავი მეცამეტე

ამ ხნის მანძილზე ელგუჯამ მხოლოდ რამდენჯერმე მოახერხა მანდიკორში ჩასვლა. ვერ იცლიდა, თორემ სულ სოფელი ენატრებოდა. აგონდებოდა ტყე, თხმელეში ჩაკარგული ღელე და სოკო. ბოლო ჩასვლაზე მოიწყინა და ორი დღის შემდეგ მიხვდა, რომ იქ გაძლება აღარ შეეძლო.

ნოემბრის წვიმიანი დღეები მიყვებოდა ერთმანეთს. გვიანი, სევდიანი შემოდგომა ილოდა. დაკრეფილი ხეხილი და ტაროატეხილი სიმინდი საცოდავი საყურეველი იყო. ირიბობენ წითელი მიწა ატალახებულიყო. ჩოჩიალა, ფრჩხილებიანი ურმები ღერძამდე ეფლობოდა ალალ მიწაში. მანდიკორი ისევ მანდიკორი იყო და მეტი არაფერი. ახალი თავმჯდომარე აერჩიათ. თავმჯდომარემ ახალგაზრდა, ხათრიანმა ბიჭმა თქვა: ძველი კლუბი უნდა დავანგრიოთ და ახალი ავაშენოთო. შარაგზის მოასფალტებასაც აპირებდა. ვიღაცამ თქვა, გაისად ზაფხულში აქ ტალახს ვეღარ ნახავო. ზაფხულში როცა მზე დაატრიალა და გვალვა დაიწყებოდა ტალახი მართლაც ძნელი საშოვნელი გახდებოდა.

„რა მინდა აქ, აქ რა უნდა გავაკეთო, ადამიანი ჯავრით და ტირილით მოკვდება!“ — ფიქრობდა ელგუჯა. მესამე დღეს იგი უკვე თბილისში იყო და ლოღიძის წყლებთან ამხანაგებში იდგა.

მამამისი თომა ნიადაგ შვილზე ფიქ-

რეზო ჭეიშვილი
ღალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა. სკოლიდან მოსული დღამებამდე საქმიანობდა, მაგრამ დრო მაინც ბევრი რჩებოდა და მარტოხელა კაცი ხმამაღლა ფიქრს შეეჩვია. შედამებულს, თუ მეზობელი ან ახლობელი არ გადმოაკითხავდა, თომა წელზე ხელებს დაიწყობდა, დადიოდა აივანზე და თავისთვის ლაპარაკობდა. ერთხელ, როცა შვილის წერილი ეორონეყიდან მოვიდა, თომა შეფიქრიანდა. გარდა იმისა, რომ ელგუჯა სწავლას ჩამორჩებოდა, მამას სხვა რამისაც ეშინოდა.

თომა შვილს ისედაც ყოველთვის რჩევა-დარიგებებით სავსე წერილებს უგზავნიდა. კონვერტებში ხშირად წერილთან ერთად გაზეთებიდან ამოჭრილი პატარ-პატარა სტატიები იდო, სადაც ეწერა, რომ ღვინოში და არაყში არის ალკოჰოლი, ალკოჰოლი კი ჯანმრთელობის მტერიაო; თამბაქო შეიცავს ნიკოტინს, ხოლო ასკალი ცე ვიტამინით არის სავსე; ნერვიულობა ადამიანისათვის მაწყინარია, სიმსუქნე ჯანმრთელობის მტერია; ხოლო ფიზიკური შრომა და სუფთა ჰაერი სასარგებლოა და სხვა და სხვა.

გაზეთებიდან ამონაჭერებს ელგუჯა ძალაუნებურად თავიდან ბოლომდე კითხულობდა, თან უკვირდა, რატომ ჭკონია მაგ კაცს, რომ ამდენი არ ვიცი, ან გაზეთებს არ ვყიდულობო.

იმ დღეს ვარჯიშიდან დაბრუნებულ ელგუჯას კარის საკლეტურში გაკვეხებული წერილი დახვდა. ელგუჯა ოთახში შევიდა, ჩანთა კუთხეში მიაგდო და მამის გამოგზავნილი წერილი გახსნა. კონვერტში დასტამბული სტატიები აღარ იყო, მაგრამ თვითონ ბარათი, არავითარ შემთხვევაში, დამატებას აღარ საჭიროებდა.

მამა იტყობინებოდა, რომ კარგად იყო და ფიფლსაც არა უჭირდა რა. წელსო გაზაფხული გრილად მიიწურა და აკაციაზე და ცაცხვზე ადრე შქერი და იელი აყვავილდა. ფუტკარი იელს მიეტანა და მთორობელ თაფლი დადეგბაო. იელის თაფლს საპყარიც ბევრი მოურჩენია, მაგრამ როცა იელი ყვავის, თაფლი მაინც საშიშია. ერთხელ, [illegible] თა ერთ სოფელში ათი ათასი ბერძენი მომარი მოიწმალა თაფლითო.

„საიდან იცის რამდენი ბერძენი მოიწმალა, იქნება აკლდა ათი ათასს?.. თუმცა ძველ წიგნებში აქვს წაკითხული!“ — ფიქრობდა ელგუჯა.

... ცხრა თვა გადმოვლილი ელლინები ახალთვარობაზე მთა-ფერდობებზე შეფენილ კოლხურ სოფლებში დაბინავდნენ. მაინცდამაინც არაჩვეულებრივი იქ არაფერი შეუნიშნავთ. გარდა უთვალავი სკისა. თაფლს გამკითხავი და პატრონი არ ჰყავდა. ელლინელი ჯარისკაცები თაფლს მიეძალნენ და გადავიდნენ ჭკუიდან. პირველად ეგონათ, რომ მიწა იძრა. ერთმანეთზე გადაბმულმა გორებმა ხორუმის ცეკვა დაიწყეს. შეღამდა და მთის წვერზე მთვარე გამოჩნდა. ათიათასი მეომარი შეშლილს დამსგავსა. ისინი როკავდნენ, ღრიალებდნენ და ხელებს ზევით იშვერდნენ, თანდათან ეცლებოდათ ღონე და ერთმანეთის მიყოლებით ეცემოდნენ ძირს. როცა მთვარე გასწორდა და კრიჩხიბზე დაეკიდა, გამოჩნდა დედამიწაზე დაფენილი ურავშეპყრობილი, თითქოს დიდ ბრძოლაში დამარცხებული მეომრები. უნდა ითქვას, რომ არავინ მომკვდარა. მეორე დღეს მთვარის ამოსვლისას, სწორედ მაშინ, როცა ეს ამბავი დაიწყო, ჯარისკაცებმა მოიხედეს. მესამე, მეოთხე დღეს ისინი წამოდგნენ, თუმცა კიდევ კარგახანი დადიოდნენ მთვარეულებივით. აი რა შეუძლია თაფლსო, ასკვნიდა თომა. შენთვის იელი ახლა ყვავის, იელი გაგაბრუებს, დაგათრობს, შენც გაწყვენს და სხვასაც. ღონემ არ მოგატყუოს, ღონე ვაკაცობას არ ნიშნავსო. მთავარი ნერვებია, ნერვებს გაუფრთხილდი. გაიხსენე შენი ბაბუა და ბიძა, თავი არ დაიღუპო. შენ გამოგყავო ჩვენი წინაპრების თმა და თვალის ფერი, შენშიაო ყველაფერი ჩვენი, ჩვენი გენები და ქრომოსომებიო. ადამიანის უჯრედში არის ბირთვი. უჯრედის გაყოფისას ბირთვში შეინიშნება ქრომოსომა, რომელიც მართავს ორგანიზმის მემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვიდრეობას. ქრომოსომებში ბატონობს და გენეტიკური ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს დეზოქსირიბო ნუკლეინის მჟავა დნმ, რომელზედაც ახლა ბევრს ლაპარაკობენ და რომლის არსებობა ჯერ კიდევ ასი წლის წინათ იწინასწარმეტყველა მენდელმაო. იმ დიდი ადამიანისო, — ამტკიცებდა თომა. — მაშინ მხოლოდ ერთეულებს და მათ შორის ყველაზე ერთგულად და გაბედულად მე მწამდაო. წერილში ბოლოს უფრო უმნიშვნელო ამბები ეწერა და ელგუჯა დანარჩენით ისე აღარ დაინტერესებულა.

ელგუჯას ბიძა, მამის მკვიდრი ძმა, თომა რომ ახსენებდა, ფსიქიურად იყო დაავადებული. ჭკვიანი და განათლებული კაცი დროდადრო ფსიქონერვოლოგიურ საავადმყოფოში მკურნალობდა. მოულოდნელად შეიშლებოდა ხოლმე; რამდენიმე ხნის შემდეგ შინ ბრუნდებოდა დარცხვენილი და სრულიად ჯანმრთელი. როცა ყველას ეგონა, საბოლოოდ განიკურნაო, უცბად გარდაიცვალა.

ელგუჯას ბაბუა მოკვდა მშვიდად და თავისი დღით, მაგრამ იგიც საკმაოდ უცნაური და ახირებული კაცი ყოფილა. ოჯახში შემოსული რძალი, რომელმაც არ იცოდა მამამთილისათვის პატივი რით ეცა, აითვალისწუნა, თუმცა სიტყვიერად არასოდეს არაფერი უთქვამს. ბოლოსდაბოლოს ფაქტიურად შვილს გამოეყო და ცალკე გავიდა. ბაბუაზე სოფელში ლეგენდებს ჰყვებოდნენ. ახალგაზრდობაში ნათესავი ქალი ყვარებიაო. გაუმბელელი სიყვარული გაუგებარი არ დარჩენილა, მაგრამ ქალი ადრევე მომკვდარა. ბაბუა დიდხუთშაბათს ღამით, მთვარიანში ქალს თურმე საფლავიდან ამოთხრიდა და დილამდე უყურებდა. როგორც კი იალებდა და მზის პირველი სხივი ბებერი ცაცხვის კენწეროს გაანათებდა, ბაბუა ქალს მარხავდა და ძენძულით ტოვებდა სასაფლაოს. ერთხელ ელგუჯამ მამას ჰკითხა, მართალია თუ არა ყველაფერი ესო. მამამ უთხრა: ტყუილია, ბნელი და ბოროტი ხალხის მოგონილიაო.

ოთახში სახლის პატრონი სესე შემოვიდა. სესემ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე იცოდა შემოსვლა. იღიმებოდა და გვერდულად მოძვრებოდა ხოლმე ღრეჭოდ დარჩენილ კარში.

სესეს დანახვაზე ელგუჯა საწოლზე წამოჯდა.

— მობრძანდით.

— იყავი, დაისვენე.

— არა უშავს, მობრძანდით!

— როგორა ხარ, ბიჭო?

— კარგად, გმადლობთ, დაბრძანდით.

— დაჯდომა არ მინდა.

სესე არ დაჯდა, ხელები ჯიბეებში ჩაიყო და საწოლთან გაჩერდა. გადაშვებული ხალათი ეცვა უქამროდ. მომღიმარი, მოსულელო სახე ჰქონდა. სესემ საკუთარი ოთახი მოათვალიერა. იქაურობას წიგნების მეტი არაფერი შემატებოდა. წიგნები მაგიდაზე და სკამზე აღარ დატეულიყო და ოთახის კუთხეშიც იყო მიწყობილი. „რად უნდა ამდენი წიგნები, ჭამოს და სვას არ ჯობიაო?.. მამამისმა რომ იცოდეს რაში ყრის ფულს გული გაუსკდებაო!“ — ფიქრობდა სესე და ჯიბეებიდან ბარძაყებს იფხანდა.

— ხომ არაფერი გინდა, ბიჭო, თუ რამე დაგჭირდეს, თქვი. შემოდი ჩვენთან ხანდახან... რა გიჭირს, რა გილხინს, არ უნდა ვიცოდეთ? დიდი მორიდებული კაცი ხარ!

სესეს ლაპარაკზე ელგუჯას ეღიმებოდა, თუმცა, როცა ეუბნებოდნენ, ხათრიანი და მორიდებული ხარო, წყინდა. მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, სტუმარს ხელმეორედ შესთავაზა სკამი. სესე იმჯერად მართლა დაჯდა, მხოლოდ ჯიბეებიდან ხელები არაფრით არ ამოიღო. სკამის ფეხს ცალი ფეხი შემოკვანტილა.

— საჭიდაოდ აღარ მიდიხარ? — იკითხა კაცმა.

— ვაპირებ.

სესემ იჭვნეულად გაიღიმა და ელგუჯას მიაჩერდა. ელგუჯა ხედებოდა, სესე

რეზო ჭეიშვილი
დ ა ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჭიდაობას მოცლილი და უსაქმური ხალხის ხელობად თვლიდა. სადღაც გუნებაში ელგუჯას დასცინოდა კიდეც.

— ადრე ახალგაზრდობაში, — დაიწყო სესემ. — მეც ვჭიდაობდი, მხოლოდ ჩვენებურად, თქვენი წესებისა მე არაფერი გამეგება... კაცს რომ ფეზში ხელს მოკიდებ და წაქცეულს თავზე დაახტები, ის რა ჭიდაობაა. პატარა ვარ, მაგრამ თავზარს ვცემდი ყველას. ერთხელაც სოფელში ვიღაც კაცმა დათვები ჩამოიყვანა. ერთი სიტყვით, ცირკი გამართა და ჩვენ ფული გადაგვახდევინა. მერე იმ კაცმა თქვა, თუ ვინმეს შეგიძლიათ, გამოდით და დათს ეჭიდავეთო. ჩემს დღეში დათვთან არ მეჭიდავნა. ვიფიქრე, მაგის ყოფაც არ იყოს, მოდი გავალ მეთქი... სხვებმაც წამაქეზეს და გავედი. ვეცი დათვსა, გამოვკარი შუაკაური და დავცი ძირს.

— წააქციე? — გაუკვირდა ელგუჯას,

— მაშ!

— მერე დათვმა არაფერი გიქნათ?

— რა უნდა ექნა?

— წინააღმდეგობა სულ არ გაგიწიათ?

— დაფიქრება არ ვაცალე... — ჩაილაპარაკა სესემ, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირი მოიწმინდა.

— რომ ეკბინა?

— პირი აკრული ჰქონდა და რას მიკბენდა!

— ა, მაშინ გასაგებია.

— ისე, პატრონი კი გაჭინჭყლდა, არ იჯერიებაო... მოულოდნელად დაეტაკა და მეორედ ეჭიდავოსო.

— მერე, გადით მეორედ? — ძალიან დაინტერესდა ელგუჯა.

— რა ბიჭი გავდოდი, დათვი ისე გაბრაზდა, ძლიეს აკავებდნენ, ხალხს ათვალიერებდა და მე მეძებდა, სად წავიდაო. მეორე დღეს შეეხვედი და ვერ მიცნო.

ოთახში სესეს ცოლი და ქალიშვილი შემოვიდნენ.

— შემოცვივდნენ ახლა! — თქვა სესემ.

— სად ხარ, ადამიანო, ჩვენ გეძებთ... ეს თურმე აქ არ ჭუკჭუკებს! — ცოლმა თვალები მოწკურა და ქმარს საყვედურით თუ სიყვარულით მიაჩერდა. ეს გამოხედვა ელგუჯას ყოველთვის ზიზღს გვრიდა. ქალიშვილი ამ დროს კართან იდგა და მორცხვად იკოჩეპზოდა.

ელგუჯა მალე დარწმუნდა, სესე მართლა დათვთან მორკინალი რომ იყო.

მეზობლად ერთმა კერძო მოსახლემ კახეთიდან უზარმაზარი ღორი ჩამოიყვანა. იმ ახლო-მახლო სესეს გარდა ღორის დამკვლელი კაცი არ აღმოჩნდა. შობის წინა დღეს სესემ დანა ალესა, ცერით ფაზა მოუსინჯა, ჯიბეში ჩაიდო და ელგუჯას თხოვა: ღორი უნდა დავკალ, წამოდი, მომეხმარეო. ელგუჯას სულაც არ უნდოდა ამ საქმეში გარეულიყო, მაგრამ სახლის პატრონს უარი ვეღარ უთხრა.

ცივი, მთვარიანი ღამე იყო. პატარა ეზოში უზარმაზარი, გათანთალებული ღორი ღრუტუნებდა. ღორი ელგუჯას შორიდან თვრი ვირი ეგონა.

ეზო ელექტრონის შუქით გაანათეს. მასპინძელმა, სქელმა კაცმა, რომელსაც ზოლებიანი პიჟამო ეცვა და დაბალი ქვის კიბეზე სიცივისაგან კანკალებდა, განაცხადა: მე ამ საცოდაობას ვერ დავესწრები, ღორს უჩემოდ აუგეთ წესიო.

დარჩნენ ქალები და ბავშვები. ელგუჯამ იფიქრა, ჩვენ ორნი ამ საქმეს ვერ მოვერევითო და შიში პარტნიორსაც გაუმხილა. სესემ ჩაიცინა და ელგუჯას უთხრა: მე ფაქტიურად შენი დახმარებაც არ მჭირდება, სასეიროდ მოგიყვანეო.

სესემ დანა ხალათის სახელოში დამალა, ღორს დაბაბში მოფხანა. ამ ალერსით გულაჩუყებული ღორი სიამოვნებისაგან ალრუტუნდა და წამოწვა. სესე ღორს ჩაეხუტა, ცალი ფეხი ნაზად აუწია და დანაც ფეთქა შიგ გული. ღორმა რაღაც საშინელი ხმით იყვირა, მერე ახრჩენდა და მიჩუმდა, თუმცა კაცი კიდევ კარგახანი ფხარკალებდა და რაღაც ილუთებს აკეთებდა.

ცოტა ხნის შემდეგ სესე წამოდგა, დანა ღორს ზურგზე დაწმინდა და ელგუ-

ჯას უჩურჩული, წამსვე გავაცხებიე სული, მაგრამ არ წამოვდექი, მასპინძელმა რომ უჯიფობა არ დამწამოსო.

— უკვე? — იკითხა მსუქანმა კაცმა, რომელიც გაკვირვებული იხედებოდა ღია კარიდან.

— დავკალი, პატივცემულო! — უთხრა სესემ.

— უ! — გაოცდა კაცი.

— კარგი რამეა! — უთხრა სესემ.

— უ! — თქვა ისევ მსუქანმა და ღორს დახედა.

სესემ ელგუჯას გადაულაპარაკა, არ წახვიდეო.

— ... ცოტა მოიცადე და ღვინო და კარგი სუკები დაიყრება ჭერეხვიით...

ელგუჯა არაფრით არ გაჩერდა, თუმცა მასპინძლებმაც ბევრი ეპატიჟეს.

სესე შუაღამისას მოვიდა შინ. მთვრალი იყო და ღიღინებდა, სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქ, ვახარებ ვარდსა იასაო.

ელგუჯას ძილი გაუტყდა. სესეს კი ეტყობოდა, მალე დაეძინა, რადგან მისი ხმა მერე გარეთ აღარ გამოსულა.

თავი მეთოთხმეტე

თბილისში მშრალი ამინდები იდგა. იანვარი ისე წავიდა ფიფქი თოვლი არ გადმოვარღნილა. ღამღამობით ყინავდა. მთვარიანში ელგუჯას ოთახის ფანჯრებიდან მოწმენდილი, ლურჯი ცარგვალი ჩანდა. მინებთან ქარი ზუზუნებდა. ქარი თითქოს ფანჯარასთან ლაპარაკობდა და მარტოხელა ბინადარს აფრთხობდა. ბიჭი საბანში ეხვეოდა და გვიანობამდე არ ეძინებოდა. ელგუჯას ბავშვობიდანვე ეშინოდა მარტოობის და მთვარიანი ღამის. თუ ნიავიც ქროდა და ხეთა ჩრდილები ირხეოდა, გარეთ ვერ გამოდიოდა. ეგონა, ჩრდილებს მთვარე აქანებდა.

ელგუჯას ოთახში სიიდანლაც თაგვები მოძვრებოდნენ და მთელი ღამე კარადაში ფხაკურობდნენ. ელგუჯას ნერვები ეშლებოდა. იტაკასა და კედელს შუა, რამდენსამე ალაგას გაჯი იყო გახრული. ვიწრო გვირაბებში თაგვები რიგრიგობით ამოდიოდნენ და საშლის ნამუსრევზე მიჰქონდათ ეერიში. საიდუმლო დარანების აღმოჩენა ელგუჯას სულ ამოგაჭირვებია. ერთ დღეს ხვრელებში ნაფოტები ჩაუდია. ნაფოტები თაგვებმა სულ რამდენიმე დღეში ამოჭამეს. ელგუჯას თაგვების სიყოჩაღე მოეწონა და ხვრელები ქვებით ამოქოლა. წრუწუნებმა ქვებს ვერაფერი დააკლეს, მაგრამ ოთახის კუთხე თავიდან დახვრელეს.

თაგვების თარეშს ბოლო არ უჩანდა. ერთ საღამოს ელგუჯამ კარადიდან გაქვავებული მარილის შეკვრა ამოიღო. შეკვრაზე ადრევე წყალი დაესხა და მარილი თავისთავად დაცემენტდა. ელგუჯამ ქვამარილი დატეხა და სოროებში ჩატენა. ის დღე და ის დღე, თაგვები აღარ გამოჩენილან. ღამღამობით წრიპინი და ფხაკური აღარ ისმოდა. ალბათ მარილმა თაგვებს კბილები მოჭკვეთა, ანდა წყალი მოაწყურა და საწყალი წრუწუნები უწყლობით დაიხრჩვნენო, — ფიქრობდა ელგუჯა.

სტიპენდიის ალების დღეს ჯგუფის ბიჭებმა რესტორანში ქეიფი გადაწყვიტეს. აქამდე ოთხივეს ჭიქა ღვინო ერთად არ დაელიათ.

ელგუჯას ქუდი ჭკონდა საყიდელი და ამხანაგებს სთხოვა, ჯერ ქუდი მაყიდინეთ და მერე სადაც გინდათ წამოვალო.

ბიჭებმა რამდენიმე მაღაზია მოიარეს, შესაფერი ვერაფერი იპოვნეს, მაგრამ ხეტიალი მოსწყინდათ და ელგუჯას ერთი უბრალო ქუდი უქეს და ძალით დაასხურეს თავზე. ქუდმა ელგუჯა სულ შეცვალა და დაუშნოვა. ბიჭები სიცილით იხრჩობოდნენ, ძალიან გიხდებაო. თენგიზი და ერთი ბიჭი ქუდს არ ატარებდნენ და ეს პრობლემა საერთოდ არ აწუხებდათ. მესამე ბიჭს პალიკოს კი საგანგებოდ შეკერილი კეპი ეხურა. პალიკო ფერმკრთალი, ლამაზი ბიჭი იყო. ელგუჯამ კარგად იცოდა, პალიკო რომ ასეთ ქუდს თავის დღეში არ დაიხურავდა, მაგრამ ნებას დაჰყვა და ქუდი იყიდა,

---

რეზო ჭეიშვილი
ფალი

თუმცა ორი დღის მერე გადააგდო და მთელი ზამთარი თავშიშველი დადიოდა.

იმ საღამოს ერთი მეორეხარისხოვანი რესტორნის ეგზოტიკურ დარბაზში მოიღხინეს. ასეთი დარბაზები, რომელიც თბილისში საკმარისზე მეტია, ჩამოსულ ხალხს და იაფფასიან მუშტარს უფრო იზიდავს. აქაც ორმაგად ანგარიშობენ, მაგრამ რადგანაც საპმელ-სასმელი შედარებით იაფია, ჭგონიათ, ცოტას გვატეხენენ.

ელგუჯამ სხვაზე მეტი დალია და მალეც დათვრა, მაგრამ დანარჩენები კიდევ უფრო გატიალდნენ.

თენგიზი და ელგუჯა ერთად წამოვიდნენ. პალიკო და მეოთხე ამხანაგი ცალკე გაუდგნენ გზას.

ოპერის ბაღთან ელგუჯას კიმოთე შეხვდა. კიმოთე მოწყენილი იდგა გალავანთან და ელგუჯამ გვიანობამდე ვერ გაიგო, კიმოთეც რომ უბედური მთვრალი იყო. ერთმანეთს უნახავებივით გადაეხვივნენ. კიმოთემ თქვა, დროზე მომისწარი თუ არა, ერთ ადგილზე მივდიოდიო.

— თუ რამე ვინდა მითხარი... თუ გინდა ერთ-ერთი გამეელი გააჩერე და გავლახავ! — თქვა ელგუჯამ და გაეცინა, ვითომ იხუმრა. მერე გაუკვირდა, ეს რა კარგი ახრი მომივიდა თავშია.

იღბლად კიმოთეს გასალახავი არავინ ღმოჩნდა, მაგრამ სხვა რაღაც გაახსენდა და დრო აღარ დაუკარგავს; მანქანა გააჩერა, ბიჭები შიგ ჩასვა და გაურკვეველი მიმართულებით გააქანა. ელგუჯას არც უკითხავს, საღ მივდივართო. თენგიზი კი საერთოდ არ იღებდა ხმას. თავი რბილი სავარძლის საზურგეზე მიედო და ყვნთავდა.

მანქანა თბილისის შორეულ გარეუბანში გაჩერდა. ელგუჯამ იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა და ვერაფერით ვერ მიხვდა, სად იყო. მანქანა წავიდა, მგზავრები უკაცრიელ ქუჩაში დარჩნენ.

კიმოთემ კარგახანი იწრიალა აქეთ-იქით. ეტყობოდა. გზა აერია. ბოლოს, როგორც იქნა, ერთსართულიანი სახლის ღობეს მიადგა და ბიჭებს სთხოვა, ეგზ[illegible] ღერეთო.

— ... მე ვიტყვი პირველს, ეს იტყვის მეორეს და ელგუჯა ბანს მოგვაწოდებს!

კიმოთემ ხმები ბიჭების სიმსხოსა და სიმაღლის მიხედვით გაანაწილა. თენგიზი ისეთი მთვრალი იყო, რომ ფეხი ეშლებოდა და ადგილზე ყანყალებდა, ეგონათ, არაფერი ეყურებაო, მაგრამ უცბად ხელი მოიღერა და ცივი ხმით ამღერდა. კიმოთემ პირზე ხელი დაიფარა, თუმცა მგალობელი კარგა ხანია ვერ გაიჩერა.

—მოიცადეთ, პატარა მადროვეთ!— გული მოუვიდა კიმოთეს.

კიმოთემ ჩაახველა და თვითონვე წამოიწყო, რაღაც ურთულესი, ძველთაძველი ქართული სიმღერა. ელგუჯა და თენგიზი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აყვნენ. არც ერთს ხმის და სმენის ნატამალი არ ჰქონდა. ზოგის ხმა ალთას მიდიოდა, ზოგისა — ბალთას. ასეთ შეუწყობელ სიმღერას იშვიათად თუ მოისმენდა ადამიანის ყური. ელგუჯას თვალები მიენაბა და ძალიან სერიოზულად მღეროდა. ეგონა, აქაურობას ვატკბობო. ბიჭებმა რამდენიმე ნომერი კიდევ შეასრულეს და ბოლოსდაბოლოს ვიღაც დედაბერმა გამოაყო ფანჯარა.

— გადაეცით მედიკოს, რომ ეს სიმღერა კიმი კეთილაძემ მიუძღვნა პატივისცემის ნიშნად! — დაიძახა კიმოთემ.

დედაბერმა უარის თუ დასტურის ნიშნად რაღაც ჩაილაპარაკა, მაგრამ მისი ხმა აღარავის გაუგონია.

არც კიმოთეს გმირობა შეუფასებია ვინმეს ხეირიანად. ადრესატი შინ არ იყო და დედაბერმა ელგუჯას მეტი ვერავინ დამიახსოვრა. ვიღაც მაღალი ბიჭი იყო, იმოდენა თავი ჰქონდა, ქუდი ზედ არ ეტეოდაო, თქვა.

— წავიდეთ, ბიჭებო! — წვრილი ხმით შესძახა კიმოთემ. ხელები გაშალა და პეპელასავით ფარფატით დაეშვა თავდაღმართში. როცა გაივაკა, ნაბიჯს უკლო, უკან მოიხედა, ამხანაგებს ქუდი დაუქნია და თავჩაღუნულმა განაგრძო გზა.

ეზის პირას, ერთი ეზოს რკინის ჭიშკართან „ვოლგა“ იდგა. მანქანასთან ორი ბიჭი წრიალებდა. ეტყობოდა, ვიღაცას ელოდებოდნენ.

— პაპიროსი მომეცით! — მოითხოვა კიმოთემ.

— არ არის! — აგდებულად უთხრა ერთმა.

— რატომ არ არის?! — გაუკვირდა კიმოთეს.

უცნობმა კიმოთეს გვერდულად გაჰყედა და მარჯვნივ შეტრიალდა.

— თქვენ მე თვალში ხომ არ გეპატარავებით?! — მიადგა კიმოთე მაღალ ბიჭს, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია.

— წადი ახლა, სანამ ლამაზი ხარ! — წყნარად უთხრა მაღალმა.

— ბატონო! — ხმა წაიწვრილა კიმოთემ.

— აღფეზ, არ გინდა! — დაიძახა სიბნელედან მეორე ბიჭმა, თუმცა მაღალს არაფერი დატყობია და რა არ უნდა სდომებოდა, ძნელი გასაგები იყო.

— კიმოთე, რა იყო!? — შორიდან დაიძახა ელგუჯამ.

— რა ვიცი, მე ამის!.. — დაიღრიჯა კიმოთე, მაგრამ სიტყვის დამთავრება არ დაცალდა, რადგან მეორე ბიჭმა, ამწანაგს რომ აფრთხილებდა, არ გინდაო, გამეტებით ჩააფარა თავში. კიმოთე დაბზრიალდა და ვამოთაყვანებული სახით გაიხედა სულ სხვა მხარეს. ელგუჯამ სწრაფად მოირბინა.

— შენ რაღა გინდა? — ბრაზიანად ჰკითხა მაღალმა.

ელგუჯა დაღლილი იყო და პირველად ხმა არ ამოუღია, თუმცა არც მერე შეუწუხებია ლაპარაკით თავი; როგორც კი სული მოითქვა, მაღალს ხელი სტაცა და მანქანაზე მიახეთქა. ისეთი ხმა გაჟარდა, თითქოს მანქანა შუაზე გასკდა. მაღალმა დაიკვნესა და მუხლებში ჩაიკეცა. ელგუჯას იმწამსვე მეორე ბიჭი ეცა უკნიდან, მაგრამ ელგუჯამ მეორეც მოიქნია და პირველს მიაყოლა. სამაგიეროდ, თვითონაც წაიქცა. სამთავანი ძირს გაგორდნენ.

შემოსწრებულმა თენგიზმა ელგუჯას ახალი ქუდი აიღო და დაიძახა, ნუ გეშინია, ქუდი აქა მაქვსო. დამახურე თავზეო, უთხრა ელგუჯამ, რომელსაც წაქცეული ბიჭები ჩაებღუჯა. იგი არც თვითონ დგებოდა, არც სხვას აყენებდა.

ვინ იცის, რით დასრულდებოდა ყველაფერი, ბედად იქვე მილიციის მანქანა რომ არ გაჩერებულიყო. მილიცია სულ შემთხვევით გადაეწყდა ამ სურათს. ელგუჯამ მანქანის ხმა კი გაიგონა, მაგრამ კიმოთემ (ვიღაცას რომ დაბჯითებით თხოვდა, ხელი არ მახლოთო) უფრო გამოაფხიზლა. თავი წამოსწია თუ არა, წითელქუდიანი კაციც დაინახა. იმ წამსვე წამოდგა, წასვლაც დააპირა და ძალიან გაუკვირდა, როცა ამის უფლება არ მისცეს.

მილიციის დანახვაზე მოქალაქეებიც გამოჩნდნენ. ზოგი ფანჯარაში და აივანზე გადმოდგა, ზოგიერთმა ქუჩაშიც იკარა გამოსვლა. ქალები, ყველაფერი რომ დრეევ დაენახათ, ელგუჯას და მის მეგობრებს ადანაშაულებდნენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

დაზარალებულები, რომლებიც აბსოლუტურად ფხიზლები აღმოჩნდნენ, ხელებს ასავსავებდნენ და ამტკიცებდნენ, აზრზე არა ვართ რა მოხდაო. მიუხედავად კიმოთეს ენერგიული პროტესტისა, სამთავანი მანქანაში ჩასვეს. მეტი ადგილიც აღარ იყო და ორ ბიჭს დაუბარეს ამა და ამ რაიონის მილიციაში გამოცხადდით და საჩივარი დაწერეთო. ჩვენ არაფერს არ ვჩივივართო, თქვა ერთმა. მეორემ უთხრა, წავიდნენ, გადაშენდნენ, რას ელაპარაკებიო.

მილიციის სამორიგეოში თბილოდა. რადიატორებს არ დაჯერებოდნენ და კუთხეში ელექტრონის ღუმელიც ჩაერთოთო. ახალგაზრდა, მაღალი ტანის ლეიტენანტი, რომელსაც გაპრიალებული ჩექმები ეცვა, წინ და უკან დადიოდა ბარიერის იქით. რიგითი მილიციონერი სკამლონიგზე იჯდა ღუმელთან.

კარი გაიღო და ოთახში ბრახა-ბრუხით ბადრაგის მილიციონერი შემოვიდა. წინ სიმაღლეზე დაწყობილი პატიმრები მოუძღოდნენ.

— პაპიროსი მომაწევინე, ჩვენი ძმა!— შემოსვლისთანავე მოითხოვა კიმოთემ.

ახალგაზრდა ლეიტენანტმა ცოტა ხანი გამომცდელად უყურა მთხოვნელს, მერე პაპიროსი მისცა.

— თქვენც გინდათ? — ჰკითხა დანარჩენებს.

სხვებმა უარი თქვეს.

ბადრაგის მილიციონერმა დაწვრილებით აუხსნა მორიგეს ყველაფერი. იგი ეიღაც პატივსაცემი კაცის გვარს ასახელებდა, რომელიც ამ ამბავს პირადად შესწრებოდა.

მილიციელმა რაღაც ქაღალდებს ხელი მოაწერა. მერე ელექტრონის ღუმელს მიეფიცხა, მძიმედ გადაიწია შინელის კალთა, დაშმუშნული სიგარეტის კოლოფი ამოიღო და სანამ ღერს ამოარჩევდა, კოლეგას რაღაც ხმადაბლა გადაულაპარაკა. სკამზე მჯდომმა ხმამაღლა გაიცინა და ბიჭებს გადახედა.

— და! — თქვა ბოლოს მილიციონერმა, სიგარეტს მოუკიდა, ხელი აიღო და წელსთრეული გავიდა.

— მათხოვეთ, თქვენი საბუთები! — თქვა მორიგემ.

სამთავემ სტუდბილეთები ამოიღო. მორიგემ წიგნაკები გაშალა და წინ დაილაგა. მოულოდნელად კიმოთემ სიმღერა წამოიწყო.

— კარგი, რა იყო! — შეუბღვირა თენგიზმა.

თენგიზი გამოფხიზლებულიყო და შეშინებული აცეცებდა თვალებს.

— სასიმღერად გაქვს, ბიჭო, შენ საქმე? — ხმადაბლა ჰკითხა მორიგემ.

— რატომ არა!

— ცოტა ნასმია, უფროსო! — თავი გამოჰყო გვერდით სარკმლიდან ეიღაც თმაგაბურძგნულმა კაცმა.

სარკმელი ზედ კარში იყო გამოჭრილი და პირდაპირ პატარა რაფაზე წვერგაუპარსავი თავი იდო. თავი ახლა, ეტყობოდა, იღიმებოდა, რადგან ლაჟვერდები ეკრიჭებოდა. ეტყობოდა, ეიღიმებოდა, რადგან ლაჟვერდ-ურებამდე იყო ახეული.

— შენ გაჩერდი, გირჩევნია! — წყნარად დაემუქრა მილიციონერი.

— კი, უფროსო! — თქვა წვერგაუპარსავმა და საიდანღაც პაპიროსი დაადო. თავი ახლა ბოლში გაეხვია.

ლეიტენანტმა წერა დაიწყო.

— უფროსო, როდის დავლიოთ მე და შენ? — ჰკითხა წვერგაუპარსავმა მილიციონერს. მილიციონერმა ხმა არ გასცა. წვერგაუპარსავმა გემრიელი ნაფაზი დაარტყა. ბოლი კარგა ხნის მერე ამოუშვა და ჰაერში ჩაახვია, ჩაახუჭუჭა.

— რაზე დაგიჭირეს, ბიჭებო?

— გაფლანგვაზე. — უთხრა კიმოთემ.

წვერგაუპარსავმა ნაძალადევად გაიცინა. გეგონებოდათ, უხარია, სიცილის უფლება რომ აქვსო. ახალგაზრდა ლეიტენანტმა თავი წამოსწია და პატიმარს ცერად გადახედა. წვერგაუპარსავი მონუსხულივით გაჩერდა, თუმცა ცოტა ხანიც ვერ მოისვენა.

— უფროსო, ხვალ შაბათია თუ დღესაა პარასკევი?

— მოვალ ახლა მანდ და გაგაგებინებ რა დღეა!

გაბურძგნული თავი მოჩვენებასავით დაიკარგა. ეტყობოდა, მილიციონერს ტყუილუბრალოდ ლაპარაკი არ უყვარდა.

— შენ მე ვერ მიცნობ? — ჰკითხა მორიგემ ელგუჯას.

ელგუჯა მორიგეს დააკვირდა, მერე უარის ნიშნად თავი გააქნია. მორიგემ ისევ სტუდბილეთში ჩაიხედა.

„უთხრას გიცნობო, რა მოხდებაო?“ — გაიფიქრა თენგიზმა.

—რატომ დათვერით, ბიჭო, ასე!— ჩაილაპარაკა ლეიტენანტმა.

— ხოში გვქონდა! — დაიძახა კიმოთემ.

მორიგემ თავი ასწია და კიმოთეს მიაჩერდა. მერე ელგუჯას გადახედა და მილიციონერს უთხრა: რამე მოიტანე, პალტო გაიწმინდოსო.

მილიციონერი ზანტად წამოდგა და საიდანღაც ჯაგრისი გამოათრია. ელგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამ გამოართვა და ამოგანგლულ პალტოზე ჩამოისვა, ოთახში ბღღვარი დაიყენა.

— გარეთ გადი, კაცო, შენ! — იყვირა მილიციონერმა.

ელგუჯა დერეფანში გავიდა. კიმოთე სკამლოგინზე მიეგდო და თვალებზე ქუდი დაიფარა. ამასობაში თენგიზმა დაუფარავად დაუფქვა მორიგეს ყველაფერი.

— თბილისელი ხარ შენ? — ჰკითხა მორიგემ.

— დიახ და თქვენ უნივერსიტეტში მინახიხართ...

— იქ ვსწავლობ, საღამოს დასწრებულზე.

— რომელ ფაკულტეტზე?

— იურიდიულზე... — ჩაილაპარაკა მორიგემ და წერა დაიწყო.

— ჩვენ ფილოლოგიურზე ვსწავლობთ, ეს ჩემი ამხანაგი მოჭიდავეა!

— ვიცი ვინც არის... — თქვა მორიგემ, როცა წერა დაამთავრა, — სპორტსმენი კაცი მერე ასე უნდა დათვრეს?!

— იმ დღეს, უფროსო, სამი მსოფლიო არ მოიყვანეს აქ სპორტში? — შეახსენა მილიციონერმა.

— სამი მსოფლიო კი არა ის კიდევ! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მორიგემ.

ელგუჯა უკანვე შემობრუნდა, ჯაგრისი შეინახა და წყალი დამალვინეთო, თქვა. კიმოთეს დასძინებოდა.

ერთი საათის შემდეგ, როცა კიმოთემ ერთი პირი ძილი მოილია, როცა ელგუჯა გამოფხიზლდა, ხოლო თენგიზმა წუწუნს უმატა, სახლში გაგიჟდებინო, მორიგემ სტუდენტეთები დაარიგა და სამთავენი შინ გაუშვა.

ელგუჯას დილით თავის ტკივილი აჰყვა. სანამ წამალი არ დალია, მანამ გაბურბუსალებული დადიოდა, არც სასმელი უნდოდა, არც საჭმელი. ბუნდოვნად იხსენებდა წინა დღით მომხდარ ამბავს და უგუნებოდ დადიოდა.

— შენ თუ იცი, ვისთან მოგვსვლია წუხელ ჩხუბი? — ჰკითხა შესვენებაზე თენგიზმა.

— ვისთან?

— ალფეზა მაჩაბელთან!

— ოფ! — უცბად გამხიარულდა ელგუჯა.

— გაგიგონია ვინ არის ალფეზ მაჩაბელი?

— ვინ არის ასეთი?

— ალფეზა მაჩაბელი?.. რას ლაპარაკობ, შენ!

თენგიზი, გარდა იმისა, რომ ამ სახელისა და გვარის გაგონებაზე რაღაც უცნაური შიში და მორიდება იპყრობდა, კონკრეტულად არაფერს ამბობდა და ელგუჯამ ისევე ვერ გაიგო, ვინ იყო ეს ალფეზა მაჩაბელი. ამ ლაპარაკით ბოლოს სხვებიც დაინტერესდნენ. ელგუჯა ამტკიცებდა, არაფერი არ მომხდარაო, მაგრამ ძალიანაც უნდოდა ყველას ცოდნოდა მისი გმირობა.

— რა იყო? — იკითხა სულ ბოლოს ბელამ და ელგუჯას სახე სახეზე კინაღამ მიადო.

— არაფერი.

— რა იყო? — მიუბრუნდა ბელა თენგიზს.

— ამას ერთი ორი კაცი შემოელახა გუშინ! — ამაყად ჩაილაპარაკა თენგიზმა.

— მართლა ელგუჯა? — გაეხარდა ბელას.

ამასობაში ლექცია დაიწყო. ბელა ელგუჯას გვერდით მიუჯდა და იმდენი ეჩურჩულა, სანამ ლექტორმა ორთავეს შენიშვნა არ მისცა. ზარი დაირეკა თუ არა, აუდიტორიაში კიმოთე შემოვიდა, ელგუჯა გარეთ გაიყვანა და ფრიად საიდუმლო ვითარებაში აცნობა, რომ წუხანდელი ნაცნობები უკვე უნივერსიტეტის ეზოში ელოდებოდნენ.

— რა უნდათ? — იკითხა ელგუჯამ, რომელსაც ამ ახალი ამბის სულ არ შეშინებია.

— რა ვიცი, საქმე გვაქვს, ვილაპარაკოთო...

ელგუჯამ ახლაღა შეამჩნია, რომ კიმო-

რეზო ჭეიშვილი
დალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეს ადამიანის ფერი აღარ ედო. თვითონაც აღელდა და დაუფიქრებლად დაეშვა ქვეყვეთ. კიბეზე თენგიზი გაახსენდა და იკითხა, ისიც ხომ არ წაგვეყვანაო. თენგიზი არ უკითხავთ და მესამე კაცი თუ გვახლდა, ისიც არ იციანო, უთხრა კიმოთემ.

ვარაზის სევდიან ამომავალი კიბის თავში ორი ბიჭი იდგა და ელგუჯა წამსვე მიხვდა, ვინც იქნებოდნენ, თუმცა ორთავე იუცხოვა. გზის პირას „ვოლგაც“ იდგა. ელგუჯა ბიჭებს მიესალმა. ორთავემ გამარჯვება უთხრა. ამის მერე სიჩუმე დადგა. სამთავენი თვალდათვალ ზომავდნენ ერთმანეთს, თუმცა ერთს მეორესთვის პირდაპირ არ შეუხედია.

ბობრი სახის ბიჭი, ნეილონის დათბილული ქურთუკი რომ ეცვა, ბეჭებში იყო მოხრილი, მაინც ჯანიანი მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა სიმაღლითაც ვერ დაიკვეხნიდა. მეორე მაღალი, თხელი ბიჭი, რომელსაც პალტოს შიგნით ძვირფასი პულოვერი, თეთრი ჰერანგი და ჰალსტუხი მოუჩანდა, ელგუჯას უფრო ეცნაურა. მაღალს ქუდი არ ეხურა, თუმცა თმა გვარიანად შეთხელებოდა. ელგუჯას ეს ბიჭი თვალში მოუვიდა და რაღაც სიმპათიითაც კი განეწყო. სწორედ ეს აღმოჩნდა ალფეზ მაჩაბელი. ალფეზას ხელში სიგრძეზე დაკეცილი ახალი გაზეთები ეჭირა.

— რას გვერჩოდი, შე კაი კაცო, რომ ვვეტაკე მოზვერივით წუხელი და გვაგორავე ტალახში? — წყნარად იკითხა ალფეზამ და გაიღიმა კიდეც.

— მთვრალი ვიყავი და ყველაფერი კარგად არ მახსოვს, მაგრამ მე მგონი, თქვენ თვითონ იყავით დამნაშავე! — მშვიდად თქვა ალფეზას ღიმილით გათამამებულმა ელგუჯამ.

— მე ვიყავი კიდევ დამნაშავე!? — გაეცინა ალფეზას.

— ეავიწყოთ თავიდან და ყველაფერი გაირკვევა, მართლა მასე კი არ არის საქმე! — წინ წამოვიდა კიმოთე.

— ეს ვინ არის? —იკითხა ალფეზამ.

— წადი ახლა აქედან! — დაიჯღანა ნეილონის ქურთუკიანი.

— რა გინდა, კაცო, შენ?

— წადი, ბიჭო!

კიმოთემ უკან, უკან იხია და ხესთან დადგა.

—თქვენ, ბოლოსდაბოლოს, რა გინდათ! — უცბად წამოენთო ელგუჯა.

— წინ არ წამოხვიდე, თორემ თუ გინმე გულით საყვარელი გყავს ან გყოლია, იმას აგიტირებ! — ხმადაბლა უთხრა ალფეზამ.

— ფეზიკ, არ გინდა, გაიყვანე და ცალკე ელაპარაკე! — გააფრთხილა ამხანაგმა და სულ სხვაგან გაიხედა, თითქოს იმ წუთას არც არაფერი ეთქვას.

— გავიყვან კი არა, სუდს მოვუწყობ კიდევ ამ სიმონას! — თქვა მაჩაბელმა.

— სიმონა რომ არის, იმიტომ დაგაჭირინებს... წამოდით, აქეთ წამოდით!

ქურთუკიანი საქმიანად გაჰყვა მოწითლებულ გზაწვრილს.

ყველანი იქით წავიდნენ და მალე ბაღში გადაუხვიეს. რამდენიმე ბიჭიც, რომელიც ამ ლაპარაკს წაესწრო და მეტნაკლებად სამთავეს იცნობდა, იქ გაელანდა.

ელგუჯა უკვე გაბრუებული მოქმედებდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეს ამბავი სულ არ ეხებოდა. ქურთუკიანმა გზაშიც გააფრთხილა, კარგი ბიჭი ჩანხარ და არ ვიცი საქმე როგორ წავაო, მე არაფერს ვამბობ, მაგრამ ფეზიკასთან როგორ მორიგდები, არ ვიციო. ამ სიტყვებმა ელგუჯა სულ წაახდინა. დარწმუნდა, თუ ხელი გავანძრიე, მომკლავენო.

— მიდი ახლა და ბოდიში მოუხადე!— ურჩია ქურთუკიანმა ბოლოს.

— რად მინდა, ბიჭო, მე მაგის ბოდიში! — წინ წამოვიდა ალფეზა.

— ხელი არ გაარტყა! — გააფრთხილა ამხანაგმა.

ალფეზამ სიგრძეზე დაკეცილი გაზეთები მოიქნია და ელგუჯას სახეში ცეცხლა. ელგუჯამ თავი უკან გადასწია, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. ალფეზამ მერიდ მოუნაცვლა. ქურთუკიანი შუაში ჩადგა და ამხანაგს ხელიც კი ჰკრა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გაზეთებმა მესამეჯერ გაიტაცუნა ელგუჯას ლოყაზე.

ამის შემდეგ ალფეზა სწრაფად შეტრიალდა და წავიდა. ამხანაგი მიჰყვა. მართალია, გზამავე უსაყვედურა, არ ხარ სწორეო, მაგრამ უკან არც იმას მოუხედავს. სწრაფად მიეფარნენ თვალს. მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

დარჩენილნი ნელ-ნელა მიყვებოდნენ კედრების ხეივანს და უნივერსიტეტისაკენ მიდიოდნენ. არავინ ხმას არ იღებდა. სეირის მაყურებლებიც მალე დაიფანტნენ.

ცოცხალმკვდარი ელგუჯა სკამზე დაჯდა და კიმოთეს პაპიროსი გამოართვა. მოქაჩა თუ არა, მოეჩვენა, რომ არაფერი ისეთი თავისმომჭრელი არ მომხდარიყო და ამ ხათაბალას კიდევ კარგად გადარჩენილიყო.

შაბათ საღამოს, წერთნა რომ დამთავრდა, ელგუჯას ამხანაგმა დაუძახა, უჩემოდ არ წახვიდეო.

— სამქე გაქვს, გოგია? — იკითხა ელგუჯამ.

— კი, სამქე მაქვს და დამიცადე!

ელგუჯამ კიდევ ერთხელ გაისწორა სარკესთან თმა და გარეთ გავიდა. გოგია ამ დროს ფრთხილად იხურავდა თავზე ქუდს, რათა შეთხელებული, საგანგებოდ გადაწყობილ-გადმოწყობილი თმა არ ანგრეოდა. გოგია მსუბუქ წონაში ჭიდაობდა. თხელი ტანის ფერმკრთალი ბიჭი მოჭიდავეაო ერთი შეხედვით რომ ვერ იტყოდით, ოშეიათი ნიჭის სპორტსმენი იყო. მხოლოდ სიზარმაცისა და უდისციპლინობის გამო არ ქუხდა, თუმცა ყველას სჯეროდა, რომ ადრე თუ მალე თავის სათქმელს მაინც იტყოდა. ამხანაგები პატივს სცემდნენ. თბილისში თითქმის ყველას იცნობდა. ამბობდნენ, კარგად ჩხუბობსო, თუმცა ელგუჯას გოგიას გალახული ჯერ კაცი არ ენახა.

— ვინ გაგარტყა, ბიჭო, შენ ხელი?— ჰკითხა გოგიამ გზაში.

— ვინ გამარტყა? არავინ... ვინ გითხრა?

— რას დაეძებ, ვინც მითხრა!

— ჯერ ერთი, თუ სამქე სამქეზე წავიდა, ვინ გაილახა, ის კიდევ საკითხავია...

— მაგაში არაა სამქე, ფეზიკა მაჩაბელს ხელი გაარტყმევინე?!

— აბა რა მექნა?

— უნივერსიტეტის ბაღში, ყველას თვალწინ ფეზიკა მაჩაბელს თავი აცემინე?!

— შემაშინეს, ეს არის, ის არისო... მე მგონი, იარაღით იყვნენ.

— მერე რა მოხდა, რითაც გინდა ყოფილიყვნენ... მათხოვე შენი ხელები... არც ერთი ღონის საზომი მუშში არ გიძლებს და ამ ხელების პატრონმა ფეზიკა მაჩაბელს თავი გაალახვინე?!

— არავის მე არ გავულახივარ! — გაღიზიანდა ელგუჯა.

— კარგი, კაცო! — ჩაილაპარაკა გოგიამ.

— რა ვიცოდი ვინ იყო, მე ვიღაცა მეგონა!

— ვინ გეგონა, ბიჭო, ვიღაცა. ფეზიკა მაჩაბელის დრო სადღაა... ვინაა ფეზიკა მაჩაბელი!.. — გოგია სიბრაზისაგან წელში მოიხარა და მაგრად დაიფუთხა ძირს.

ელგუჯა გულმოკლული წავიდა. ეს ამბავი მონელებული ჰქონდა და ახლა ყველაფერი თავიდან გაახსენდა. მთელი დღე ჯავრობდა. ღამით ცუდად ეძინა და რამდენჯერმე შეშინებულმა გაიღვიძა.

თავი მეთხუთმეტე

ელგუჯა მისდადაუკითხავად ვიღაცამ უნივერსიტეტის თვითმმქმედი სიმღერის გუნდში ჩაწერა. უზარმაზარი გუნდი, რომელიც ბოლოსდაბოლოს თავისი სიმრავლით თუ გააკვირვებდა ვინმეს, ოლიმპიადისთვის ემზადებოდა. მომღერალ სტუდენტს მეცადინეობის გაცდენისათვის სტიპენდიას უკავებდნენ.

ვიღაც გამხდარი ლექტორი, რომელსაც გუნდის შეფობა ჰქონდა დაკისრებული, ყოველ ხუთშაბათს ელგუჯას აკითხავდა, იმუქრებოდა, თუ შემდგომ მეცადინეობაზეც არ გამოცხადდები,

შენ საქმეს დეკანატს გადავცემ და მერე მე არაფერი დამაბრალოო. ელგუჯას სულ არ ეშინოდა დეკანატის, ეს გამხდარი ლექტორი კი მუდამ სიცილის გუნებაზე აყენებდა. ლექტორს ზღარბივით თმა და პატარა, გაკვირვებული თვალები ჰქონდა. ხელში უზარმაზარი მუნდშტუკი ეჭირა და დღენიადაგ პატიმრივით აბოლებდა. ლაპარაკობდა საშინელი მეგრული აქცენტით.

— პირტახია მოვიდა! — აფრთხილებდნენ ელგუჯას, როცა ლექტორი გამოჩნდებოდა.

—ვაშაძე რატომ არ გამოცხადდი გუნდის მეცადინეობაზე, ხომ იცი შენ, რომ მაგისთვის სასჯელი დაგედება!

— არ ვმღერივარ, ბატონო, და თუ გინდათ მომკალით!

— რომ არ მღერიხარ, გიყურებ, იქ იმღერებ და კიდევ უკეთესი!

— სიმღერა არ ვიცი.

— გასწავლით.

— ხმა არ მაქვს და სმენა, რას მასწავლით?!

— ვინ გითხრა შენ, რომ არაფერი არა გაქვს?

— რად მინდა თქმა, მე არ ვიცი...

— შენ რომ იცი, ის არ არის საკმარისი, ჯერ ერთი ჩვენთან მთავარია „ვიდი“, ესე იგი შესახედაობა, აბა ხმა თუ გექნა და სმენა, ოპერაში წახვალ!

— არ ვმღერივარ, ბატონო... — მერამდენედ ამტკიცებდა ელგუჯა.

— პაპიროსსაც არ ეწევი? — კითხულობდა გაკვირვებული ლექტორი.

— არც პაპიროსს არ ვეწევი.

— მე მომკლა, დამახრჩო ამ თუთუნმა, ბრონქები მაქვს დაზიანებული, სინამდვილეში. — წუწუნებდა ლექტორი პირტახია და ისე ახველებდა, რომ თვალთაგან ცრემლი სდიოდა.

იმ დღეს ელგუჯამ მაინც მეცადინეობაზე გამოცხადება დააპირა. გადაწყვიტა, პირადად დათხოვნოდა ლოტბარს და საჩივრებისა და საყვედურებისათვის თავი მოერიდებინა.

დიდი აუდიტორია სტუდენტებით იყო სავსე. ელგუჯამ ოთახში შეიხედა და გაუბედავად შევიდა შიგ. ყურადღებას არავინ მიაქცია. ეტყობოდა, ერთი-ორიორეს არც იცნობდნენ. საიდანღაც ბელა გამოჩნდა. ბელა მღეროდა თუ ორკესტრში უკრავდა ელგუჯამ კარგად არ იცოდა, მაგრამ ამ ჯარში რომ რაღაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, გაგებული ჰქონდა.

— რა გინდა, რატომ მოდი? — ეკითხებოდა ბელა.

— მე რა მოვედი, მომიყვანეს. ვინაა თქვენი უფროსი, პატრონი ან გამკითხავი?

— აქ ყველა თავისი თავის უფროსია... — გაიცინა ბელამ. — თანაც მგონი, რეპეტიცია არც უნდა იყოს, რაღაც ლექციაა, თუ არ ვცდები.

ლექციის გაგონებაზე ელგუჯამ უკან დაიხია და გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ ბელამ არ გაუშვა. ელგუჯა მაინც კარგა ხანი იქაჩებოდა, თითქოს გადაუდებელი საქმე აკავებდა. სინამდვილეში ბელასთან ყოფნა ერჩია და როცა ისინი ვეერდიგვეერდ მერხზე დასხდნენ, გაიფიქრა, ნეტავი მაცოდინა, სად მივდიოდიო.

დიდი აუდიტორია თანდათან ხალხით ივსებოდა. უნდა ჩაეტარებინათ ლექციასემინარი — როგორ დავიცვათ თავი მასობრივი დაზიანების იარაღისაგან.

ლექტორი სამოქალაქო თავდაცვის შტაბიდან იყო გამოგზავნილი. ფილოლოგიის ფაკულტეტისათვის საკალდებულო დასწრება გამოაცხადეს, მაგრამ უმრავლესობამ შინ წასვლა დააპირა. დეკანი და მისი მოადგილე კიბესთან იდგნენ და არავის არ უშვებდნენ. მხოლოდ რამდენიმე სტუდენტმა, რომლებმაც განაცხადეს, ამ ფაკულტეტზე არ ვსწავლობთო და საპენდიროდ, ვერც ვერავინ იცნო, მოახერხა გაპარვა.

აუდიტორიაში თითო მერხზე ათამდე კაცი მაინც იჯდა. ჩანთები წინ ჰქონდათ დალაგებული, თითქოს ყველა გასაქცევად გამზადებულიყო. ერთხმად ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. სტუდენტები კი ისევ მოდიოდნენ და მოდიოდნენ. სად უნდა დაეტიათ ამდენი ხალხი, არა-

ვინ კითხულობდა. სულ ბოლოს კიმოთეც გამოჩნდა. ხელში მზის სათვალეებია და სხვათაშორის მოდიოდა; ისე იყურებოდა, თითქოს ამბობდა, ჩემი რა ღირსი ხართ, მაგრამ არა უშავს მაინც შემოგაღ და შეიძლება დავჯდე კიდეც სადმო. კიმოთემ ბევრი იწოროალა, მაგრამ ვერაფერი ისაშველეს; დასაჯდომი კი არა, ჩასამუხლი ადგილი ვერ იშოვნა.

— მოდი, ბიჭო, იქ დაჯექი. — უთხრა ბოლოს ელგუჯამ და წინა მერხზე თავისუფალი ადგილი აჩვენა.

— ოჰ! — სათვალიანი ხელი ასწია კიმოთემ. ელგუჯას მიესალმა და გაუკვირდა, როგორ ვერ დავინახეო. იგი მართლაც მინიშნებულ ადგილზე ჩაეკვეხა უფროსკურსელებთან. ისევ ამ ყოფნა ერჩია, რადგან თაკისიანებს ბავშვებად და ხამებად თვლიდა. პირველკურსელებმა ვერაფერით ვერ გაიგეს, რას ამადლებდთ ეს კაცი.

ლექცია, რატომღაც ქალმა წაიკითხა. ყველას ეგონა, ამ საქმეს თადარიგში გასული რომელიმე პოლკოვნიკი მაინც იკისრებსო. ქალმა ძალიან მაღალი ხმით დაიწყო ლაპარაკი და გაოცებული აუდიტორიის ყურადღებაც კი მიიპყრო, მაგრამ ლექციაზით გადაღლილი სტუდენტები მალე ალაპარაკდნენ და ახმაურდნენ.

კიმოთე დროდადრო უკან იხედებოდა და ელგუჯას აგდებულად ელაპარაკებოდა. თავისი ჭკუით, ბელასთან იწონებდა თავს, მაგრამ ამ გამოხდომებითაც ვერ მიიპყრო ყურადღება.

კიმოთეს ბელაზე რჩებოდა თვალი. ბელას დანახვაზე იწვებოდა, პირს ნერწყვი ადგებოდა.

„ყველაფერს იღბალი უნდა, — ფიქრობდა იგი. ჩემ კურსზე ყველა უბედური როგორაა, მაინც სად შეიყარა ამდენნი მიმახმა ერთად თავი!“

ლექტორი ქალი სულმოუთქმელად ლაპარაკობდა:

... ატომურ აფეთქებას ახასიათებს დამაბრმავებელი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეკაროთ დასნებოვანებულ საგნებს. თუ გზაზე მოხუცები, დედაბრები ან ხეიბრები შეგხვდნენ, დაეხმარეთ მათ... — ერთი და იგივე ტონით, ცივი ხმით ლაპარაკობდა ლექტორი ქალი.

ლექტორმა მალე დაამთავრა ლექცია, წყალი მოსვა და კატეგორიულად მოითხოვა, შეკითხვები მომეცითო.

პატარა პაუზის შემდეგ შუა რიგის მესამე მერხიდან, სადაც სულ ბიჭები ისხდნენ, ერთი სტუდენტი წამოიმართა. სტუდენტს პატარა თავი ჰქონდა და წრიპა ეგონათ, მაგრამ იწია-იწია და დინოზავრივით დადგა. სანამდე რამეს ეტყოდა, კარგა ხანი ძირს იყურებოდა, რას ეძებდა, კაცმა ვერ გიგიო. ეს ბიჭი სადღაც მივარდნილ თთებში იყო გაზრდილი და რატომღაც ამით ძალიან ამაყობდა.

— ბრძანეთ! — უთხრა ლექტორმა და მოსასმენად მოემზადა.

სტუდენტმა იკითხა, რეგულარულად ჩატარდება თუ არა კიდევ ასეთი ლექციები და თუ ჩატარდება, როდის, რა დროს და ვის ხარჯზეო. დაკარგულ დროს გულისხმობდა თუ მატერიალურ-ეკონომიურ ხარჯებს აღარ დაუზუსტებია, რადგან სხვა საკითხებზე გადავიდა და გამოირკვა, რომ კიდევ ბევრი რამე აინტერესებდა, მხოლოდ კითხვებს თავი ვეღარ მოუყარა და ყველაფერი აერიაერია.

— თუ შეიძლება, თავიდან გაიმეორეთ! — თხოვა ლექტორმა.

სტუდენტმა ჩაახველა, ეგონათ, სალაპარაკოდ ემზადებაო, მაგრამ სამარესავით დადუმდა და მისი ხმა მერე აღარავის გაუგია, თუმცა კარგა ხანი ეხვეწნენ, თქვი რამეო.

— მაშინ დაბრძანდით. — უთხრა ქალმა.

— არაფერით არ დაჯდება! — აუხსნა ერთმა მისმა ნაცნობმა ახლო-მახლო მსხდომთ, მაგრამ ყველას გასაოცებლად სტუდენტი იმწამსვე დაჯდა და სერიოზული სახით მიაჩერდა მომხსენებელს.

შეკითხვები, მითუმეტეს ამ საკითხზე უფრო საქმიანი, აღარ ყოფილა [illegible] ცია დამთავრდა. სტუდენტები ისევთ ერიამყოლით წამოშალნენ, ლექტორს შეეშინდა, არ გადამჯეგონონ და კათედრას აღარ მოშორებია.

ბელა და ელგუჯა მდუმარედ მიაბიჯებდნენ დერეფანში. ელგუჯას ისევთ გრძნობა ჰქონდა, თითქოს შემთხვევით მოხდა ამ ქალის გვერდში. უკვე რა ხანია ბელას იცნობდა, დაახლოვდნენ კიდეც. სხვისი თანდასწრებით, ანდა ლექციაზე გაუთავებლად ლაპარაკობდნენ. მაგრამ როგორც კი მარტო დარჩებოდნენ სათქმელი უთავდებოდათ ერთსაც და მეორესაც. კიბესთან ბელა ნაცნობ გოგონებს გადაეყარა, კვლავ გამხიარულდა და ისე გადაიკარგა, თანამგზავრისაკენ არც მოუხედია.

ელგუჯა მარმარილოს მოაჯირს გადაადგა და სტუდენტებს ზემოდან გადახედა. ვესტიბიული და კიბეები ელექტრონის შუქით იყო განათებული. მაღალ ფანჯრებს საღამოს ბინდი მოდგომოდა, მაგრამ გარეთ მაინც არ ბნელოდა. „დღე იმატებს“. — გაიფიქრა ელგუჯამ, რაღაც მარტობა იგრძნო, უკან მობრუნდა და ვიდაცაზე გაჯავრებული, სრულიად ანგარიშიუცემლად მესამე სართულზე ავიდა, სამკითხველოს ჩაუარა და პატარა ბუფეტს მიადგა. დურალუმინის მაგიდასთან დალი შეელია იჯდა და სამზრობდა.

ელგუჯას ბევრი აღარ უფიქრია, ადგა და პირდაპირ დალის მაგიდას მიუჯდა. მადადაკარგულმა ქალმა გაიღიმა და ჭამა განაგრძო უხასიათოდ. ელგუჯამ ლიმონათი მოითხოვა. თამამად იქცეოდა; საიდანღაც ისეთი გული მისცემოდა, რომ შეეძლო თავხედიც კი ყოფილიყო.

— ორი? — ჰკითხა გამყიდველმა ქალმა.

— ორი იყოს! — უთხრა ელგუჯამ.

ქალმა ბოთლები დახსნა და მაგიდაზე დაალაგა. ელგუჯამ ჭიქები დაავსო;

— საკმარისია, მეტი არ მინდა. — უთხრა დალიმ. ჭამა შეწყვიტა და თეფში, რომელზედაც ნამცხვრის ნარჩენები იდო, გვერდით მაგიდაზე გადაიდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ დილით დაგინახეთ, ოპერის პირდაპირ მოდიოდით. — უთხრა ელგუჯამ.

„დიდი ამბავი!“ — გაიფიქრა დალიმ, თხელი ქაღალდი გაკეცა და ცისფერ მაგიდას გადაუსვა.

— იქით ვიყავი, კი. — თქვა მან.

—ლექციები დაგიმთავრდათ?

— არა, დღეს ისეთი ცუდი დღე მაქვს, პირდაპირ არ ვიცი. დატვირთული ვარ და სულ შუალედებით. ვერც შინ მივდივარ, მეცადინეობასაც ვერ ვასწრებ.

— ჩვენ ხვალ გვაქვს თქვენი სემინარი.

— სხვათაშორის, თქვენისთანა წყალწაღებული ჯგუფი არც მინახავს ჯერ...

— ვერც ნახავთ! — უნებურად უპასუხა ელგუჯამ და თვითონვე გაეცინა. მისი ჯგუფის სახელისთვის მაინცადამაინც არც ადრე დაუდვია თავი და ახლა დალის სუნი ტანსაცმელ სულ არ სწყენია, თუმცა ეს ქება-დიდება მას უფრო ეხებოდა, ვიდრე სხვას.

— თქვენ თვითონ სად იყავით? — დაინტერესდა დალი.

ელგუჯამ დაწვრილებით მოჰყვა იმდღევანდელი მეცადინეობის ამბავი. მთელი ბიჭის საქციელიც გაიხსენა. მთელი დალის სტუდენტი იყო და ქალმა იმწამსვე ყველაფერი წარმოიდგინა. იმ ბიჭის სხვა უცნაურობებიც მოაგონდა და ძალიან გამხიარულდა. იგი გულიანად იცინოდა და ზღვისკენჭისფერი კბილები მოუჩანდა. წინა ორი სიფრფანა კბილი, შიგ რომ თითქოს სინთლე გადიოდა, ძალიან აბავშვებდა. ელგუჯას არაფრით არ ეგონა, თუ დალი ასეთი თეორი იყო. მკლავებზე და ყვრიმალებზე უფერო ბუსუსები ჰქონდა დფენილი. ასე ახლოს დალი სხვა დროს თითქოს არც ენახა და დაბეჯითებით აკვირდებოდა ქალის სახეს, ღია ლურჯი ფერის თვალებს და ჩალისფერ, სწორ თმას. ქალის სუნი სცემდა. ეს სუნი ტრიალებდა იქვე ახლო, მის ცხვირწინ. აღიზიანებდა სასტიკად და ეშინოდა, წონასწორობა არ დაკარგოო, მაგრამ სახეზე მაინცადამაინც არაფერი ეტყობოდა. ლაპარაკობდა წყნარად და დალაგებულად.

დალი ხანდახან უმიზეზოდ დაფიქრდებოდა, მომდიმარი, ლურჯი თვალები გაუშტერდებოდა, მოსაუბრეს აღარ უსმენდა, თუმცა ამ უყურადღებობას არაფრით არ ამჟღავნებდა. ბოლოს ცისფერ მაგიდასთან მაინც სიჩუმე ჩამოვარდა. დალიმ ადგომა დაიპირა.

— ბავშვი როგორ არის? — ჰკითხა ელგუჯამ.

— ბავშვი?

— დიახ, თქვენი ბიჭი...

— ბავშვი კარგად არის, გმადლობთ.— თქვა დალიმ ოდნავ გაკვირვებული ინტონაციით.

ელგუჯამ დაასკვნა, საუბარი დამთავრდო და მოიწყინა.

— ამ საღამოს ჩვენ კლუბში ინგლისური სპექტაკლია. — დალიმ ტაყვის ჩანთა გახსნა. — სად წავიღე ნეტავი... საღამოს იწყება, თუ გინდათ მობრძანდით!

— თუ ინგლისურია, ნამდვილად მოვალ!

— თუ არ გინდათ, სხვას მივცემ! — გაეცინა დალის.

— მინდა, როგორ არა!

დალიმ თეორი, პრიალა მოსაწვევი ფურცელი ამოიღო და ელგუჯას მისცა.

— თუმცა, ალბათ უამისოდაც კარგად შემოგიშვებენ.

— სულერთია, ამას შევინახავ!

ელგუჯამ მოსაწვევი დაკეცა და პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიდო.

ბიჭი გახარებული ელოდა შეღამებას. საგანგებოდ ჩაიცვა. იჯავრა, რატომ უკეთესი არაფერი მაქვსო და რაც ჰქონდა, არ დაიკლო. როცა კლუბში შევიდა, მაშინვე იგრძნო, რომ ზედმეტად იყო გადაპრანჭული. დარბაზი სანახევროდ შემთხვევით შემოსულ სტუდენტებს გავესო. ზოგიერთს ჩანთები და რვეულებიც თან ჰქონდა.

პარტერსა და ამფითეატრს შორის, გასასვლელში, იქ სადაც მწვანე ფარდაგი ეფინა, დალი იდგა და ამხანაგებს ელაპარაკებოდა. ჩალისფერი თმა ახლა ცხენის კუდივით გაეკრა. გულმოხსნილი, მუქი ლურჯი, სწორად დაშვებული კაბა ეცვა. ხელში პატარა ტყავის საფულე და ძალიან თეთრი ცხვირსახოცი ეჭირა. როცა ლაპარაკობდა, ცხვირსახოციან ხელს მკერდზე იდებდა. სპექტაკლის დაწყებამდე იგი იქვე, ამხანაგებთან ჩაჯდა.

ელგუჯამ დალისთან მიახლოებაც ვერ მოახერხა. მართალია, ქალმა ადრევე შეამჩნია, გაუღიმა კიდეც, მაგრამ მერე სპექტაკლის დამთავრებამდე უკან აღარ გამოუხედია.

ელგუჯა ისე იქცეოდა, ვითომ წარმოდგენით იყო ძალიან დაინტერესებული. სინამდვილეში მთელი არსებით გრძნობდა, მისი აქ ყოფნის უაზრობას. ამ ქალზე. რომელიც მთელ დარბაზს თვალს ჭრიდა, ფიქრიც უსინდისობა იყო, არამც თუ სხვა რამ. ვინ ელგუჯა, სად დალი? ყველაფრისათვის რომ თავი დაგვენებებინა, ერთი მაინც ლექტორი იყო, მეორე — სტუდენტი.

პირველი სურათის შემდეგ ელგუჯამ დარბაზში ნაცნობი აღმოაჩინა და წინ გადაჯდა, თითქმის დალის უკან იშოვნა ადგილი და — ეს იყო სულ. მართალია, სკამი დალის გვერდითაც გათავისუფლდა. მაგრამ სანამ ელგუჯა რაიმეს მოისაზრებდა, ცარიელ ადგილზე მაღალი და გამხდარი ლექტორი დაჯდა. ეს ის კაცი იყო, დალის და მის ამხანაგს მოსკოკავმე რომ დაემზადებინათ.

ლექტორი დალი შელიაზე უიმედოდ იყო შეყვარებული. მისი სარაინდო-სატრფიალო მოღვაწეობა გაცვეთილ კომპლიმენტებს და სარვამარტო მილოცვებს არ შორდებოდა. ამაზე უსიმპათიო და სასაცილო არსება დალი შელიას არც ენახა. ელგუჯა კი დარწმუნებული იყო, ეს კაცი ადრე იქნება თუ მალე, დალის ხელიდან არ გაუშვებსო.

სტუდენტებმა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ წარმოადგინეს ინგლისურ ენაზე. რადგანაც პიესა ახალგაზრდობის (ღღეეანდელი გაგებით, ბავშვების) სიყვარულზე იყო, იფიქრეს, ყველაზე საჭიროენ ეს იქნებაო. მსახიობების მთელი არტისტული ნიჭი ინგლისური ენის ცოდნა-არცოდნით ფასდებოდა.

დალი მთელი გულისყურით მისჩერებოდა სპექტაკლს, რომლის შექმნაში თვითონაც ედო წილი. სტუდენტებს ხანდახან სიტყვები ეშლებოდათ. ოდნავი ფონეტიკური გადახვევა კურიოზულ შეცდომამდე მიდიოდა. დალი ამაზე წყნარად, გაბმულად იცინოდა და სახეზე ცხვირსახოცს იფარებდა. იცინოდა სადღაც მკერდში. ელგუჯას რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ დალი ტიროდა.

სტუდენტებს ზედმიწევნით კეთილსინდისიერად შეესწავლათ ტექსტი; გამთქმელნი, მკაფიოდ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. უმრავლესობას არაფერი ესმოდა და აქა-იქ, მთქმელებზე რომ არაფერი ვთქვათ, ლაპარაკობდნენ კიდეც. უჩვეულო სპექტაკლს მაინც ჰქონდა რაღაც თავისებური სილამაზე, მაგრამ მიუხედავად ამ სიკეთისა, ბოლომდე ბევრი ვერ გაჩერდა.

სპექტაკლი ტექნიკური მიზეზებითაც გაჭიანურდა და დასასრულისათვის დარბაზი განაზვერდა. ელგუჯამაც ველარ გაძლო და წავიდა, თუმცა თვალი უკან რჩებოდა; ყოყმანობდა, იქნება წასვლას წაუსვლელობა ჯობია, მერე არ ვინანოო. ვინ რა იცოდა, რა მოხდებოდა. კაცი ყველაფრისათვის მზად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ელგუჯას არაფრის იმედი არ ჰქონდა და გულდაწყვეტილი მიდიოდა შინ.

მეორე დღეს დალიმ ჯგუფში საკონტროლო წერა ჩაატარა. ვინც არ დაწერს, ან ვერ დაწერს ჩათვლას ვერ მიიღებსო, თქვა. ერთი ბიჭისა და ელგუჯას გარდა ყველა სამუშაოდ გაემზადა. იმ ბიჭმა კი ბოლოს რაღაც ძველი, ნაწერი რვეული მოიძია, უკუღმიდან გადაშალა, კუთხეში მიიყუჟა და ხატვა დიწყო.

დალიმ დაფა დახაზა და სიტყვებით აავსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ რას შვები? — ხმადაბლა ჰკითხა ელგუჯას, როცა წერას მორჩა და ყველა დაასაქმა.

— მე რვეული არა მაქვს.

— რვეულს მოგცემ...

— რვეული კი მაქვს მგონია...—ჩაილაპარაკა ელგუჯამ და დაფის ბოლოში კიდევ რამდენიმე სიტყვა მიაწერა.

ელგუჯამ წიგნები წესიერად დააწყო ერთმანეთზე და ისევ მერხში შეალაგა. როცა ამ საქმეს მორჩა, დაინახა, რომ დალი კვლავ მისკენ მოდიოდა. ელგუჯამ პოლიტეკონომიის ლექციების რვეული გადაშალა და ცარიელ ფურცლებს დაუწყო ძებნა.

— მოგეწონა სპექტაკლი? — ჩურჩულით ჰკითხა დალიმ.

— მომეწონა კი, თუმცა ვერაფერი ვერ გავიგე...

— რა გაგება უნდოდა, „რომეო და ჯულიეტა“ ხომ გაქვს წაკითხული?

— წაკითხულიც მაქვს და კარგადაც მახსოვს, მაგრამ როცა ენა არ გესმის მაინც ძნელი გასაძლებია...

— ცხადია.. .— დაეთანხმა დალი.— გინდა ენაც გესმოდეს, მაინც მოსაწყენია, ძნელია ახლა რომეო და ჯულიეტას სიყვარულის ისტორიის მოსმენა, ალბათ სხვა დროა, არა?

— ალბათ... — დაიბნა ელგუჯა. — ისე მე ცოტა ადრე წამოვედი, ბოლომდე არ მიყურებია.

— ფანცხავა მოგვწონა?

— ფანცხავა რომელია?

— ჯულიეტა.

— კი, კარგი ვოკი იყო, თანაც თავისუფლად ლაპარაკობდა.

— ენა იცის ძალიან კარგად... — ჩაილაპარაკა დალიმ, ფრთხილად, უხმაუროდ გაიარა მერხებსა და მერხებს შუა და თავის ადგილზე დაჯდა.

თავი მეთექვსმეტე

ელგუჯა ძალიან გაუშინაურდა თავის ინგლისურის მასწავლებელს. ძნელი ასახსნელი იყო, რატომ ათამამებდა ქალი ასე ამგვარად, მაგრამ დალი არც სხვასთან ყოფილა წარბშეკრული, სტუდენტები დაახლოებული ჰყავდა.

ელგუჯა საქართველოს „ბურეევესტნიკის“ მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდში აიყვანეს და თითქმის მთელი ზაფხული შეკრებაზე და შეჯიბრებაზე იყო წასული. ბოლოს ბულგარეთში გაემგზავრა. მოკლედ ის ზაფხული მშვენივრად გაატარა, მაგრამ გული მაინც თბილისისაკენ მოუწევდა, ერთი ინგლისურის გაკვეთილი მთლად ერჩია ყველაფერს. ბოლოდაბოლოს მოვიდა ის ნანატრი სექტემბერიც, მაგრამ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ინგლისურის სემინარზე დალი შელიას ნაცვლად ვიღაც გამხდარი კაცი შემოვიდა, რომელმაც იქვე განაცხადა, მე ის არ გეგონოთ, ადრე ვინც გასწავლიდათო. ნაყვავილებცხვირიანი კაცი შეუძლებელი იყო ადამიანს დალი შელიაში არეოდა, მაგრამ კაცი ალბათ სხვა რამეს გულისხმობდა და სტუდენტებს უსიამოვნების გრძნობა დაეუფლათ. ეს მასწავლებელი შემდეგში ასე გამომწვევად ალარ იქცეოდა, სტუდენტების გული კი ვერა და ვერ მოიგო. თითქმის ყველანი, საკვირველი კია და, უფრო გოგონები, დალი შელიას ნატრულობდნენ.

ახალმა ამბავმა ელგუჯას თავზარი დასცა, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს. დარწმუნებული იყო, დალი შემხვდება თუ არა, გამაჩერებს და ამბავსაც გამომკითხავსო. გეგმა დალაგებული ჰქონდა და წინასწარ იცოდა, რა რის მერე უნდა მოეყოლა, მაგრამ კაცი ბეჭობდა და ეშმაკი იცინოდაო, ისე გამოვიდა მისი საქმე. დალიმ ელგუჯას შორიდან მოჰკრა თვალი და შორიდანვე გაუღიმა. „თუ მომესალმა, დავიღუპე!“ — გაიფიქრა ელგუჯამ. დალი მიესალმა და გვერდზე გაუხვია.

ამის შემდეგ ისინი თავაზიანი ღიმილით, პატივისცემით და კრძალვით

რეზო ჭეიშვილი
ღალი

ესალმებოდნენ ერთმანეთს და მეტი არაფერი. ელგუჯა მაინც რაღაცას ელოდა. კერძოდ — რას, ღმერთმა იცოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს საქმე არც ისე იოლად დამთავრდებოდა.

ერთ საღამოს ელგუჯა საგაზეთო ჯიხურთან რიგში იდგა და საღამოს გაზეთების ყიდვას აპირებდა. სწორედ აქედან იწყებოდა ის ქუჩა, რომლის ერთ-ერთ გადასახვევში დალი შელია ცხოვრობდა. ელგუჯა ბევრჯერ საათობით მდგარა ამ ადგილას, მაგრამ იმჟამად დალი სულ არ გახსენებია.

დალი შელიაც ჯიხურთან მოვიდა. ფეხისცერებზე აიწია და რაღაც უცხოური ჟურნალი იკითხა. ნაცნობი ხმის გაგონებაზე ელგუჯა შეკრთა. მეგაზეთე კაცმა, რომელიც, ეტყობოდა, დალის ძალიან კარგად იცნობდა, მიიბოდიშა, ჟურნალი ჯერ არ მიგვიღია, როცა გამოჩნდება, უეჭველად გადაგინახავთო.

— სხვა ხომ არაფერი გინდათ? — ჰკითხა ელგუჯამ.

— სხვა არაფერი, გამარჯვებათ, გმადლობთ. — დალიმ ელგუჯა მხოლოდ მაშინღა შეამჩნია და გაუღიმა.

ელგუჯამ ამასობაში ორი საღამოს გაზეთი იყიდა და ერთი ქალს მისცა. დალიმ გაზეთი გამოართვა და ყურადღებოდ ჩადო ჩანთაში. მერე ისევ გაიღიმა. ეს ღიმილი დამშვიდობებისა იყო, მაგრამ ელგუჯამ მისდაუნებურად გზა გაანგრძო და დალის გაჰყვა. დალიმ იფიქრა, ასასვლელამდე მიმაცილებსო, მაგრამ ელგუჯა უკან გაბრუნებას სულაც აღარ აპირებდა.

— ახლა მობრძანდებით უნივერსიტეტიდან?

— კი, ახლა, ხუთშაბათობით ძალიან გვიან მიმთავრდება, თქვენი ახალი მასწავლებელი რას შვება?

— რა უქმის! — ამოიოხრა ელგუჯამ.

— მკაცრია? — გამომცდელად იკითხა ქალმა. აინტერესებდა, რას ამბობდნენ სტუდენტები, ვის აქებდნენ, ვის აგინებდნენ.

— მკაცრი კი არის, მაგრამ ვერ გავიგე, ქართული იცის თუ არა...

— აბა სხვა რა ენა იცის? — გაიკვირვა დალიმ.

ელგუჯამ იგრძნო, როგორ დაამცირა დალიმ ახალი მასწავლებელი. იმ კაცს სხვაზე მეტად თვითონ ვერ იტანდა, მაგრამ დალის საქციელი სადღაც მაინც არ მოეწონა.

— რუსული და ინგლისური რომ არ იცის ვატყობ, მაგრამ მე მგონი ქართულთანაც მწყრალად უნდა იყოს. — ასაიმოვნა ელგუჯამ. მიზანსაც მიაღწია, მაგრამ დალიმ არაფერი დაიმჩნია; პირიქით, უსაყვედურა, უბრალოდ, ენა ებმის, თორემ მთლად მასეც არ არის საქმე, ზოგიერთებს რომ გგონიათო.

— ... მერე ნახავთ წლის ბოლოს, ვინ რა იცის, ჩათვლის დრო რომ დადგება. ნეტავი რა გეშველებათ, მე რომ არ ვიქნები!

ქალმა ეს სიტყვები ისეთი სასოწარკვეთილი ხმით თქვა, რომ ელგუჯას ტირილი მოუნდა.

—თქვენ რომ წახველით, ძალიან ცუდია. ყველას გული დაწყდა და ყველაზე მეტად მე.

— თქვენ რატომ!

— როგორც უცოდინარმა და უპატრონომ დიდი დანაკლისი განვიცადე!

„სადღაც მაინც აქვს ის თანდაყოლილი გლეხური სიშმაკე“. — გაიფიქრა დალიმ და ელგუჯას უთხრა:

— ისწავლეთ და უჩემობა არ დაგეტყობათ...

— ახლა მართლა მარტო სწავლაზე ხომ არ არის საქმე... თუ გაჭირდა დღე და ღამეს გავაერთიანებ.

— თავსაც ნუ მოიკლავ! — გაიღიმა დალიმ და შეჩერდა. სახლამდე ორასიოდე ნაბიჯიღა იყო დარჩენილი და ცხადია, არ უნდოდა უცხო ვაჟის თანხლებით, მეზობლების დასანახავად მისულიყო შინ. ამას ელგუჯაც მიხვდა და უკან გაბრუნება დაუპირა, მაგრამ მოულოდნელად დალი სულ პირდაპირ წავიდა. ელგუჯამ იფიქრა, ალბათ სხვაგან მიდისო. დალიმ აუხსნა, ჩემ სახლამდე მისვლა ამ გზითაც შეიძლებაო და იმწამსვე ინანა ეს სიტყვები რომ თქვა.

შემოდგომის მთვარიანი ღამე იყო. ოდნავ ციოდა კიდეც. ელგუჯა კოსტუმისამარა მიდიოდა. პლაშჩი არ ჰქონდა და პალტოს დროც არ იყო მოსული. ნება რომ მიგეცა, პიჯაკსაც გაიხდიდა, მაგრამ ზოგიერთივით გამოწყობილი სიარული ერჩია. ჩაუცქერლობა ხშირად ხელ-ფეხს უბორკავდა და უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა.

დალის ქვირფას საწვიმარს შარი-შური გაჰქონდა. ზოგჯერ, როცა დალი ნაბიჯს შეანელებდა, ფეხი ფეხს ედებოდა და სადღაც ქვევით კაპრონის წინდების ხახუნის ჩუმი ხმა ისმოდა.

გზა რომ გაგრძელდა ელგუჯა შეშინდა, სალაპარაკოს ვერ ვიშვნინო, მაგრამ მისდაიღბლად ისევ ახალი ინგლისურის მასწავლებლის ახირებულ ზნე-ჩვევაზე ჩამოვარდა სიტყვა და ყველაფერი კარგად წარიმართა. მალე მარცხნივ გაუხვიეს. ვიწრო ქუჩა, რომელიც დაბლა ეშვებოდა, დალი შელის სახლს დაადგა თავს. პირდაპირ მკრთალად განთებული სამსართულიანი სახლის სადარბაზო ჩანდა.

— აი, იქ ვცხოვრობ მე.—თქვა დალიმ.

— ვიცი. — მოკლედ უპასუხა ელგუჯამ.

— საიდან? — გაუკვირდა ქალს.

— მანდ, თქვენს პირდაპირ თენგიზის მამიდა ცხოვრობს...

— აბა თენგიზი?

— ჩემი მეგობარი, ჩვენ ჯგუფში რომ სწავლობს...

— ჰო, ვიცი, რუსიკოსთან დადიოდით?

— კი, ხშირად, ერთხელ თქვენც იქ იყავით.

— აჰა... — თქვა დალიმ, დაფიქრდა და ვერაფრით ვერ გაიხსენა, როდის ნახა ელგუჯა იმ ოჯახში.

— იმ ხის ქვეშ, თქვენი ფანჯრის წინ რომ დგას, ღამე გამითევია.

— მარტოს? — მშვიდად იკითხა დალიმ.

— ცხადია, მარტოს... — ჩაილაპარაკა ქალის გულგრილობით გაოცებულმა ელგუჯამ.

— მერე გარეთან ყველაფერი ჩანს?— იკითხა ცოტა ხნის შემდეგ დალიმ. იგი ღამითაც არ აჭრობდა შუქს, ფერადი ნათურა სულ ანთებული ჰქონდა და ახლაც მიხვდა, რა შეიძლებოდა მოყოლოდა ამ გაუფრთხილებლობას.

— ქუჩიდან ფარდები ჩანს.

— კიდევ კარგი!

— თუ ხეზე ავიდა ვინმე, მაშინ ყველაფერს დაინახავს! — აუხსნა ელგუჯამ.

— ესლა მაკლია, მეტი არაფერი, — გაეცინა დალის. — კარგად იყავით, გმადლობთ!

ქალმა ელგუჯას ხელი ჩამოართვა. ელგუჯამ ვერც გაიგო, როგორ აღმოჩნდა მის ხელში დალის სუსტი და გრძელი თითები. პირველად მის სიცოცხლეში შეეხო დალის და მოულოდნელობისაგან თავბრუ დაეხვია.

— მერე აქ ღამით მარტო დგომა საშიში არ არის? — იკითხა მოულოდნელად დალიმ და ისევ შეჩერდა.

—რატომ უნდა იყოს საშიში?

— რატომ და ამ ქუჩაზე ერთხელ კაცი მოკლეს... თქვენ ვინა ხართ, იცნობთ ვინმეს, დიდი ხანია ჩამოდით თბილისში? — წყნარად თქვა დალიმ, თუმცა ელგუჯა მაინც მიხვდა, რომ ქალი რაღაცას ამბლილდა ან საყვედურობდა.

— სულ არ მაინტერესებს, ვინ ვინ მოკლა და არც მეშინია... რა მნიშვნელობა აქვს, ახალი ჩამოსული ვარ თუ ძველი?!

— ისე ვთქვი, მე თვითონ ძალიან მშიშარა ვარ და იმიტომ... შუაღამით რომ ფანჯრიდან გადმოვიხედო და ხეზე ვინმე დავინახო, გული გამისკდება.

— მე თვითონ ერთხელ სოფელში შუაღამისას გამეღვიძა; მომეყურა, რომ ვიღაც მეძახოდა. ავდექი, აივნიდან გადავიხედე. ხის ქვეშ დედაჩემი იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ტანსაცმელი ეცვა. როგორც თქვენ გიყურებთ, ისე ვუყურებდი...

— მერე რა მოხდა? — გაუკვირდა დალის.

— დედაჩემი მაშინ ახალი მკვდარი იყო, ეს სულ დამავიწყდა, წინასწარ რომ მეთქვა.

— შეგეშინდა? — გაფითრდა დალი.

— კი, ვული წამივიდა.

— რა დრო იყო?

— მეორე მამლის ყივილი გადასული იქნებოდა, ოთვარე კი ისთებდა... მთვარე ადრე თურმე ჩვენი წარმართული ღვთაება იყო. ალბანეთ-იბერიის საზღვარზე თურმე მთვარის ტაძარი ყოფილა, სადაც თოთხმეტ აკვისტოს, მთვარის აღსვლების დღეს, მთვარეს ადამიანს შესწირავდნენ... — დაამთავრა ელგუჯამ და გაიფიქრა, აწი ხმას ალარ ამოვიღებო.

— ადამიანს როგორ შესწირავდნენ?— გაუკვირდა დალის.

— შეწირული ადამიანი დადგებოდა ტაძრის კართან, ერთი კაცი, რომელსაც ეს საქმე ებარა, შეწირულს მახვილს დაჰკრავდა და შიგ გულში გაუტარებდა!

— ღმერთმა ბოდიში! — უცბად თქვა დალიმ და ჩქარა წავიდა სახლისაკენ.

შინ ყველას ეძინა, თუმცა არც ისეთი გვიანი იყო. დალიმ ფეხსაცმელები გაიხადა. ქოშები ჩაიცვა და სამზარეულოში გავიდა; გაზი აანთო და ჩაიდნით წყალი დადგა. გადაწყვიტა, ჩაის შემდეგ ცოტას ვიმეცადინებო, მაგრამ მიხვდა, რომ დაწოლა მთლად ჯობდა ყველაფერს. გვიანობამდე მაინც ვერ დაიძინა, არც ძილში დასდგომია კარგი დღე. მთელი ღამე უცნაურ, საშინელ სიზმრებს უყურებდა. დილით უხასიათოდ გაიღვიძა. გაიხსენა წუხანდელი ამბები და ვერაფრით თავის საქციელი ვერ აეხსნა.

თავი მეჩვიდმეტე

ელგუჯა უკვე ქალაქის სპორტდარბაზში, საქართველოს ნაკრებთან ერთად ვარჯიშობდა. გუნდი საერთაშორისო შეხვედრისათვის ემზადებოდა.

ძველ მწვრთნელს გული წყდებოდა ელგუჯა რომ „წაართვეს". ფიქრობდა, ყველა ღლეცვაზე და ძალადობაზეა გადასული, მე არასოდეს არ მიმართლებსო. ელგუჯა ჯერჯერობით მწვრთნელად მაინც პავლეს ასახელებდა და მასწავლებელი ამითაც კმაყოფილი იყო.

ელგუჯა ერთხელ უფროსი მწვრთნელის ამხანაგთან შელაპარაკდა; გაჯავრებულმა მიატოვა ვარჯიში და შინ წავიდა. უფროსი მწვრთნელი მოსკოვში იყო, ეს ამბავი არ იცოდა. ელგუჯა მწვრთნელის დაბრუნებას ელოდა, მანამდე კი ისე იქცეოდა, თითქოს ჭიდაობაზე სამუდამოდ აეღოს ხელი.

ერთ დღეს ელგუჯას ლექციებზე აგვიანებდნენ. ის-ის იყო ვიღაცას დაემშვიდობა და კიბეზე არბენას აპირებდა, როცა ვესტიბიულის სვეტთან გაჩერებულმა პავლემ დაუძახა:

— მოდი, ბიჭო, აქ შენ!

პავლემ ისე სწრაფად წამოიძახა ეს სიტყვები, რომ ერთი ვაბმული ყივილი გამოუვიდა. ელგუჯა მაინც მიხვდა ყველაფერს და უკან მობრუნდა.

— სალამი პატივცემულო, ბატონო პავლე!

პავლე ელგუჯას მისჩერებოდა და არაფერს ამბობდა. ელგუჯამ კედლის საათს გახედა.

— ლექცია გაქვს? — ამოღერღა ბოლოს კაცმა.

— კი და დამაგვიანდა კიდეც.

— მაშინ წადი და დამთავრებისას ჩამომაკითხე...

— ახლა მითხარი ბარემ, რაშია საქმე?

— წადი, ბიჭო, რამდენს ბედავს უყურებ!

ელგუჯამ გაიცინა და გაიქცა.

ერთი საათის შემდეგ ელგუჯა უკანვე დაბრუნდა. როცა იგი დარბაზისაკენ ეშვებოდა, პავლე უკვე სადღაც მიდიოდა. ბიჭის დანახვაზე დაბნეული შეჩერდა, მაშინღა გაახსენდა, პაემანი რომ ჰქონდა.

— ჰო, მოდი, ჩემპიონო?.. — უნდოდა დაემატებინა, დამიცადე, მალე შოვა-

ლო, მაგრამ გადაიფიქრა, ელგუჯას მკლავში ხელი გამოსდო და უკანვე დაბრუნა.

ოსტატი და შეგირი ერთად გამოვიდნენ ეზოში. პავლეს ეჩქარებოდა, ტყეობოდა, სადღაც გამოსაჩენ ადგილზე მიდიოდა, რადგან მუქი კოსტუმი ეცვა და გრძელი ყელსახვევი მოეჩანდა. სქელი, ჯანმრთელი კაცი ამ მორთულობაში იგუდებოდა.

როგორ არ ჰგავდა პავლე იმ მრისხანე და თავზეხელაღებულ ადამიანს, ელგუჯას რომ პირველად მოეჩვენა. მწვრთნელს თურმე არც ისე აფასებდნენ. სახელი და პატივი პავლეს ფაქტიურად უკან ჰქონდა მოტოვებული და უკეთესი მომავალის იმედიც აღარ იყო. ელგუჯას ახლა იგი სადღაც ეცოდებოდა კიდეც.

პავლე დინჯად და სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, ბიჭს ჭკუას არიგებდა და როგორც შეეძლო ისე აყენებდა სწორ გზაზე.

— ... შენ ბიჭო, ჯერ კიდევ ბევრი რამე გეშლება, მოიცადე და სპორტში იმდენ უსამართლობას შეხვდები, რომ ამ ბავშვობაზე სიცილით მოკვდები, ჯერ სადა ხარ!.. ისე მაგ კაცის ამბავს მე ნუ მასწავლი...

პავლეს ელგუჯას ახალი მწვრთნელი სძულდა. კოლეგის ავტორიტეტის შელახვა არ უნდოდა და თავს იკავებდა, მაგრამ ყველაფერი სახეზე ეწერა. ბიჭს კიცხავდა და მწვრთნელის სახელსაც კი არ ახსენებდა.

— ...ომიდან რომ დავბრუნდი, ისევ ვარჯიში დავიწყე... ერთი დღე არ გამიცდენია... ხანდახან შიმშილისაგან თავბრუ მეხვეოდა და გული მიმდიოდა... სად იყო მაშინ ასეთი პირობები... — პავლემ შეისვენა და მერე რატომღაც ძალიან ხმადაბლა თქვა, სწორედ ორმოცდაექვს წელს გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

ელგუჯამ ვერ გაიგო, რაღა ამ სიტყვებზე დაუწია პავლემ ხმას, როცა შეეძლო პირიქით გაეკეთებინა.

— ... აბა ახლა კარგად იყავი, რაც გითხარი, გაიგონე, თავი არ გამალახინო! — პავლე სასაცილოდ გაძუნძულდა და ტროლეიბუსში ჩაჯდა.

ელგუჯამ პავლეს დაუჭერა თუ ჭკუას ძალა დაატანა, ბავშვურ ჭირვეულობას მოეშვა და წვრთნაზე გამოცხადდა. დარბაზში უკვე ცნობილი მოჭიდავეები მოსულიყვნენ. რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონიც სავარჯიშოდ იყო გამოწყობილი. ელგუჯამ მხოლოდ ამათ დანახვაზე მოიხათრა. მიხვდა, რომ მისით არც არაფერი იწყებოდა, არც არაფერი მთავრდებოდა. შორიახლო გაჩერდა და ყველას მიესალმა.

—გაიხადე! — ვითომ სხვათაშორის უთხრა მწვრთნელმა. ფიქრა, მოვტეხეო და ესიამოვნა, თუმცა ამის შემდეგ ელგუჯას უფრო მეტი მორიდებით ექცეოდა.

სპორტდარბაზიდან ელგუჯა ყოველთვის ფეხით ბრუნდებოდა. მჩატედ მიაბიჯებდა ვერის აღმართში; ეგონა, მიწაზე ფეხს არ ვაკარებო. იმ დღეს ვერის ბაღში შეიარა.

ბაღი ხმელი ფოთლებით იყო მოფენილი. გრძელ სკამზე, კანშემომსკდარი ჯადრის ძირას, მზის გულზე დიმიტრი, თენგიზი და ერთი უცხო ახალგაზრდა ისხდნენ. სამთავენი მზეს ეფიცხებოდნენ. პლაშჩის საყელოები აწეული ჰქონდათ და ხმას არ იღებდნენ. დიმიტრი სიგარეტს ეწეოდა და დროდადრო ყრუდ ახველებდა.

ელგუჯამ სამთავეს ხელი ჩამოართვა. უცნობი გურამ ყვავაძე აღმოჩნდა. ეს გვარი და სახელი ელგუჯას პირველად არ სმენია და ახლადგაცნობილი ადამიანი ერთხელ კიდევ შეათვალიერა. სპორტული ტყაპის ჩანთა ძირს დადო, დაჯდა და პიჯაკი გადაიღეო.

„რა ჯანმრთელები არიან ეს სოფლელები!“ — გაიფიქრა დიმიტრიმ და იმწამსვე ხველა აუტყდა. სიგარეტი უკვე ახრჩობდა, მაგრამ თავს ვერ ანებებდა. მართალია, მისი თეორიის მიხედვით თამბაქო რაღაც ავადმყოფობებსაც არ-

ჩენდა, მაგრამ თვითონვე ხვდებოდა, რომ ადრე თუ მალე, სწორედ თუთუნი მოუღებდა ბოლოს. ყოველშემთხვევისათვის, უფრო ადრე წაახდენდა, ვიდრე უშველიდა ავადმყოფობებს, რომელიც დიმიტრის ჯერჯერობით არ ჰქონია.

— კიმოთე რას შვება? — იკითხა დიმიტრიმ.

— არ ვიცი, არ მინახავს რა ხანია.— უპასუხა ელგუჯამ.

— ჩემთან იყო გუშინწინ, ჭადრაკი ვითამაშეთ, კი ცოდნია თამაში მაგ გაჭირვებულს, მაგრამ ჩემთან რას გახდებოდა!

— რა ვიცი, დიდოსტატობაზე იდებს თავს და შენ თუ ვეღარ გიგებს, კარგად ყოფილა საქმე! — გაუკვირდა ელგუჯას.

—ჯერ ერთი მე მაგრად ვთამაშობ! — ეწყინა დიმიტრის.

— არ ვიცოდი, უკაცრავად. — გაეცინა ელგუჯას.

— აბა რა შედარებაა, სად ამის ცოდნა და გამოცდილება და სად კიმოთესი! — თქვა თენგიზმა.

— რა ხარ, შე უკვდავო! — უთხრა დიმიტრიმ.

— თქვენ მოჭიდავე ხართ? — ჰკითხა გურამ ყვავაძემ ელგუჯას.

— კი.

— კარგია ჭიდაობა, ფიზიკური ძალა მაინც საჭიროა! — თქვა გურამმა. მკლავები გასწი-გამოსწია და ბეჭებიც რაღაც უცნაურად აამძრავა.

— ეს რას იცინის, რა ტიპია. — გადახედა მერე დიმიტრის და თვითონაც გაეცინა.

— შენც კაი უკვდავი ხარ, ნუ გეშინია! — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ. გურამმა ისევ გაიცინა და დიმიტრის წელში ხელი მოუჭირა. გურამი ალბათ დიმიტრის ტოლი იყო. ისე უფროსი ჩანდა. თმა სანახევროდ გასცვენოდა და შეიძლება — ამიტომ. ნათელი, მრგვალი თვალების პატრონი არასოდეს მზერას არ გაგისწორებდა. აღგზნებული, ხშირად ანერვიულებული ლაპარაკობდა; მსმენელს ამ დროს ისე ახლოს მიადგებოდა, თითქოს მარწუხებში იმწყვდევსო, ოღონდ სულ სხვაგან იხედებოდა.

— წაიკითხე დიმიტრი ორშაურაშვილის რომანი? — ჰკითხა თენგიზმა.

— ვისი, ბიჭო?

— ორშაურაშვილის, ნამდვილი გვარია, სინდისს ვეფიცები.

დიმიტრის ხველება აუტყდა და კარგახანი ვერ გაჩერდა. გურამ ყვავაძემ თქვა, მგონი მართალს ამბობს, მეც გამიგონია, ვიღაც ასეთი უნდა არსებობდესო.

—არის კი. — თქვა ელგუჯამ. ვერ გაამხილა, დამცინებენო, იფიქრა, თორემ ის რომანიც წაკითხული ჰქონდა.

— სხვათა შორის, — დაიწყო დიმიტრიმ, როცა ხველებას მორჩა. — ამასწინანდეზე წავიკითხე გენრი ტორო, ადრეც ვიცნობდი. საერთოდ, ემერსონიდან დაწყებული მაგათ ყველას ვიცნობ, მეტ-ნაკლებად, რასაკვირველია. ტორო ახლა კიდევ გადავთვალიერე. სინტეტერესო ადამიანია, მაგრამ არ არის სწორი. ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

— აბა ახლა რა ექნათ? — იკითხა გურამმა.

— რისი თქმა მინდოდა, აღარ ვიცი, ყველაფერი გადამავიწყე.

— არ არის სწორიო. — შეახსენა ელგუჯამ.

— ვინ არ არის სწორიო?

— მე რა ვიცი.

— რაშია თუ იცი საქმე?.. იმ დროს, როცა ტორო წერდა, თუ გინდა უფრო ადრე და ცოტა გვიანაც, საქმე სხვანირად იყო. შეიძლება იმ დროს ჩვენზე მეტს არ ცხოვრობდნენ, მაგრამ ხანი ნელა მიდიოდა და ყველაფერს ასწრებდნენ. ახლა რომანების საკითხავად ვიღას სცალია, შენი იწილო-ბიწილო ვის აინტერესებს. ადამიანის ტვინი ისედაც გადატვირთულია ინფორმაციებით. რადიო, ტელევიზია, გაზეთი. ხანდახან დავფიქრდები და ვარკვევ, იქნება სულ არ არის ეს მხატვრული წიგნები საჭირო-თქვა. მე მწერალი არ ვარ და თითქოს რა უნდა მენაღვლებოდეს, მაგრამ ფილოსოფოსი ხომ ვარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ხარ? — ჰკითხა ელგუჯამ.

— შეხედე ამას, როგორ გაუკვირდა?.. რა ვარ და ფილოსოფოსი... არ ვთქვა?

— თქვი მერე, ვინ გიშლის!

— ... ისე უკაცრავად კი კარ იმ თქვენ ორშაფორშვილთან. შეიძლება კარგი ბიჭია, რა იცი. ვკარს რა მნიშვნელობა აქვს. თუმცა ან მწერალი უნდა იყო, ან ორშაფორშვილი. ორივე ერთად რადაც არ გამოდის. — დიმიტრიმ თავისთვის ჩაიბითხითა. ეტყობოდა, თვითონაც არ ელოდა, ასე კარგად თუ გამოუვიდოდა.

— დიმიტრი ერთი რამე მაინტერესებს და რა ხანია მინდა კკითხო... სიცოცხლე დედამიწის გარდა არის კიდევ სადმე, თუ არა? — უთხრა თენგიზმა.

— თუ ხუმრობ, გენაცვალე, წინასწარ მითხარი, თუ არა და შენ ახლა მაგას ისეთ კაცს ეკითხები, ვისზე უკეთესს და სწორ პასუხს ვერავინ ვერ გაგცემს...

— მერე მითხარი, შე კაი კაცო, რას შამადლი!

— არის! — სერიოზულად უპასუხა დიმიტრიმ.

— საიდან იცი? — დაინტერესდა ელგუჯა, მაგრამ მაინც გაიცინა, ვითომ სხვათაშორის კითხულობდა.

— თუ კი სიკვდილი და სიცოცხლე არსებობს კონკრეტულად, მაშინ იგივე პროცესი უნდა გავიგოთ უფრო ფართოდ და ზოგადად. ესე იგი კვდებიან და იბადებიან სიცოცხლეები. თუ უფრო ქვევით ჩამოვალთ, — კვდებიან პლანეტები, ჩნდებიან ახლები... იღუპებიან და იბადებიან გალაქტიკები. შეიძლება თვით სამყაროებსაც ეხებოდეს გარდაცვალება-დაბადების კანონი. სამყაროებიო იმიტომ ვამბობ, რომ თუ ჩვენ სამყაროს დასასრული აქვს, მაშინ უნდა არსებობდეს სხვა სამყაროც. სულ ახლახან არ აღმოაჩინეს ფეთქებადი გალაქტიკები...

— ასე გამოდის, რომ დედამიწაც მოკვდება? — გულგრილად იკითხა თენგიზმა, დიმიტრის აზრებს სულ დაუცია თავზარი.

— ალბათ. — შინაურულად დაუდასტურა დიმიტრიმ.

— კი მაგრამ, რი გორ? — წამოიძახა ელგუჯამ.

— ვარსკვლავის სიკვდილით, — უთხრა გურამმა, რომელიც აქამდე გაჩუმებული იყო. — გაყინვით, გაციებით, სასიცოცხლო პირობების შეცვლით, კოსმიური კატასტროფით, რადიაციით. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამოანგარიშებული, რომ დედამიწის მოსახლეობა უკვე თითქმის ირითმეტიკულად იზრდება; აქედან თავისთავად ცხადია, რომ იზრდება მოხმარება ენერგიის რაოდენობის, რომელსაც კაცობრობა ყოველი სეკუნდის განმავლობაში ხარჯავს. თუ გავიხსენებთ, რომ სამოცი წლის განმავლობაში ამ პროცესმა სამი-ოთხი პროცენტი შეადგინა, მაშინ გამოვა, რომ სამიათასი წლის შემდეგ ენერგიის ხარჯვა გაუტოლდება მზის ენერგიას, ხოლო შემდეგ გადააჭარბებს საშინელი სისწრაფით. ხუთიათასი წლის შემდეგ კი მილიონი ვარსკვლავის ენერგიის ხარჯვის ძალაც კი აღარ ეყოფა დედამიწას.

— გამოგვესვლია წირვა და ეს არის! — თქვა თენგიზმა.

— ეს მოხდება მილიარდი წლების შემდეგ, ისე რომ ამაზე ნუ იჯავრებ. სამაგიეროდ, როცა დრო მოვა, ადამიანი გადასახლდება ახალ პლანეტაზე ან თვით ააშენებს ახალ პლანეტას. თეორიულად, სხვათაშორის ესეც დამტკიცებულია. სხვა ვარსკვლავების თანამგზავრებზე არსებული გონიერი არსებებთან კავშირის მოგვარება კი ხვალინდელი საქმეა... ამ საკითხებზე მუშაობენ კიდეც. კოსმიური სიგნალების მიღება უაზლოესი ვარსკვლავებიდან შეგვიძლია სამ და ოცდაათი სანტიმეტრის სიგრძის ტალღებზე. მხოლოდ ამას სჭირდება უზარმაზარი ანტენები. ასობით და მილიონობით კილოვატი სიძლიერის რადიოგადამცემები და სხვა...

— მაგალითად, კანტი თვლიდა, რომ პლანეტების უმრავლესობაზე არსე-

ბობს გონიერი არსებები. პლანეტების სრულყოფა დამოკიდებულია მათ სიშორეზე მზისგან, ან სხვა მანაობელი ვარსკვლავიდანო. რაც უფრო შორს არის სინათლის წყაროდან მით უფრო მაღალი განვითარების მატერიასთან გვექნება საქმეო. — თქვა დიმიტრიმ.

— მანდ ახლა ბევრი რამეა დასაზუსტებელი და ესეც არ იყოს, კანტი, თუ მე ახლა სწორედ ვიმეორებ, ამასაც ამბობს: ჯერ ერთი, ჩვენ ზუსტად უნდა დავადგინოთ ჩვენი გონების საზღვრებიო. გონებას შეუძლია შეიცნოს სიცოცხლის მრავალნაირი მოვლენა, მისი კანონები, მაგრამ ამ სიცოცხლის პრინციპი ჩვენი შემეცნების ფარგლებს სცილდებაო; უფრო მეტიც, მისი შემეცნებისათვის არ მოიპოვება არავითარი მონაცემი ჩვენი შეგრძნებების სისტემაშიო. მართალი გითხრა, ადამიანის გონებაზე მე უფრო დიდი წარმოდგენა მაქვს, ვიდრე, ამ შემთხვევაში, კანტს. პირიქით, მწამს, რომ ადამიანის გონებას შეუძლია ყველაფერი შეიცნოს. მხოლოდ თვით ადამიანი არის ყველაზე რთული და შეუცნობელი ამ სამყაროში. ისე თავისთავად, კანტის აზრი, რომ თვითონ სიცოცხლის პრინციპი ჩვენთვის გაუგებარიაო, დამაფიქრებელია და არც ისე ადვილი უარსაყოფია ერთი შეხედვით, რომ შეიძლება მოგეჩვენოს.

გურამი უცბად გაჩუმდა. დიმიტრის ისევ ხველა აუტყდა.

ბიჭებთან ვიღაც მაღალი, გამხდარი კაცი მოვიდა და პირდაპირ განაცხადა, ბერძენი ვარო.

— მერე რა გინდა? — ჰკითხა თენგიზმა.

— მშვიდობა და კარგად ყოფნა, მეტი არაფერი!

მაღალ კაცს საყელოაწეული, ქამარშემოჭერილი, გახუნებული პლაშჩი ეცვა. გრძელ, ფერმკრთალ სახეს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ნახავდი თუ არა, იტყოდი, საიდანღაც ვიცნობო. წარძღელებული კეპის წინაფრა, თითქმის წარბებამდე ჰქონდა ჩამოწეული. თვალისდაუხამხამებლად იყურებოდა, მაგრამ ვის მისჩერებოდა, ვერ გაიგებდა.

— დაბრძანდით! — უთხრა დიმიტრიმ.

— ბერძენი გვარია ჩემი, მართლა ბერძენი კი არა ვარ, თბილისში ყველა მიცნობს. ლატარიის ბილეთებს ხომ არ იყიდით?

— არ გვინდა, ბატონო, არ ვყიდულობთ. — უთხრა ისევ თენგიზმა.

— რატომ კადრულობთ მაგისთანა რაღაცეებს, ახალგაზრდავ, თბილისში ყველა მიცნობს, ბერძენი ვარ, ბორია... ისე კი არ არის საქმე, ზოგს რომ გონია...

— მაჩვენე ერთი, რა გაქვს. — უთხრა გურამმა.

— ა, ბატონო.

მაღალმა ძველი ლატარიის ბილეთები ამოიღო და ყველას დაურიგა. ბილეთები მოხატულ საფოსტო ბარათებზე იყო მიკრული.

— ეს უკვე გათამაშებულია, ბორიას ვენაცვალე!

— მერე რა მოხდა, არ გამისინჯია, პატიოსან სიტყვას გეუბნები!

— რატომ არ გასინჯე? — გაეცინა გურამს.

— ეიღბლო კაცი ვარ, ბერძენი ვარ გვარად... მე მაინც ვერაფერს ვერ მოვიგებ და თქვენ ნახეთ, იაფად ვყიდი!

— რა ღირს?

— ცალი მანეთი.

— მუქთია! — თქვა დიმიტრიმ.

— წადი, ბიძია, თავი დაგვანებე! — უთხრა თენგიზმა, ბილეთები ჩამოკრიფა და პატრონს დაუბრუნა.

— რატომ ჩქარობ, ბიძიკო, ხეიბარი კაცი ვარ, მეორე კლასის, კითხე ვისაც გინდა, თბილისში ყველა მიცნობს!

— ა, ბატონო, ფული აიღე, მხოლოდ ბილეთები არ გვინდა! — უთხრა ელგუჯამ, ქაღალდის ფული ამოიღო და ბერძენს მისცა.

— გმადლობთ, ბატონო... ესენი დაიტოვეთ მაინც სამახსოვროდ...

— გამოართვი! — ურჩია დიმიტრიმ ელგუჯას.

— მადლობელი ვარ, ბატონო, გაიხარეთ, გეტყობათ კაი კაცი ბრძანდებით. სამაგიეროდ, ჩემთან არაფერი დაგეკარ-

გებათ. ამ ბაღში ყველა მიცნობს, კითხეთ ვისაც გინდათ, ბერძენი ვარ ბორია! კარგად ბრძანდებოდეთ!

მაღალმა კაცმა დიდი კეპი მოიხადა და წავიდა.

— ვინ იყო ეს? — სიცილი აუტყდა თენგიზს.

— რა ვიცი მე? — თქვა გაკვირვებულმა ელგუჯამ და ლატარიის ბილეთები ერთმანეთზე დააწყო.

ბერძენი ბორია გაძარცული ხეების გასწვრივ ბაღის ბოლოსაკენ მიდიოდა, ხმელ ფოთლებს აშრიალებდა, ხან გამოჩნდებოდა, ხან იმალებოდა. მისი გრძელი ლანდი რიგრიგობით ტყდებოდა გაპრიალებული ჭადრის ღეროებზე.

იმ დღის მერე ელგუჯა გურამს დაუახლოვდა. იგი ფიზიკოსი ეგონა, სინამდვილეში ახალი გაცნობილი ადამიანი აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტდამთავრებული აღმოჩნდა; ადრე უცნო ენათა ინსტიტუტშიც უსწავლია, მაგრამ ფიზიკასთან არავითარი საერთო არ ჰქონია. ისინი იშვიათად, მაგრამ დიდი ამბით ხვდებოდნენ ერთმანეთს. ელგუჯას უყვარდა გურამის ლაპარაკის მოსმენა, გაფაციცებით უგდებდა ყურს და თითქმის ყველაფერს იმახსოვრებდა. ბევრი რამე არ ესმოდა, თუმცა შეპასუხებას და კამათს ვერ უბედავდა. არ ცოდნა, არცოდვად არ მიაჩნდა. ეგონა, ყველა წიგნი წაკითხული უნდა მქონდეს. გურამისაგან გაგონილი კანტის სიტყვები — გონებას შეუძლია შეიცნოს სიცოცხლის მრავალნაირი მოვლენა, მისი კანონები, მაგრამ ამ სიცოცხლის პრინციპი, ჩვენი შემეცნების ფარგლებს სცილდებაო, ტვინიდან ვერ ამოიგდო. საგანგებოდ იშოვნა კანტის წიგნები, ათვალიერა, ფურცლა და იკითხა, მაგრამ მსგავსი ვერაფერი იპოვნა. საერთოდ, თავი და ბოლო ვერ გაუგო ვერაფერს და გულაცრუებულმა მიანება ფილოსოფიას თავი. უპასუხო კითხვამ გააწამა. რატომ არ უნდა ვიცოდე სიცოცხლის პრინციპი, რაშია სიცოცხლის მიზანი და დანიშნულება? რისთვის ვცხოვრობ, რისთვის ცხოვრობენ, რა აუცილებლობას ემსახურება სიცოცხლე საერთოდ, ფიქრობდა იგი. გურამ ყვავაძე კი ამ სა[illegible] კითხვზე ალარ ლაპარაკობდა. ელგუჯას დანახვაზე სულ სპორტის ამბები ახსენებდნენ. ყველაფერში უკომპრომისოს ერთი ნაკლი სჭირდა. ფიზიკური ძალის წინაშე იხრიდა ქედს. რომ გიყვებდა, ეს კაცი ღონიერია, კარგად ჩხუბობსო ან რაიმე ამისდამაგვარს, აღტაცებას ვერ ფარავდა.

თავი მეთვრამეტე

ბევრი ურჩევდა და თვითონ დალიც აპირებდა ბავშვის ბაკურიაში გაგზავნას. როგორც იქნა, ამ საქმეს თავი დაადგა და ჟუჟუნა და ბიჭი საბაკურიანოდ გაამზადა. დალის დრო არ ჰქონდა, მაგრამ ბოლო წუთს თვითონაც წასვლა გადაწყვიტა. მხოლოდ მეორე დღესვე უნდა დაბრუნებულიყო უკან.

იანვრის ცივი დილა თენდებოდა.

მგზავრები ალოზზე გავიდნენ სადგურში. ბაქანი ხალხით იყო სავსე. როგორც გამოირკვა, თურმე ყველანი ბორჯომის მატარებლის ჩამოდგომას ელოდნენ. ქალები ძლიერძლიერობთ შეეფიდნენ ვაგონში. ერთმა ახალგაზრდამ დალის სკამიც დაუთმო, თორემ უადგილოდ რჩებოდა. რაღაი ბავშვი და ჟუჟუნა მოთავსდნენ, არც ჯავრობდა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ბოლომდე ფეხზე დგომა ყოვლად წარმოუდგენელი იყო.

— გუშინ რომ წამოვსულიყავით, ასეთი დღე არ დაგვადგებოდა! — თქვა ჟუჟუნამ და ბავშვს პალტო გახადა.

დალიმ ვაგონი მოათვალიერა. უმრავლესობა დასასვენებლად მიდიოდა. თოვლს და ჰაერს დანატრებულები მთებს ეშურებოდნენ. ბევრი ალბათ ახლო-მახლო სადგურებშიც ჩავიდოდა. ზედა თაროებზე ჩანთები და ფერადი თხილამურები ეწყო. გასასვლელ-გამოსასვლელში პაპიროსს ეწეოდნენ. დალის მარტო ბოლის დანახვაზე ატკივდა თავი. მალე დაიღალა და განერვიულდა, თუმცა არაფერი დასტყობია.

ბაშურში ვაგონი განახეერდა. აგრილდა, პაერიც გასუფთავდა. დალი მოერჩებულად მოკალათდა და ერთი გზობა ჩათვლიმა კიდეც.

ქვიშხეთს გაცდნენ თუ არა, გორეზე და თხემებზე აქა-იქ შემორჩენილი თოვლის ნაფლეთები გამოჩნდა. ბოლოს, სულ ახლოს, მთლიანად გადათეთრებული გორა გაილანდა. ეტყობოდა, იქით და იქით გვარიანი თოვლი იდო.

ვიღაცამ დაიძახა, შეხედე თოვლიაო. ამ ხმაზე დალის ბიჭი, რომელსაც თავი დედის კალთაში ჰქონდა წადებული, წამოიხტა და ფანჯარას ეცა. დანარჩენებიც ფანჯრებს მისდგომოდნენ. მინაზე მაკრულმა ბიჭმა პირველად ვერაფერი გაარკვია, რამდენჯერმე გაისწორა სათვალე და თეთრ მთას მიაჩერდა. ამ უცხო სანახაობამ გააბრუა.

— სად არის, დედა, თოვლი? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ე, ბიჭო, მთაზე! — უთხრა დედამ.

ბავშვს მეტი აღარაფერი უკითხავს.

— თოვლი არც უნახავს, მე მგონი ჯერ! — ჩაილაპარაკა დალომ.

— წლინახევრის იყო, თბილისში რომ მოთოვა, ის სად ემახსოვრება! — უთხრა ქუჩუნამ.

— მე ვნახე ტელევიზორში თოვლი.— უკანმოუხედავად თქვა ბიჭმა და გაჩუმდა. დებსაც აღარ ამოუღიათ ხმა.

მატარებელი სწრაფად, უხმაუროდ მიყვებოდა მდინარის ნაპირს. უკვე ყველაფერი გადათეთრებული იყო. ეტყობოდა, ღამით მოეთოვა, რადგან ხეებსა და ტალავრებზე სქელი თოვლი იდო. ერთ ეზოში ვიღაც კაცი ჭოკით ხიდან თოვლს ყვერავდა. ქვევით თოვლის თეთრი ბუჭი მოდიოდა. განთავისუფლებული ტოტები მსუბუქად ქანაობდნენ.

თოვლის დანახვაზე დალის შეცივდა და აიბუზა კიდეც. როგორ არ უყვარდა ამ ქალს ზამთარი და სიცივე. აღტაცებული მგზავრებისაც (ფანჯრებს რომ არ შორდებოდნენ) არ სჯეროდა. დარწმუნებული იყო, უმრავლესობა თვალთმაქცობდა, თორემ თოვლი რაღა სასახარულო იყო. დალი ქალიშვილობაშიც შინით შეჰყურებდა თოვლის პეიზაჟებს ფიფქებს, თბილისის ცაზე რომ გამოჩნდებოდა ხოლმე. გადაპეპლებული ცა ლამაზი იყო, მაგრამ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებული ვაჟკაცები წყალწყალა თოვლით რომ გვერდებს აგიცხუნებდნენ, ეს იყო ცუდი. მაინც როგორ დაუზოგავად ისროდნენ. რამდენჯერ გაუმწარებია, რამდენჯერ თვალი ცრემლით აუვსია შორიდან ნასროლ გუნდას.

ბორჯომის სადგურში საშინლად ცივა. ბაქანს და ლიანდაგებს თოვლი დაყინოდა. შპალებიც კი დაქვავებულიყო. ბიჭი გან-გან იქაჩებოდა; ცდილობდა, ფხვიერ თოვლში გასულიყო, ზოგჯერ ახერხებდა კიდეც და საყვედურებსაც იმსახურებდა, რომელსაც მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია.

ვიწრო ლიანდაგზე უკვე ბაკურიანის მატარებელი იყო ჩამომდგარი. მატარებელი ახლა ელმავალს დაჰყავდა. საკმაოდ უცნაური და ულამაზო ელმავალი თოვლის საფხეკ მანქანას უფრო ჰგავდა, ვიდრე სხვა რამეს.

დალის ბევრჯერ უმგზავრია ამ გზით. ბავშვობისას თითქმის ყოველ ზაფხულს ბორჯომის ხეობაში ისვენებდა. მაშინ ამ ვაგონებს პატარა ორთქლმავალი ატარებდა. სასაცილო ორთქლმავალი გაბმულად კიოდა და ლურჯ ბოლს მიაფრიალებდა. საყვირის ხმა ხევიდან ხევში, სოფლიდან სოფელში სიხარულის, ჩიტის ბარტყობის, სიმწვანის ექოდ გადაისმოდა. ახლა ყველაფერი შესუდრული და გულჩამკვდარი იყო.

ვაგონში ასვლისას დალის არც თუ ისე ახალგაზრდა კაცები გამოემცნაურნენ. დალი თავდაჭერილად, ცოტა უკმეხადაც კი მოიქცა, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ სამთავენი ბადრის ამხანაგები ყოფილიყვნენ და ბოლოს ერთი იცნო კიდეც. ბიჭებმა დახმარება შესთავაზეს. დალის არაფერი სჭირდებოდა.

— გუშინ კიდევ ჩამოთოვა და გზები ჩაჩუმქრა, თორემ მანქანით წაგიყვანდით! — თქვა ერთმა.

მატარებლით ყანყალს მართლაც აშკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მანქანით მგზავრობა ჯობდა და დალის ეწყინა, გზა რომ არ იყო, თუმცა მაინც თავპატიჟი გაიდო. ბიჭებმა ბოლოს ბადრის ამბავი იკითხეს. ამასობაში ერთი სადღაც გაუჩინარდა, სულ მალე ვაგონში დიდი ყუთი შემოათრია და ზენაშით დადგა ძირს.

— ამაში ცოტა მანდარინია... — თქვა სქელმა ბიჭმა და გათოშილი ხელები დაიორთქლა. ბიჭს წარბთან ნაჭრილობევი აჩნდა.

— რა საჭირო იყო, რატომ გაისარჯეთ! — ახლა ნამდვილად შეწუხდა დალი.

— რა მოხდა მერე, გზაში პირი გაისველეთ! — თქვა მომტანმა.

— ამჯერად მეტი ვერაფერი მოვახერხეთ, მერე ზევითაც ამოგაკითხავთ! — დაუმატა გამხდარმა კაცმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ სხვაზე მეტი ეგვლინა ჭერნდა და დანარჩენებზეც უფროსობდა.

— მე იქ არც ვრჩები, ხვალვე ადრე უნდა დავბრუნდე... ამდენი მანდარინი ალბათ მთელ ბაკურიანს ეყოფა! — გაიღიმა დალიმ.

ამ სიტყვებზე მესამე ბიჭმა, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია, ხმამაღლა გაიცინა და უცბად გაჩუმდა.

მალე ზარმა ჩამორეკა. ბიჭებმა წასვლა დაიპირეს. სქელმა ბიჭმა ფეხი აიოინა და საგანგებოდ ჩამოართვა ყველას ხელი.

— მამაშენივით ვაჟკაცი გაიზარდე, ბიძია! — ხვაილით უთხრა ბავშვს.

— გმადლობთ, — მექანიკურად უპასუხა ბიჭმა.

ხმაჩახლეჩილმა ხელმეორედ ჩამოართვა დალის ხელი და ოდნავ აბანცალდა. მაშინდა შეეტყო, მთვრალი რომ იყო.

მატარებელი დაიძრა.

— არ დარჩეთ, მგონი წავედით! — შეეშინდა ყუეუნას.

— სად წავა. ამ გზას მაინც ვერ აცდება, ძალიანაც რომ უნდოდეს! — ჩაიცინა სქელმა, ქუდი დაიხურა, ერთხელ კიდევ დაუკრა ყველას თავი და სანამ ძირს ჩახტებოდა, რამდენიმე მგზავრს გამოელაპარაკა.

არა და არ დაილია პატარა გზა. მოშუადღევდა. ეტყობოდა, ისევ თოვას აპირებდა, რადგან ნაძვებიდან თოვლი არ ცვიოდა. ერთი-ორჯერ უდღეურმა მზემაც გამოანათა და მერე ისევ მოიქუფრა. მატარებელი არ ჩქარობდა. რაც მეტად უახლოვდებოდა ბაკურიანს, უფროდაუფრო უკლებად სიჩქარე. წლობით იდგა პატარ-პატარა სადგურებში და ზლაზვნით, წელაორევით იძვროდა ადგილიდან. ცარიელ ვაგონში ციოდა. კუთხეში თუჯის მრგვალი ღუმელი იდგა, მაგრამ შიგ ცეცხლი მინავლებულიყო და აღარაფერს ათბობდა. ჰაერში მაინც დამწვარი ნახშირის სუნი იდგა. დალის თავი სტკიოდა. დროდადრო ამოიოხრებდა ხოლმე.

— რა დაგემართა შენ? — ჰკითხა დამ.

— ოჰ, არაფერი!.. — ჩაილაპარაკა დალიმ და ფანჯარაში გადაიხედა. დათოვლილი, ნაცნობი ადგილები იცნო და ვერც იცნო. ერთ ალაგას, სადაც იგი ბავშვობაში ისვენებდა, ყველაფერი გადასხვაფერებული მოეჩვენა. ფერდობზე. აგურის ორსართულიანი სახლები ავგოთ; ფიჭვის კორომი გაეჩეხათ. აღარ ჩანდა ის ორი ნაძვი, სადაც დედა ჰამაკს აბამდა. აღარც ნაძვები ჩანდა, აღარც დედა იყო ამ ქვეყნად. ყველაფერა თვალ და ხელ შუა იცვლებოდა, ყველაფერი იკარგებოდა და მოგონებაშიღა ცოცხლობდა.

სადგურიდან სასტუმრომდე მარხილით იმგზავრეს. ბავშვმა გაიხარა, მაგრამ დალიმ კიდევ უფრო მოიწყინა. ღია მარხილს ცივი ქარი უბერავდა. ხის ქიმზე ვიღაცას იისფერი მელანი გადაესხა და დალის სულ ეგონა პალტო დამესვრებაო. ჭუჭყიანი დასაჯდომებიც არ მოსწონდა და მობუზული იჯდა კუთხეში, რატომ გავბრიყვდი და მანქანით არ წამოვედიო, ფიქრობდა იგი. სამგიე-

როდ, სასტუმროში დახვდათ საუკეთესო ნომერი და დალი მალე გამოცოცხლდა. პრიალა მუხის პარკეტმა, სითბომ, აბაზანამ, ხალიჩებმა და სარკეებმა იმწამსვე გუნება გამოუკეთა. გარეთ გასვლაც არ უფიქრია, თუმცა კარგახანი იხედებოდა სასტუმროს ფანჯრიდან და სასეირნოდ წასულ დას და შვილს მისჩერებოდა. ბოლოს ვესტიბიულში გავიდა. ეგონა, მარტო დავრჩი, მაგრამ იმ უდროო დროსაც კარგაძალი ნაცნობი აღმოაჩინა. საერთოდაც, სულ ნაცნობ სახეებს უყურებდა. ქალები თითქოს ერთმანეთის ჯიბრზე იცვლიდნენ წარამარა ტანსაცმელს. დალის ეგონა, საზამთრო მოდების გამოფენაზე მოვხვდიო, თუმცა შეიძლება მისმა გამოჩენამ მეტი ეფექტი მოახდინა, ვიდრე სხვისამ. სასტუმროში სწრაფად გაეგოთ ახალი სტუმრის ჩამოსვლა და ზოგიერთი საგანგებოდ ამოწმებდა დალის სილამაზესა და ჩაცმულობას. ერთმა თქვა, არც ისეთი ლამაზი ყოფილა, როგორც ლაპარაკობდნენ. დალი ამ დროს ვესტიბიულში იჯდა. ბეწვისსარჩულიანი, ყავისფერი ზამშეს პალტო სავარძლის სახელურზე ჰქონდა გადაკიდებული. ვერცხლისფერი, ღუნღუნა, მაღალუელიანი სვიტერი ეცვა. იგი ნაცნობ გოგოს ელაპარაკებოდა. ნაცნობი ერთი პასუხისმგებელი მუშაკის ქალიშვილი იყო და ყველასთან საუბარს როდი კადრულობდა, თუმცა დალი ძალიან უყვარდა და ისედაც არ იყო ცუდი ადამიანი.

სასტუმროში სიწყნარე სუფევდა. მხოლოდ იმწუთას ქვევით სასტუმროს მთავარი კარის ჭრიალი გახშირდა. ვიღაცეები ცემენტის იატაკზე ბაკუნობდნენ და ხმამაღალ ხორხოცობდნენ. ასეთი ხმაური ჯგროდ მოსულმა, ერთი ჭკუის ხალხმა იცის ხოლმე. მოურიდებელ სტუმრებს ბევრიც აღარ დაუგვიანებიათ. ერთიმეორეს მიყოლებით ამოდიოდნენ კიბეზე და, როგორც წესი, დალის და მის ამხანაგს აშტერდებოდნენ. ყველას მორგვივით კისერი და მსხვილი ყურები ჰქონდათ. დალიმ ეს ბოლოს შეამჩნია და გაკვირვება ვერ დამალა. ყველაზე გვიან მაღალი, ქერა ბიჭი გამოჩნდა, რომელსაც სხვებივით ხელ-კისერი, არც თხილამურები ეჭირა, არც სხვა რამე. დალიმ იმწამსვე იცნო, ვინც იყო, თუმცა ამდაგვარად ჩაცმული იგი არასოდეს ენახა.

ელგუჯამ დალი მოგვიანებით შეამჩნია, მაგრამ ეტყობოდა ვერ იცნო, რადგან იმწამსვე თვალი მოარიდა; მერე თითქოს დაფიქრდა, რაღაც გიჰსენა, სწრაფად გაუსწორა ქალს თვალი, გაიღიმა და ფეხსაც აუჭქარა. დალი მოგვიანებით წამოდგა, ელგუჯას ხელი ჩამოართვა და იმწამსვე დაჯდა.

— როდის ჩამობრძანდით? — იკითხა ბიჭმა.

— დღეს.

— დიდხანს რჩებით?

— არა, ხვალ მივდივარ.

— ხვალ?

— კი.

— მე აქ ვარ ორი კვირაა და ალბათ ერთი-ორი კვირა კიდევ მომიწევს ყოფნა.

— სწავლა, ლექციები?

— გათავისუფლებული ვარ.

— რა კარგია! — გაეცინა დალის.

ელგუჯამაც გაიღიმა და ერთხელ კიდევ იკითხა, მართლა ხვალ მიდიხართ თუ არაო. დალიმ დაადასტურა ადრე ნათქვამი. ელგუჯამ ვერ გაიგო, კარგი იყო თუ არა, ქალი რომ ასე ადრე აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ ამაზე აღარც უფიქრია, ახალ შეკითხვას იგონებდა და სხვა რამის თავი აღარ ჰქონდა.

— ეს ამხანაგია ჩემი! — უთხრა დალიმ.

ელგუჯამ დალის ამხანაგს შეხედა. ამ ქალისათვის აქამდე ყურადღებაც არ მიუქცევია. ქალი კი თუმცა სხვათაშორის, მაგრამ მაინც მოურიდებლად მისჩერებოდა კარგახანი. ქალმა თავი დაიქნია. ელგუჯას ეგონა, მიცნობსო და ხელმეორედ მიესალმა. მერე იფიქრა, ალბათ ხელი უნდა ჩამომერთმიაო.

— ნეტავი გუშინ ჩამოსულიყავი, მთელი დღე თოვდა! — უთხრა ამხანაგმა დალის.

— კარგი შენი ჭირიმე! — ჩაილაპარაკა დალიმ.

— გუშინ კი თოვდა! — დაამოწმა ელგუჯამ.

— აქ რას აკეთებ, ისევნებ?

— არა, საქართველოს ნაკრები ვარჯიშობს, საბჭოთა კავშირის პირველობისათვის ვემზადებით.

— რა სპორტში? — საკმაოდ ხმამაღლა იკითხა მეორე ქალმა.

— ჭიდაობაში. — მოკლედ უპასუხა ელგუჯამ.

ვიღაც ჯანიანმა კაცმა, თავზე ღერი თმა რომ არ ჰქონდა და საკმაოდ შნოიანად ეცვა, სწრაფად ამოათავა კიბე და ქალებს მოურიდებლად გადახედა; მერე ელგუჯასთან შეჩერდა, ხმისამოღებლად ჯიბე მოიქექა. რაღაც ქვითრები ამოალაგა, გადაარჩია და რამდენიმე ცალი ელგუჯას მისცა.

— ბატონო თამაზ, გაიცანი...

ელგუჯა თითქოს კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ თმაგაცვენილს ბევრი აღარ დაუცდია, ენერგიულად ჩამოართვა ორივე ქალს ხელი და მდაბლად მოიხარა წელში. ამ ცერემონიალის დროს დალის პალტო ჩაცურდა და ძირს დავარდა. ყველაზე ადრე თვითონ პატრონი დაიხარა, თუმცა თამაზმა მაინც ხელი შეაშველა და ქალის მადლობაც კი დაიმსახურა. ამის შემდეგ მაინც უნერხულო სიჩუმე დადგა. თმაგაცვენილმა რამდენჯერმე მოინაცვლა ფეხი, მერე საათზე ღაიხედა და ელგუჯას უთხრა, ერთ საათში ყველანი ჩემთან შეიკრიბეთო. სანამ ელგუჯა რამეს უპასუხებდა, ქალებსაც დაემშვიდობა და წავიდა.

— ჩვენი მწვრთნელია. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი! — თქვა ელგუჯამ.

— ეს კაცი? — იკითხა დალის ამხანაგმა.

— დიახ.

ამ პასუხზე გოგომ მაგიდაზე დაგდებული ჟურნალი გადაფურცლა და ფერად ნახატებს ჩაჰერდა.

ელგუჯას ეგონა, მწვრთნელს ჩემსავით სცემენ პატივსა და როცა ქალების გულგრილობაში დარწმუნდა, გაოცებულიც კი დარჩა. დალის კი ახლადგაცვენილი ადამიანი საკმაოდ უსიმპათიო არსებად მოეჩვენა, მაშინ, როდესაც თამაზი ქალების რისხვად ითვლებოდა და ამ საქმით თავიც კი მოჰქონდა. ელგუჯას ეარაუდით, ამ სიტუაციაში უფრო საინტერესო საუბარი უნდა შემდგარიყო და თამაზის გაუბედობამ საგონებელში ჩაადგო. ბევრი ელგუჯასაც აღარ დაუცდია. დაიბარა, ხვალ გინახულებთო და წავიდა. დალი ღიმილით, მაგრამ ცივად და ოფიციალურად დაემშვიდობა.

— ვინ იყო? — ჰკითხა ნაცნობმა გოგომ.

—ჩემი სტუდენტია .— თქვა დალიმ.

— შენ რა კარგი სტუდენტები გყოლია! — საეჭვოდ გაიღიმა ნაცნობმა.

პასუხის გაცემა დალიმ საჭიროდ არ ჩათვალა, მაგრამ უნებურად ოდნავ დაამძნარა.

იმ დღეს დალის ელგუჯასათვის თვალიც აღარ მოუკრავს. მხოლოდ მეორე დღეს, როცა ჟუჟუნასთან და ბავშვთან ერთად რესტორანში საუზმობდა, დაინახა, რომ ბიჭი პირდაპირ მათი სუფრისაკენ მოდიოდა. ამხანაგიც ახლდა, რომელმაც ადრევე გაუზვია გვერდზე. ელგუჯას ახლა თითქოს საგანგებოდ ეცვა და დალის სწორედ ეს არ მოეწონა.

ელგუჯამ დააზუსტა, რომელი მატარებლით მიემგზავრებოდა დალი. ეს საქმე ვერც ისე მოხერხებულად გაარკვია. პირიქით, თავს ჯაფა დააყენა. სამაგიეროდ, მალე წავიდა და ამხანაგს მიუჯდა.

— ვინ იყო ეს ბიჭი? — ჰკითხა ჟუჟუნამ დას.

— ჩემი ყოფილი სტუდენტია.

— რატომ გაწბილდა, რომ გელაპარაკებოდა?

— მე რა ვიცი!

— ხომ შეხედე, ვინ ყოფილა, თუ საჭმელი არ შეჭამე, დაგიჭერს! — უთხრა ჟუჟუნამ ბავშვს და ღია პირში დიდი ლუკმა ჩაუდო. ბიჭმა უხალისოდ გაღეჭა

საჭმელი, ამ მუქარის ულოგიკობა კი იქვე იგრძნო და არც შეშინებია.

შუადღით ელგუჯა დალის გასაცილებლად გამოვიდა.

დალი ვაგონში ჯდებოდა და ჟუჟუნას და ბავშვს რაღაცას უბარებდა. თბილისში წასვლა უხაროდა, მაგრამ ბავშვს რომ სტოვებდა, მაინც გული უკვდებოდა და მარტო მგზავრობაც ეზარებოდა.

უკვე წვრილად თოვდა. ელგუჯას თმა თეთრად ჰქონდა შეფიფქული.

— ცივა? — ჰკითხა დალიმ, რომელსაც ელგუჯას დანახვა მაინც გაეხარდა.

— არა.

— მე ხომ დამავიწყდა, იმ თერმოსის ყიდვა. — მიუბრუნდა დალი ჟუჟუნას.

— ვიყიდი და ჩამოგიტან. — უთხრა ჟუჟუნამ.

— მე ახლა მინდოდა წამიღო! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა დალიმ.

— მე წავალ და მოვიტან! — თქვა ელგუჯამ.

— შენი ჭირიმე, მართლა არ წახვიდე, — შეშფოთდა დალი.

— სულ ერთია, ვერ მოასწრებთ. — ცივად უთხრა ჟუჟუნამ.

— მოსწრებით კი მოვასწრებ, თუ დამხვდა, ეგშინ მთელმა სასტუმრომ ის თერმოსები იყიდა.

— ამ დილით იყო, მაგრამ არ წახვიდე, ძალიან გთხოვ!

— — ამ წუთას მოვალ! — თქვა ელგუჯამ, შეტრიალდა და ლიანდაგები სირბილით გადაიარა.

—ეს რამ მთქმელვინა, რა დამემართა!

— უთერმოსოდ ვეღარ ჩახვიდოდი თბილისში! — ჩაილაპარაკა დამ.

— ვთქვი და ახლა რა ვქნა!

— ასე იცი შენ სულ!

ამ სიტყვებზე დალიმ ამოიოხრა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, მერე ბავშვი ჩაკოცნა, დას ხელი ჩამოართვა და ვაგონში ავიდა. მატარებელიც მალე დაიძრა. დალიმ ბავშვს ფანჯრიდან ხელი დაუქნია, სადგურის მიდამოებიც შეათვალიერა, მაგრამ ელგუჯა არსად ჩანდა. იგი მოწყენილი დაჯდა ფანჯარასთან. ეს ამბავი ცუდ ნიშნად ჩათვალა და მოგზაურობის ასე მარცხიანად დაწყება არ მოსწონდა. რაღაც საწყენი შემხვდებაო ფიქრობდა იგი და ფიჭვის დაოთვლილ ხეებს უყურებდა.

როგორც იქნა, გაჩერდა მატარებელი წაღვერში. ბორჯომამდე დიდი გზა არ რჩებოდა და დალის იმედი მოეცა, თუმცა ახლა გასვლას აღარ ადგებოდა საშველი. დალის თავი უბრუოდა. ფანჯარაში ცქერითაც დაიღალა და თვალები ეტკინა.

მოპირდაპირე სკამზე ახალგაზრდა კაცი იჯდა, რომელსაც ყველაფერზე ეტყობოდა, რომ დალისთან გამოლაპარაკებას აპირებდა. ადრე იგი ჟურნალებს თვალიერებდა და დალი ყველა მოძენტში გრძნობდა, როგორ აპარებდა დროდადრო კაცი მისკენ თვალს. მგზავრს ბოლოს კითხვა მოწყინდა, ჟურნალები დაკეცა და პალტოს ჯიბეში ჩაილაგა. დალიმ ჟურნალებს დაადგა თვალი. „თუ რამეს თქმა უნდა, გაბედოს, ამ საცოდავმა, ჟურნალებს მაინც გამოვართმევ!“

— დიდხანს ვიდგებით კიდევ აქ? — იკითხა კაცმა თავისთვის.

„მე რა ვიცი?“ — გაიფიქრა დალიმ.

მოულოდნელად ვაგონში ელგუჯა შემოვიდა. იგი აწყობილებული და დაღლილი ჩანდა. ხელში დიდი თერმოსი ეჭირა. ცისფერ თერმოსზე წითელი და ყვითელი ვარდები ეხატა. ჭურჭელს სითბო და ყვავილის სუნი შემოჰყვა.

— ღმერთო, აქ საიდან გაჩნდი?

— დავეწიე მატარებელს! — თქვა ელგუჯამ.

— რით?

— ფეხით.

— შეუძლებელია, მატარებელს როგორ დაეწიე?

— ჩამოგასწარით კიდევ, მაგრამ ვაგონი შემეშალა... — გაიღიმა ელგუჯამ და დალის წინ დაჯდა, თან უცხო ადამიანს გადახედა. კაცი წამოდგა, ჯერ კართან მივიდა და მერე სულ სხვაგან მოკალათდა. ელგუჯას დალის ნაცნობი ეგონა და ქალს მიაჩერდა. დალიმ ანიშნა, არც ვიცი ვინ ბრიოსო. ელგუჯამ თერმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი სკამზე დადო. დალიმ ნივთი მიიწია და ფრთხილად ჩამოუსვა ხელი, მერე ისევ ბიჭს მიაჩერდა. ელგუჯა თავიდან ფეხებამდე თოვლში იყო ამოგანგლული. ეტყობოდა, ვერც ისე იოლად მოსულიყო აქამდე, როგორც თვითონ ამტკიცებდა.

— მართლა ფეხით წამოდი?

— ცხადია, იმხელა თოვლია, ცხენიანი კაცი ვერ გაივლის.

— ახლა არ ვიცი, რა გითხრა, სულ სველი ხარ და ნარბენი... რომ გაცივდე, რა ექნა?.. ეს გაიხადე მაინც და ჩემი პალტო მოიხურე!

— პალტო არ მინდა, ამას კი გავიხდი, აქ ისე ცხელა... გარეთაც თბილა, თოვს, თოვს...

ქალი და ვაჟი ახლა უკვე აშკარად შენობით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და არავითარ უხერხულობას არ გრძნობდნენ.

— დაიღალე?

— —არც ისე... სულ თავდადმართში მოვშლიგინობი, ამის გატეხვის მეშინოდა. თუ არა სულ არ გამიჭირდებოდა.

— ამას რას დავეძები, ეს რომ მცოდნოდა, როგორ ამოვიღები ხმას; ისე რა ლამაზია, არა?

ელგუჯამ გაიღიმა, ქალს აგრძნობინა, ალბათ ასეა, მაგრამ მე მაგის არა გამეგება რაო.

— რა მიეცი?

— რა მნიშვნელობა აქვს?

— არა ისე.

— არ მახსოვს.

ბიჭი მოიღუშა და ფანჯარაში გადაიხედა. დალიმ გაიღიმა, თეთრი კბილები გამოაჩინა და ელგუჯას მიაჩერდა. „რა უცნაური ადამიანია!“ — ფიქრობდა იგი.

— მოდი, მაინც მოგახურავ ჩემ პალტოს!

— არ მინდა, არ მცივა.

— ეეტყობა, ხელები სულ გაწითლებული გაქვს.

ელგუჯამ ხელები გაშალა და მუხლებზე დაიწყო. დალიმ თბილი თითები დაადო ზევიდან.

—ეს არის არ მცივაო?

ელგუჯამ ხმა ვერ ამოიღო, თუმცა როგორც მერე დაასკვნა, რაღაცის თქმა დააპირა კიდეც. დალიც აღელდა, უცბად მოეჩვენა, რომ ეს უკვე ზედმეტი იყო, სწრაფად გასწია ხელები და ფანჯრისაკენ მიბრუნდა. იგი მოულოდნელად დადინჯდა. ელგუჯა დაიბნა, ხომ არაფერი ეწყინაო. საბედნიეროდ, ბორჯომამდე აღარაფერი იყო დარჩენილი და ქალვაჟს ბევრი აღარ ულაპარაკია.

ბორჯომში უფრო ხვავრიელად თოვდა. ბარდნიდა. მსხვილ-მსხვილი ფანტელები ცვიოდა ცოდან. ქარი არ უბერავდა და თბილოდა შედარებით.

დალი და ელგუჯა ბორჯომ-თბილისს მატარებლის წინ, უკაცრიელ ბაქანზე იდგნენ. დალი საუკეთესო ხასიათზე იყო. ხშირად სულ უმიზეზოდ იცინოდა, გვერდზე გადიოდა და რბილ, ფაფუკ თოვლში ჩექმებით ხრაშუნობდა. ზოგჯერ ზევით იხედებოდა. დიდრონი ფანტელები გრძელ წამწამებზე ეცემოდა ანტუჩზე ადნებოდა.

საღამოვდებოდა. შეუმჩნევლად გასულიყო დრო. დალის წასვლაც აღარ უნდოდა. ელგუჯა ქალის თხოვნით ჭიდაობის ამბებს ყვებოდა. დალი ხან უსმენდა, ხან არა. ქალი უცბად მიხვდა, რომ მისი თანამგზავრი ძალიან სერიოზულად იქცეოდა.

„ეს ჩემზეც მოქმედებს, ასე სიცილს და ხუმრობას გადავეჩვევი!“ — გაიფიქრა მან. დაიხარა, დიდი გუნდა აიღო და ელგუჯას მოშმვლებულ საყელოში დაასალა. ელგუჯა ყველაფერს ელოდა დაამას — არა. წაიხარა, საყელოდან სასწრაფოდ თოვლის ამოფერთხვას შეუდგა. იგი ცოდვილობდა და დალი გულიანად იცინოდა. ქალმა უცბად სიცილი შეწყვიტა, ელგუჯამ იფიქრა, თოვლს მომაშორებსო, დალიმ კი უფრო დიდი გუნდა აიღო და გამეტებით ლეწა იმავე ადგილას. ელგუჯა უცბად მოტრიალდა, ხელი ნიჩაბივით ამოუსვა თოვლში, ერ-

თი თეთრი მთა აიღო, დალი გაიქცა, მაგრამ ღრმა თოვლში ჩაეფლო და გაჩერდა. როცა ნახა, გასაქცევი არსად ჰქონდა, სახეზე ხელები აიფარა. ელგუჯა ახლოს მივიდა და თოვლი ძირს დაადგო. პათქუნუნზე დალიმ თვალი გაახილა. ელგუჯა იქვე იდგა და მომღიმარი, მაგრამ მაინც სევდიანი თვალებით მისჩერებოდა. დალიმაც მოიწყინა, წასვლის ზარიც ჩამორეკეს. დალი ელგუჯას დამშვიდობა და ვაგონისაკენ წავიდა. კიბეზე ასვლისას ელგუჯამ ხელი შეაშველა. დალი მსუბუქად ავიდა ზევით და მალე ფანჯრარას მოადგა. ქალის ნათელი სილუეტი აილანდა დაჭიხლულ მინაზე. დალი ბიჭს ემშვიდობებოდა, მაგრამ მატარებელი აღარ აპირებდა წასვლას. უცბად ქალმა ფანჯარას დაჭაჩა და ბოლომდე ჩამოსწია. ახლა იგი მთელი ტანით გამოიკვეთა ჩარჩოში. ვაგონი შექანდა.

— კარგად იყავი! — თქვა დალიმ.

— კარგად...

მატარებელი ისევ გაჩერდა. დალი გადმოიხარა და ელგუჯას უთხრა:

— კარგი ქენი, თოვლი რომ არ მესროლე! — ამ სიტყვებზე თვითნვე გაეცინა, ძირს დაიხედა და მიხვდა, რომ მიდიოდნენ. მატარებელი თანდათან უმატებდა სიჩქარეს.

ელგუჯა მარტოდმარტო იდგა თოვლში. თოვდა ხვავრიელად, წყნარად და უშფოთველად.

თავი მეცხრამეტე

თბილისში მერამდენედ მოდიოდა გაზაფხული. მარტი ჭინჭყლობდა და ჭირვეულობდა. გარეუბანში უდღეური ნუში აყვავილდა. არყის ხეებს უფოთლოდ ტოტები გაუშშვენდა. მაინც ციოდა. გაზაფხულის დადგომას თითქოს საშველი არ ადგებოდა, მაგრამ უცბად დათბა.

ელგუჯა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და ოქროს მედლით დაბრუნდა თბილისში. ძველმა მწვრთნელმა, პავლემ, რომელიც ელგუჯას კარგახნის წინ ეძახდა ჩემპიონს, სულით და გულით მიულოცა დიდი გაბარჯვება. როცა სახელდახელოდ გამართულ სუფრაზე დადგა ცრემლები მოერია და თქვა: პირველად მხოლოდ მე ერთს მჯეროდა და მწამდა შენონ.

— ...ახლა ყველა თავისკენ გექაჩება, ყველა ახლა გახდა შენი მოყვარე, მაგრამ მე სხვა ვარ, ბიჭო, არ დაივიწყო, ბიჭო, შენი პირველი უიღბლო და უბედური მწვრთნელი პავლე!

ელგუჯას გული აუჩვილდა და მწვრთნელს ბეჭებზე ხელი გადახვია.

ელგუჯა იმ დღეებში ამსუბუქებული დადიოდა. რასაკვირველია, უხაროდა. ხან იფერებდა თავის ტიტულს, ხან ზედმეტად თავმდაბლობდა და ყველაფერი ეტყობოდა. ზოგიერთებს ეგონათ, თავს გაუვიდაო, მაგრამ ელგუჯამ უბრალოდ, არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ შემთხვევაში. სხვა მის ადგილას უფრო აცერცეტდებოდა ან სულ დაბრძენდებოდა.

ვისაც რა უნდოდა, ის ეთქვა. მთავარი იყო, დალი რას იტყოდა. ალბათ ქალმა არც არაფერი არ იცოდა, ანდა თუ იცოდა, ელგუჯას ჩემპიონობა რაში ჭირდებოდა. ქალს, მით უმეტეს დალის, რომელსაც სპორტზე წარმოდგენა არ ჰქონდა, რა გააკვირვებდა.

იმ დღეს ელგუჯა უნივერსიტეტის ვესტიბიულში იდგა უსაქმოდ და საით წასულიყო არ იცოდა, როცა კიბეზე დალი დაინახა. ქალს უსახელო კაბა ეცვა. მხრებამდე მოშიშვლებული, თეთრი მკლავების დანახვაზე მიხვდებოდით, რომ შენობაში ძალიან თბილოდა. შეიძლება გარდერობში დატოვებული პალტოს ჩასაცმელადაც მიდიოდა. კაბა ცოტა სრულად ადგა ტანზე და უფრო მაღალი და თხელი ჩანდა, ელგუჯას დანახვაზე დალიმ შორიდან გაიღიმა და სიფრფანა კბილები გამოაჩინა. შემდეგ თავი დახარა და ფრთხილად წამოვიდა, რათა, მარმარილოს კიბეზე ფეხსაცმელის წვრილი ქუსლი არ ასხლტეტილიყო. იგი ძირს იხედებოდა და მაინც იღიმებოდა. ვერ გაიგებდი, ელგუჯას უღიმოდა, თუ რამეს იხსენებდა.

ელგუჯა ჩამოსასვლელთან შეეგება და ხელი გაუწოდა.

— მოიცადე, გაკოცო! — უთხრა დალიმ.

ელგუჯა დაიხარა და იმწამსვე სუსტი კოცნა იგრძნო. ქალის ტუჩები ფრთხილად შეეხო მარცხენა ლოყაზე.

— ჰომილოცავს!

— გმადლობთ.

ელგუჯა გრძნობდა, როგორ თანდათან უწითლდებოდა ყურიმალები. ამის გამო უფრო წითლდებოდა და რა ექნა, არ იცოდა. დალის თეთრი მკლავები გულზე დაეკირიფა და თითქოს საგანგებოდ არ აშორებდა თვალს. ელგუჯას უნდოდა, დროზე ეთქვა რამე, რათა დაბნეულობა არ დასტყობოდა; სიწითლე, ნელ-ნელა ჩრდილივით რომ ეპარებოდა, სანეზე არ დაჩენოდა და ბოლოსდაბოლოს ამ თავაზიანი ამბორისათვის მნიშვნელობა არ მიეცა.

— როგორა ხარ? — ჰკითხა დალიმ კარგა ხნის შემდეგ.

—კარგად, თქვენ როგორ ხართ? — ელგუჯამ მაინც თქვენობით დაილაპარაკა და იმწამსვე ინანა, თუმცა ქალს ეტყობოდა, ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. იგი რაღაცას ფიქრობდა, კერძოდ რას, ვერ გაგებდი. ეჯის კითხვაზე მხოლოდ გაიღიმა და ელგუჯა მიხვდა, რომ დაახლოებით. კარგად ვარო, ესა თქვა. ელგუჯამ ჯიბეში ხელები ჩაიყო და ძირს დაიხედა.

— რაღაც ახალი წიგნები მოუტანიათ, მოდი რა, ვნახოთ! — თქვა დალიმ და ელგუჯას მკლავში ხელი გამოსდო.

ელგუჯა ახლა აღარ ღელავდა, მაგრამ ამდენსაც არ მოელოდა და თავისუფლად სიარული მაინც ვერ შეძლო.

ხელმარცხნივ წიგნების ფარდული იყო. დაკეტილ ფანჯარასთან მოზრდილი რიგი იდგა. ზოგს მართლა წიგნი აინტერესებდა. ბევრი ფეხის ხმას აჰყოლოდა. გამყიდველმა აღრეკე გაავრცელა ხმა, კარგი წიგნები მომივიო და მიზანსაც მიაღწია. ახალგაზრდა კაცი, რომელიც არც ერთ მყიდველზე დაბლა თავს არ აყენებდა და თავის პროფესიას თაკილობდა, თუმცა ვინ აძალებდა აქ იმუშაოვეო, არავინ იცოდა, ღია კართან იდგა და გროვად დაყრილ, შეფუთულ წიგნებს ხსნიდა, ფარდულში შეაქონდა, ახარისხებდა და ალაგებდა.

დალიმ და ელგუჯამ ხალხს გვერდი აუარეს და წიგნებთან გაჩერდნენ.

— გამარჯობათ! — თავი ასწია კოხტად ჩაცმულმა კაცმა.

— ინგლისური თუა რამე? — იკითხა დალიმ.

— არის კი, გენაცვალე! — შინაურულად უპასუხა კაცმა, წიგნებზე შემოხვეული თოკი დანით გაჭრა, ქალ-ვაჟს ერთხელ კიდევ გადახედა, გაიფიქრა, ამათ რა საერთო აქვთ ერთმანეთთანო, გაჭრილი თოკი ძირს დაადგო, ქაღალდები მიყარ-მოყარა და მერე ელგუჯას ჰკითხა: რას გვიბრძანებ, შენი ჭირიმეო.

— გვაჩვენე, თუ რამე გაქვს.

— ცოტა მაცალე, ელგუჯას ვენაცვალე, აქაურობას მივალაგ-მოვალაგებ, ჯერ მე თვითონ არ ვიცი, რა მაქვს და რა—არა. თუ არ გეჩქარება, მერე ჩამომაკითხე, ყველაფერს გადაგინახავ!

— დავიცადოთ? — იკითხა ელგუჯამ.

დალიმ თავი გააქნია. ელგუჯას ხელი ხელზე მოჰკიდა და კიბისკენ წავიდა. ელგუჯას ნაცნობები მიესალმნენ. ბიჭს გაეხარდა, ამ დღეში რომ იხილეს. ამასობაში დალი შეჩერდა და ელგუჯასკენ მოტრიალდა.

— მე ახლა ლექცია მაქვს და ვერ დავიცდი, ისე ძალიან კი მაინტერესებს, რა წიგნები მოიტანეს!

— მე აქ ვიქნები, არსად არ წავალ.

— სადამდე?

— შენ ჩამოსვლამდე.

— მე ერთ საათზე ადრე ვერ ჩამოვალ! — თქვა დალიმ და გვერდზე გაიხედა. იგი საერთოდ იმე იქცეოდა, თითქოს სხვას ელაპარაკებოდა. ელგუჯას უკვირდა, საიდან ესმის ჩვენი ნათქვამიო. ეგეთნებოდა, ქალი ვიღაცას ელოდა. ან თავს ისე იჭერდა, თითქოს ელგუჯას არც იცობდა.

რევზო ჯეიშვილი
ღალი

— არა უშავს, მანამდე წიგნებსაც ვიყიდდი და შეგინახავ.

— შენ რა იცი, მე რა წიგნი მინდა?

— ყველაფერს ვიყიდი და რომელიც გინდა, ის აიღე.

ამაზე დალის ისე უცბად გაეცინა, რომ ელგუჯას გულზე მოეშვა.

— არც ერთი არ იყიდო, ცალკე გადამიწყოს და მე ავიღრეკ.

დალის პასუხისთვის აღარც დაუცდია, შეტრიალდა და ისე უხმოდ წავიდა, რომ ელგუჯა დაბნეული დატოვა.

აპრილის ბოლოს თბილისში საერთაშორისო შეჯიბრი ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში. ესპარეზობაში ათიოდე ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. მათ შორის ირანის და იაპონის უძლიერესი მოჭიდავეები. ბულგარეთმაც მაგარი გუნდი ჩამოიყვანა. სპორტის სასახლე ყოველ საღამოს გატენილი იყო.

ელგუჯამ ხუთი შეხვედრა ზედიზედ მოიგო და თავისუფლად გაიკვლია გზა ფინალამდე. ახალი ჩემპიონი ელვისუსწრაფესად აკეთებდა ილეთებს და მოწინააღმდეგეს სულ ჰაერში ატრიალებდა. ვერავინ ისე ეფექტურად ვერ მუშაობდა. იგი კინაღამ მაყურებელთა კერპად იქცა. სპორტის მოყვარული ქალები, რომლებიც ფაქტიურად მაყურებელთა მხოლოდ ორ-სამ პროცენტს შადგენდნენ, ელგუჯასთვის ჭკუას კარგავდნენ.

ბოლო დღეს სპორტის სასახლეში ამხანაგ გოგოსთან ერთად დალი შელიაც მოვიდა. ქალები მაყურებელთა მუხლებსშუა ფრთხილად მოიკვლევდნენ გზას. მამაკაცები მოურიდებლად მისჩერებოდნენ დაგვიანებულ, უცნო სტუმრებს, რაღაც სხვა სუნი და სითბო რომ მოჰყვებოდათ. ზოგიერთს მარტო კაბის შარიშური აღიზიანებდა. დალი ყველაფერს გრძნობდა, წუხდა, მაგრამ არ ბრაზობდა. პირიქით, ეცინებოდა; ეგონა, რაღაცას ამავებდა, როცა ამ ხალხს მყუდროებას ურღვევდა.

ორასოდეს დალის ჭიდაობა არ ენახა; წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ ხდებოდნენ ჩემპიონები; რატომ, რისთვის მისცეს იმ სტუდენტ ბიჭს ოქროს მედალი და სახელი, რომელმაც მასზეც მოახდინა გავლენა. იგი ახლა ელგუჯას მორიდებულად ექცეოდა და ერთი-ორჯერ მოეჩვენა კიდეც, რომ ვაჟი საკმაოდ გულგრილად და ცივად ესალმებოდა.

შეჯიბრი მჩატე წონის მოჭიდავეებმა დაიწყეს. ხალხი რომ აყვირება, დალის შეეშინდა; ეგონა, რაღაც უბედურება ხდებაო. მერე თანდათან დამშვიდდა და რამდენიმე შეხვედრა ისე დამთავრდა, ვერც გაიგო, ვინ ვის მოუგო. ორმა მოჭიდავემ კი, რომლებიც მხოლოდ ერთმანეთს აწვებოდნენ და ეჯაჯავებოდნენ, კინაღამ ძილი მოჰგვარა. მოიწყინა და დარბაზის თვალიერება დაიწყო. გადაწყვიტა, დაეთვალა მარცხნა იარუსის პირველ რიგში რამდენი დედაკაცი იჯდა. ამ დროს ელგუჯას გვარი და სახელი გამოაცხადეს. მიწყნარებული დარბაზი ისე აგუგუნდა, რომ დალის სუნთქვა შეუკავდა. იგი მიხვდა, რომ სწორედ ახლა ხდებოდა ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი.

ელგუჯა ნელა მოდიოდა ელექტრონის შუქით განთებულ გრძელ ფარდაგზე. მარჯვნიდან და მარცხნიდან ორი კაცი მოჰყვებოდა. თითქოს ჯიშიანი ცხენი გამოჰყავდათ მანეჟზე. ბიჭს წიაღი საჭიდაო მაისური ეცვა. სწორი, ზომიერად დაკუნთული ბობრი ტანი პროექტორების შუქზე სპილენძისფრად უპრიალებდა. ხალხი სტვენდა, ტაშს უკრავდა, და დალი მიხვდა, ამ კაცის გამოჩენას მარტო თვითონ რომ არ ელოდებოდა.

ელგუჯა თურქ მოჭიდავეს ხვდებოდა. მაყურებლებს ყველაზე მეტად ეს ორთაბრძოლა აინტერესებდათ.

ელგუჯა ხალიჩასთან დადგა. მსაჯთა მაგიდაზე რაღაცას თათბირობდნენ. ელგუჯამ რამდენჯერმე თითქოს უდარდელად მოინაცვლა ფეხი და თავისიანებისაკენ მოიხედა. იგი ნერვიულობდა. ერთ სიცოცხლეს ათავებდა შეჯიბრების დაწყებამდე. გასახდელ ოთახში და ხალიჩასთან ლოდინი წამება იყო. ნერვიულობის დასაფარავად ზედიზედ იკრავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და იხსნიდა ხოლმე ფეხზე ლენტს, თუმცა იმ დღეს ძალიან მშვიდად იქცეოდა და გაიფიქრა, ნამდვილად ცუდად დამთავრდება ყველაფერიო.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა, წარსულში სახელოვანმა მოჭიდავემ, ელგუჯას ხელი გადახვია და შეხვედრის დაწყებამდე რაღაც ელაპარაკა. იცოდა, ბიჭი ღელავდა და არ შორდებოდა. როცა არბიტრმა სასტვენს ჩაბერა, მწვრთნელმა ელგუჯას ზურგზე ხელი მოუთათუნა და მოშორდა.

მოჭიდავეები ერთმანეთს მიესალმნენ, წელში წაიხარნენ და ფრთხილად წაუპოტინეს ხელები ერთმანეთს. ელგუჯა იმწამსვე დამშვიდდა.

თურქი იოლად მივიდა ფინალამდე, რადგან შედარებით სუსტი მოწინააღმდეგეები შეხვდა. იგი ბრაზიანი იყო. ყველა შეხვედრის დროს ჭაჭყანებდა, მსაჯებს უღრენდა. ძალა და გამოცდილება არ აკლდა, მაგრამ სპეციალისტების აზრით, ელგუჯას იოლად უნდა მოეგო.

ეგლუჯა მართლაც გაუჩერებლივ უტევდა პირველი ორი ტაიმი. გადაწყვეტილი ჰქონდა, შეხვედრა დასაწყისშივე სუფთად მოეგო. თურქიც აქტიურობდა და სულ არ აპირებდა უკან დახევას. ხალხი გაუჩერებლივ ღრიალებდა.

ელგუჯამ მოწინააღმდეგე დაჯაბნა, მაგრამ ვერც ერთი ილეთი ბოლომდე ვერ მიიყვანა. მხოლოდ ერთხელ ჩასვა ჩოქბჯენში და იმწამსვე აუშვა. ორჯერ ჰაერში აატრიალა, მაგრამ თურქი ორჯერვე ხალიჩის იქით გადავარდა და ელგუჯამ ქულა ვერ მიიღო.

ბოლო შესვენებაზე ახალგაზრდა სეკუნდანტი ელგუჯას მკლავის კუნთებს უზელდა და არწმუნებდა: ზედმეტ ხიფათს თავი მოარიდე, ეს სამი წუთი როგორმე გაძელი, ისედაც მოგებული ხარო. ელგუჯა ღრმად სუნთქავდა და სულ სხვაგან იხედებოდა, თუმცა ამხანაგის ლაპარაკი მაინც ესმოდა.

შეხვედრა განახლდა და თურქი გაჩელდა. ლეიბის კუთხიდან წამოვიდა თუ არა მაშინვე შეეტყო, რას აპირებდა ელგუჯამ მოსინჯა და მიხვდა, რომ მოწინააღმდეგე ტყუილუბრალოდ არ ფაფუხურობდა. თითქოს ძალაც მომატებოდა. დაღლა სულ არ ეტყობოდა. იგი ელგუჯაზე ბევრად დაბალი და დაკუნთული იყო. შავი ტანი ოფლისაგან უელავდა.

ელგუჯა მხოლოდ იმ ერთადერთი ქულის შენარჩუნებაზე ფიქრობდა, რომელიც დასაწყისში მოიპოვა. ამხანაგები რაღაცას ანიშნებდნენ, მაგრამ აღარაფერი ეყურებოდა.

ხალხი ყვიროდა.

რამდენიმე უცხოელი, გვერდითი მსაჯი კატეგორიულად მოითხოვდა, რათა თბილისელი მოჭიდავისათვის გაფრთხილება მიეცათ. ერთ გაფრთხილებას ყაიმი მოყვებოდა და ელგუჯა უცბად გადავარდებოდა მესამე ადგილზე. გაფითრებული მწვრთნელი ელგუჯას ხელით ანიშნებდა, არ გაჩერდე, არ გაჩერდეო.

ელგუჯას აღარ უნდოდა არც მოგება, არც პირველი ადგილი. მთავარი იყო, დრო გასულიყო და ჭიდაობას თუ წამებას ბოლო მოღებოდა. იგი წელში წახრილი აწვებოდა თურქს და ხალიჩიდან აგდებდა. დარბაზში ეგონათ. თურქი გარბისო და სტვენდნენ.

ფაქტიურად თურქსაც აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო. მართალია, შეხვედრის დამთავრებამდე ფეხებში ჩაკარდნას აპირებდა, მაგრამ ძალიან ჩქარობდა და არაფერი გამოდიოდა. ერთი ორჯერ წაუწვდინა ელგუჯას კანშებზე ხელი, მაგრამ თვითონ კინაღამ ჩოქბჯენში ჩაწვა და ამაზე შეჯიბრიც დამთავრდა.

ელგუჯა გაოგნებული იდგა ხალიჩაზე. როცა მწვრთნელმა და რამდენიმე თანაგუნდელმა გადაკოცნა, მაშინღა გამოფხიზლდა და დაღლილობაც გაუქრა.

სრულიად მოულოდნელად ელგუჯას თბილისში უამრავი მეგობარი და ნაცნობი გამოუჩნდა; ზოგიერთი, ადრე რომ

რეზო ჭეიშვილი
ფალი

სალამსაც არ კაღრულობდა, ძმაკაცობაზე იდებდა თავს.

კიმოთეს ჭეშმარიტად უხაროდა ელგუჯას წარმატება. მუდამდღე ელგუჯასთან იდგა და უფრო სხვების დასანახავად, ზედმეტად შინაურობდა. ელგუჯას ჭკუას არიგებდა. რაღაცას უხსნიდა და ზოგჯერ ლოყაზეც მოუთათუნებდა ხელს. ელგუჯას ეცინებოდა, თუმცა ხანდახან ამხანაგის თავში ხელის ჩაფარვის სურვილიც მოუვლიდა.

გივი ბურდაძე დროებით დააწინაურეს. რედაქტორი ხანგრძლივ, შემოქმედებით მივლინებაში წავიდა და ჟურნალს უკვე გივი აწერდა ხელს. თვითონ და უფრო მისი ცოლი, სამსახურის მანქანას იყენებდნენ. საკუთარი „ვოლგა“ სანახევროდ ელგუჯას ჰყავდა წაყვანილი. ელგუჯა არც ისეთი გაწაფული მძღოლი იყო, მაგრამ მანქანა დაკვირვებულად და საზრიანად დაჰყავდა. ბევრს ეგონა, მანქანა იყიდაო და უკვირდათ, ასე მალე ამდენი რა იშოვნაო. მანქანამ ელგუჯა სულ სხვა, მანამდე უცნობ, როგორც იტყვიან, გამოსულ ბიჭებს დააახლოვა; მანქანამ გაუჩინა ახალი საზრუნავი და საფიქრალი; გაათამამა, თავისი მდგომარეობა უფრო შეაფერებინა. დარწმუნდა, რომ ლამაზი და ღონიერი იყო და ქალებსაც მოსწონდათ. დალი „მგელიას“ დანახვაზე ენა და ხელფეხი აღარ ებორკებოდა და ხანდახან ეჩვენებოდა კიდეც, რომ ეს ქალი ამდენ ვაივაგლახადაც არ ღირდა.

კიმოთე მუდამ „ვოლგაში“ უჯდა. ელგუჯა ამხანაგს მანქანას არეკნინებდა, ან საყიდლებზე აგზავნიდა. კიმოთე საშინელი ზარმაცი იყო და ცდილობდა ყველაფერი უცბად და ზერელედ მიეფანიერებია.

— კიმოთე, გადაცუნცულდი, გენაცვალე, ერთი ყუთი ბორჯომი გამოიტანე, ჩავაგდოთ მანქანაში!

— შენ გადადი ჯობია, გიცნობენ და არ დაგიკავებენ! — ჭკუას არიგებდა კიმოთე.

— გადი, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

—კი არ მეზარება, მაგრამ რატომ უნდა გამაგზავნო, ბიჭო, შენ მე ბორჯომზე?.. შენზე უფროსი ვარ, შენზე ადრე ჩამოვედი თბილისში, თანაც ფეხი მტკივა!

— ბურთს რომ დასდევდი გუშინ გლახა ძაღლივით სტუდქალაქის ეზოში, მაშინ რატომ არ გტკიოდა ფეხი!

— შენთან ლაპარაკიც არ შეიძლება!..—წუწუნებდა კიმოთე და ბორჯომის მოსატანად მიდიოდა.

გაგრძელება იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორუმი

მტვრიან სცენაზე გამქრალა შუქი
და თითქოს ღამეს გაუჩნდა ბზარი —
გამოდის ოცდაცამეტი ტყუპი.
ერთდება ოცდაცამეტი მხარი.

იკვრება მუშტად მოქნილი დასი
და ყვირის ჩემი სისხლი და რჯული...
ამ სისხლით ფეთქავს ათი ათასი,
ასი ათასი ამაყი გული.

თუ ერთმანეთი არ გვეყვარება,
თუ ერთმანეთი არ გავიტანეთ,
თუ მიეჩვია უღლის ტარებას
მხარი, რომელიც სინდისს ატარებს,

თუ არ დამითმე... ისე, ვით თრობა,
ჩვენ გაგვაბრუებს შური და ბრაზი...
მერე მოგველის ქვეყნის დათმობა
და გადაჩეხვა მოვლილი ვაზის.

მე შენი ხელი მჭირდება, ძმაო.
მე შენი მხარი მჭირდება, ძმაო.
სანამ ცოცხალ ვარ — მე შენ მჭირდები.
სანამ ცოცხალ ვარ — სიკვდილთან ვდაობ.

...ოცდაცამეტი ირხევა ტყუპი.
მტვრიან სცენაზე ღამეა შავი...
და მერე, როცა ინთება შუქი,
ოცდაცამეტჯერ იხრება თავი.

მე შენი ხელი მჭირდება, ძმაო!..

მთავარ ქუჩაზე

შუა ქალაქში, მთავარ ქუჩაზე
ქარი დაათრევს ყვითელ აფიშებს
და აქლემივით მთვლემარ შუადღეს,
ვით მექარავნე ვუთვლი ნაბიჯებს.

გული არაფერს არ მითქვამს საშიშს,
მაგრამ რომ ვისმენ მდინარის ღრიალს,
მინდება ისე ჩაგიდგეთ მხარში,
როგორც ტყვიაში ჩამჯდარი ტყვია.

ერევა თვლემა კუზიან ხიდებს.
ზაფხული მოდის მშვიდი და ცხელი.
და მაინც, თუკი სადმე დაგჭირდეთ,
მოდით და მხარზე დამადეთ ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიწამური

ყოველ ზაფხულს წიწამური
წინაგრძნობით წივის
და ამაყობს თოფის ლულა
მორგებული ტყვიით.

იფანტება სროლის ექო.
იფერფლება დარდი.
გუშინდელი სინამდვილე
დღეს ლეგენდად დადის.

და ჰკიდია სვეტიცხოველს
ავგაროზად მკლავი.
წიწამურის ტყეში თეთრი
ობელისკი ჰყვავის.

აპრილია.
მთა და ბარი
იცინის და ტირის.
ვეფხვი მოკლეს
და ტურისტებს
ვერ აუდის მწირი.

ცხელი გული იფერფლება.
ცივი გული ხარობს.
მაპატიეთ,
რომ ცხელ გულზე გამიშლია კალო.

ცხელი გული იფერფლება.
ცივის მტერი არ ჩანს.
არაფერი დაკარგულა.
ყველაფერი დარჩა.

და ჰკიდია სვეტიცხოველს
ავგაროზად მკლავი
წიწამურში
ზამთარ-ზაფხულ
ობელისკი ჰყვავის.

მე ამ გზაზე სიარული
მადარდებს და მალხენს.
მაჟრჟოლებს და ვიმეორებ
საქართველოს სახელს.

❀

მე მომეჩვენა, რომ დაგინახე,
რომ შენ იდექი ქუჩის გადაღმა.
მე მომეჩვენა, რომ დამიძახე
შეშფოთებით და ოდნავ ხმამაღლა.

გამოგედევნე.
ჩვენ შორის მანძილს
ვერ დავაკელი ერთი იოტიც
და ხელი ჩემი შენსკენ გაწვდილი
ჩამომწყდა, როგორც მოჭრილი ტოტი.

❀

თოვლს მთებზე კურდღლის ძილით
ეძინა —
მზე ბრუნდებოდა იალაღებით.
გაზაფხულს მკლავზე გადაეწვინა
აყვავებული ქართლის ბაღები.

კუმისის ნაპირს და შავნაბადას
სველი ბალახით აევსოთ უბე.
მიგვაქანებდა თავის ნებაზე
აპრილი, როგორც უავდრო ღრუბელს.

ჩვენ ამ გაქცევას უნდა ვუმადლოთ,
რომ ვნახეთ მდგარი განმარტოებით
უტყეო მთების მწვანე უდაბნო
და ქარავნები ყაყაჩოების.

მე მეშინოდა თავის გამხელის,
მაგრამ გულისთქმას ვიღარ ვიტევდი
და წარმართული შენი სახელით
შემომყიოდნენ ჩემი ფილტვები.

მდინარეს თავი ვერ დაეჭირა,
რომ არ ემტვრია ხიდის თაღები.
გაზაფხულს სულში აღარ ეძინა —
მზე ბრუნდებოდა იალაღებით.

თამაზ გოდერძიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუჯები



კაკაროსის კვალში

„როცა თოვს, არა. როცა ბარდნის, ციდან პაწია. თეთრი ქოლგებით თვალით უხილავი კეთილი ჯუჯები მოფრინავენ. ქოლგები ნაირ-ნაირი და სხვადასხვა ფერია: ნუ გაგიკვირდებათ, თეთრიც არის სხვადასხვაფერი. ჯუჯები ფრთხილად, ნარნარად ეშვებიან. ზოგი მიწაზე, სახლის სახურავზე ან ხეზე მოიკალთებს ხოლმე. ზოგი კი, უფრო გაბედული, სწრაფმავალ მანქანასა და ქუჩაში ფენით მოსიარულეს აფრინდება. მერე თეთრ ქოლგებს იქვე სტოვებენ და თვითონ ბუხრებისაკენ მიისწრაფიან. ზამთარში ყოველ ოჯახში ანთია ბუხარი, ბუხარი — სიმშვიდეა. კეთილ ჯუჯებს სიმშვიდე უყვართ. სამაგიეროდ, მასპინძლებთან სიკეთე და დოვლათი მიაქვთ. გარეთ კი თეთრი, ქათქათა, ფაფუკი თოვლი რჩება...“

ტელეფონის ზარი! მიუპირს მოვშორდე კეთილ ჯუჯებს და ტელეფონთან მივიდე, მაგრამ შინ ჩემს მეტი არავინ არის. ტელეფონი კი რეკავს.

— გისმენთ.

ყურმილი სდუმს.

— გისმენთ!

ყურმილი ისევ სდუმს. მასხრობის დროა ახლა?!

—არ დაკიდო! — ისმის ბრძანება.

— გამარჯობა, გოგონა!

— გაგიმარჯოს. რას აკეთებ?

—არაფერს... — ვცრუობ, რადგან ეს

გოგონა ძალიან მომწონს. რომ ვუთხრა, რასაც ვაკეთებ, არ დაიჯერებს: დღის ორი საათია და საშინლად ცხელა.

— ჩემი ნახვა ხომ გინდა?

— ძალიან კარგად იცი, რომ შენი ნახვა ყოველთვის მინდა.

— მაშ მოდი, გელოდები.

— სადა ხარ?

— საბურთალო, მეოცე კვარტალი, მეხუთე კორპუსი, პირველი სადარბაზო, მერვე სართული. დაიმახსოვრე, თუ კიდევ ერთხელ გავიმეორო?

— გვარი?

— ასმეექვსე ბინა. ახლავე მოდი.

— კარგი, მოვდივარ.

ვიცვამ ახალ პერანგს, ახლადდაუთოებულ შარვალს, კრიალა ფეხსაცმელს.

ნახვამდის, ჯუჯებო! არ მოიწყინოთ, მალე დაგიბრუნდებით.

ქუჩა თოქმის ცარიელია და მზისფერი. ტაქსის მძღოლები მანქანებიდან გადმოსულან, ჩრდილში შეფუფულან და იშვიათ გამვლელებს თვალს აყოლებენ.

— საით? — მეკითხება მძღოლი.

— საბურთალო, მეოცე კვარტალი, მეხუთე კორპუსი, პირველი სადარბაზო, მერვე სართული. ასმეექვსე ბინა.

— ზევითაც მაშინით ავიდეთ?

— არა, ეს ისე, ვანგლობ.

— ცხელა.

გოგონას, რომელმაც დამირეკა, ლიანა ჰქვია. ლამაზი, შავი თვალები აქვს და მეტი არაფერი. ძალიან ლამაზი თვალები აქვს. თვალებს ქვემოთ ოდნავ შესიებია ქუთუთოები. ძალიან უხდება. ლიანა მომწონს და იმიტომ უხდება. ეს ვიცი. დიდი ხანი არ არის, რაც ვიცნობ, მაგრამ ძალიან, ძალიან, ძალიან მომწონს. ვიცი ხოლმე ასეთი ახირება. ჯერ ასე ვამბობ: ძალიან, ძალიან, ძალიან მომწონს. მერე ასე: მგონი მიყვარს. მერე კი — ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარს! აი შედეგიც: ახლა ლიანას მეტი ვერავინ გამომიყვანდა შინიდან.

— მივედით. — თქვა მძღოლმა.

— გმადლობთ. — ფული გადავიხადე, მანქანიდან გადმოვედი და სადარბაზოში შევედი. გულს ბაგა-ბუგი გააქვს. ლიფტი არ მუშაობს. კარგია, ფეხით ასვლა ეგებ დავმშვიდდე. რატომ ვღელავ? ყველაფერი რიგზეა, რისა მეშინია? მარტო რომ დამხვდეს? მაშინ რა ვქნა? მით უკეთესი. არა, მაინც რას ვიზამ, მარტო თუ დამხვდა? თმებზე ხელს გადავუსვამ. ჰო, ეს კარგი წინადადება მაქვს მომზადებული ყოველთვის, როცა სერიოზული გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო. თმებზე ხელს გადავუსვამ, კარგია, მაგრამ რა მოხდება მერე? უკვე მეშვიდე სართულზე ვარ. ისევ ვღელავ, ისევ მეშინია რაღაცისა და გულს ისევ გააქვს ბაგა-ბუგი. ასმეექვსე ბინას ზარი არა აქვს. უნდა დავაკაკუნო. ღრმად ჩავისუნთქე, კუნთები მოვუშვი და კიდევ ერთხელ ჩავისუნთქე. მერე დავაკაკუნე.

კარი ლიანამ გამიღო. მარტოა! არ მოველოდი!

— შემოდი, რას გაჩერებულხარ?!

შევედი. ლიანამ კარი მიხურა და ოთახში შემიძღვა. მადლობა ღმერთს! სასტუმრო ოთახში ლიანას თანატოლი დიასახლისი და კიდევ ერთი პაჭუაცხვირიანი, მაგრამ საკმაოდ ლამაზი გოგონა იყო. სამი გოგო, სამი ლამაზი, კოხტა გოგონა! შაჰი ვარ, ბებერი, ოცდამეთექვსმეტე წელში გადამდგარი შაჰი!

— გამარჯობათ! — მომესალმა დიასახლისი. დიასახლისი ლიანასთან ერთად გავიცანი, ძალიან მხიარული გოგონაა.— ეს ჩვენი ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტია; ახლა უკვე მეორეზე გადავიდა.

— გამარჯობათ. — მივესალმე ორივეს და დიდი სავარძლის წინ დავალ, წითლად შეღებილ სკამზე ჩამოვჯექი. ბავშვობიდან მიყვარს დაბალ სკამზე ჯდომა. როცა შევედი, გოგონებმა რაღაც ქაღალდები გადაშალეს.

— რას მალავთ, რას! — ახმაურდა დიასახლისი, — იცით, რა დავწერეთ?

— არ ვიცი. — მივუგე მშვიდად და ყურები ვაქვიტე.

—გაჩუმდი! — ფეხი დაუბაკუნა ლიანამ, — ახლავე გაჩუმდი, გესმის!?

— არა, უნდა ვუჩვენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გინდა, ჩემსას ნუ უჩვენებ. — ახლა უკვე იცინოდა ლიანა.

— არ მაინტერესებს. თუ არ გინდათ რომ მიჩვენოთ... — რატომღაც ძალიან მაინტერესებდა, რა ეწერა იმ ქაღალდზე. რაღაც გრძელ სიას უკვე მოეკარი თვალი.

— ჩვენი საოცნებო კაცების აღრიცხვა მოვახდინეთ! — განმიმარტა დიასახლისმა.

ყველაფერს ველოდი, ამის მეტს!

— ეს პირველი ნიშანი გარეგნობისაა, ეს სულისა, ესე იგი, მორალური მდგომარეობისა...

— ეს რაღა ნიშნებია? — იქ კიდევ ბევრი ერთიანი, ორიანი, სამიანი და რამდენიმე ოთხიანი და ხუთიანი ეწერა.

— ო, ეს საიდუმლოა.

— ეს იქნი და იგრეკი რაღას ნიშნავს?

— მაგ ყმაწვილების სახელი დაგავიწყდა.

რა ხდება? სადა ვარ, ვისთან? რა მემართება?!

— სერიოზულსა და ცუდს ნურაფერს იფიქრებ, — ხმამაღლა იცინოდა ლიანა, — ეს ის კაცებია, ვინც ჩვენ მოგვწონს და... ვისაც მოვწონვართ.

— აი ჩემი სია. — თქვა პირველკურსელმა.

— ოი, ამას უკვე ოცი კაცი მოუგროვებია! — გაოცდა დიასახლისი.

— მართლა? მე — მხოლოდ თორმეტი, — ეწყინა ლიანას.

— ამას ძალიან ვუყეკარდი. ეს ასპირანტი იყო, ესეც, ესეც, — ჩამოჰყვა სიას პირველკურსელი, — ეს — გეოლოგი, ესეც გეოლოგი. ერთი სიტყვით, რვა ასპირანტი, ოთხი გეოლოგი, ერთი... მორფინისტი და შვიდი სტუდენტი.

— მე სტუდენტებამდე არასოდეს ჩამოვქვეითებულვარ. — ხარხარებდა დიასახლისი.

— არც მე, — უპასუხა ლიანამ, — არა, ცარუბა, იყო ერთი სტუდენტიც.

— ცოლიანები თუ გყოლიათ? — ჩაბეირდა პირველკურსელი.

— რამდენიც გინდა.

სამივე იცინოდა, ისე გულიანად იცინოდა, რომ... აღარ შემიძლია ამ უტვენნო საუბრის მოსმენა. ავდგები ახლა და წავალ. რა მოგვიდათ, გოგოებო? გოგონები, რასაკვირველია, აბოლებდნენ. ოთახი ახლადგანიავებული იყო. მე პაპიროსს არ ვეწევი და სუნს საკმაოდ იოლად ვგრძნობ. სხვებს, ამათ თანატოლებს, არ ვიცნობ. შინაურებს არ ვთვლი: შინ ისინი სხვანაირად იქცევიან. ვთქვათ, გოგონები ჩემი ცდის პირნი არიან. თუ რაიმეს დავწერ მათზე — დღევანდელი დღე გამომადგება. მაგრამ ამის ატანა არ გინდა?! ხუმრობენ? რასაკვირველია, ხუმრობენ! ხუმრობენ თუ არ ხუმრობენ??

— ჩემი სია განსხვავდება თქვენისაგან, — ისევ გამოთქმით ამბობს პირველკურსელი, — თქვენ ბევრი რამ გინახავთ და გამოგიცდიათ.

მეტის მოთმენა არ შემიძლია!

— ამ ზაფხულს არსად არ აპირებთ დასვენებას? — ანგარიშმიუცემლად ვკითხულობ.

— ბათუმში.

— ლიძავაში. ზღვაზე. თქვენ?

— სამარყანდში.

— სად?

— სამარყანდში.

— საზღვარგარეთ? — არ მეშვება დიასახლისი.

— არა. ბუხარა და სამარყანდი არ გაგიგია?

— როგორ არა, როგორ არა. — ნამდვილად არ გაუგია.

— გინდათ რაიმე ნაწყვეტი წაგიკითხოთ? — სიტყვა ბანზე ააგდო დიასახლისმა.

— საიდან? — დაინტერესდა ლიანა.

იწყება მეორე მოქმედება. იგინიე და დიასახლისი ნაწყვეტს კითხულობს. დიასახლისმა თაროდან სკეტჩების კრებული გადმოიღო.

— არა, მანდედან არ გვინდა.

— ეს წიგნი ჩაის სახლში მოვიგე.

— რა ჩაიდინე ასეთი?

თამაზ გოდერძიშვილი

ჯუჯები პაპიროსის კვამლში

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვარი მოვიგონე ცეილონური და ჩაისთან დაკავშირებული: ჩაი მე ჩაი შენ.

— იცით, ახლა რას ვკითხულობ? — პირველკურსელმა ყურადღება მოითხოვა.

— რას? — ინტელექტუალური საუბარი ამჯობინა ლიანამაც.

— აი გაუთხოვარი... შეუხედავი გოგოსა რომ... ცნობილი დრამატურგის პიესაა.

— ვინ გირჩია წაიკითხეო?

— ჩვენი კურსის ხელმძღვანელმა ტურცილავამ.

— კარგი პიესა იქნება.

— ამერიკელი დრამატურგია.

— როგორ მინდა ჩემი თეატრი მქონდეს. — ინატრა ლიანამ.

— როგორც ერმოლოვას? — იკითხა დიასახლისმა და მე შემომხედა.

— აი გაუთხოვარი გოგოსაა და რაღაცა ცხოველებს...

— „შუშის სამხეცე“. ტენესი უილიამსი.

გოგონებმა შემომხედეს, მაგრამ არცერთს არ გაჰკვირვებია.

— დიახ, დიახ. — გაახსენდა პირველკურსელს.

— იცით, ჩვენ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდაზე ერთ გოგოს რა ჰკითხეს? — გაქტიურდა დიასახლისი.

— რა? — ვიკითხე ზრდილობის გულისთვის.

— რამდენი სისტემა აქვს სტანისლავსკისო. — სხაპა-სხაპით დამაყარა დიასახლისმა, — გოგონა ჯერ დაფიქრდა და მერე თქვა: სამო. გამომცდელმა სთხოვა: დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი და მერე გვიპასუხეო. გოგონა დაფიქრდა, თითებზეც კი გადათვალა და ექესიო თქვა დარწმუნებულმა. აბა ასეთებს რა უნდათ ჩვენს ინსტიტუტში! ჩვენთან სულ ლიანასნაირი გოგოები უნდა სწავლობდნენ. ყავა გნებავთ? — ამ გოგოსათვის ნამდვილად სულ ერთია, რასაც იტყვის!

— არა.

— პაპიროსს არ სწევთ, ყავას არ სვამთ! კიდევ, კიდევ რა გაქვთ ეროვნული?

— ყავა მართლა არ გინდა? — მკითხა ახლა ლიანამ და თვალებში შემომხედა. მე თავი გავიქნიე.

გოგონებმა ყავა მოიღუღეს და შეექცნენ; თან აბოლებდნენ.

ადექი, ადექი და წადი თუ ვაკაცი ხარ: კეთილ ჯუჯებს მოსწყინდათ!

ვუყურებ ლიანას და მაინც მომწონს; ძალიან, ძალიან, ძალიან მომწონს. თუმცა რა მისი ბრალია, რომ ლამაზი თვალები აქვს და გრძელი თმები?! მარტო რომ დამხვედროდა, რას გავაკეთებდი? თმებზე ხელს გადავუსვამდი? ჰო, რა გიკვირს, თმაზე ხელს გადავუსვამდი!

— მიმკითხავებ? — ჰკითხა დიასახლისმა ლიანას და ჭიქა გადაბრუნა.

— არა, ახლა არ შემიძლია.

— აბა, ჩემ ჭიქას შეხედე! — სთხოვა პირველკურსელმა.

— თქვენ ჩემი ჭიქა ნახეთ! — გაოცდა ლიანა, — ყველაფერი მიდის!

— ნუ გეშინია. ზოგ რამეს კიდევ მოასწრებ.

— ვერ მოვასწრებ. იცით, რა გოგო მოკვდა გუშინ?

დაიწყო მესამე მოქმედება. იგივეა და სევდიანი საუბარი.

— ვინ მოკვდა? — შეიცხადა დიასახლისმა.

— ნანა.

— რომელი ნანა?

— ჩემი მეზობელი. ჩემთან დაბადების დღეზე რომ ნახეთ. — თქვა ნაღვლიანად ლიანამ, — ლაბორატორიაში მუშაობდა.

— ის ლამაზი გოგო?

— სამუშაოს ბოლოს შხაპი მიუღია. როცა იცვამდა, გაზი აფეთქებულა და საცვლებზე ცეცხლი მოჰკიდებია. გარეთ გამოვარდნილა, ბიჭები დაუნახავს და ისევ ცეცხლში შებრუნებულა. სასწრაფოში მიიყვანეს, მაგრამ გვიან აღმოჩნდა...

— ჩემი დის ქმარიც დაიწვა. — თქვა პირველკურსელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ, შენი და გათხოვილი ყოო! — გაიოცა ლიანამ.

— ალბათ მალე წამოგცდება, რომ შენცა გყავს სამი წლის გოგონა.

— არა. მე ქალიშვილი ვარ.

— რა მოუვიდა თქვენ სიძეს? — ვიკითხე შეცბუნებულმა.

— უკიდურეს ჩრდილოეთში გაზის საბადო აღმოაჩინეს. ცეცხლს რომ უკიდებდნენ, ალი გადაყლაპა.

— საშინელი ტკივილი იცის.

— ძალიან დატანჯული.

სიჩუმე.

მეტი აღარ შემიძლია. ავდგები და წავალ, მაგრამ ხვალ... ხვალ ისევ დავურეკავ ლიანას? ალბათ. საათს დავხედე.

— უნდა წავიდე.

— ასე მალე? — იწყინა დიასახლისმა.

მგონია, მსახიობის ოსტატობაში ვარჯიშობენ.

— უნდა წავიდე.

— მოგწყინდა?

დიასახლისს ლოყაზე ხელი მოვუთუთუნე.

— ეს რას ნიშნავს? — ჰკითხა დიასახლისმა ლიანას, ლიანამ მხრები აიჩეჩა, — ხომ კიდევ მოხვალთ?

— აბა რას ვიზამ?!

ქუჩაში ისევ ცხელოდა. შინ რომ დავბრუნდები, ალბათ ლიანა დამირეკავს და მკითხავს: რატომ წახვედიო. რა ვუპასუხო?

შინ დაბრუნდა ოცდამეთექვსმეტე წელში გადამდგარი შაჰი. იბორიალა, იბორიალა; ცივი შხაპიც მიიღო. ვერ დაწყნარდა; ისევ იბორიალა ოთახში უთავბოლოდ. ტყუილად შესცქეროდა ტელეფონს: არავის დაურეკავს.

მაგიდაზე თეთრი ქაღალდი იყო. ქაღალდზე ეწერა: „როცა თოვს, არა, როცა ბარდნის, ციდან პაწია, თეთრი ქოლგებით თვალით უხილავი კეთილი ჯუჯები მოფრინავენ“...

სისულელეა!

როცა თოვს, ციდან ატმოსფერული ნალექი მოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ჩადის — მზე ამოდის

თავს აფარებდნენ შუკებს ვერხვები,
ეჯახებოდნენ ერთმანეთს ირთოლვით,
და სულს ღაფავდა შუქი, მერყევი,
როგორც ტოტებზე — აპრილის
თოვლი.
ხოლო ბუნება დუმდა თავისთვის
და ავრცელებდა იდუმალ ბგერებს.
ჯერ არ ვიცოდი, კრთომა დაისის
რას გულისხმობდა. ეს იყო მერე:
ამაშიც არის რაღაც დიადი —
ცვალებადია ხოლმე ბუნებაც
ისევე, როგორც კაცის გუნება.
განწყობილება და ხასიათი,
რომელშიც ახლა ვერკვევი უკვე,
რადგან თენდება ამ საღამოთიც —
ეს მზე ნელ-ნელა სადღაც ამოდის,
სად — სულ ერთია, ამოდის უკვე!

გაზაფხულის მოახლოება

თებერვლის თოვლქვეშ გრძნობები
თვლემდნენ.
რაც მოხდა ბოლოს, ჰოხდა მარტივად:
ჯერ აღმოცენდი სულში ვარდივით —
ყინული გადნა, და ამის შემდეგ —

მოულოდნელად, უხმოდ და უცებ
წამომადექი მზესავით თავზე,
და ავიხედე — ხარები ასე
იგერიებენ აბეზარ ბუზებს.

მე უკვე მივხვდი, რომ დადგა ჟამი
და უკეთ უნდა მეხნა, მეთესა,
უკეთ მეზრუნა და უმეტესად
მზეზე მეფიქრა — ძილის წინ, ღამით.

ხმაჩახშობილი მდინარის მიღმა
გადაუხნავი ბოლავდა მიწა,
რომელიც ბრძოლის ველივით იწვა
და განაგებდა ჩემს ბედს და იღბალს.

გვიანი თოვლი

შემოიხედა ფანჯრებში დილით,
შეტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტუმრო

სასტუმრო ყველას უღებდა კარებს,
ვისაც ფული და სურვილი ჰქონდა.
უფრო კი ფული. ძალიან ცოტა —
ათასში ერთი — რჩებოდა გარეთ.

და, პა, მეორედ შევაღე კარი,
სადაც ჯერ შესვლის არ მქონდა ნება
და უკვე დამცსრალ ჟინსა და ვნებას
ანიავებდა მსახური ქალი...

ოთახი იყო არც ისე კარგი,
მაგრამ არც ისე ურიგო — აქაც
აორკეცებდა თვითეული საგანს
გაუმაძღარი მუცელი სარკის.

მე აქ ოდესღაც ვუხმობდი მთვარეს,
ან გატაცებით ვფურცლავდი ლორკას.
და ერთდროულად მეძინა ორგან,
და მუდამ მიშით ვახელდი თვალებს...

მაღლა აზიდულ შენობებს შორის —
გადაჭიმული მთიდან ბარამდის,
როგორც პლაკატი ან ტრანსპარანტი,
იკითხებოდა აისის ზოლი.

დგებოდა დილა, ჩუმი და ფრთხილი.
და მე ვცდილობდი, უბრალო ენით,
გადმომეტანა ქაღალდზე მელნით
ეს ჯადოქრობა სისხამი დილის.

მაგრამ მაბნევდა განზრახ და ძალით
რაღაც თუ ვიღაც, უცნობი დღემდე...
და, ჩვეულებრივ, მზის ჩასვლის შემდეგ,
დასავლეთისკენ მეჭირა თვალი.

მე უხმაუროდ ვტოვებდი ოთახს,
თუმცა არავინ მიცდიდა გარეთ.
...სასტუმრო ყველას უღებდა კარებს,
ვისაც ფული და უფლება ჰქონდა.

●

ჩემს ვიწრო გზაზეც დგას ვიღაც ჩია,
მთლად უჩინარი კაცი,
რომელსაც მუქთი დიდება შია —
ხელუხლებელი განძი.
მე მას გზას ვუთმობ: — მოიკალ ჭია,
გასწი, საბრალოვ, გასწი!

ჩემს ვიწრო გზაზეც დგას ვიღაც ჩია,
ღვთით გაჩენილი კაცი...

გრანიტის სვეტი

როგორც ყველასგან გამიჯნულ ოთახს,
სადაც ცდილობენ მყუდროდ დასახლდნენ,
საკუთარ თავში ეძებს დასაყრდენს
მრავალი, მაგრამ პოულობს ცოტა.

ვერ აღწევს ამას ასიდან ორიც,
მე კი ვიპოვე და დავდე ფიცი,
რომ მოვაქცევდი ცისა და მიწის
უსასრულობას ოთხ კედელს შორის.

მე ეს შევძელი. სხივები მთვარის
ისე აჩენდნენ ფანჯრებთან ჭადრებს,
გათენებამდე საათით ადრე
ეხუჭებოდა ვარსკვლავებს თვალი...

თოვდა თუ სეტყვა ბზარავდა კრამიტს,
არ დამცდენია არასდროს: „ღმერთო!“
თქვენ — ლოდად, მე კი ბალიშად მედო
თავქვეშ მუდარა უძილო ღამის.

მე მელანდება შემკრთალი დედა,
თითქოს დათოვლილ ნაძვების გვერდით,
როგორც საფლავზე გრანიტის სვეტი,
ამოვიზარდე საკუთარ მედან...

ახლა ჩემს სმენას, სულს და გონებას
ღვთიური ხმებიც აღარ ართობენ, —
მოწყენილობა და სიმარტოვე
ფეხქვეშ მიწყვია ყვავილთ კონებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

●

ხელში მიპყრია დეკის ყვავილი —
ჩემი წარმართი მამულის დროშა...
და
ცეცხლმოდებულ ივლიანებზე არყების ჯოგი
თავქვე მომიდის — გადაღვარული
ჭალებისაკენ...

იქ —
მდინარეთა ზედაპირზე ცხელი თიბათვე წვეს
და
ყანებში მოჟონილი მწიფობა მღერის.
ენთება მზე და განთიადის
ისრის ბილიკი
ბალახთა,
ხეთა
და ღრუბელთა თვალებში გადის.
მე ამ მხარეში მეგებება მხოლოდ ცაცხვის ხე
და დედაჩემი —
ბალახზე რომ მიდენის ნახირს...
მე გარდაცვლილი სიმღერები მესმის შორიდან —
ბნელში ჩიფჩიფებს წინაპართა ძვალთშესალაგი.

ვისთვის ქვითინებს მიმწუხრისხანს
მხოლოდმავალი
კლდეთა და ქართა ცრემლის ჩქერალი?
ვინ მოთქვამს იქით —
ნანგრევების მარტოობაში —
ვისი ხმა ისმის?..

ნასახლარების უმწეობავ,
მე ამ მსალმობელ
და მლოცველ ხეთა ზედაპირიდან
დატყვევებული ქარი მომიდის...
და
ცეცხლმოდებულ ივლიანებს მოვერეკები...
მე დავასასხლებ
შენს წიაღში ქართა ბორიალს,
ბალახთა ჩურჩულს
და იელის უცხო სინათლეს...

მაგრამ ეს ქარი მიმწუხრისას რატომ ქვითინებს,
ან
გარდაცვლილი სიმღერები საიდან ისმის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშარის ბოლოს ნარიყი
არყები ენთო ჭალაზე.

ცეცხლთან ქაჯები როკავდნენ
დამწვარი ფეხისგულებით.

მიღმით ნაძრახი მაცილი
ხელებს მიწვდიდა დილამდე.

ენთო ლაშარი ხმელგორზე
მიტოვებული ცეცხლივით.

შუაფხო

შოთა ჩანტლაძის ხსოვნას

ვის შევაჩერე თავი ან ბოლო
ამ მოკრძალების და სითამამის.
სახლების თავზე შრიალებს ბოლის
თეთრი სიცილი.
ყივის მამალი.
თენდება უკვე. მიმწუხრის მერე
მე აქ ვიდგები. მე აქ მოვიცდი...
ეს თოვლი ისევ თავისთვის მღერის,
რადგან არავინ მღერის თოვლისთვის.

შემოდგომური სინანული მღერის ჭალებში.

მე მდინარეთა გადაღუნულ მხრებზე
ვპოულობ
უძღური წვიმის საგალობლებს,
ბალახთა კვდომით
გაბრუებული
და მგლოვარი ლანდების წყებას...

წიფლიანებმა აიყვანეს ჩრდილები ხელში.
ჩამოიფლითა ნეკერჩხლების ლურჯი
სამოსი...

გიორგობისთვის ნაბიჯების ფაჩუნი
დადის
ჩემი სალმობით
გარინდული ჭალების ფსკერზე.

შიომღვიმე

— ქართლის ველებზე დამინთე თოვლი
და უსიერი ტევრი გამკაფე.

შენი ცრემლების თეთრი ექვანი —
შენი წუხილი შემაბი გულზე.

აკეცე მთათა ყველა ბილიკი —
ღორღზე ბრმასავით გადამატარე.

ქართლის ველებზე დამინთე თოვლი.

ზურაბ რცხილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მათეს სიცრუე

მოხუცს დამჭკნარ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო, ღონემიხდილმა, როგორც ოქნა, თვალი გაახილა, ცოტა ხანში ენაც ამოიდგა და სააქაოს დაბრუნებით ყველანი გააოცა. თერთმეტივე შვილს თვალი გადაავლო და გაიფიქრა— ამ ქვეყნიდან წასვლა არც ისე ძნელი ყოფილა, როგორც მეჩვენებოდაო.

მათე ოთხმოცისა იყო და შვილები შიშობდნენ, ვაი თუ სენმა დასძლიოსო, მაგრამ მოხუცმა სამარიდან ჯერ ცალი ფეხი ამოადგა და მერე ნელ-ნელა კიდეც ამოცოცდა. თქვენს შემხედვარეს სიკვდილი რას დამაკლებსო, ჩურჩულებდა და შვილებიც სიხარულით ცასა სწვდებოდნენ.

მოხუცი ფიქრებს მისცემოდა, კარგია ავად რომ გავხდი, თორემ ასე ერთად შვილებს თავს ვერ მოვუყრიდიო.

ღვთის ანაბარა მიტოვებული არასოდეს დარჩენილა, შვილები აკითხავდნენ, თითო-თითოდ მოდიოდნენ, ეხლა კი... ერთად თავმოყრილი შვილების ჭრიამული მათეს სულს მალამოს სცხებდა—ჩემი მკურნალი ეგ არისო, თერთმეტი შვილი — თერთმეტი ბარტყი ამ პატარა ბუდეში დაზარდა და სათითაოდ ისეთი ღონიერი ფრთები შეასხა, ცხოვრებაში ერთიც არ დავარდნილა.

შრომა ოჯახში უცხო ხილი არ იყო, სისხლში ჰქონდათ, ჯიშით მოსდგამდათ. კვიცი გვარზე ხტისო. მშობლები მათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც კლასიკური ლიტერატურის მასწავლებლად ამზადებდნენ. უცხოეთში გაილტუმრეს და მერე კარგა ხანს ეგონათ, რომ მათი პირმშო ელინურ მითებს ხარბად ეწაფებოდა. ამ დროს კი მიუნხენში ახოვანმა აზიელმა ცოდნითა და გამჭრიახობით ტექნიკური აკადემიის პროფესორები მოაჯადოვა და ალმართი კავშირგაბმულობის მაგისტრის წოდებისაკენ სულშოუთქმელად აირბინა. სამაგიეროდ, მიუხენნიდან კურდღელივით მორბოდა. წვიმანი, ავი დარი იდგა. ისე დაძვრა, არავის გაენდო. პროფესორ ჰანს ფეენრიხის აეზნიანი ცოლის შარლოტას სატფიალო კლანჭებისაგან შარის დახსნის ეს ერთადერთი უცდელი ხერხი-ღა დარჩა. ფრანკფურტამდე მატარებლის ფანჯარას არ მოსცილებია. მშობლების დანაბარები კარგად ახსოვდა — ცოლად გერმანელი ფროილაინი არ ჩამოგვიყვანო, თორემ შენს თვალწინ თავებს დავიხოცავთო.

ჰოდა, ეხლა, თბილისში მშობლებს გამოეცხადება და ეტყვის: ფილოსოფოსად ნუთას უკაცრავად, სამაგიეროდ, უცოლო დავბრუნდი, თუ გნებავთ ესტატე უზნაძის ქალს ოქროს ბეჭდით დავნიშნავ და ქორწილის თადარიგს დღესვე შეეუდგებიო.

უზნაძის ქალი გათხოვილი დაუხვდა და ეს მათეს დიდად არ სწყენია. ცისფერი დიპლომი მშობლებს წინ დაუგდო, ადვილად შეირიგა და ევროპა სულ მალე სიხმარივით ახსენდებოდა.

ეგონა ცხოვრებაში სულ ასე ჰაი-ჰარად იცლიდა, მაგრამ ერთმა დალეულმა გოგომ ისეთი არტახები დაუბერა, რომ ქვეყნად იმის თვალების მეტს ალარაფერს იფიცებდა.

ნატოსთან ერთად თერთმეტი შვილი დაზარდა და გზაზე დააყენა. სამსახურშიც შეუცველი კაცი იყო. დამსახურება, მადლობები, კალთების დახვევა — კიდევ ერთ წელს იმუშავეო. მაგრამ დრო ღონეირია, თავისი გააქვს. ბოლოს სმენამაც უმტყუნა, თავს ზევით ძალა არ იყო და ბოლოს და ბოლოს სამსახურშიც შეელივნენ.

ეხლა კი წევს ნაავადმყოფარი და ჭერს შესცქერის — კაცი წუთისოფლის დამლევს თავის ნაოფლარს ერთხანს ასე წამოწოლილი უნდა უცქერდეს. თერთმეტი შვილი სათქმელად ადვილია, ლამაზიც არის. გასაზრდელად კი თერთმეტი გოლგოთაა. ოჯახში სიყვარული თითქოს თავისთავად ითესებოდა. მამა მხოლოდ ზრუნვას არ აკლებდა და ერთის სიხარულით ისე ხარობდა, ეს ტკბილი შარბათი ყველას ტოლად უნაწილდებოდა. ერთი სიტყვით, მეგობლობისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ მისი ბაღი სხვაზე უკეთ ჰყვაოდა და ნაყოფიც ჯიშიანი ესხა.

და-ძმანი ერთმანეთთან ეხლაც ძველებურად არიან — ერთი რომ მეფერის, სხვები ბანს აძლევენ. ისიც არის—ამათ უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემს. ბევრნი არიან — ერთი მეორესათვის მალამო და ყავარჯნენი. მხოლოდ ნაბოლარა გამოდგა ახირებული. მხოლოდ ამან გაუშრო სისხლი. იმისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. დღენიადაგ კარში იყო. წუთით შემოირბენდა, შუათანა ძმას, ცხენსაშენის უფროსს დასცინოდა — ახალი დრო მოდისო, შენი ცხენი საცაა გადაშენდება და მხოლოდ სურათებზეღა შემოგრჩება, თითო-ოროლასაც სიმუზეუმოდ შემონახავენ, რომ მომავალმა თაობამ ნახოს წინაპრები რა ჯაგლაგებით მოგზაურობდნენო. ნაბოლარა წინასწარმეტყველი გამოდგა. ძრავმა იძალა და გიგასაც ქვეყნის საქმე გამოუჩნდა, ჩარხი, დაზგა, ძრავი და ავტომობილი: მოკლედ ეს კვიცი გვარზე მხტომარე აღმოჩნდა.

●

შვილებმა ავადმყოფ მამას ბევრი გრძელი ღამე სასთუმალთან უთიეს, თავს შენაცვლებით დასტრიალებდნენ, თვალის ჩინივით უვლიდნენ. მოხუცმაც თითქოს ისმინა, ამაგი წყალში არ გადა-

ზურაბ რცხილაძე
მათეს სიცრუე

უყარა და სიბერის ჟამს სიკვდილი კიდევ ერთხელ გააცურა.

დღეს თერთმეტივე თავზე აღგას, მაგრამ უშნოდ კი, ძალიან უშნოდ ახირებულან — ნუ სვამო.

„წუთისოფელი ერთი წამია... მე ჩემი დღე გავლევ... მინდა დაველევ, მინდა არა... მოკვდებიო... ან, კოტე ჩალაბრიშვილი თუ არა სვამდა, მამა უცსონდა ხო იცი, ზემოთ დარჩა, სულ იმას მოსთქვამდნენ რამ მოკლა, რამ მოკლაო?! არა სვამდა, არ ეწეოდა... გაცინებული არ მახსოვს... ჰოდა, სწორედ იმან მოჰკლა. სმით კაცი არ მომკვდარა. ანდა რა სმაა, ერთი ბოთლი, თანაც ეს ახალი შუშა, შიგ ლიტრიც არ ეტევა“, ფიქრობდა მათე და სასადილო ოთახში შეგროვილი შვილების საუბრის მოსმენას ამოდე ცდილობდა. და-ძმანი ჩურჩულებდნენ და მოხუცი იმათსას ვერაფერს იგებდა.

კედელს იქით კი შვილებმა მტკიცედ გადაწყვეტეს — მამამ სმაზე ხელი უნდა აიღოს.

გაჭიანურებულმა სენმა და ზამთრის ავდრებმა გუდა-ნაბადი ერთად აიკრეს.

მათე მომჯობინდა.

გაზაფხულის მზემ ქალაქს დაჰკრა და ნუში აფეთქა... ჰაერში ჭადრებისა და ქვაფენილის სუნი დატრიალდა.

ყანდაურელმა კახელებმა და სანდარელმა თათრებმა ცხვარი ფარა-ფარა ჩამოატარეს.

მათეს წამოდგომის დღეს მზიანი დარი დადგა.

შვილებმა თადარიგი ადრევე დაიჭირეს. სუფრასთან ძველებურად, მთელ ოჯახად უნდა შემომსხდარიყვნენ. წესისამებრ, მამა თავში დაჯდებოდა და პურს წინანდებურად პირველი გასტეხდა. ეს ყველაფერი უფროს დას, თამარს საგანგებოდ ჰქონდა ჩაფიქრებული. მისი სიტყვა კი მამის ნების შემდეგ ოჯახში კანონად ითვლებოდა. ეს წესი დედის გარდაცვალების შემდეგ დაწესდა.

სუფრა გაშალეს და უფროს-უმცროსობით შემოუსხდნენ.

მათეს ჩააცვეს და მხრებში ამოუდგნენ. მოხუცი ზღურბლთან შეჩერდა, შვილებს გადახედა, თავს ძალა [illegible] და თვალებზე მომდგარი ცრემლი უკანვე ჩაიბრუნა. ამ უბრალო სადილმა და სუფრის ირგვლივ შემოსხდარმა შვილებმა ოცდაათი, ორმოცი წლის წინანდელი დრო გაახსენა. ასე იყო ხოლმე მაშინ, ისხდნენ და ელოდნენ. ასეა ეხლაც. დიდი ბავშვები სხედან და ელიან.

მოხუცმა სკამი მოირგო, სუფრას გადახედა, დარწმუნდა, რომ არავინ აკლდა და ისე, ვითომ არაფერი მომხდარაო, პური გატეხა.

წელგაწყვეტილი ჭიქები შეავსეს, დაილოცეს, მოხუცს სიცოცხლე უსურვეს და „გახსოვს ტურფაც“ შემოსძახეს...

მამის წამოდგომით გამხიარულებული სუფრა ნელ-ნელა ჩაცხრა. სიტყვას სიტყვა მოჰყვა და საუბარი გაიბა... ლაპარაკობდნენ, რომ წელს უფროსი შვილისშვილი უმაღლეს ამთავრებს და საპატრონოა, რომ გიორგიმ ვერა და ვერ გადაცვალა ბინა, ხოლო ირაკლი სამსახურის გამოცლას ფიქრობსო. ლაპარაკობდნენ ამინდზე, ბაზრის მაზანდაზე, ფეხსაცმელებზე, ბავშვები განგებ რომ გლეჯენ. ბოლოს, ვითომდა ყასიდად, სიტყვა მამის ჯანმრთელობაზე ჩამოაგდეს.

უფროს ძმას, არჩილს მიაჩერდნენ, არჩილი ექიმია და მამას რა ეკრძალება და რა-არა ყველაზე უკეთ იცის. უფროსმა ძმამ დანა-ჩანგალი მისწი-მოსწია, თეფში უაზროდ შემობარუნა და გაჭირვებით აჭრიალდა:

— მამა, ოცი წლის რომ არა ხარ იცი, და აღარ გავიმეორებ.

— არც ოცდახუთისა, — ჩაურთო გიგა-ნაბოლარამ, მაგრამ თამარმა გადახედა და ხმა ჩააკმენდინა.

— ჰოდა, რადგან არც ოცისა ხარ და არც ოცდახუთისა...

— თავს უნდა მოუაროს. — დაასწრო თამარმა, რომელსაც არჩილს სიტყვა გაჭიანურებული ეჩვენა.

აქეთ-იქიდან ბანი მისცეს. თავს მოვლა უნდა, ეგრე არ შეიძლებაო.

ორმოცი წლის წინათ მაშა შვილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიგებდა, ეხლა ყველაფერი პირიქით ხდებოდა.

— შენი სმა არ იქნება, — მოკლედ მოსჭრა ვახტანგმა, და არჩილს თვალებით უსაყვედურა: რა არი, რით ვერ ამოშაქრეო.

— არ შეიძლება, — შეაშველეს აქეთ-იქიდან.

— რატომ? — სცადა თავის მართლება მათემ, — აკი წამოვდექი, ეხლა რაღა მიჭირს, ანდა სადილად თითოროლა ჭიქა რას მავნებს.

— რადგან არჩილი ამბობს, ალბათ გაენებს. — სცადა ჩარევა ირაკლიმ.

მათე ჯიუტი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ეხლა პირობას ვერ დასდებდა. იმ ხნისა არ არის, როცა ჩვეულებებზე ხელს იღებენ და ამიტომ არაფერს ჰპირდებოდა. შვილები კი არა სცხრებოდნენ: ღვინო სიკვდილია, სმით შემოდგომამდეც ვერ გაატანო.

არჩილს ათასგვარმა აზრმა გაუელვა, სადაც სიმართლე არა სჭრის, იქ ხერხი თავისას გაიტანსო, ფიქრობდა ექიმი.

— მამი, კიდევ რამდენ ხანს გინდა იცოცხლო!

ასეთ კითხვას არავინ ელოდა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

მათე იღიმებოდა.

არჩილმა იფიქრა, ალბათ ვერ მიმიხვდაო და კითხვა ხელმეორედ ჩაუმარცვლა.

სუფრა დაიძაბა.

ოცდაორი თვალი მოხუცს მიეწება.

— მინდა ვიცოცხლო, შვილო, — მოხუცი ჩაფიქრდა, მერე ჭერს ახედა და თითქოს იქ ამოიკითხა, — კიდევ ათი წელი, მხოლოდ ათი.

— ჰოდა, სმას თუ არ შეელევი, ხუთ წელსაც ვერ გაატან, — წადილი გაუნახევრა არჩილმა, შუბლზე მომდგარი ოფლი მოიწმინდა, ჭიქას დასწვდა და გადაჰკრა.

მოხუცს თვალები მოულოდნელად გაუბრწყინდა, სახე გაებადრა. კბაყოფილმა ჯერ ჩუმად ჩაიცინა, მერე ნელნელა სიცილს უმატა და გულიანად ახარხარდა. იცინოდა მთელი ტანით, კანკალებდა, ახველებდა, ჰაერს ხარბად ყლაპავდა. ჩერდებოდა და სიცილს კვლავ ვერ იკავებდა.

შვილებიც აპყვნენ, დიდხანს იცინეს, მერე ერთბაშად ჩაჩუმდნენ.

მათემ სული მოითქვა და არჩილს ცალუბად გადაუგდო:

— სამწუხაროა, ბატონო ექიმო, მაგრამ უნდა გაგენდო... მოგატყუე... ხუთ წელზეც თანახმა ვარ და დარჩენილი წლების განახევრებისა არ მეშინია.

არჩილს პირმრგვალი სახე შოთივით დაუგრძელდა, მათემ კი სუფრას ისე გადახედა, როგორც მოგებულ ნარდს და ნაბოლარას ძველრიხიანად გადასძახა:

— ღვინო რა იქნა, გიგავ, შე ყურუმსაღო, ღვინოს ვერა ვხედავ, აბა მალე, ერთიც შემასვით და დამაწვინეთ, მოვიღალე — და იქვე ნირწამხდარ არჩილს ქილიკური ღიმილი ესროლა.

და-ძმანი გვიან წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ მერეც, ვიდრე მამა არ წამოაყენეს, საღამოობით მასთან გროვდებოდნენ.

მათემ ფეხი აიდგა და გარეთაც გამოიხედა.

ერთ დღეს მეთუნგე ლეკისგან ლიტრიანი ჯამი მოათრია და უფროს ვაჟთან კაცი აფრინა: ღვინის სმას შეველიე, სადილად მხოლოდ ერთ ფიალას გეახლები, თუ არა გჯერა მეწვიე, შენი თვალით ნახე და დარწმუნდებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზით და სიმართლით

ასი ყური მაქვს, რომ მოგისმინოთ,
რომ დაგინახოთ, თვალი მაქვს ასი.
ფხიზლობს გუმანი — ფხიზლობს მიმინო,
რომელმაც იცის ნათქვამის ფასი.

ხშირად მოდიხართ ჩემთან სიზმრებად
ზოგი უცნობი, ზოგი ნაცნობი...
და თქვენი სულის ფერში იზრდება
ძირი და ფესვი ჩემი კაცობის.

მზით და სიმართლით მე ვარ მდიდარი,
მთებში გამირბის ხმა ექოებად...
და სტრიქონებში, როგორც მდინარე,
მიშვებულია ჩემი ცხოვრება.

იმერეთი. უემოდგომა

რად მეჩვენება მუდარით სავსე
ხმები დაძრული მთიდან, ბარიდან;
რამ დააფეთა ხმაური ასე,
ტყეები ასე რამ გაარინდა.

ასე გულდაგულ რას მღერის მწყერი,
რამ მოსდო ცეცხლი კრახუნას მარცვლებს;
რატომ ზეიმობს ყვითელი ფერი —
ფოთლების უხმო სიკვდილის მაცნე.

რად ვისმენ ხარბად კორისწყლის შხუილს,
ან ეს ჰანგები სულს რად მირწყავენ...
რა აკრობს ასე თვალ და ხელ შუა
მთებზე აქა-იქ მბჟუტავ სიმწვანეს.

რატომ მომიხმეს ნატვრის ზარებით
ამ მოწყენილმა ეზომ და შუკამ;
წარსულში შესვლა რად მეჩქარება,
რას დამიბრუნებს წარსული უკან.

ნარიყალა

ვწევარ უძრავად,
საქართველოს წარსულზე ვწევარ,
ჩემი სხეული
ივერიის ტკივილს ისრუტავს...
ირგვლივ ბიბინებს მყუდროება —
მწვანე ბალახი,
ისვენებს ჟანგი
გამაძღარი ხმლებით, შუბებით...
საუკუნეებს გადავცქერი
და მესმის კვნესა
მძიმე მუშტებით გაჭყლეტილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლურჯი სიბრაზის.
აქ ნებისყოფის მუზარადზე
ყეფდა სიკვდილი.
აქ განსაცდელი
ერთგულების ფსას უსინჯავდა
მეციხოვნეებს...
და ცდუნებათა ჭრელი გველები
ცივი სისინით დახოხავდნენ
გალავნის ირგვლივ...
გადავრჩით ასე...
ალალმედზე გადავრჩით მართლაც
და მიხარია
ჯიშიანი სისხლის სიცოცხლე...
დღეს ნარიყალა
ფანჯარაა ხავსმოდებული
და ამ ფანჯრიდან ვიხედები მამულის სულში.
ვწევარ უძრავად,
საქართველოს წარსულზე ვწევარ,
ჩემი სხეული
ევრიის ტკივილს ისრუტავს.

დარჩება ლექსი

მზე ღრუბლებიდან
გამოტყორცნილ სინათლის ტოტებს
რბილად ალაგებს
თბილისის მთებზე
და ქართველის დედის ფიალაში
ვინის მაგივრად
ასხია ჩვენი სიამაყე
და მოლოდინი.

დაშლილი ციხის
შინდისფერი ბურჯები სდუმან,
ჩემი და შენი სულის ხმაური
ზიაქვთ სტრიქონებს დაუკითხავად.
დარჩება ლექსი —
დღევანდელი დღის ღვიძლი შვილი
და ამ სიყვარულს
შეგვინახავს გასახსენებლად.

მე გამოვფხიზლდი

მე გამოვფხიზლდი...
და ახლა ირგვლივ
სიცარიელე ტირის ხმამაღლა;
მე მივეჩვიე...
და აღარ ვითვლი
სულში რამდენი ნატვრა ჩამახმა.

კვლავ თუთუნივით ფიქრს ვეძალები,
სურვილებს ისევ ლოდინში ვავლებ...
და წინაგრძნობა ბასრი ბრჭყალებით
ერთადერთ იმედს უკორტნის თვალებს.

გაწურებული დღეების ღვარი
მკერდზე გადამდის და მიირწევა
და მიაქვს შენი სიტკბლით მთვრალი
ჩემი მდუმარე თავდავიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გალაკტიონმა დასწრო სიკვდილს.
და მის სხეულში
გრძელმა ღამემ დაისადგურა.
ეს არ ნიშნავდა
არც საყვედურს,
არცა ბოიკოტს,
არც წუთისოფლის მწარე სამდურავს.
არც წამიერი იყო აღგზნება,
ნახტომი იგი გასაოცარი, —
მან ამ სიკვდილით ხალხს შეახსენა,
რომ ის სხვებივით იყო ცოცხალი.

პ ო ე ზ ი ა

დავალ თუ ვდგავარ, ვდუმვარ თუ ვმღერი,
მიჭირს თუ მილხინს, მძინავს თუ მღვიძავს,
იგი სააკვნე ხეც არის ჩემი
და ერთი ციდა საფლავის მიწაც!..

სიბერის წლებშიც მას ვეღარ გაცვლი
თუ ერთხელ იგრძნობ მის ღვთიურ ფერებს;
აქვს პოეზიას კანონიც მკაცრი —
ჯერ უნდა მოგკლას და გშობოს მერე!..

წ ყ უ რ გ ი ლ ე

ჰეი, წყურგილე, საოცნებო, ჩემო წყურგილე,
ჩემს ფარულ ფიქრებს ერთხელ მაინც
შემოურბინე,
რომ ბალახივით აიყაროს ტანი სტრიქონმა
და ჩემს წილ მიწას დაეკსოვოს ცოცხალ
გრიფონად!..
წყურგილე, მუდამ საძებარო ზღაპრულ სკივრივით,
შენა ხარ ჩემი სიამეც და ჩემი ტკივილიც.
ვიცი, უშენოდ უკვდავებაც ერთი წამია,
ეს ცივი განსჯა მოკვდავთაგან შემისწავლია.
მამცნე, სადა ხარ უხილავის თავსაფარითა,
რომელ კლდის გულში მიწკარუნობ
დასაბამიდან?!
ან ვის ულესავ წვერწამახულ ქარაფს ნიადაგ,
ვაითუ, სადმე სამუდამოდ დაგაგვიანდა!..
გესმის, წყურგილე, სანუკვარო, ჩემო წყურგილე,
ჩემს ფარულ წყურვილს ერთხელ მაინც
შემოურბინე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულგარელი პოეტები

გიორგი სვეჭინი

ინტიმური

რატომ დაუგდე, შე საწყალო, ჩემს ღლიცინს ყური?
მე ხომ გეხუმრე!
შენ, ხუმრობა არ იცი, თუ რა?!
ღღეს გულს მიკორტნის, ვით ყორანი, ის წუთი კრული!
იმ დღეს და საათს, — წყევლა და კრულვა!..
გადაივწყვ ყველაფერი,
რაც მოხდა მაშინ!
ისე ჩათვალე,
ის საღამო არც იყო თითქოს...
შენგან არ მიკვირს!?
ვაზი როგორ გეგონა ვაჟი?!
ვით ვერ გამიჯნე
მზის სითბო და ვაჟკაცის სითბო?!
წადი,
გაფრინდი!
შენც ჩიტივით შემოკკარ ფრთა ფრთას! —
იმ გზას დაადექ, —
თეთრი როა, ვით შენი ბაბთა.
მე რას მიყურებ!
მე ცხოვრება მოვჭამე ჩემი.
შენ ჯერ ბალღი ხარ,
ჯერ ადრეა შენს თვალზე ცრემლი.
მე არ ვარ კაცი.
ვარ ღირსი დასჯის.
მოდექ და მლანძღე
ერთ წამში ასჯერ.
მაგინე დღისით, მაგინე ღამით! —
ჰო, ასე ჰქენი!
შვება იგრძნო იქნება ამით...
(რადგან მე გიმტრე,
ფრთას როცა შლიდი)
მაგრამ მე ნეტა
ვიქნები მშვიდი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტუმროს ანკეტა

მოდგა ანკეტა სასტუმროსი დაკითხვას შენსას,
და თითქოს გულზე გაძგერეს ხიშტი, —
სხეულში გაგცრა,
პირკატა გეცა, —
უცებ რომ გკითხა:
— ჩამოხვედი ვისთან და რისთვის?

რა გინდა რომ ქნა, —
იცრუო თუ იყო გულწრფელი?! —
ცნობისმოყვარე არ გაცილებს თვალებს ფურცელი!
არადა,
უნდა იცრუო რატომ?!
საძრახისია განა სიმართლე?! —
სულ ხომ საქმეზე არ ივლი მარტო,
ხომ შეიძლება კაციც გიყვარდეს?!

ჰოდა, დაწერე!
დაწერე, მიდი! —
რაც სიმართლეა —
დაწერე იგი.

მჯერა: ანკეტას შევსებულს ასე, —
ვერ დაგიბრუნებს თვით ყველაზე გულცივი კაციც.

დაწერე?!
ყოჩაღ!
ო, აი, ეგრე!
ახლა კი მრწმენინ, —
ხარ ჩემი ნეკნი.

დამიან დამიანოვი

რ ე კ ვ ი ე მ ი

ჭირის დღედ გვიჩანს მე და შენ გაყრა;
შენ გინდა ჩემთან, მე მინდა შენთან.
მაშ რატომ დაგვდო სულზე ამ ხალხმა?!
რატომ არ უნდათ, რომ ვიყოთ ერთად?!
ო, ხალხი, ხალხი, უგულო ხალხი!
რას გვიშვრებიან! არც კი რცხვენიათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მატყუარა ვარ მათი აზრით,
შენ კი, ნუ იტყვი, თურმე-გერია.
მეძებრებივით დაგვდევენ უკან,
კვალს ჩვენსას ყნოსვით აგნებენ ხოლმე...
ჩვენ კი, ამ ჩვენი მბეჭუტავი შუქით
მათ გავუმკლავდეთ, სად შეგვწვეს ღონე?!
ურთერთს ვაგზალზე ვშორდებით თითქოს,
ორთავეს სული გვევსება თოვლით...
შენ თრთი, არა აქვს შენს პალტოს სითბო.
— გზა მშვიდობისა! — მომძახი თრთოლვით.
და ერთმანეთში ირევა ახლა, —
ტრფიალი, ფული, ორთქლმავლის კვამლი...
რაც შემიძლია, მე ფაუსტს ვთათხავ,
დღემდე რომ მისი არსებობს გვამი.
ვიყრებით, ვიცი. ამიტომ გთხოვდი, —
გამოვიყენოთ ეს ორი წუთიც,
სასაფლაოზე გავიდეთ, მოდი, —
მკვდართა წინაშე ვაკოცოთ ურთერთს.
მწამს: მათი უფრო გაგვიგებს ავლი,
სამართალს მხოლოდ მე მათგან ველი...
ვართ დასჯის ღირსნი?! მათ დაგვდონ ბრალი!
ხომ ხედავ, ცოცხლებს არ ესმით ჩვენი!
წამო! ჭირიც კი კარგია ზოგჯერ!
რა ბედენაა მღილი და ობი!
მოვკვდებით?! აღარ დავეძებ! — მოვკვდეთ! —
ნება მკვდრებს მაინც გვექნება ტრფობის.

ავტოქრონიკა

დედამიწაზე უდროოდ გავჩნდი, —
დრო შემხვდა ერთობ მკაცრი და ფიცხი,
ჯერ კიდევ ყოვლად უმანკო ბავშვმა
ვიხილე კაცის დაღვრილი სისხლი.
ლაღი დღის სიტკბოს ვიგრძნობდი სანამ, —
პირში ქვემეხის მეძგერა კვამლი,
ძილის წინ შლაგერს მიმღერდა ნანად
ლილი მარლენი, — გარყვნილი ქალი.
თითქმის ყოველღამ ქვემეხნი ყეფდნენ,
გაუდიოდა ზეცას კაშკაში...
ვერ მოვიშალე ამიტომ დღემდე
საჰაეროსი შიში განგაშის.
გულად ფოთოლი მიძგერდა ვერხვის,
ვიყავი მორცხვი, როგორც ენძელა,
სათვალიანი ბიჭუნა მერქვა,
ყველა საგანში ექვსი მეწერა.
არ ვიცი, იქნებ ეს სიზმარს ჰგავდეს,

ვერ დავივიწყე აქამდე ოღონდ;
დავწექი ბავშვი, ვაჟკაცად ავდექ;
ქუჩაში ეგდო ჩემხელა გოგო.
თქვით, ვარ თუ არა მე ახლა ღირსი, —
თავისუფლებას დავუკრა ტაში,
მე, ვინც გაკვეთილს ვსწავლობდი მაშინ, —
თქვენი იღვროდა როდესაც სისხლი!

ჯესელინ ხანჩევი

ბ ა ნ ა ჩ ე ნ ი

ცხოვრებას ჩემსას,
რომ ცხოვრება არ ერქვას ძაღლის! —
უნდა ჩაძაღლდეს უსათუოდ ბევრი რამ ჩემში.

იმ მეგობრობას,
არ იკარებს რომელსაც სული,
და სამარცხვინოდ
არ მეთმობა რატომღაც მაინც, —

უნდა ავუგო
უპირველეს ყოვლისა წესი!

იმ მოკლე სურვილს,
მე გამიშრო რომელმაც სისხლი,
რაც მაიძულებს,
ვიყო მონა პაწია ხალხის, —

დრო არის უკვე —
სახრჩობელის მოვარგო ყულფე.

მზევ სტანიოლის, —
ბავშვებს მზე რომ ჰგონიხარ ნაღდი,
მეც რომ აქამდე
სწორუპოვარ მნათობად გთვლიდი! —
დღეიდან უკვე
ბურდღა აღარ იქნება შენი.

უნდა დაგხოცოთ,
არ იქნება დანდობა თქვენი!
ცხოვრებას ჩემსას
მსურს ცხოვრება ეწოდოს კაცის.

1942 წ.

ბულგარულიდან თარგმნა **მუხრან მაჭავარიანმა.**

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲨᲘ

ᲙᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲘ

ᲙᲣᲠᲘᲚᲔᲜᲩᲘᲛᲘ ᲯᲐᲓᲐᲠᲘᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲤᲐ ᲓᲐᲣᲓᲔᲒᲠᲐᲜ ᲯᲐᲡᲬᲝ, ᲥᲣᲩᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲔᲝᲠᲔᲨᲘ ᲐᲣᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲐ. ᲛᲫᲘᲣᲛᲐᲠᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲘᲡᲘ, ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲧᲣᲧᲣᲠᲑᲔᲓᲜᲔᲜ, ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲠᲣᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲪᲧᲝᲐ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲣᲪᲘᲠᲔᲑᲓᲐᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲣᲪᲘᲓᲐᲗ ᲒᲐᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲨᲘᲛᲬᲣᲚ. ᲧᲕᲔᲚᲐᲛᲐ ᲘᲪᲘᲪᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲢᲙᲘᲪᲜᲔᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲬᲐᲒᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲘᲡᲢᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲘᲚᲐᲡᲐᲪ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ...

— ᲠᲐᲓᲔᲪᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲘᲒᲘᲐ, ᲒᲠᲘᲒᲝᲠ ᲯᲐᲡᲔᲚᲘᲡ-ᲫᲔ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲘᲗ ᲗᲣ ᲠᲐ? — ᲩᲙᲘᲗᲮᲐ ᲨᲔᲪᲑᲣᲜᲑᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲛᲐ ᲡᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘ ᲔᲗᲛᲐᲨᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲙᲣᲠᲘᲚᲔᲜᲩᲘᲛᲘ ᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲒᲘᲗᲮᲛᲘ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲐ, ᲘᲡᲘ ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲐ, ᲘᲚᲘᲣᲛᲘᲜᲐᲢᲝᲠᲗᲐᲜᲘ ᲛᲘᲒᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲝᲮᲔᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲛᲘᲗ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛ ᲒᲐᲘᲪᲘᲛᲐ, ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲞᲘᲚᲝᲢᲗᲐ ᲡᲐᲒᲠᲐᲛᲝᲜᲔᲑᲓᲐᲜ, ᲑᲝᲡᲢᲐᲜᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲒᲐᲛᲘᲓᲐ. ᲡᲐᲨᲔᲣᲚᲝᲜᲗᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲐᲜᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ, ᲩᲐᲛᲝᲛᲫᲰᲐᲠᲐ, ᲒᲐᲛᲔᲫᲮᲐᲠ-ᲒᲐᲚᲔᲣᲚᲘ, ᲒᲔᲓᲠᲝᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲐᲜᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲒᲐᲛᲘᲓᲐ. ᲡᲐᲛᲘᲜᲘ. ᲛᲝᲜᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲜᲒᲣᲚᲔᲑᲓᲐᲛ, ᲑᲝᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲜᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲩᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ, ᲠᲐ ᲛᲝᲣᲪᲘᲓᲐᲗ ᲒᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲜᲒᲣᲚᲔᲑᲓᲐᲛ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘ ᲔᲗᲛᲐᲨᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲙᲣᲠᲘᲚᲔᲜᲩᲘᲛᲘ ᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲒᲘᲗᲮᲛᲘ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲐ, ᲘᲡᲘ ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲐ, ᲘᲚᲘᲣᲛᲘᲜᲐᲢᲝᲠᲗᲐᲜᲘ ᲛᲘᲒᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲝᲮᲔᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲛᲘᲗ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛ ᲒᲐᲘᲪᲘᲛᲐ, ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲞᲘᲚᲝᲢᲗᲐ ᲡᲐᲒᲠᲐᲛᲝᲜᲔᲑᲓᲐᲜ, ᲑᲝᲡᲢᲐᲜᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲒᲐᲛᲘᲓᲐ. ᲡᲐᲨᲔᲣᲚᲝᲜᲗᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲐᲜᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ, ᲩᲐᲛᲝᲛᲫᲰᲐᲠᲐ, ᲒᲐᲛᲔᲫᲮᲐᲠ-ᲒᲐᲚᲔᲣᲚᲘ, ᲒᲔᲓᲠᲝᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲜᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲩᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ, ᲠᲐ ᲛᲝᲣᲪᲘᲓᲐᲗ ᲒᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲜᲒᲣᲚᲔᲑᲓᲐᲛ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘ ᲔᲗᲛᲐᲨᲔᲑᲝᲓᲐ.

— ᲙᲐᲪᲛᲐ ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲐᲡ, ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲘᲛᲬᲣ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲛᲘᲝᲥᲪᲐ, — ᲗᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲘᲚᲐ�პᲐᲠᲐᲯᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲝᲓᲐᲪ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲘᲡ.—ᲐᲰᲐ ᲐᲛ ᲓᲔᲚᲒᲐᲨᲘ ᲠᲐ ᲒᲕᲒᲙᲐᲓᲠᲐᲯᲔᲑᲐ? ᲐᲡᲔ ᲛᲔᲜᲜᲐ, ᲜᲔᲠᲘᲡ ᲙᲘᲓᲝᲛᲑᲐᲜᲨᲘ ᲘᲣᲜᲘᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲐᲓᲠᲐᲜ, ᲓᲐᲯᲐᲖᲔ ᲝᲗᲔᲒᲠᲘᲤᲘᲡ ᲛᲗᲐᲠᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲐᲠᲑᲐᲪᲔᲑᲘᲗ.

— ᲐᲠ ᲘᲫᲘᲜᲔᲑ ᲘᲧᲝᲪᲐᲡ ᲓᲔᲚᲒᲘᲡ ᲘᲛᲘᲓᲔᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, — ᲡᲐᲛᲐᲠᲯᲝᲓ ᲣᲐᲓᲒᲘᲚᲝᲓ ᲨᲔᲛᲝᲘᲡᲠᲝᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲘᲪᲘᲜᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲐᲒᲘᲜᲔ ᲐᲰᲙᲝᲚᲝᲗᲐ.

ᲬᲘᲙᲐᲣᲢᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲒᲐᲘᲒᲝ. ᲡᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲖᲔᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲓᲘᲧᲝᲤᲝᲗᲐ ᲐᲬᲣᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲚᲛᲔ ᲓᲐ ᲗᲣ ᲙᲣᲠᲘᲚᲔᲜᲩᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ, ᲨᲔᲠᲩᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲘᲫᲘᲜᲔᲑ ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲘᲪ ᲛᲝᲒᲒᲐ.

ᲙᲣᲠᲘᲚᲔᲜᲩᲘᲛᲘ ᲓᲐᲣᲓᲔᲒᲠᲐᲜ ᲛᲝᲑᲐᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲪᲐᲓ ᲗᲥᲕᲐ:

— ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲕᲐᲠ ᲐᲠᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ-ᲫᲔ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ, ᲒᲐᲘᲒᲔᲗ?

ᲡᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲚᲓᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲓᲐ, „ᲡᲛᲔᲜᲐᲖᲔ“ ᲒᲐᲛᲝᲘᲭᲘᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲬᲣᲗᲘᲡᲐᲜ ᲒᲐᲫᲒᲐᲕᲓᲐ, ᲯᲘᲥᲕᲗᲐ ᲨᲔᲡᲘᲪᲧᲔᲠᲝᲓᲐ ᲛᲝᲰᲐᲠᲓᲐᲠᲘᲧᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲝᲠᲛᲐᲓ ᲩᲐᲛᲯᲔᲓᲘ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲠᲐᲓᲔᲪ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲘᲯᲐᲠᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲬᲧᲠᲑᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ.

— ᲨᲔᲪᲘᲓᲔ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ! — ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲐ ᲡᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜᲛᲐ. — ᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲑᲛᲔᲗ ᲒᲙᲘᲗᲮᲝᲗ: ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲕᲗᲕᲐᲚᲝᲗ ᲔᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲩᲐᲕᲗᲕᲐᲚᲝᲗ?

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲕᲗᲕᲐᲚᲝᲗ? — ᲩᲐᲘᲪᲘᲠᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲝᲓᲐᲪ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲘ. — ᲛᲔ ᲗᲣ ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲗ, ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓᲔᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲕᲗᲕᲐᲚᲝᲗ.

— ᲰᲔ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ, — ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲬᲕᲨᲔᲡ ᲡᲮᲕᲔᲑᲛᲐᲯ. ᲙᲐᲘᲣᲢᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲗᲐᲜᲗᲐᲨᲐᲓ ᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲯᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲘᲪᲐᲓᲐ ᲓᲐᲓᲐᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲚᲘᲚᲘ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲢᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲮᲣᲛᲝᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲘᲪᲘᲠᲘᲜᲗᲐᲜ.

— ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲒᲔᲜᲔᲑᲗᲐᲗ, ᲘᲡᲘ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲔᲗ, ᲝᲠᲝᲜᲚᲔ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲘᲗᲬᲕᲚᲔᲗ! — ᲪᲘᲪᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲗ ᲓᲐᲛᲠᲘᲒᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲘᲔᲠᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲙᲣᲠᲘᲚᲔᲜᲩᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲡᲚᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲛᲔᲖᲐᲓᲐ. — ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲕᲗᲥᲓᲐᲗ,

გემის წესდების გადახედვა დაგპირდებათ ერთხელ კიდევ და გამოცდასაც ხელმორეულ ჩამბარებები.

„ნუთუ ხელახლა გამოცდაზე დამყენებენ?“ — ცეცხლად შეენთო სუფეილის უკიდურესად არასასიამოვნო აზრი.

უფროსმა თანაშემწემ მეტისმეტად ბევრი თქვა, რომ სამეფიცენო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი სუფეილაინ გულერილი დარჩენილიყო. საქმე ისაა, რომ სუმა ინშბაგის-ძე სუფეილაინ შედარებით ახალბედა იყო გემზე. სიესკადრო ნაღმოსანზე სამსახური ჯერჯერობით უფრო უჭირდა, ვიდრე დანარჩენები. სულაც არ ჰქონდა საზღვაო განათლება, თუმცა სავალდებულო სამხედრო სამსახური, სამედიცინო ინსტიტუტში შესვლამდე, სწორედ ფლოტში მოიხადა, სატარავდო კატერზე, სადაც ფრიადოსანი ტორპედისტი იყო, სარდლობისგან არაერთხელ ჰქონდა მიღებული მადლობა და ჯეკის სიგელები. მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო, ბევრი რამ მას შემდეგ შეიცვალა. ინსტიტუტი წარმატებით დაამთავრა, უზადო დასტაჟარი გამოვიდა, პირველივე ოპერაციები სანაქებოდ ჩაატარა.

სამამულო ომის დაწყებისთანავე სუფეილაინ ფრონტზე წავიდა, ჩრდილოეთის ფლოტში მოხვდა, საზღვაო ჰოსპიტალში. იქ მალე მოიხვეჭა ავტორიტეტი არა მარტო ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციებით, არამედ ნაყოფიერი მუშაობითაც ჰოსპიტლის სამედიცინო პერსონალსა და ავადმყოფთა შორის.

კომკავშირელ სუმა სუფეილაინს ყველგან ნახავდით, სადაც საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართებოდა სადღეისო საკითხებზე, ზუტგისა და ფრონტის, მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის შესახებ. ტანადი, მოყვანილი, ჯან-ღონით სავსე კაცი იყო, დიდი, შავი თვალებით სადღაც შორეთში იყურებოდა, გარეგნულად მუდამ მშვიდი და წყნარი იყო, როგორც ზღვა, რომელიც რისხვას სადღაც სიღრმეში ფარავს. რაკი ამ ახოვან სვან ჯაბუკს ენაც უჭრიდა, დიდი ცოდნაც ჭქონდა და დაუზარებელი მოსაუბრეც იყო, ახალგაზრდობა მუდამ ხალისით ირეოდა მის გარშემო, და განა მარტო ტოლ-სწორები! ბევრად უფრო ხნიერნი ხალისით უსმენდნენ, სიყვარულსა და გულისხმიერებას გრძნობდნენ მისგან და თვითონაც იმითვე პასუხობდნენ.

მაგრამ სუფეილაინ არ იყო კმაყოფილი თავი სამსახურით წყნარ ჰოსპიტალში. გული ბრძოლის ველზე მიუწევდა. სატარავდო კატერზე უნდოდა დაბრუნება, რომ მტერთან პირისპირ ბრძოლაში გამოეცადა თავისი მკლავი და გონება, მსგავსად სხვა მეზღვაურებისა, რომლებიც ბრძოლის ქარცეცხლში იხვეჭდნენ სახელს. ერთხელ სტალინგრადის ფრონტზეც სცადა მოხვედრა, სადაც მაშინ განსაკუთრებით ჭირდა, მაგრამ ვერ მოახერხა: მოხალისეთა რიცხვი ისე დიდი აღმოჩნდა, რომ ჩრდილოეთის ფლოტის სამხედრო საბჭომ მათი [illegible] შეზღუდვა გადაწყვიტა: ნაწილდან მხოლოდ შვიდი კაცი გაუშვა. სუფეილაინს მხოლოდ დატუქსვა ეერგო თავისი ზედმეტი თავგამოდებისათვის. საყვედური უსიტყვოდ მოისმინა, მაგრამ ოცნებაზე ხელი არ აუღია. შემთხვევაც მალე მიეცა. ეს მოხდა მაშინ, როცა მის წინ საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდა მისი ძმადნაფიცი, საესკადრო ნაღმოსან „სტარშინის“ მენაღმე ბორის ბოკუჩაკი. ბრმა ნაწლავის შეტევით გათანგული კაცი პირდაპირ გემიდან მოჰგვიოს.

— რა გინდა ფრონტზე, ან რა დაგრჩენია სატორპედო კატერზე? — ჰკითხა ბოკუჩაკმა, ერთხელ, როცა ნაოპერაციევი, როგორც იტყვიან, სრული გამოჯანსაღების გზაზე დადგა. — გადმოდი ჩვენთან, საესკადრო ნაღმოსანზე. ისეთი მეხივით კომისარი გვყავს. რომ რას არ მოახერხებს! გემის ექიმი იქნები საესკადრო ნაღმოსანზე, ფლოტის ყველაზე უფრო შეუპოვარ ხომალდზე...

— გემის ექიმი... ვერაფერი საბრძოლო თანმდებობაა!

— არა, რასა ბრძანებ, — გაიცინა ბოკუჩაკამ. — მხოლოდ სახელად ჰქვია ექიმი, თორემ ნამდვილი მებრძოლი ოფიცერი იქნება. არც ცეცხლი დაგაკლდება, არც წყალი.

— ჰო, მესმის... ბოლოს და ბოლოს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, — დაეთანხმა სუფეილაინი, — მთავარია, მტერზე გამარჯვების საქმეს საგებლობა მოეუტანოთ, სადაც არ უნდა იყოს.

მართლაც, გემის კომისრის მეცადინეობით ყველაფერი ისე მოეწყო, რომ სუმა სუფეილაინი ჰოსპიტლიდან საესკადრო ნაღმოსანზე გადაიყვანეს. აქ უფრო ახლოს იყო ცეცხლიც და დიდმაც.

სუმა ორიოვეზე ხალისით ლაპარაკობდა. მხოლოდ იმაზე, რაც შორეული სვანეთის მთებში გადახდა, ექიმი ღუმდა, ამოოიხრებდა, თავს ჩაჰკიდებდა და გაჩუმდებოდა.

სუფეილაინს მოსწონდა ნაღმოსანზე სამსახური. თავიან-ფეხიანად გადაეშვა ხომალდის საბრძოლო ცხოვრების მორეცში, უკეე მოასწრო ორჯერ მონაწილეობა გემის საბრძოლო ლაშქრობაში, როცა „სტარშინმ“ მართლაც საშინელი დარტყმა აგემა ფაშისტებს: სამი ტრანსპორტი ჩაძირა. ყველაფერი ჩინებულად ჩაიგლიდა, მაგრამ ორღაც ეშმაკად გეშმე ბიანშინის პირველი დღიდანვე ავი თვალით შეხედა გემის უფროსმა თანაშემწემ. კურილენკომ კბილი დასსო ამ კაცს, მიზეზებს ეძებდა, ყოველ ნაბიჯზე ვესლავდა. საკმარისი იყო სუფეილაინს ოდნავ წაებორძიჭა, რაიმე შეცდომა დაეშვა, რომ ხელახლა გამოცდაზე აყენებდა არა მარტო იმ საგანში, რაც შეეშალა, არამედ ერთიანად ყველა საკითხში. მერე გამოცდის ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარება უხდებოდა ისევ კერილნკოსთან, რაც ყველაზე უარესი იყო. სუფლიანს უკვე ღარე ახსოდდა, რამდენჯერ მოუხდა ჩაბარება-გადაბარება, რაც ასე უშირდა.

— ახლა რაღას იზამ? ისევ გამოცდაზე გახვალ? — პირველმა დაარღვია დუმილი უფროსმა ლიტენანტმა ბოგნიაკმა, როგორც კერილნკომ კაიუტ-კომპანიის კარი მოაჯახუნა.

— როგორ რას ვიზამ? გავალ, როგორც ნაბრძანებია. მე არ მინდა მაგისი გამოცდისა!— შუბლი შეიკრა სუფლიანმა.

— მე კი შენს ადგილზე რამდენიმე პარტიას ზედიზედ წავაგებდი და საქმესაც მოვიგებდი, სამსახური სხვაგვარად წავიდოდა, — თითქოს თავისთვის ჩაიბურტყუნა ბოგნიაკმა და განზე გავიდა.

სუფლიანმა თითქოს სიბრალულით გააყოლა თვალი გრიცკო ბოგნიაკს, მაგრამ დუმილი ამჯობინა, თუმცა მისმა ნათქვამმა ძლიერ აღაშფოთა. ექიმს ეს ოფიცერი არ მოსწონდა. ქვემოთკენ წაწვეტებული, სტაფილოს მოყვანილობის ტანი, გრძელი, ძვალტყავა სახე, პატარა, ცეცხვის მარცვლებივით წვრილი და უფერული თვალები და გაჩაჩხული ულვაში ამ კაცსა რაღაც ხენეშ განცდას აღვიძებდნენ მნახველში.

— უცნაური წინადადებას ამლევ, ჩემო ძმაო, — მაღალი, მხარბეჭგანიერი ბოკუჩავა ტანმორჩილ ბოგნიაკს თითქმის ზემოდან დასცქეროდა. — ეს, რა თქმა უნდა, თავისებური მოსყიდვაა და მლიქნელობა, ეშმაკმა დალაზროს!..

— გრიგოლ ვასილის-ძესაც უნდა გავუგოთ,— დაიწყო ბოგნიაკმა და გაავსი: — უფროს თანაშემწეს არ უყვარს მეზღვაურები, რომელთაც ზღვის ავადმყოფობა ერევა, ჩვენს ექიმს კი, ღმერთმა ჯანი მისცეს და, სრულოსავით ეკიდება... გარდა ამისა, ყველამ იცის, რომ ექიმი მეზღვაური არაა, ისე კი... ჩვენს წრეში შემოხვევით მოხვედრილი კაცი ჩვენს უფროს თანაშემწეს არ უყვარს. ექიმი კიდევ, იმის ნაცვლად, რომ ყველაფერი ეს შეიგნოს და ცოტა მორიდებულად ეჭიროს თავი, ყოველთვის აბუზად იგდებს გრიგოლ ვასილის-ძეს, როგორც კი ამ ჯადოკს მოუსხდებიან. სულაც დაიწყეოლს ეს თამაში!

თითქოს ნაცხი გატყდაო, ოფიცრებმა ერთხმად შეესაბეხეს:

— რას ნიშნავს, აბეჩად იგდებსო? სუმა პრინციპულად თამაშობს მასთან, მორჩა და გათავდა. მაშ ამა რანაირად?

— რანაირად ეთამაშოს? აჩუქოს პარტიები თუ რა?

— მაშინ რაღა საქმეაა საერთოდ თამაში, ისიც ჭადრაკისა?

ყიყანის ამტეხნი გააჩუმა გუშაგმა ოფიცერმა, რომლის ხმაც რუპორში გისმა: „გემის უფროსი სთხოვს საგუშაგოდან თავისუფალ ყველა ოფიცერს საბრძოლო ჯიხურში ამოსვლას“.

გემის უფროსის მიერ ოფიცერთა გამოძახება სამეთაური პუნქტში, ზღვაზე საბრძოლო დავალების შესრულების დროს, არც ისე ხშირად ხდებოდა და ჩვეულებრივ ამის რიგი მნიშვნელოვანი გარემოება იწვევდა ხოლმე. ოფიცრებმა იმავე წამს გადაავიწყეს საკადრაკო ინციდენტი და ისე სჩქარობდ მიაშურეს საუფროსო ბოგიის, რომ გასასვლელში რამდენიმე კაცი ლამის გაიბეჭდა.

თუ კაიუტ-კომპანიაში რაეცა არც ისე ძლიერ ინერძნობოდა, ზედა გემბანზე ზღვის სტიქია საკმაოდ მრისხანედ ბობოქრობდა. ნორდ-ვესტი, ეტყობოდა, შვიდ-რვა ბალს აღწევდა, ისე აწვეტებდა აქაფებულ თხემებს გამჭოლი ქარი უზარმაზარ ტალღებს. საესაღრო ნალმოსანი წამდაუწუმ იმალებოდა უზარმაზარი საოკეანო ზვირთების მთებში, თანმიმდევრობით რომ მოგორავდნენ ყინულოვანი ჩრდილოეთის წყალთა უდაბნოში. „სტარშნის“ მთელი მარცხენა ქიმის გაყოლებით ჩანდა ჯორჯზონტის თვალსწიერამდე გაფანტული საზღვაო გემები: „ლიბერტის“ ტიპის ტრანსპორტები, ავიოსნები, კრეისერები, საესაღრო ნალმოსნები, ნავსაწინააღმდეგო მონადირეები, კატარღები. წინამძღოლი ტრანსპორტების თავზე, სადღაც ცაში სპპპიონ ლობურების ჰიეროსტატები ირხეოდნენ. ბადრაგის მცველი გამანადგურებლები მეტეორებივით დასრიალებდნენ ჰაერში.

— ოოო, რა ბადრაგია! — უნებურად წამოძახა სუფლიანმა, როგორც კი ზედა გემბანზე ფეხი შედგა.

— ჰო, ჩემო მეგობარო, არც თუ ისე პატარა! — დაემოწმა ბოკუჩავამ და თვალშუქტუღმა გახედა ტრანსპორტის მხარეს, თითქოს უნდა დარწმუნდეს, რამდენად მართალი ვთქვეო.

— აქ სცადე და გაიგე: ვინ ვის იცავს, ვინ სათ და ვის წინააღმდეგ მიდის...

— ეს კი ყველაფერი სრულიად გასაგებია, ჩემო სუმა, — გაიღიმა ბოკუჩავამ და ძმადაფიცეს ხელი მოკიდა, — თითბრის შემდეგ აგიხსნი, თუ სიმისო გუნებაზე იქნები. ხომ არ გაწყენინა?

— ჯობდა გეკითხა, ხომ არ გაგიჩარო. ისე ვარ, თითქოს ჩემს თავში ჩარჩი ტრიალებს. ერთადერთი შვება ისაა, რომ არ მაღებინებს, დანარჩენი კი ჩემს ნებისყოფაზეა დამოკიდებული: ვითმენ. ვითომ არაფერია. ამბობენ, სახის ფერი გაგეცვლა...

— ჰო, ცოტა ფერწასული ხარ! რაც მართალია, მართალია. მაგრამ რა გიეწყობა, შენ ხომ ეს ვინდოდა. არაფერია, ჭირსა შიგან გამაგრება უნდა.

სუფლიანი არ იყო ხუმრობის ხასიათზე.

იაროსლავ იოსელიანი
ქარიშხალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარ საუფროსო პუნქტში, რაც პირდაპირ ვემის სავალი ბოგირის ქვეშ იყო მოქცეული, სიგნწრროე შეგაწუხებდათ, მაგრამ ოფიცრები ასე თუ ისე მთავრდნენ. საესკადრო ნაღმისნის უფროსი რადიოს იაკობის-ძე მალინოვსკი ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ერუკასთან იდგა, ხელში სარეველები ჯოხი ეჭირა. ტანად ჯმუხი და ჩასხმული იყო, ფართო სახე ჰქონდა, ოდნავ მაღლა აპრეხილი ცხვირი და ღია-რუხ თვალთა ვაურკვეველ მზერით ცოტა მოსულელო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ როცა ოფიცრები დასხდნენ და ლაპარაკი დაიწყო, ეს შთაბეჭდილება ცოტათი გაიფანტა.

— ამხანაგო ოფიცრებო! დიდი ხნით არ შემიყოვნახართ. სულ ნახევარი საათით. მინდა ვითარება პირადად ავიხსნათ, — ოდნავ ბოხი, ოღონდ ჩახლეჩილი ხმით დაიწყო ისე მოსმენინებულად, რომ გეგონებოდათ, ფსალმუნს კითხულობსო, — რათა არ იყოს მითქმა-მოთქმა და გაუგებრობანი. ჩვენმა საესკადრო ნაღმისნამ დამეცვალა გემის სახით დაიჭირა ადგილი ინგლის-ამერიკელთა ბადრაგში, რომლის პირობით საჭიროდებაა „კიუ-18“. ჩვენთან ერთად დაცვაშია საესკადრო ნაღმისანი „გრეიაშჩი“. ხეალ შემოგვიერთდება კიდევ ერთი დიეზ-ნინი, რომლის შემადგენლობაშიც იქნება საესკადრო ნაღმისნები „ეტიბნშეკი“, „ურიცკი“ და „ყარლ ლიბკნეხტი“. ბადრაგი „კიუ-18“ ისარგებლიდან გამოვიდა 1942 წლის 7 სექტემბრის და არხანგელსკისკენ გაეშართა. მის შემადგენლობაში პირველად იყო: 34 უცხოთისა და საბჭოთა ტრანსპორტი, ძირითადად „ლიბერტის“ ტიპისა, 16 დაცველი გემი, ორი კრეისერი, „კატალინის“ ტიპის ნავთსაფრენაიმფდგომ დაცვის აეროსაები და თვითმფრინავები. პირველი ექვსი დღე ბადრაგი მარშრუტს მიჰყვებოდა, არაეთარი განსაკუთრებული დაბრკოლება არ შეხვედრია მტრის მხრივ, მაგრამ 13 სექტემბერს, ოთხის ნახევარზე ბადრაგმა განიცადა კომპინირებული თავდასხმა მტრის წყალქვეშა ნავებისა და აეროპლანის, რომლის შემადგენლობაშიც 37 ტორპედოსანი შედიოდა. ბადრაგის ორი ტრანსპორტი ჩაძირეს, მთ შორის ჩვენი „სტალინგრადიც“. 14 სექტემბრის დილით ჩვენს ბადრაგს ისევ დაესხა თავს მტრის წყალქვეშა ნავების ჯგუფი და ჩაძირეს კიდევ ერთი ტანკერი. დღის მეორე ნახევარში მტრის აეროპლან კიდევ ერთი ტრანსპორტი ჩაძირა. ორც მეორე დღეს მოუსვენებიათ. ორჯერ დაესხა თავს მტრის აეროპლანი. პირველ ჯგუფში 22 თვითმფრინავი შედიოდა, მეორეში 25. ტრანსპორტები და დაცვის გემები ვეღარ ჩაძირეს. მხლებელი აეროსნიდან აფრენილმა ინგლისის აეროპლანადგურებლებმა მოახერხეს მტრის შვიდი ტორპედოსნის ჩამოგდება, თვითონ კი სამი გამანადგურებელი დაკარგეს, მაგრამ მფრინავები გადაარჩინეს: ზღვის ტალღებში იპოვეს [illegible] აიყვანეს. ამკამად ბადრაგი, თვითონვე ხედავთ, ისე მდიის, რომ განსაკეთერებულ სანახაობას წარმოადგენს. ოქვენ ხედავთ. კოლონებად რომ მიდის და ყოველი მხრიდან ამოფარებიან ნაღმისნები თუ სხვა გემები. ჩვენი დამცველი გემების შემოერთების შემდეგ ბადრაგში ოთხმეტე ბეტი ხომალდი იქნება. მთ შორის 29 ტრანსპორტია, რომელზედაც ამ ორმოცდაათი ათას ტონაზე მეტი სამხედრო ტვირთია, იარაღი და აღჭურვილობა, რაც ფრონტისთვისაა გათვალისწინებული. ეს შეადგენს ტვირთს, რაც ამ სარკინიგზო შემადგენლობას ედვნება. ტტრმა ეს იცის, და ასეთი ცოუნება, მიუხედავად ეგზომ გაძლიერებული დაცვისა, მას უსათუოდ აიძულებს ახალ-ახალი იერიშები მოიტანოს ბადრაგზე. ახლა ბადრაგი დათვის კუნძულის მერიდიანზეა, ყველაზე უფრო საპასეხისმგებლო ადგილზე, ნავების საფრთხის თვალსაზრისით. მოგეხსენებათ, დათვის კუნძულზე გერმანელებს წყალქვეშა ნავების ბაზა აქვთ. ჩვენი ვალია დავიცვათ ქვიფაში ტვირთი, რასაც დიდი სამამული ომის ფრონტებზე მოუთმენლად ელიან...

აქამდე ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ რაც მოძღვრეულ-დამრიგებლურ კილოზე დადგიდა, საშველი არ დაადგა გათავებას, გაამა და გაამა. დაზეპირებული სიტყვები მეზღვაურთა მოგალობაზე, სიფხიზლის აუცილებლობაზე, მოელი თავისი ძალისა და ენერგიის, ხოლო თუ საჭირო გახდა, სიცოცხლის გაწირვაზეც კი საკვარელი სამშობლოს საქმისათვის. საყოველთაოდ ცნობილი ეუშმარტებების ქადაგება ამ შეიდზალიან ქარიშხალში, როცა გემი ტალღებში ნაფოტივით ტორტმანობდა, არც ისე სასიამოვნო იყო, მაგრამ ოფიცრები თომინებთან უსმენნენ. მალინოვსკის სასაღლოდ უნდა ითქვას, რომ დაპირებულ ნახევარ საათში მართლაც ჩაეტა. სიტყვა დაასრულა და ოფიცრებს უბრძანა დაშლილიყვნენ, რომ თათბირზე გაგონილი ხელქვეითებისათვის გადაეცათ.

— მეზღვაურთა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეთ სიფხიზლეზე, მაღალ სპრძოლო მზადაყოფნაზე და სიმამაცეზე მტერთან ყოველ წუთის მოსალოდნელ შეტაკებაში! — არიგებდა მიმავალ ოფიცრებს. — თქვენ კი, ლეიტენანტო. სუბელიანო, ერთი წუთით დარჩით! უნდა მოგელაპარაკოთ. თქვენც დარჩით, უფროსო თანაშემწეგ.

სუბელიანი წამოდგა, ოდნავ გაჩაჩხული ფეხებით ცდილობდა ძლიერ რწევაში წონასწორობის დაცვას და კითხვის გამოსახეცეთ თვალებით გემის უფროსს ბურღავდა. მალინოვსკიმ სარეველები მაგიდაზე დადო, ხელები ზურგზე შემოიწყო და ფიქრში წასული ბოლთის ცემას მოჰყვა, თუმცა საამისოდ ეს ოთახი ეიწრო იყო. მაგიდის კიდემდე მივიდა, ჩამოჯდა და რაშდენ-

სამე ხანს ასე იჯდა, მაგიდაზე დაყრდნობილი, თან თითქოს ოცნებას ღეჭავდა, ისე ამოძრავებდა ყბებს. მერე ამასაც თანდათან უკლო და ბოლოს სულაც შეწყვიტა ღეჭვა. შუბლი ისე შეეკუმეხნა, რომ უხვში მეჭი წარბები თითქმის ერთროს გაუსწორდნენ.

სუფლიანმა მზერა გემის კომისარზე გადაიტანა. გულწრფელად უყურადა ეს არაჩვეულებრივი ადამიანი, როგორც თავის წარმოდგენაში ეძახდა ივანე ვლადიმერის-ძე იასნოვს. საშეალო სიმაღლის, მაგრამ ფართო მხარებვიანი ეაქკაცი იყო იასნოვი, თითქმის კვადრატული მოყვანილობის მისი ტანი ერთიანად ჯანსა და ძალაზე მეტყველებდა. ბუნებით ოპტიმისტი იყო და მის სახეს იშვიათად მოსცილდებოდა ღიმილი. ღრმად ჩაჭედარი, ოდნავ ნუმისებური ქერა თვალები ჭაკთი და სიკეთის გრძნობით უციმციმებდა.

— უნდა დაეტუქსო ჩვენი ექიმი, — მიუბრუნდა ბოლოს მაღლონსკაია იასნოვს. — ცუდად მსახურობს.

კომისარმა უბის წიგნაკი სწრაფად დახურა, რიგრიგობით გადახედა ოფიცრებს და საქმეს გაუცნობელი კაცის კილოთი იკითხა:

— რას ნიშნავს „ცუდად მსახურობს“, უფროსო? რადაც... არ მესმის.

— დღეს სინჯი გვიან აიღო. მისი მიზეზით სადილმა მთელი ხუთი წუთით დაიგვიანა, კუბრიკებში სისუფთავე არ შეუმოწმებია, უფროსებთან თავის დაჭერა არ შეუძლია... ცოტა დარღვევაა?.. გემის ავგიტლეს არ იცნობს; გვარლუს თოკებს ეძახის, ვემპანს — იატაკს... სხვისი რა ვიცი და გემის ექიმს კი საკმაო დრო აქვს, რომ შეისწავლოს წესდება, შინაგანაწესი, ორგანიზაცია და აღნაგობა. ავადმყოფები გემზე თითქმის არასოდეს არა გვყავს, მაშ რა საქმე აქვს?

სუფლიანი გაშტერებული უყურებდა უფროსს, თვალებს არც კი ახამხამებდა. მისი მიესამართით წარმოთქმული საყვედურს ყოველ სიტყვა საგანგებოდით ჩხვლეტდა გულში ახალგაზრდა ქერტყრას, და გეგონებოდათ, თუ კიდევ განაგრძო უფროსმა, ვეღარ მოითმენს, იფეთქებსო ეს კაცი. მაგრამ იასნოვმა დაასწრო:

— დავუშვათ, სადილის სინჯი ჩემი მიზეზით ვერ აიღო დროზე, ჩემს დავალებას ასრულებდა, კომკავშირელობს ესაუბრებოდა ნაკვეთურში, — იასნოვი ალერსიანად იღიმებოდა, თან თითებს ათამაშებდა მაგიდაზე, — მაგრამ კუბრიკების სისუფთავე ნამდვილად შეამოწმა. იქნებ რაიმე გამორჩა, ვის არ მოსცლია? რაც შეეხება თოკებსა და იატაკს, რა მნიშვნელობა აქვს, თუ კაცი გიგიჟებს, რაზეა ლაპარაკი.., შეიძლება ზოგჯერ ცდება კიდეც. მაგრამ შევუსწოროთ...

— ომიანობის დროს შეცდომების დაშვება არ შეიძლება.

— მაშინ ორივე ბარე მოიგებდა ომს! — გაიცინა იასნოვმა. — ამხანაგი გემის უფროსმე ვფიქრობ, სუფლიანი შეცდომებს ადარ დაუშვებს.

— ასეც ვიცოდი: შენ ყოველთვის მფარველობას უწევ მაგას, რაც არ უნდა ჩაიდინოს, — უემედოდ ჩაიქნია ხელი მალონსკამ. სუფლიანს რომ შესძღეროდა, ამ კაცის უმწეობაზე გაიცინებდა.

— ეესარჩევი იმიტომ, რომ სუფლიანი მშრომელი კაცია. ხომ მართალს ვამბობ, სუმა იშმაგის-ძეევ?

— სწორად ასე გახლავთ, ამხანაგო კომისარო! — სუფლიანმა ღიმილი ვერ შეიკავა.

— ხედავთ? — ამოიოგდა ენა აკმაზი მდუმარე კურილენკომ. — ისევ წესდების საწინააღმდეგოდ გამოუეეია: მიმართვა უნდა არა თანამდებობის მიხედვით, — „კომისარი“ — არამედ სამხედრო წოდების მიხედვით.

იასნოვმა ღიმილი შეწყვიტა, კურილენკოს მიუბრუნდა და თითქოს პირველად ხედავსო, ისე გაზომა თავით ფეხამდე. უფროსი თანშემწე თითქოს კვდილნ ლურსმნით მიაკოეს, ისე დაიბრა და ადარ იეოდა, თავი როგორ დაეჭირა. —მოთმინეთ, გემის უფროსის უფროსო თანაშემწეეს!—წყრომით წამოძახა კომისარმა.—ნუ, თუ სხვა საქმე არაფერი გაქვთ, რომ ასეთი ბუნიკეფრიანთ გართულხართ ამ საომარ ვითარებაში, გაშლილ ზღვაში?

ჩანდა, იასნოვი მოშმდებული იყო დიდი იერიშისათვის, რომ „მაგრად ვაეკორა“ პეტანტი, მაგრამ უეცრად მოაგონდა, რომ თვითონვე არღვევდა წესდებას, უფროსს რომ ტაქტსადა ხელქვეითის დაწრეპითი, და თავი შეიკავა.

— რადიოს იანნის-ძეე, თქვენ ადარ გესაუბრობ ებათ სუფლიანი? ხომ არ გავუშვათ?—მიაძახა უფროსს.

ნებართვა რომ მიიღო, სუფლიანი სწრაფად გავდა.

ზედა გემბანზე, პირდაპირ ბოგირის კიბესთან სუფლიანს შემოეგება ბორისი, რომელიც მოეთმენლად ელოდა. მეგობრებმა ერთიმეორეს უსიტყვოდ გადახედეს და კიჩოს მხარეს წავიდნენ.

ციეი ქარი ძალესა და რბილში უჯდებოდა მობუზულ მეზღვაურებს. კუშტი ცა ახალი ბაჩაქიანი თოვლით იმეკრებოდა. მაგრამ ხილვადობა საერთოდ ცუდი არ იყო. სამხრეთი და დასავლეთი ნაწილი ჰორიზონტისა სავსებით მკაფიოდ ჩანდა და მოწინააღმდეგს თითქოს არ უნდა ჰქონოდა უეცარი თავდასხმის იმედი.

— რაზე გელაპარაკებოდა, სუმა, გემის უფროსი?

იარაოლავ იოსელიანი
ქარიშხალში

სუბელიანმა უხალისოდ გადასცა ორიოდე სიტყვით საუბრის შინაარსი.

ოყურჩავის ლეგრზე ეკიდა ხელი, გულგრილად გასცქეროდა ღია ზღვას გაურკვეველი მიმართულებით და ისე უსმენდა მეგობარს. ტანდი, მხარბეჭგანიერი, ოდნავ მოჭუტული დიდი მეტყველი თვალებით ლამაზ ქანდაკებას მოგაონებდათ.

— ეშმაკმა წაიღოს იმ უფროსის თავი! ვიღაც ლენჩია, გამოშტერებულ კურილენკოს აპყოლია ყურმოჭრილ ყმასავით, — წამოიძახა გაგულისებულმა ბოკურჩავამ და ეცემ მიაბრესა სახე, ექიმს შეხედა. — ხუთი თვეა, რაც გვმს მეთაურობს და ერთხელ არ დალაპარაკებია მეზღვაურებს რიგიანად, საუფროსო პუნქტში ზის, როგორც ბაიყში.

— რამდენჯერაც მინახავს, სულ რაღაც მძიანარის გამოშტეტყველება აქვს, გეგონება, თელქსო...

— რომელი „გეგონება“, — გამოაყარა ბორისმ, — მართლა სულ სძინავს. ხოლო თუ არ სძინავს, რაღაცას ბურტყუნებს თავისთვის. არც მეტი. არც ნაკლები, მოძღვარია, და ისიც დამწვარი სოფლის ეკლესიისა. აი, ამის წინ ვვყავდა არწივი!

— რა მოუვიდა იმ არწივს?

— აკადემიაში გაგზავნეს, როგორც საუკეთესო ფიციერი, უნდა ისწავლოს.

— ომის დროს?

— აბა როგორ, ჩემო კარგო? — გაუკვირდა ბოკურჩავის. — სწორედ ომის დროს უნდა უკეთესების შერჩევა და წამოწევა.

— პირდაპირ რაღაც უბედურებაა. ყველა საღსალო ნაღმისაწმე უფროსი — არწივი, პირდაპირ მფრინავი არწივი ან შავარდენი. მეზღვაურები შეჰხარიან, ჩვენ კი...

— მართალი ხარ... სამაგიეროდ, კომისარი როგორია, ა? ის კი ნამდვილი არწივია, ჩემო ძმაო, ხომ მართალია?

— კომისარი არწივია, რა თქმა უნდა, ეს კარგია, მაგრამ... გემის უფროსი მაინც სხვა არის, — უპასუხა სუბელიანმა, — მით უმეტეს, თუ მეტერთან შეტაკება მოგვიხდა, წარმოდგენაც კი მიგრის იმისა, როგორ დაიჭრს თავს ეს დუნე, ჩოლფოთი კაცი. ეერანაირად ვერ წარმომიდგენია საუფროსო ბოგარზე „გამეხებელი“. ეი თუ გაცხარებულ ბრძოლაში სადმე ვიიპარის კიდეც... მართალია, მადლობა ღმერთს, ზღვაზე ვერსაით გაიქცევი.

— მაგაზე ნუ დარდობ. არსებობს აზრი, რომ ამ ლაშქრობის შემდეგ მალნოფსკი აღარ იქნება გემის უფროსი, ომის დროს მაინც. ამბობენ, სარდლობაც მიხვედრილია, რა ბედნაკვი არისო.

ლაზარეთში სუბელიანს შემოეგება სანტარი სტეფან ვასილიევი ანუ სტეპა, როგორც უბრალოდ ეძახდნენ. ეს იყო ახალგაზრდა მატროსი, რომლის ფართო სახეს ღიმილი არ ასცილდებოდა. საღდაც გორკის მახლობელი მდიმანებიდან იყო და უსაფუძვლოდ კი არ ამაყობდა, ვოლგელი ვარო.

— ჰოი, რა ფერწასული ხართ! — გულუბრყილოდ შესძახა ჩვეულებისამებრ ყურებამდე ვალიმებულმა სტეპამ, როგორც კი უფროსი დაინახა. — თქვენ, როგორც ბატყობთ, ისეე ისა... გაწყენთო, არა! მაგრამ არაფერია, ამხანაგო ლეიტენანტო! ერთხელ ისეთი დაგვანყრია, რომ ვიფიქრე, მორჩა, იატაკი ალმა წავიდამეთქი.

— იატაკი არ ახსენო, სტეპა, უფროს თანამშეწეს ეწყინება. ერთი აბი მომეცი, სანიტრები შეპყარე და შეეუფდეთ მეცადინეობას!

— აბები, ამხანაგო ლეიტენანტო, ისა... როდი ველიან მე ის წყეულები იმდენ ესეი, იმდენი ეყლაპე... ასე მვონია, კიდევ უფრო ურეკენ გულს ადამიანს. ყველაფერს ჯობია ისეე მხარეთქოზე წამოწევეთ.

— როგორ წამოვწევე? სამუშაო საათებში წამოვწევე?

— აბა რაღა სწავლა იქნება ახლა, ამ ჩვენს ყუთს ხომ ისე ავანავებს, ეი თუ დალეწოს კიდეც ამ ღვთისაგან დაწყეველილმა ქარიშხალმა!

— ენამ არ გაყიეელოს, სტეპა!

მთელმა ფლოტმა იცოდა სიესკადრო ნაღმოსან „გრომეის“ ბედი, სულ ერთი წლის წინათ რომ განიცადა მძიმე ავარია ქარიშხალში, ბარენცის ზღვაზე. „გრომეის“ მაშინ მთელი ცხვრის ნაწილი მოტყდა და ბედზე გადაარჩინეს.

სანტტარული ნაწილი მზად იყო სამეცადინოდ, მაგრამ მეცადინეობა არ შემდგარა.

ცხარე ბრძოლის ზარების ზრიალმა შეძრა ხომალდი. იმავე დროს ამეტყველდნენ რუპორები, ნაკეეთურებსა და სხვა განყოფილებებში საგანგაშო ხმა გაისმა: „საბრძოლო განგაში! მტრის ავიაცია თავს დაესხა ბადრაგს! საბრძოლო განგაში! მტრის ავიაცია ბადრაგის თავზეა!“

ერთი კვირის შემდეგ კიდევ უფრო მძაფრი სურათი გადაიშალა ეასოს თვალწინ: ყვიბისში, კეირაკოფოლის ერცელ მოედანზე, რამდენიმე სოფლის ელეხებისა და ბორჯომის ქარხნების მეშათა დიდი მიტინგი გაიმართა. მომხსენებელი მონაწილეებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამოსვლისაკენ მოუწოდა. პირველი ორატორი ქალი სომხეთ ენაზე გამოვიდა. შემდეგ ვასომ აიღო სიტყვა. მიტინგი ხალხმრავალი იყო და პოლიციამ ვერ გაბედა მისი დარბევა. მალე ასეთივე მიტინგები გაიმართა წაღვეურში, ბაკურიანში. ვასო ყველგან გამოდიოდა მგზნებარე სიტყვებით.

ამასთან დაკავშირებით ეასო მწუხარებით იგონებს ერთ ამბავს:

— სოფელ ქორეთში ცხოვრობდა ერთ-ერთ თავადი, გვარად ყორღანოვი. იგი ბოლშევიკოვნ აწიოკებდა, გადასახადებით სულს ხდიდა. ეს ბოლშევიკი არ იყო; გადაწყდა მისი თავიდან მოშორება. ყორღანოვს შეიარაღებული რაზმი ჰყავდა, მათთან შეტაკებისას მოყლეულ იქნა იატაკქვეშეი ამბაკო ველაშელი და ბაკელ ხაჩიძე, ხოლო მეტრეველი დაიჭრა. ამ ამხანაგების დაკრძალვის დღეს ბორჯომში დიდი სპეციტესტო მიტინგი გაიმართა. მარსელიოზას სიმღერით მიაცილეს მიეცალებულები სოფელ ლარებში და იქ დაკრძალეს... 1905 წელს ხაშურიდან გორამდე რკინიგზა უნდა აგეყვანა. შეიარაღებული ჯარისკაცი უნდა დაწყებულიყო. ყვიბისიდან რაზმელები გაიგზავნენ, მათ შორის მეც ვიყავი, ამხანაგებს იარაღი მე მივეცი ჩვენი სახლის სარდაფიდან. ეიღა�გაგვეცა. ხაშური და მისი მახლობელი სოფლები კაზაკთა ნაწილებით აივსო. გამოსვლები ჩაიშალა, — თქვა ეს და ნაღვლიანად დახარა თავი. დიდხანს იყო ასე. მერე თავი მაღლა ასწია:

— ყვიბისში რეაქციის გამაოყვეთის შემდეგ ამოძრავდნენ ჯაშუშები, დაამატებრეს ჩემი ამხანაგები. მათ შორის მიშა კიანაძე, სერგო გრიგოლაშვილი. იცით მერე რა უყვეს? ეჰ, ეჰ, ეკმაენთ მოაკლეს ცოხენი. ჩამოაყენეს ყვიბისში კაზაკები, დამსჯელი რაზმები. დაიწყო შეთქმულთა ოჯახების დარბევა, ცემა-ტყეპა, ჩხრეკა. დაამატებრეს!

მაშინ ეასოს ოჯახიც აიფორიაქეს. პირველად მის ბიძაშვილს, მიხოს, და მერე თვით მას სცემეს კაზაკებმა სასიკვდილოდ. ეასოს თვალწინ ზეზეს ფეხქვეშ ამოუვანა და ბეტეგანიერი მიხო. წაქცეული ეიეკცი კაზაკებმა საბძელში შეთბორივე, კარები გამოუკეტეს, მანამ ცემეს უმოწყალოდ, სანამ გრძნობა არ დაკარგა. ეასოს კარგად ესმოდა მისი კვნესა გარეთ, მაგრამ ძა ეკმა, ისიც ხელფეხშეკრული ეგდო ბიწაზე. რამდენჯერაც წამოწია, იმდენჯერ თოფის კონდახი ჩასცხეს თავში. მერე იქედან ზტაბში წაიყვანეს.

— გვითხარით, სად იმალებიან რევოლუციონერები?

— არ ვიცი.

— ეისთან ინახავენ თავს?

— არ ვიცი.

— გვითხარით, სად არის ნიკოლოზ ტალახაძე? ეისთან აფარებს თავს, ვინ არიან მასთან?

— არ ვიცი, არ ვიცი! — წამოწია ეასომ და მათ ხელიდან გასხლტომა დაიპირა, მაგრამ ისევე შედგნენ ფეხებით. დაამატებრეს ეასოს ცემით რომ იყურეს ვული, გამხეცებული კაზაკები სოფელს მოედვნენ: დაანგრიეს სახლები, ბეღლები, სიმინდს და ხორბალს ცხენები მიუსვეს. მთელი სოფელი აოხრეს. გაეოფებელი დაეძებნენ ნიკოლოზ ტალახაძის კვალს. ნიკოლოზი 1905 წელს ახალი ჩამოსული იყო

ჯარიდან. იგი ჩამოსულისთანავე დაუკავშირდა პარტიზან ფორიას. მასთან ერთად შეადგინა რაზმი და აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში.

ნიკოლოზის და ფორიას რაზმები ჯერ ცალ-ცალკე ებრძოდნენ, მერე გაერთიანდნენ. სამი ზამთარი ეღრინ ტყეში გაატარეს. ორი ბინა სხვადასხვა ადგილას მიწურში ჰქონდათ, იქვე იყო პური საცხობი. საბრალეულო და სხვა სათავსოები. ორივენი გლეხების დავალებებს ეფუოქმნად ასრულებდნენ. ამიტომ უყვარდათ ნიკოლოზი და ფორია, ამიტომ ეხმარებოდნენ ყოველსმრივ, მაგრამ ჯაშუშებმა მათ კვალს მაინც მიაგნეს. პოლიცია და შავრაზმელები, ნიკოლოზის რაზმის ადგილსამყოფელს რომ შეიტყობდნენ, შიშისაგან ახლოს ვერ ეკარებოდნენ, ხოლო როცა ნიკოლოზი თავის რაზმს სხვაგან გადაიყენებდა, მაშინვე მოეცავდებოდნენ მათ მიერ მიტოვებულ სოფელს და აწიოკებდნენ, ანხრეტდნენ. ნიკოლოზის ხელშემწყობი კი სულს აძრობდნენ.

ფორია ამ მდგომარეობაშ ძალიან ჩაადფქრა და გულისნადები ძმასავით განუყრელ ნიკოლოზს გაანდო.

— ბიჭო, სადღაც დროებით უნდა გადავიხიზნოთ, თორემ ისე დაძირავ ეს ქოფაკები, სადაც ხელში ჩაგვიგდებენ!

— სად უნდა წავიდეთ?

— თურქეთში.

— რას ამბობ, კაცო. თურქეთში რა გვინდა? როგორ გავიარეთ გზა, ან ვისთან მივიდეთ იქ?

— მე ეროი მეგობარი თათარი მყავს, ვინღაცა, ის წავეიყვანს, შენ მაგის ნე გეშინია!

— კი მაგრამ, რაზმს რა ვუყოთ, ვინ დატოვოთ მათთან?

დიდხანს მსჯელობდნენ მეგობრები ყვიბისის ტყეში. ფორიამ ვინც კი დასანანელა, ნიკოლოზმა ყველაზე ტარი უთხრა, მაშინ ფორია გაბრაზდა:

— აბა, შენ თქვი, ვინ გინდა!

— კარგი, ვიტყვი. იცნობ შენ ჩოხატაურიდან ჩამოსულ რეკოლუციონერებს, ვიქტორ მინდაძეს და ნოე ანთიძეს? იცი რა თავდადებული ბიჭები არიან? ხიდისთავში ჩვენი სოსო ჯუღაშვილი არალეგალურ კრებაზე მოხსენებას რომ აკეთებდა და მთელი ათი დღე გურიაში დარჩა, ესენი იყვნენ. გვერდიდან რომ არ შორდებოდნენ. ხომ იცი, ნასაკრძალის ამბების მოწაწილენი არიან, ბახვის მოწოდება მან წამაკითხა, თურმე ლენინს წაუკითხავს ბახველების მოწოდება და, იცი რა უთქვამს? აი, მესმის რევოლუციონერებიო! ჰოდა, უკეთესს ვის ჩავაბარებთ რაზმს? მერე ჩვენი ვასოც აქ არ იქნება?

ერეფიელი ვიქტორ მინდაძე და ხეველი ნოე ანთიძე თავიდანვე დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. ნოე სოფელში მუშაობდი იყო. ქალაქ სევასტოპოლში, ჯარში ყოფნისას, მეფის ოფიცრებისადმი გამოსვლებისათვის ბაჭაში გადაასახლეს. აქ კიდევ უფრო გაძლიერია რევოლუციური მუშაობა. ბაკოდან ბათუმში გაიპარა, სადაც იარაღით ხელში მონაწილეობდა ჯანყებაში. ჯანყების ჩაქრობის შემდეგ მას დაადგეს იარაღის საწყობის ვატეხვა. ნოეს დაეღება პირნათლად შეასრულა და რევოლუციონერები შეიარაღა. ბათუმიდან ჭიათურაში ჩავიდა. აქ გაიცნო ვიქტორ მინდაძე. ერთად ჩამოვიდნენ ბორჯომის ხეობაში. თითქოს ხის დამეურეველნი იყვნენ, მტკვარზე ტივით, სოფლებიდან სოფლებში დადიოდნენ და პროკლამაციებს ავრცელებდნენ. გლეხებს და ხე-ტყის ქარხნის მუშებს მეფის წინააღმდეგ ამხედრებდნენ, ორგანიზაციის დავალებით ჯაშუშებს ოცავდნენ, არც ხალხის ამწიოკებელ პრისტავს არშაკას ინდობდნენ.

აქ გაეცნენ ისინი ფორიას. ერთ დღეს გაკვირვებულმა ნოემ ჰკითხა ვიქტორს:

— ვეღარ გამიგია, ნუთუ მართლა ფორიაა მისი გვარი?

— არა, ნოე, მისი გვარი ცაგურიშვილია, სახელად ალექსანდრე ჰქვია.

— მაშ ფორიას რატომ ეძახიან?

— არ იცი? ახლავე გეტყვი: ალექსანდრე უშიშარი რაინდია. ორგანიზაციის დავალებით, როგორც პარტიზანული რაზმის უფროსი, თავს ესმენია საწყობებს, ფოსტას, ბანკს, აფორიაქებდა ყველფერს და ნადავლს არალეგალურ ორგანიზაციას აბარებდა. თვით პოლიციას მოსტაცა ოცი თოფი და რაზმელებს დაურიგა. ვანდარმერიას შიშის ზარს სცემდა. ამ აფორიაქებისათვის ფორია დაარქვეს.

— მაშ, ჩვენს ალექსანდრეს ამიტომ შეარქვეს ფორია? ეეჰაღ, ვაჟკაცო, კი ხარ ნამდვილი ფორია! — გალიმებული სახით თქვა თავისთვის ნოემ.

— ნოე, ხომ იცი დღეს საღამოს ახალდაბაში, ქეელეძის სახლში კრება გვაქვს მოწვეული, წავიდეთ.

მტკვრისაკენ გადმურნენ. ტივებზე დადხნენ და ახალდაბაში ამოპყეეს თავი. კრებაზე უამრავი ხალხი იყო, მათ შორის — ქალებიც. ვიქტორმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა:

— ძორს ნიკოლოზის თავრობა, საპირო მუშებისა და გლეხების გაერთიანება, თავისუფლების მოპოვება, სახნავ-სათესი მიწების შეერთებული ძალით დამუშავება!

ამ მოწოდებამ მთელი კრება ფეხზე დაიყენა. გეგონებოდათ, სადაცაა იარაღს იშიშვლებდნენ შეერთებილები და ჯანყებას მოახდენენ.

სიმონ ფვერაკა
ყვიბისის მთებიდან

სწორედ ამ დროს ვიღაცამ წამოიძახა:

— ამხანაგებო, ჯანდარმები მოდიან! — აქ კი საოცარი ამბავი მოხდა.

— ბიეკმენო, თუ მართლა დაგგესხნენ თავს, ეუთხრათ, ნაშნობა გვაქვს, — თქვა ერთ-ერთმა გლეხმა და ლაშაზ ვიქტორს, ერთი ულამაზესი გასათხოვარი გოგონა მიუსვეს გვერდით.

— კი მაგრამ, პუტმარილი რომ არ გვაქვს გაწყობილი, რას იტყვიან, არ დაეშვდებიან?

— ვეუთხრათ, ნაშნობა სასიძოსთან, ერეკეში, უნდა გაიმართოს, ჰოდა, მანამ თვალის ასახვევად ცოტა რამ გამოიტანეთ მაგიდაზე.

ქალები მაშინვე დატრიალდნენ, მაგრამ იღბლად პოლიციელებმა მეორე სოფლისკენ აიღეს გეზი და რაკი შეკრებილები გადარჩნენ, მალე დაიშალნენ კიდეც. ვიქტორი და ნოე ფორიასთან წავიდნენ და ახალდაბის ხე-ტყის ქარხნის სარდაფში მუშების კრება გამართეს, რაზმელები სოფელში გაგზნეს პოლიციელების სათვალთვალოდ, რომ ისინი კრებას არ დასხმოდნენ თავს.

აი, ვინ იყვნენ ვიქტორი და ნოე. აი, რატომ დაეთხნენ ნიკოლოზ ტალახაძეს ფორია, მათ-თვის მიენდოთ რაზმების მეთაურობა.

არჩევანი მართლაც დიდებული იყო. ამ ორი ახალგაზრდა მებრძოლის მეთაურობით რაზმმა ტყეს შეაფარა თავი.

ვიქტორს პირველი დღიდანვე ეჭვი შეეპარა, რაზმში ჯაშუში ტრიალებსო. ერთ დღეს მეგობარი განზე გიიხმო:

— ნოე, ის ბორკიმელი მეფის მოხელე ნამდვილად ჯაშუშია. იცი, რა ქნა? შეილი შეგზავნა რაზმში, ვითომ თავდადებული რევოლუციონერი იყოს. ვასომ ეხლაც არ იცის, რომ ეკლესიაში მოწყობილი ამბები ნამდვილი პროვოკაცია იყო, ახალთაობის ქურქში გამოხვეული მივიდა სახლში ვასოსთან, წამოიყვანა ეკლესიაში, მერე მე იცი რაც მოხდა. ყველფერი იმ ჯალათის ჩაგონებით მოიწყო მისმა შვილმა. ხალხიც წამოგვო ანკესზე, ჯანდარმებსაც ეს უნდოდათ, მთელი სოფელი აყროყეს, ხომ გკერა რასაც ვამბობ?

— როგორ არ მკერა, ჩემო ვიქტორ, ჩემო ძმაო, მაგრამ ახლა რა ვუყოთ.

— უნდა გავაქროთ! — ისე მტკიცედ უთხრა ვიქტორმა, ნოემ უკან დახევა ვერ მოახერხა და ამხანაგს უყოყმანოდ დაეთხნმა.

მთვარიანი ღამე იყო. ყვიბისის ტყეში რაზმელები ნერვიულად მდი-მოდიოდნენ და რა-ტომღაც ელოდნენ.

— ეს ოხერი მთვარე როგორ დღესავით ანათებს. როცა გინდა მაშინ სადღაც ღრუბლებში იკარგება, როცა არა, მაშინ კი ისე ანათებს. სად დაიკარგა ის ოხერი ღრუბლები ახლა, წამოვიდეს ერთი და გადაეფაროს ამ მთვარეს.

— ეჰ! ბედი უნდა ყველფერს, ჩემო ნოე! მაგრამ თითქოს ბუნებამ ისმინა მათი ვედრება, დასავლეთიდან, აპალუფშნის მიდამოებიდან, წვეტრეკალებიდან, მრეტე ღრუბლების ფანტელ-ქარავანი წამოვიდა, მთვარე შიგ მოიქცია და უკუნეთი ღამე გამეფდა.

— გვეშველა, ბიეკო, მოკუჩქაროთ! — ჩუმად უთხრა ვიქტორმა მეგობარს და მიწაზე გაწვა.

— აბა, ნოე, ხოხვით, ბიეკო, ხოხვით გავსწოროთ!

ასე ფორთხვა-ხოხვით ერთ დიდ შენობას მიადგნენ. ის შენობა მაღალი ქვეტკირით იყო შემოღობილი.

— ახლა რა ექნათ, ბიეკო, როგორ გამოვიტყუოთ გარეთ ის ჯაშუში?

— დაეუძახოთ, აბა, სხვანაირად როგორ გამოვიყვანოთ ეზოში?

სწორედ ამ დროს ძაღლების საშინელი ყეფა და ყმუილი ატყდა. ძაღლების გაუთავებელ ყეფაზე ჯაშუში გარეთ გამოვიდა, ვიქტორს და ნოესაც ეს უნდოდათ, ფეხაკრეფით მივიდნენ მასთან, ხელები ყელში წაუტარეს და მოგუდული იქვე დაადგეს.

იმ დღიდან პოლიცია გამხეცებული დაეძებდა მკვლელებს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ აგენტს მხოლოდ რევოლუციონერები მოკლავდნენ. ბევრი ეიბინისა და ფიქრის შემდეგ, ეჭვი ვიქტორზე და ნოეზე მიიტანეს.

— როგორ ჩაეგდოთ ხელში? — ახლა ეს იყო მათთვის მთავარი საკითხი.

— ისევ იმ ნიკალს მივადგეთ, იგი ჩაგვაგდებინებს ხელში!

ვიქტორი და ნოე სწორედ ერთ რევოლუციონერად შენიღბულ ნიკალს სახლში იმალებოდნენ. ერთ ღამეს ნიკალ მათთან შეეარდა:

— ბიეკომ, სოფელს კაზაკთა ჯარი შემოესია, თავს ეუშველეთო! — და გარეთ გამოიტყუა ორივენი. სახლის ლაფარიდან პოლიციელები და მათი დამქაში მდიდარი მემამულეები გამოცვივდნენ, ნოე და ვიქტორი მიწაზე დასცეს, ათრიეს, აწამეს და მერე სიცოცხლეს გამოსალმეს.

— ახლა სად ჩავფლოთ? — მიმართა ნიკალამ პოლიციელებს.

— მიწაში, მაშ სად?

— ისეთ ადგილს, სადაც კაცის თვალი ვერ ნახავს.

— სად არის ასეთი ადგილი?

— წამომეყ და განაჩვენე, სადაც არის! — უთხრა მას ერთ-ერთმა ჯალათთაგანმა. გასისლიანებულ გვამებს ხელი ჩაავლეს, ბორკიმის გარეუბანში. ერთ მივარდნილ ადგილას, მტკვრის ნაპირას, სადაც ტირიფების მთელი საფარი იყო, დაადგეს ორივე, ხეზე გამოობეს წნელით და თავებით მტკვარში ჩაჰკიდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ეს შემაძრწუნებელი ამბავი მთელ ბორჯომის ხეობას მოედო. ვიქტორის ძმამ თედორემ, არალეგალური ლიტერატურის გავრცელების უფრო ოსტატმა, რომელიც ბორჯომში იყო, ერკეთში დაღუპულთა შშობლებს შეატყობინა:

— ვიქტორი და ნოე მოგვიკლეს! ჩამოდით, დაკმენინთ, იქნება მკვდრები მაინც ვიპოვოთო!

გლახუნა მინდაძე და შეეკრიდენ ანთაძე მაშინვე მთელი ოჯახეთით ჩამოვიდნენ. სად არ იყვნენ, სად არ ეძებდნენ, ტყეში, ღრეში, ხევში, მთის ფერდობებზე თუ ეკალბარდებში, მაგრამ მათ კვალს მაინც ვერ მიაგნეს. მაშინ ვიქტორისა და ნოეს მამები პრისტავის წინაშე წარსდგნენ:

— თქვენო ალმატებულებაე, ჩვენ მამები ვართ, გთხოვთ გვითხრათ, სად ასაფლავეთ ჩვენი შვილები, გთხოვთ ნება დაგვრთოთ, გადავასვენოთ სოფელში!

— დაიკარგეთ აქედან! — იყვირა გაცოფებულმა პრისტავმა და მის წინ გამოჭიმულ პოლიციელს უბრძანა: — დაამატიმრეთ ორივე!

გულშეწუხებული შშობლები ძლივს დაუსხლტნენ პოლიციელებს კლანჭებიდან. ახლა ამ გულდათუთქულ დამამიანების ერთადერთი ნატვრა იყო, მიეკალებულთა გვამები ენახთ, დაეტირათ და ისე მიებარებინთ მიწისთვის.

ვასო ორიეეს კარგად იცნობდა, ამიტომ დაღუპულთა შშობლებზე ნაკლებ როდი ცდილობდა ამხანაგების გვამების აღმოჩენას.

ერთ დღეს სოფელში განთქმულმა მონადირემ, მიხა გელაშვილმა, გარეულ ფრინველებზე ნადირობით იყვრა გული, მერე თევზი მოენატრა და სასროსი ბადით მტკვრის-პირს მიადგა. მიხამ ბადე გაშალა და შუილით გადაისროლა მდინარეში, შემდეგ ბადე თავისკენ მოსწია, მოსწია, მაგრამ ბადე ადგილიდან არ იძროდა. კიდევ მოსწია, აწყვრადაც ძვრა ვერ უყო. მთელი ძალღონით მოქაჩა, მაგრამ ოი, საკვირველებაე! მის თვალწინ საშინელი სურათი გადაიშალა: ორი ადამიანის გვამი მტკვრის ფსკერიდან ამოტივტივდა. უცაებ შეკრთა მიხა. ისე დაიბნა, დაყვირებაც ვერ მოახერხა. მერე გონს რომ მოვიდა, მიხედა ვისი გვამები იყო. მაშინვე ვასოსთან გაიქცა. ვასომ პარტიზანული რაზმი ფეხზე დააყენა. გვამები წყლიდან ამოიღეს, ეკლესიის დარაჯი მოისყიდეს და მალულად ეკლესიის ეზოში დამარხეს.

მთელი პარტიზანული რაზმი თავდახრილი დასტიროდა მუხანთოურად დაღუპულ მებრძოლების ცხედარს. გაუკაღ სიბნელესა და სამარისებურ სიჩუმეში თვალებიდან ცრემლები სდიოდა ყველას.

ჯალათებმა მინდაძის ოჯახს ეს როდი აკმარეს. ვიქტორის უფროსი ძმა, თედორე დიაბრეს და ხუთი წლით ცომბირაში გადასახლეს. სწორედ მაშინ, გზაფხულზე, აპრილის ბოლოს ჩამოვიდნენ ნიკოლოზი და ფორია თურქეთიდან. შეიტყვეს თუ არა მოძმეთა ამბავი, ნიკალას სახლს ცეცხლი წაუკიდეს და ნაცარტუტად აქციეს იქაურობა. გამძვინვარებული ტალახაძე მეორე დღეს ვასოს შეხვდა.

— ხომ ამოვბეგე ინ შენი მეგვარის სახლი?

— მე რა შუაში ვარ, ინ ჩემი მოგვარე არაა სოდეს არ ყოფილა და არც იქნება, იგი ჯალათების მოგვარეა!

— გელაშვილი არ არის?

— მერე რა? გრიიზნოვიც შენი მოგვარეგ იყო, მაგრამ შენ მის მოგვარეად თვლი თავს?

— მართალი ხარ, ვასო, არ გეწყინოს! — დაცხრა ნიკოლოზი და ვასოს ალერსიანად მხარზე ხელი გადასდო, მერე კი ოხერით დასძინა:

— მგონი, ჩვენ დავღუპეთ ის ბიეეები.

— ჩვენ რა შუაში ვართ?

— რაზმი რომ არ ჩაგვებარებინა მათთვის, ეგეთ არ დაეხოცათ.

— არა, იმათ მანამდისაც დასდევდნენ! მათთან კიდევ სხვა ანგარიშიც ჰქონდათ ამ გარეწრებს.

— ვის რა ანგარიში უნდა ჰქონოდა?

— არ იცი თუ? მაშინ ვეტყვი: ნოე ანთიძეს ერთი გოგონა შეუყვარდა, ვეარად დვიძეიგი სოცრად მომხიბველი და ლამაზი იყო. ნოემ ეს ქალიშვილი არალეგალურ მუშაობაში ჩააბა, ყველაფერს ენდობოდა, ისიც ერთგულად ასრულებდა დავალებებს. ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, ხან ტყეში, კრეებზე, ხან კი სახლში. საერთო მიზნისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ბოლოს ცოლ-ქმარიც გახდნენ.

— რა ცოლ-ქმარი ხართ, ეკლესიაში ჯვარი არ დაგიწერიიათ! უსინდისო, ამიტომ დაძერებოდი ამათთან კრეებზე, რომ მეძავი გამხდარიაყავი? — მიმართა ერთ დღეს ქალს მღვდლის წაქეზებით ერთ-ერთმა უცნობმა და წინადადება მისცა, წამოდით ეკლესიაში, ჯვარი დიწერეთო. არადა, თავს მოგვრნი მთელს ქეეყანაზე, ურწმენნოს რომ გაპყეეთო.

— რას მლანძღავთ, ვინც შემიყვარდა იმას გავყეეი ცოლად, თქვენ ვინ რას გეკითხებათ? გავყეეი კაცს, რომელიც ხალხის ბედნიერებისათვის იბრძვის თქვენისთანების წინააღმდეგ! — სულ ცეცხლი წაეკიდა გოგონას სახეზე.

სიმონ ფვერავა
ყვიბისის მთებიდან

— ვინც ეკლესიაში არ დაიწერს ჯვარს, იგი პატიოსანი არ არის და ეს ქორწინებაც უკანონოა.

— ყველაზე დიდი კანონი ჩვენი სიყვარულია!

ნოემ მეუღლის დამშვიდება სცადა, მაგრამ იგი მაინც ღელავდა.

ერთ დღეს ვიქტორთან და ნოესთან რამდენიმე გოგონა მოვიდა.

— ბიძია, გვიშველეთ, გვინდა თქვენთან კრებებზე ვიაროთ, არალეგალურ მუშაობაში ჩავებათ, მაგრამ მშობლები გვიშლიან, კრებებზე გარეკნილები დადიან და თქვენც გაირეკნებითო. რა ექნათ, დაგვეხმარეთ!

მაშინ ნოემ ერთ-ერთ კრებაზე ასე დააყენა საკითხი:

— ამხანაგებო, თქვენ კარგად იცით, რომ ზოგიერთები საპროოკაციოდ იყენებენ იმას, რომ მე და ჩემმა მეუღლემ ჯვარი არ დავიწერეთ ეკლესიაში. ამის გამო ჩემს ცოლს ხასას და გარეკნილს ეძახიან, უფრო მეტიც, ზოგიერთი მშობელი ისე დაშინეს იმ ვიკინდარებმა, რომ შვილებს კრებებზე არ უშვებენ არ გაირეკნანო. ამ პროოკაციებს გვიწყობენ მეფის მოხელეები, მღვდლები, მათს ფეხის ხმას აყოლილი გლეხები. ჰმ, გლეხები კი არა, გლეხის ქურქში გახვეული მემამულეები, სიმდიდრის გამო მუცელგაბერილნი რომ დაიჯგიმებიან. ამიტომ, ჩვენი ორგანიზაციის წევრებს გავალებთ, მიიღეთ მათ წინააღმდეგ ზომები და თქვენი დები და შვილები, რასაკვირველია, ეისაც ამის სურვილი აქვს, დაესწრონ კრებებს. ცოცხალია, ახალდაბაში ცხოვრობს, კოლმეურნეა. ჭრილობები ახლაც ამჩნევია.

— სამუდამოდ დამამახინჯეს მაგ სულძაღლებმა! — იტყვის ხოლმე ხშირად.

სერგო ჩადუნელი ციმბირიდან გამოიქცა. ვერც კი მოასწრო თავის სოფელ ნეძვში მოსვლა, რომ ახალდაბაში ჩაიგდეს ხელში, ისევ გააციმბირეს, ისევ გამოიქცა იქიდან, ნეძვში, ტყესა და ღრეებში აფარებდა თავს, სახან მეფის მთავრობა არ დაამხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურგიშვილი ციცვაძე

ვ. ი. ლენინი საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ

საგლეხო რეფორმა საქართველოში 1864 წლიდან გატარდა. გლეხობამ მიიღო პირადი თავისუფლება, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი სიტყვები. სინამდვილეში კი მათი მდგომარეობა დიდად გაუარესდა.

საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ, ბატონყმობის ნაშთების სიმრავლის მიუხედავად, კაპიტალიზმის განვითარება შედარებით სწრაფად მიმდინარეობდა. მართალია, სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე მრეწველობაში, მაგრამ მისი განსაკუთრებული წინსვლა 70-იანი წლების დასაწყისიდან შეიმჩნევა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ძირეული გარდაქმნები ხდება; იშლება მეურნეობის ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა და იწყება ახალი ხანა — კაპიტალიზმის ეპოქა. დაიწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, სულ უფრო მეტად ფართოვდებოდა ვაჭრობა, რკინიგზების გაყვანამ კი დიდი როლი შეასრულა მხარის ეკონომიური განვითარებისა და საერთო ბაზრთან მისი დაკავშირების საქმეში. ქვეყანა თავის განვითარების ახალ გზას, — კაპიტალიზმის გზას დადგა.

ეხება რა კაპიტალიზმის ჩასახვასა და განვითარებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ წერს: „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიის ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში. ინიციერებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“.[1]

საგლეხო რეფორმის შემდეგ გლეხთა მდგომარეობა თანდათან გაუარესდა, ცხოვრების პირობები ძნელი შეიქმნა: ბატონყმური მეურნეობის ნაშთებმა, მთელმა რიგმა გადასახადებმა, ცარიზმის მოხელეთა მოქმედებამ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში გლეხთა უკმაყოფილებები გამოიწვია, მაგრამ ეს იყო სტიქიური არარგანიზებული და პოლიტიკური შეგნებას მოკლებული მოძრაობები. „მთელი საუკუნეების მონობამ იმდენად დაუბეჩავა და დაანერვიანა გლეხთა მასები, — წერს ვ. ი. ლენინი, — რომ მათ რეფორმის დროს არაფრის უნარი არ შესწევდათ, გარდა დაქსაქსული, განცალკევებული აჯანყებებისა, უფრო კი „ბუნტებისა“. რომლებიც არავითარი პოლიტიკური შეგნებით არ იყო გაშუქებული“.[2]

ელდიმერ ილიას ძე ლენინი, განიხილავდა რა გლეხთა აღნიშნული მოძრაობების დამარცხების მიზეზებს, წერდა: „გლეხთა აჯანყება ჩაჭრეს, რადგან ეს იყო ბნელი, შეუგნებელი მასის აჯანყება, რომელსაც არ ჰქონდა გარკვეული ნათელი პოლიტიკური მოთხოვნანი, ე. ი. არ ჰქონდა მოთხოვნა სახელმწიფო წესწყობილების შეცვლისა. გლეხთა აჯანყება ჩაჭრეს, რადგან სოფლის პროლეტარებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ კავშირი ქალაქის პროლეტარებთან. ეი გლეხების პირველი მარცხის სამი მიზეზი“.[3]

საქართველოში 1905 წლის წინა პერიოდში, ასევე რევოლუციის აღმავლობის პერიოდშიაც, პროლეტარიატის უახლოეს მოკავშირედ გლეხობა გამოვიდა. საქართველოს სოფლებში რევოლუციური იდეების გავრცელების საქმეში დიდი როლი ითამაშეს სამრეწველო ცენტრებიდან თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უკან დაბრუნებულმა გლეხებმა,

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 128.

3 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 529.

რომლებსაც მოჰქონდათ ახალი იდეები, „მიკრუებულ ადგილების გლეხობაში ისინი იდეიმეგნენ შეგნებას და ადამიანური ღირსების გრძნობას, აღვიძებენ რწმენას საკუთარი ძალისადმი“,[4] აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

როგორც ცნობილია, 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგის მუშათა მოტყუებით დაღვრილმა სისხლმა მთელი ქვეყნის მშრომელი მასების აღშფოთება გამოიწვია. შვეიცარიაში მყოფმა ვ. ი. ლენინმა დაწერა სტატია „რევოლუცია რუსეთში“, რომელშიც 9 იანვრის სისხლიანი კვირა რევოლუციის დასაწყისად მიიჩნია. ვ. ი. ლენინს რუსეთის პროლეტარიატთან ერთად მხედველობიდან არ გამორჩენია განსაპირა მხარეები, რომლის შესახებაც აღნიშნულ სტატიაში ჩაზვასმით წერდა: ...„ეწყება აჯანყება, ძალა უპირდაპირდება ძალას. გაჩაღებულია ქუჩებში ბრძოლა, შენდება ბარიკადები, გრიალებს ზალბები და ქუხს ზარბაზნები. სისხლი ნაკადად იღვრება, ჩადგება საბოქაღაო ომი თავისუფლებისათვის. პეტერბურგის პროლეტარიატს მზად არიან შეუერთდნენ მოსკოვი და სამხრეთი, კავკასია და პოლონეთი. მუშების ლოზუნგი გახდა: სიკვდილი ან თავისუფლება!“[5].

რევოლუციის ტალღამ მოიცვა მთელი რუსეთი. იანვრის მეორე ნახევარში მუშათა გამოსვლები დაიწყო თბილისში, ბათუმში, ჭიათურასა და სხვა ადგილებში. „რევოლუციური მოძრაობის სათავეში იდგნენ ბოლშევიკები. ისინი თავიანთ პროკლამაციებში, რომელიც უხვად ვრცელდებოდა მუშებში, მოუწოდებდნენ მუშათა კლასს რევოლუციურ გლეხობასთან კავშირში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ“[6].

სამრეწველო ადგილებში პროლეტარიატის მიერ დაწყებულმა ბრძოლამ გამოძახილი პოეა საქართველოს სოფლებში, სადაც გლეხთა მოძრაობამ მეტად მწვავე და ფართო ხასიათი მიიღო.

ვ. ი. ლენინი დიდ შეფასებას აძლევდა საქართველოს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, რომლის შესახებაც ის თავის სტატიაში „სათათბიროს არჩევნები და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა“ წერდა: „რუსეთის შედარება არარუსულ ნაწილებთან, პოლონეთთან და კავკასიასთან, ახალ საბუთს იძლევა იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ნამდვილი მამოძრავებელი ძალა ბურჟუაზია არ არის. პოლონეთში სრულებით არ არის ქალაქის არავითარი ბურჟუაზიული ფენა ოპოზიცია, თითქმის არ არიან ლენინელები, რევოლუციურ პროლეტარიატს უპირისპირდება მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის რეაქციული ბლოკი. ამიტომ გაიმარჯვეს იქ ნაროდოვი დემოკრატებმა. კავკასიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ძალიან ძლიერია, ლიბერალთა ძალა იქ თითქმის ისეთივეა, როგორიც რუსეთში, მაგრამ მემარცხენეები აქ ყველაზე ძლიერი პარტიაა... პოლონეთში — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — „სრულებით არ აქვს ადგილი გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას მემამულეთა მიწების კონფისკაციისათვის. ამიტომ პოლონეთში რევოლუციას პროლეტარიატს გარეთ არავითარი მტკიცე საყრდენი წერტილი არ მოეპოება. კლასობრივი წინააღმდეგობანი ე‍ დასავლეთ ევროპის ტიპს უახლოვდებიან. საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ კავკასიაში“[7].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვ. ი. ლენინის აღნიშნული სტატია პირველად 1907 წლის 27 მარტს გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე, ხოლო იმავე წლის აპრილის დასაწყისში ქართულ ენაზე ბოლშევიკურ გაზეთ „დროშაში“ დაიბეჭდა.

1905 წლის აპრილში ლონდონში შედგა რსდმპ III ყრილობა, სადაც ერთ-ერთ საკითხად განხილული იქნა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა კავკასიაში. საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ ყრილობაზე მოხსენება გააკეთა მიხა ცხაკაიამ. ვ. ი. ლენინი კარგად იცნობდა საქართველოს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას: რსდმპ III ყრილობაზე კავკასიის ამბების შესახებ დაწერილი რეზოლუცია მან შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: იღებს რა მხედველობაში.

1. რომ კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყვეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას;

2. რომ კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობის რევოლუციური განწყობილება როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უკვე მიეიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყებამდე;

3. რომ თვითმპყრობელური მთავრობა უკვე გზაზვნის ჯარებს და არტილერიას გეგრილი და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უადრესად დაუნდობელ განადგურებას;

4. რომ კავკასიაში სახალხო აჯანყებაზე თვითმპყრობელობის გამარჯვებას, რასაც იქაური მოსახლეობის სხვადასხვაროვანი შე-

---

4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 162.

5 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 67.

6 საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ., 1962, გვ. 253.

7 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 12, გვ. 237.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადგენლობა აადგილებს, უაღრესად მაღე შედეგი ეჭნება აჯანყების წარმატებისათვის მთელ რუსეთში.

შემდეგ ყრილობის მასალებში ვკითხულობთ: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უთვლის კავკასიის გმირ პროლეტარიატს და გლეხობას და აცალებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და აღგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ კავკასიაში საჭმის მდგომარეობის ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო გასაუბრების და სხვა საშუალებით, აგრეთვე კავკასიისათვის დახმარების დროზე გასაწევად შეიარაღებული ძალით“[8].

რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია „კავკასიის ამბების შესახებ“ 1905 წლის 27 მაისს გამოქვეყნდა გაზეთ „პროლეტარიატის“ პირველ ნომერში, ხოლო იმავე წლის ივლისს დასაწყისში რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლის“ პირველ ნომერში ქართულ ენაზე დაისტამბა.

---

8 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 497-498.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოზია პაჭკორია

დრო და სახელები

(წერილი პირველი)

ადამიანის მეხსიერებას აქვს თვისება — შერჩევისა და უარყოფის. იგი ივიწყებს შემთხვევითს, შეუფერებელს, ტრაგიკულს; ზოგჯერ იმასაც, რისი დავიწყებაც არ შეიძლება.

თაობის მეხსიერება უფრო დაუნდობელია, იგი საკუთარი არსებობის მოკლე მონაკვეთზეც ივიწყებს ბევრ რამეს.

„შედეგის არავინ ქმნის, ზოგიერთი ნაწარმოები შედეგად დროის თავაზიანობის გამო თუ გადაიქცევა“ — ირონიულად აცხადებს ანატოლ ფრანსი.

„თავაზიანი დრო“ არღვევს ჩვეულ წარმოდგენას დროის სიმაკრისა და დროით გამოცდის თაობაზე. მაგრამ გარკვეულ ვითარებათა თავმოყრა, ალბათ, ქმნის იმ პირობას, სადაც დრო „თავაზიანად“ ანიჭებს რომელიმე ქმნილებას თვით შედეგის უფლებებსაც კი. იქნებ ეს მხოლოდ მოდაა, დროებითი და წარმავალი. ყოველ შემთხვევაში, ის, რასაც პირობითად თაობის მეხსიერება ვუწოდეთ, საკმაოდ მკაცრი აღმოჩნდა და დღეს შეიძლება ვერც გაიხსენო ბევრი რამ ისეთი, რასაც ამ ათიოდე წლის წინ თითქოს მნიშვნელობა და შემეცნებითი ღირებულება ჰქონდა.

როცა ფიქრობ შენს თაობაზე, გეუფლება გრძნობა, რომ ლიტერატურული ქვეყანა, რომელსაც კარგად უნდა იცნობდე, საოცარი მოულოდნელობებითაა სავსე. შენ იცი მისი არსებობის მორალური კანონი, მისი სოციალური და საზოგადოებრივი იდეალები; იცი მის წიაღში წარმოქმნილი პრაქტიკიზმის ფასი. თაობას იქნებ საკმაოდ „თავაზიანი“ დროც არგუნა ბედმა. დღეს ბევრია უფლებამოსილი ეკან მიიხედოს, ბევრი აღიარებული ოსტატიცაა და თითქოს ივიწყებს, რომ ოსტატობა ერთგვარ კონსერვატორულ ელემენტსაც მოიცავს. იქნებ ზოგს ნაადრევად გაუზნდა სერვილი, გახდეს საკუთარი თავის ძეგლი... და მაინც, ყოველთვის ელი ახალს, მოქმედს, ამაღლებულს... ეს თუ ამარილებს, მთელი ცხოვრება სხვაგან, სხვის შემოქმედებაში რომ უნდა ეძიო შენი არსებობის მორალური საყრდენი, სულიერი და ინტელექტუალური წონასწორობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

„...ასეა ჩვენს მიწაზე, ყველაფერი იბადება დაუცხრომელი სიცოცხლისთვის, შფოთავს და მერე ლხენით ჩადის მიწაში. რა თქმა უნდა, დარდისა და ვაებისთვისაც იბადება. ოღონდ სწორედ ისინი წარმოქმნიან სიყვარულსა და თანაგრძნობას. ამასაც შეგიძლია ბოლო მოუღო, თუ გკერა, რომ მართლა ტანჯავენ. არარას ისევ ტანჯავ სჯობს. მხოლოდ სირცხვილი თუა არაოფიციალურ მძიმე. ამქვეყნად ცას ვერ გამოეკერები. შენ ეს იი და გინახავს. ყოველი განვლილი თაეინი მიწიერი ცხოვრების ვადას. და სადღაც ეს რჩება, არ შეიძლება არ დარჩეს. ინისთვის ხომ არ იბადება ყოველივე. მერე უკვალოდ გაქრეს. არც მიწაა ისე ღრმა და ყოვლისდამტევი. იგი არაფერს არ ინახავს. ყველაფერი საქმეს ხმარდება.

სცადე და დამარხე მარცვალი — ვერ შეაკავებ. მაინც გამოარღვევს, გამოაპობს, აღმოცენდება, წამოიზრდება სიცოცხლისკენ, სინათლისა და ჰაერისკენ, მზისკენ.

მათ კი (ბიჭმა დაინახა გაწვდილი ხელი — შავი სილუეტი ფანჯრის ბნელ ფონზე. მიღმა ჩანდა მოსარკული ცა და გათოშილი, ყინულით დაფერილი ვარსკვლავები), მათ ოქნებ არც ჭირდებათ ჩვენი მზე.

— ჩვენ ხომ გვჭირდება ისინი, — შეაწყვეტინა ბიჭმა, — ამ მიწაზე ადგილი მათაც ეეოფა და ჩვენც.

— რა თქმა უნდა, მით უფრო, მათ ადგილი არც ჭირდებათ, ჩრდილიც კი არ გააჩნიათ, ისინი...

— მაგრამ მე ვნახე იგი — წამოიძახა ბიჭმა — ვნახე!

— ვიცი, მეც ვნახე; იმ დღეს, როცა პირველად მოვკალი ირემი!"

უილიამ ფოლკნერი

როცა ადამიანები კარგავენ პიროვნებას, უაღრესად თავისებურსა და კოლორატულ, ეისი მსგავსიც მეორე არა ჰყავთ, ისინი ამას ღრმად განიცდიან; შემდეგ იწყება უცნაური რამ-მოდა პიროვნებაზე, მის მეგობრობაზე... რაღაც იმ ბავშვური სურვილის მსგავსი, რამაც ტომ სოიერის სკოლის ამხანაგს უგზოუკცლოდ დაკარგულ ტომზე თქმევინა, ერთხელ სოიერმა მაგრად მიმბეგვო. ბიჭმა სხვა ვერაფერი მოიფიქრა, ტომის რომანტიკულ სახელთან წილნაყარობა კი უზომოდ ეწადა.

ჩვენ თქმიდან არ გადაგვიხვეეინ...

ეის ჰრკვევია წლად თავისი თაობის, მეგობრების, კოლეგების ხასიათი, ავი და კარგი, რწმენა და ექეი უფრო სრულად გამოეხატა, ვიდრე ნოდარ ჩხეიძეს. იგი სოიკირი გრაფიკული სიცხადით უყრიდა თავს ყველა ამ თვისებას და მუდმივი შინაგანი წინააღმდეგობის, წუხილისა და ძიების გამო თითქმის ერთადერთი იყო, ვინც არასოდეს არ ისვენებდა და არც ახლობლებს ასვენებდა.

ახლა ამბობენ — მასთან მეგობრობა ადვილი იყო და იგი ყველასთან მეგობრობდაო — არა მგონია!

არ შეიძლება ილო სამეგობრო იყოს კაცი, ვინც არასოდეს არ იცი ბოლომდე როგორია; ვინც ყოველ სტრიქონს, ახალ ლექსს, მოთხრობას, ახალ სახელს სესიმური სიმძაფრით განიცდის, აფასებს; ეძებს გამოსავალს უნიეოთათვის და ხსნას ნიეიერთათვის. ასე იყო... იგი არ უფრთხოდა კონტაქტებს, რადგან მრავალი მიმართულებით ჰქონდა გაწვდილი ცნობიერების საცეცები და წვალობდა, როცა ახალი ურთიერთობები დაუევინდებოდა. მაშინ ნოდარ ჩხეიძე თავისუფალ არჩევანს მიმართავდა. ზოგჯერ თავს უნიჭოთა ნიჭიერებაში ირწმუნებდა, პრაკტიკისტთა რომანტიეოსობის დაკერვება სურდა, კარიერისტში უანგარობას ეძებდა; ღიზანდებოდა, კარგავდა ზომიერების გრძნობასა და ხან ტაქტსაც, რადგან თავს გაკუნეებულად გრძნობდა და ამას ვერ ეგუებოდა.

ასე იყო... მე ოშვიათად მინახავს პროფესიონალი მწერალი, ეისთვისაც მწერლობა ისეთი რელიგიური სრულქმნილების, მოწამებრივი უდალტობის ტაძარი ყოფილიყო, როგორც მისთვის. და იგი ამ ტაძრის უცნაური მსახური იყო. მას არ გაიჩნდა სიდარბაილე და პრელატის დახვეწილი მანერები. პირიქით, ზოგჯერ ამბიონთან ცხენდაცხენ მიჭირდ მომთაბარეს ჰგავდა და გუმბათში ისრების შერეობას ლამობდა.

მას ალიზინეზია სიტყვა „ავტორიტეტი" და თვითვე. ფეხის ყოველ გადადგმაზე ქმნიდა ახალ ლიტერატურულ ავტორიტეტებს. მერე, ეოტა არ იყოს, გაოცებული შესცქეროდა ამ თავის „შექმნილებს" და, ალბათ, მარტოდ დარჩენილი ირონიულადაც ღიმიებოდა.

და საერთოდ, არ იყო ნოდარ ჩხეიძე ის კაცი, ვინც ერთი შეხედვით გასაგებია და ერთი შეხედვრით სასურველი.

ოტია პაპაკორია
ფრო და სახელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შე მიძნელდება გავიხსენო ვინმე სხვა, ისე ღრმად და ორგანულად დაკავშირებული უკანასკნელი წლების ლიტერატურასთან, როგორც ნოდარ ჩხეიძე; მიძნელდება გავიხსენო მეორე კრიტიკოსი, ვისი კურთხევითაც იმდენი ახალი სახელი შემატებოდეს უკანასკნელი წლების ქართული ლიტერატურის, როგორც ნოდარ ჩხეიძის; და, საერთოდ, არ მეგულება მეორე კაცი, ისეთი ღრმა პატივისცემა ჰქონოდეს სხვისი ნიჭისა, როგორც მას.

იგი წინამდგომთა და მეგზურთა რჩეულ რაზმს ეკუთვნოდა და იცოდა ეს. იცოდა ისიც, არასოდეს იქნებოდა დამცხრალი, გულდინჯი და რეს-პექტაბელური ლიტერატურული მოღვაწე. თავისი არსებობით ყოველთვის გაალიზიანებდა ერთთა, და შეეშალა მისცემდა მეორეთ.

მე არ მიკრა კრიტიკოსის, ჰაპეკობისას ცუდი ან კარგი მოთხრობა არ დაეწერის (ასეთი, ალბათ, არც არსებობს). ნოდარ ჩხეიძეს წერდა მოთხრობებს. იგი მთელი არსებით მწერალი იყო, ნამდვილი მწერალი და პატოსანი კაცი — იცოდა თავისი მოთხრობების ფასი, მან თავისი ფასიც იცოდა. არასოდეს გაწირავდა იმას, რაც ბოლომდე არ ემეტებოდა გასაწირად, არასოდეს შეითვისებდა იმას, რისი შეთვისებაც ბოლომდე არ შეეძლო.

მის სახელს ხშირად ურთავდნენ: მკაცრი, ულმობელი, ენამწარე... იგი კი უფრო დამყოლი იყო, ვიდრე ულმობელი; გულმოწყალე, ვიდრე დაუნდობელი. ყოველთვის შეეძლო მობაკვრის წონასწორობიდან გამოყვანა; თავისი ირონიული ლოგიკით დათრგუნვა; და მანიც, მე მინახავს, რა გაფაციცებით უთვალთვალებდა იგი ასეთ წუთებშიც კი მობაკვრეს, რათა დაუხანებლივ გაეწვდინა მისთვის ხელი, მიეცა სიქველე და სიმთა თავისი დიდი გულისა.

იქნებ ნოდარ ჩხეიძე უფრო ორატორი იყო, ვიდრე ლიტერატურის მემატიანე. ყოველ შემთხვევაში, იგი მხოლოდ ახალ, მოქმედ ფიზიკურ ძალებდა. მოსწონდა დახვეწილი არგუმენტაციები, თუმცა ცოტა ეშვითაც ეკიდებოდა, მეტად „მბატარეული თხრობის პლებეტი უნარის“ ენდობოდა — ნიადაგთან, ფესვებთან დაკავშირებულ მოუღლელსა და შეურყეველ შემოქმედებით ენერგიას. იგი არც თავად ესწრაფვოდა მოჩვენებით სრულყოფას და არც სხვასთან ურიგდებოდა მოჩვენებითს, ხელოვნურსა და შეძენილს; ერთი სიტყვით, მას, რასაც თვითვე „ლიტერატურულ სნობიზმს“ უწოდებდა.

„პოეზია არ არის პროფესია, პოეზია ბეღისწერაა“ — უადრესად სწამდა ამ პრინციპის, რადგან იგი თავისთავად გამორიცხავდა ყოველგვარ სიყალბეს, მოგონილსა და მოიცავდა მხოლოდ მოწამებრივსა და ნამდვილს.

ნოდარ ჩხეიძე ყოველთვის ემსახურებოდა მაძაცის კულტს — თავისუფალს ზნეობრივი უკონტროლობისგან; უპირატესობისა და ზეპენებრივობის თეატრალური პოზისგან. ეს იყო ახალგაზრდული საწყისის ნდობა და იმედი. ადამიანის ძალგამოსილების რწმენა; იქნება მამაკაცური დარდიც და უწონასწორობაც.

და მანც, უმთავრესი, რაც მის ხასიათს განსაზღვრავდა — სურვილი, ყოველსმომცველი და დაუოკებელი სურვილი ფაქტების ტყვეობიდან თავის დახსნისა და იმავ ფაქტების ტყვეობით გამოწვეული ღრმა ტკივილი.

ასე იყო... იგი ყოველი ჩვენგანის არსში დაბუდდა და მუდმივად მოქმედებს. ყოველ ახალ მოთხრობაში, მისი მეგობრების ყოველი ახალ ნაწარმოებში ჭ ნათლად ვხედავ მის კვალს და მესმის მისი სახელის ექო.

და როცა ვფიქრობ ნოდარ ჩხეიძის უცნაურად აუხსნელ ტრაგიკულ ხვედრზე, უნებლიეთ მახსენდება სიტყვები, სხვის მიერ ნათქვამი: თურმე ასეა — „ჩვენზე ადრე ჩვენი ფესვები კვდებიანნ“.

2

ივანე ალექსანდრეს ძე გონჩაროვი ხომალდით მგზავრობდა. ძლიერი შტორმის დროს ხომალდის კაპიტანი კიოუტაში ჩავიდა და მწერალი გემბანზე მიიწვია: თქვენ მწერალი ბრძანდებით, თქვენ აუცილებლად უნდა ნახოთ ეს გრანდიოზული სანახაობა.

„ობლომოვის“ ავტორი ავიდა გემბანზე, მოავლო თვალი მშფოთვარე ოკეანეს: „სიმახინჯეა, უწესრიგობაა“ — ჩაილაპარაკა მან და მაშინვე კიოუტაში დაბრუნდა.

თქვენ მწერალი ბრძანდებით, — ეს სიტყვები თითქოს წინასწარ განსაზღვრავენ რაღაც განსაკუთრებულს: რომანტიკულ პოზას, პოეტურ „უწესრიგობას“, ზიფათის ლტოლვას...

ამ „ტრადიციულმა“ წარმოდგენამ აფიქრებინა კაპიტანს — „ობლომოვის“ ავტორის შთაგონებისთვის შტორმის ყურება ჯირდებოდა.

დაახლოებით მსგავსმა წარმოდგენამ წარმოშვა აზრი — გვიი მაღულარის მოთხრობაში „დაღამება ამა სოფლისა“, ბარათაშვილის სიკვდილის სცენებში არ ისმისო „მერანის“ მოტივები.

უცნაურია, თუმცა... ხომ იქნებოდა თეატრალური ეფექტის მოყვარულთათვის უფრო გა'ადგები მოვარდნილი ტალღების, ქარტეხილის, ჩამუქებული კლდეების ფონზე აღმართული გმირი, ანთებული თვალებით რომ გასცქერის ცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასალიერს და თავისი საუკეთესო ლექსის სტროქონებით გამოფიტულ ბაგეზე ეგებება სიყვდილს. პოზა დაირღვა...

„დადამება ამა სოფლისა“ საკმაოდ რთული ნაწარმოებია სამისოდ, რომ მისი ავ-კარგი მხოლოდ ამ დარღვევით განისაზღვროს.

მოვდგა მწერალი, ცოტა მოულოდნელად, თითქოს მოგვიანებითაც და მოიტანა სურვილი იდუმალი ტკივილის, განცდილისა და ნაფიქრის გამოხატვისა... ყოველ შემთხვევაში, ერთი ფაქტია, მასთან კიეტაში ანაზდად ვერ შეხვალ და ვერ უკარნახებ — რა ნახოს შთაგრნებისთვის.

„დადამება ამა სოფლისა“ აღსარებაა. იგი, უპირველეს, იმ ინტელექტუალურ ინტუიციას გულისხმობს, რაც ჭეშმარიტი შემოქმედების საფუძველი უნდა გახდეს. აქ არ არის მხოლოდ თვითნაღაღის საგულისხმო უნარი, აქ ნათლად სჩანს საერთო ლიტერატურული გამოცდილებაცა და კულტურაც — სადაც ორგანულად საკუთრისა და ნაქმნილი გამიჯვნა ძნელია. იქნებ შესაძლოა მასაზრდოებელი ნაკადების, ლიტერატურული წანამძღვრების მიგნება, მაგრამ ამგვარი ძიება ყოველთვის როდი გამართლებული.

...კვდება კაცი, დაღლილი და სნეული კაცი; წყლების მანძილზე ზელდა განჯის ტალახს, დასდევდა ყანაღებს, ედავებოდა აღმოსავლური ცხიერებით აღსავსე წყრილფეხა დესპოტებს, განაგებდა მათ მიკოსამყაროს; ენატრებოდა იმქვეყნიერი ცივილიზაციის მინიმუმიც კი და დასნეულდა. კვდება დიდი პოეტი და კვდება როგორც ჩვეულებრივი, მიდგომული და მივიწყებული მოკვდავი, რადგან. რის წინაშეც წარდგა, იქ ყველი ტოლია და ერთსახოვანი. და მაინც, უჩვეულოა და განსაკუთრებული მისი სიკვდილი. მოთხრობის გმირი (ჩვენ განგებ არ ვთარქმეთ მას ყოველთვის საკუთარ სახელს) „ამა სოფლის დადამებას“ არ განიცდის როგორც არსებობის ერთი ფორმიდან მეორე, სხვა, შეუცნობ ფორმად გარდასხვას. მას ილუზიები არ ეკარნია. სოციარი ინტენსიეობითა და სიცხადით განიცდის იმ სამყაროს ფეზიკურ რღვევას, სადაც ცხოვრობდა და არსებობდა. ეს რღვევა სინქრონულად ერწყმის თვით მისი არსების, ფიზიკური გარსის რღვევას. იგი გრძნობს, რომ მასში, მის მკერდში რაღაც იშლება, კარგის ფორმასა და ფუნქციას და იქვე იშლება ამ ტკივილის შესატყვისი სავანიც გარესამყაროში. იგი უცნაურად უხსნის საკუთარ არსებას ტაროს, ზეგიმას, ქარს, ჩამორღვეულ კედლებს; კარგის საკუთარი თვის ფეზიკურ საზღვარს, განიფენება, წუთით ქრება ტკივილი და თანდათან ეცლება ხელიდან საავნის, ფერების, ბგერათა აღქმის უნარი. შემდეგ ტკივილი ახლდება და იგიც კვლავ უბრუნდება ნაგვემ სხეულს, ყოველივე იწყება თავიდან.

თითქოს ვიღაც თითო-თითოდ აკრობს დიდი შანდლის სანთლებს, ოღონდ ამ ბნელში შთავარდნილი კაცის ოდნავ მფეთქავ შეგნებაში სა. ოცარი სიცხადით ცოცხლობენ სულიერი კავშირები.

უცნაურია ამ კაცის სიკვდილი. იგი არ მიმართავს ღმერთს, რადგან იცის, მისი ღმერთი მისივე მატერიალური გარსთან ერთად იღუპება, მან თითქოს ისიც კი არ იცის, დაუტოვა თუ არა ადამიანებს რაიმე სულიერი ვანძი; თითქოს ისიც კი არ იცის, რომ არ იყო გაჩენილი ამქვეყნიური წარჩინებისთვის და ბედმა სულიერი აღზვევა, განუზომელი სულიერი უპირატესობა არგუნა.

და თუ პარათაშვილი ასე კვდებოდა, ეს არ იყო მხოლოდ ბარათაშვილის უბედურება.

რა თქმა უნდა, იგი არ იყო პატრიარქი, რომლის სასიკვდილო სარეცელს წინაშეც მუხლმოდრეკილი იდგა მისი ტომი; მან ვერ მოასწრო გამოეცვანა თავისი ხალხი სულიერი უდაბნოდან; დაეპურებინა ციური მანანით და მიეცა ზნეობრივი კანონი.

იგი მთელი სიცოცხლე ესაუბრებოდა ადამიანებს, რომელთაც არაფერი ესმოდათ მისი; ზრუნავდა ხალხზე, ვინც ერთი წუთითაც არ იყო ამ ზრუნვის ღირსი და მას არც ჭირდებოდა ამ, ამ წუთში, ამ გაუვალი კედლის წინაშე მათი თანდასწრება. მას ხომ ქაღალდზე დაწერილი შეწყალებაც უკვალოდ უკრუბოდა, მაშინ, როცა ვიღაც უნდა დაეხსნა, ვიღაცისთვის ეშველა.

მთელი მისი ცხოვრება აუხდენელი სურვილების კრიალოსანი იყო, ვამოთიშული მისი პოეტური ცხოვრების გაუმხელელი სამყაროდან. ძნელია იმის თქმაც, იცოდა კი მან მთლიანად თავისი პოეტური გენიის ფასი, თუ უფრო შემოქმედის დაუთრგუნავი სული ხსნდა მის წინაშე თანდათანობით უცნაურსა და უთქმელ ქვეყანას უზენაესთან ზიარებისა.

ვინ იყო იგი? კაცი, ვინც თავისიანებმა ვერ დაინახეს და სცნეს, თუ კიდევ ერთი მსხვერპლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეპოქის სტელისა, რომელიც თავის დიდ პოეტებს თითქმის ერთნაირ, სტანდარტულად ტრაგიკულ აღსასრულს უმზადებდა.

გივი მაღულარია ცდილობს „სტანდარტის“ შეცვლას, იგი ცვლის თვით სიკვდილთან მიახლოების შეგრძნებას, მის სიმძაფრესა და ტონს.

გაპყვება კი პოეტს ცნობიერების თუნდაც ნაწილი იმ კედლის მიღმა, მის წინაშე რომ აღიმართა; ეღირსება კი, ბოლოსდაბოლოს, უდრტვინველი სიმშვიდე, მიიღებს გამქრალი დროის სანაკეფოდ იმ მარადისობას, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი და გაგება საუკუნოდ წარიშლება...

გარეშო დამქანცველი სიზუსტით აღწერილი ორმოა; შუასაუკუნეობრივი ეზიერი უმიძრაობითა და ღვარძლიანი ცხიერებით სავსე ორმო,

ოგია ალაპორია
ფრო და სახელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის კედლებზეც მოკონავს უკუნნურებისა და ბიწიერების ნაყური. ამ ჩარჩოში მოქცეული ქრება ნათელი პოეტური და ეროვნული სული; ქრება ისე, როგორც დელუმში გატანილი ჩირადანი.

და აქვე ავტორი გვთავაზობს ერთ სრულიად უბრალო, თითქმის ბანალურ დასკვნას — ყველა ერთნაირად კედება, და მაინც, არავინ არ კედება ერთნაირად. ორი ურთიერთ-გამომრიცხავი და საპირისპირო თვალსაზრისის თანაბარუფლებიანობა და თანაარსებობა ყოველთვის ქმნიდა და აქაც ქმნის ტრაგიკულს.

ბოლოსდაბოლოს, მოთხრობაში დროისა და სივრცის შეუთანხმებლობაა. ის, რაც ხდება დროის მცირე მონაკვეთში, გაშლილია უსაზღვრო სივრცეში, რომელსაც მარადიული არყოფნის, დროის გაკრთობის სუსხი ახლავს. მაგრამ სივრეც ისსება დეტალებით, შემდეგ დეტალები მერიდებიან, ნაწერდებიან და ნაწვეენ ახალ დეტალებს, იწვევენ დაღლილობასაც.

მოთხრობის ტემპი ანდანტეა (რაც არ არის ქართული პროზის დამახასიათებელი ტემპი). ტემპის, რიტმის ის შინაგანი გრძნობა, უფრო სწრაფად, ის გარეგნული თვისება, რასაც ჩვენ ჩვეული ვართ, აქ შეცვლილია გულმოდგინე და შენელებული ანალიტური თვალთახედვით, თითქოს აკადემიური კეთილსინდისიერების იერიც ახლავს. ჩვენ არ ვფიქრობთ ამ თვისების ნაკლად ან ღირსებად გამოცხადებას. ყოველივე ეს აზროვნების მანერასთან, კონცეფციასა და ტემპერამენტთანაა დაკავშირებული. ადვილი შესაძლებელია, დღეს თუ ხვალ, ქართული პროზისთვის ბუნებრივ და აუცილებელ თვისებადაც გადაიქცეს.

რთული ფსიქიკური მექანიზმი, სულიერი სამყარო, მიღწეული არყოფნის მიჯნის, თანაც მიღწეული საკმაო სიუჟეტური სისადავით, შესატყვის პროზაულ მეტყველებას — რთულსა და გაშლილს — მოითხოვდა. ანელი იყო ყოველივე ამის კონსტრუქციული გართულების გარეშე გადმოცემა. აქ უცნაურადაა შეთავსებული საგა და ზედმეტი, ნერვული დაძაბვა და მოდუნება. ეს შეგნებული დისპროპორციაა. ავტორი თამამად მიდის ამგვარ სირთულისკენ, რაც თვით ენობრივი სტრუქტურის თავისებური ორნამენტირებით, მეტყველების ბარიული ელფერით გამოიხატა; იმავ დროს, ფრიად მოულოდნელად ზოგან პუბლიციტური ინტონაციაც კი ჩნდება.

ეს შთაბეჭდილებაა და არა დაეგა. არსებობს ნაწარმოებები, რომელთა ღირებულებისთვისაც არც თუ ისე სახიფათოა ყოველგვარი ახრი. მოთხრობის საერთო ხასიათი არ გვაძლევს საბაბს მასში რაიმე გაუცნობიერებელი გადახვევები ვიგულისხმოთ. იქ, სადაც ვწერდით მნიშვნელოვანი ლიტერატურული გამოცდილების თათბაზე, სწორედ გაცნობიერებულ ვგულისხმობდით. აქ შეიძლებოდა დაგვმატებინა — რეფექსიის მოჯარება. გამოდის „გრძნეული გარსის" ჩენ ყოველთვის ვჩიოდით რეფექსიის ნაკლოვანებ და ა. ი. როცა ხელთ გვაქვს იგი, ფეხს ვითრევთ და ვკოფთნი. არა მგონია იმის გამო, თითქოს უჩვეულო გვკერთობდეს. ბოლოსდაბოლოს, აქ უჩვეულო მაინდამაინც არაფერი. საქმე ისაა, რომ ჩენ ჯერ კიდევ უნდობლად ვეკიდებით ინტელექტუალობის გამოხატვის ამგვარ ლიტერატურულ ფორმებს და იქვე, უნუბლოეთ, რემინისცენციებს ვეძებთ.

არსებობს გამოთქმა, რომლის ქართულად გადმოტანა ძნელია — „страстно — бесстрастное" — შთაგონებული და ცივი ერთდროულად. არის მოთხრობაში რაღაც ამდაგვარი: გაორებული, დაპირისპირებული და მაინც ერთიანი.

მოთხრობა დაშლილი და დანაწევრებული გარსამყაროს ემოციურ სფეროში დეტალურად გადატანის პრინციპითაა დაწერილი, ნაფიქრისა და განცდილის გულახდილი აღიარებაა, რაც თავისთავად გულისხმობს მძაფრ ემოციურ ზემოქმედებას. ასეა და მაინც გაწუხებს უშუალობის, თუნდაც პოეტური „უწესრიგობის" სიცარის განცდა.

ოღონ როდინ ამ განცდის გამომწვევი მიზეზის ახსნა. შესაძლოა, აქ ერთგვარ ანალიტურ სიმშრალესთან გვქონდეს საქმე. იმ ვითარებასთან, როცა კაცი „ნაფლეკი მოვლენის ელემენტებად დაქუცმაცებისა და ანალიზის პროცესში, ისე თუ ისე, თავისთვის ყოველთვის უბედურია". ა. კუბელი ამ „უბედურებას" ე. წ. „მხატვრულ უნაყოფობასა" უკავშირებს. აქ „მხატვრულ უნაყოფობაზე" ლაპარაკი. რა თქმა უნდა, ზედმეტია, არც კუბელი გულისხმობდა პოეტს ან პროზაიკოს. სარტრეს „მოვლენის ელემენტებად დაქუცმაცებისა და ანალიზის პროცესსა", რაც მხატვრულ აზროვნებას გარკვეული გამოცდის, თუნდაც განსაცდელის წინაშე აყენებს.

ადვილი მოთხრობისა და ესსეს შორის ზღვარის დადება, მაგრამ ასეეა ადვილი როდინ მხატვრული ნაწარმოების ეროიანი ფორიდან ესსეისტური საწყისის ფორმალური გამოყოფა (ითქო უმეტეს დღეს).

გივი მაღულარია არ გაურბის ესსეიესტურ აზროვნებას და ამას თავისი ობიექტური მიზეზი აქვს. როცა ვლაპარაკობთ ესსეიესტურ საწყისზე, უნდა გავითვალისწინოთ — ავტორის ცნობიერებაში არსებობდა გარკვეული მოდელი, ჩამოყალიბებული და დადგენილი ხასიათი, რომელსაც თაობათა წარმოსახვაშიე თავისი სახე და ფორმა ჰქონდა. ავტორის წინაშე თავისებური ალტერნატივა წამოიჭრა. მას შეძლებისდაგვარად უნდა უარეყო მზა ყალიბი. ხომ არ გამოიწვევდა ეს ლიტერატურული ხასიათის დასუსტებასა და გაკრობასაც კი? რა თქმა უნდა, და გამოიწვია. კიდეც. მაგრამ ამ ერთი მეორით უნდა შეცვლილიყო. გივი მაღულარია თავის მოთხრობაში არცა

ქმნის ხასიათს, სახეს. იგი არც ცდილობს დაარღვიოს ის წარმოდგენები, რომელთაც კანონიკურის უფლება აქვთ მოპოვებული. ავტორი ქმნის განყენებულ სურათს: თავის ფიქრსა და განცდას, თავის პიროვნულ „ახალს“ უკავშირებს კონკრეტულ ფაქტს და სწორედ აქ ბასსა და ფაქტს შორის ჩნდება შუალედი — დადგენილი ლიტერატურული თვალსაზრისი და ტრადიციული წარმოდგენა. და აქვე იჩენს თავს ესსეალტური მოტივიც, რადგან ფაქტი ფუნქციას ინარჩუნებს და საქმე მაინც ფაქტის ინტერპრეტაციასთან, გადრმავებასა და, თუ გნებავთ განმარტებასთანა გვაქვს. ეს არ არის ფაქტის აღმორენა და აქ სრული შემოქმედებითი თავისუფლების მიღწევაც ძნელი იყო.

ეს ერთი მხარეა. მეორე მხრივ, შესაძლოა ჩვენ ე. წ. ფაქტის აღმოჩენას ერთგვარ სწორხაზოვანსა და ფორმალურ მნიშვნელობას ვაძლევდეთ, რადგან ზოგი მომენტის ახსნასა და გამარტლებას ვცდილობთ. მაგრამ არის კიდევ ერთი რამ — აქ ფაქტის შერჩევის პრინციპი თითქმის მთლიანად ცვლის „აღმოჩენას“, რაკი მიგნებულია ის უკიდურესი მდგომარეობა, სიტუაცია, სადაც ადამიანი — მიღწეული გარკვეულ საზღვარს — საკუთარ არსებობას ახალ, მოულოდნელ და ადრე შეუცნობ ასპექტში აღიქვამს.

გამოდის წინაადმდეგობათა თავისებური დიალექტიკა: ღრმა განცდის ზუსტად გადმოცემის უნარია, მეტყველების ბრილიანტ ელფერი... და აქვე: მოჭარბებული რეფლექსია, ესსეალტური საწყისი... თუმცა, ურთიერთგამომრიცხავიც არა არის რა. ეს კომპლექსია, გაპირობებული გონებრივი პრიმატით; მოვლენის, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინების თვალით დანახვით.

მოთხრობაში ავტორის ლიტერატურული კონცეფცია საკმაოდ გამოხატული და სწორედ ესაა მთავარი. მოლოდაბოლოს, მეღვიდეგა ანალიტური აზროვნების დამკვიდრებასთან ერთად არტისტული სრულქმნილებისკენ სწრაფვა. შეგნება იმისა, რომ ტრადიციული მხატვრული ფორმები თავისივე თავში მოიცავენ თვისობრივი განახლების დიდ შესაძლებლობებს, ოღონდ აუცილებელია აზროვნების ახალი, თანამედროვე სტილის გამოშუშავება.

პრობლემის მხატვრული ნაწარმოების ფარგლებში წამოჭრას თავისთავად აქვს მნიშვნელობა. თუ რამდენადაა გადაჭრილი მოთხრობაში ეს თეორიული თვალსაზრისი, სხვა საკმეა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს წინაშეა ხანგრძლივი ძიებების, გაუმეღოვნებელი შინაგანი ევოლუციის თავისებურად დასრულებული შედეგი. ყოველი წერილმანი, აღქმული ჩვენს მიერ ნაკლად თუ ღირსებად, ფიქრისა და სულიერი დაძაბვის რეზულტატია და არა გაუცნობიერებელი შეკოჭმედებითი ინსტინქტისა. მაგრამ „დღიმება ამა სოფლისა“ არსებობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჯერ კიდევ დასაბუთება ჭირდება, დასაბუთება ახლით, თუნდაც იმიტომ, რომ იგი თვით, თავისივე წიაღში მოიცავს ერთგვარად გადამეტებული რაციონალიზმის საშიშროებას და მნიშვნელოვანისა და რთულის პრეტენზიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ჯეირანაშვილი

კონსტანტინ პაუსტოვსკის ნოველისათვის

ქართველ მკითხველთა ფართო საზოგადოება კარგად იცნობს კ. პაუსტოვსკის შემოქმედებას და უყვარს იგი.

კ. პაუსტოვსკი სამწერლო ასპარეზზე ჩვენი საუკუნის ოციან წლებში გამოვიდა. იგი იყო რომანტიკოსი და ეროვნული გამგრძელებელი გრინის, პრიშვინისა და ბაბელის შემოქმედებისა. კ. პაუსტოვსკი საბჭოთა მწერლების უფროსი თაობის წარმომადგენელია. მის თვალწინ გაიარა XX საუკუნის ისტორიულმა მოვლენებმა, იყო ამ მოვლენათა უშუალო მოწმე და, ცხადია, მისი მწერლური მრწამსის ჩამოყალიბებაში ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ახალი ცხოვრების მხოლოდ რომანტიკული აღქმა არ კმაროდა. აუცილებელი იყო სოციალისტური სინამდვილის ღრმა გააზრება, მწერლის ადგილისა და როლის გაგება სოციალიზმის მშენებლობაში. კ. პაუსტოვსკის მთელი შემოქმედება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს მწერალი სოციალისტურ სამშობლოს.

კ. პაუსტოვსკის შემოქმედებითი გზა მრავალფეროვანია. მწერალი ანარსოდეს ყოფილა პასიური მკვირცეტელი სინამდვილისა. არსოდეს უძებნია თავშესაფარი ოცნებებისა და მირაჟების სამყაროში, ყოველთვის აქტიური მონაწილე იყო ცხოვრებისეული მოვლენებისა, ყოველთვის ეძებდა სინამდვილის რომანტიკულ მხარეს. ამ თვისებერ რომანტიზმში ხედავდა ახალი ეპოქის სპეციფიკას, რადგან ახლისათვის ბრძოლა კ. პაუსტოვსკისათვის წარმოუდგენელი იყო ილტაცების, აღმაფრენისა და ვეკაკეური შემართების გარეშე. მისთვის ეს თვისებები ბადებდა ახალი სოციალისტური ეპოქის ადამიანის მომხიბლავ თვისებებს. აქედან არის კ. პაუსტოვსკის შემოქმედებაში გაბედული რომანტიკული ოცნება, რომანტიკული სახეები და გმირები. კ. პაუსტოვსკისთან რომანტიკულობა სრულიად არ ეწინააღმდეგება რეალიზმს. პირიქით, რეალიზმი მდიდრდება და მრავალმხრივი ხდება. სამაგალითოდ შეიძლებოდა გადავხსენებინა კ. პაუსტოვსკის მოთხრობა „ჩრდილოური ამბავი" („Северная повесть"). ამ მოთხრობაში ხაზგასმულია მაღალი მორალური თვისებებისა და ტრადიციების მემკვიდრეობითობა. დეკაბრისტული მოძრაობის ვმოებსა და სოციალიზმის მშენებელთა შორის მწერალი პირდაპირ და უშუალო კავშირს ხედავს. ამ კავშირის აშკარა გამოვლენაა სხვადასხვა თაობის გმირული რომანტიკული სულელრესი მკვლევარი ლ. აჩკასოვი აღნიშნავს, რომ კ. პაუსტოვსკისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ხაზგასმული რომანტიკული განწყობილება. ეს რომანტიკა თანადროულობასა-გან დაშორებას კი არ მოითხოვდა, თანამედროვეობასთან აღრეფილ გულისხმობდა. თანამედროვეობის რომანტიკული სულის წვდომისათვის კ. პაუსტოვსკის აუცილებლად მიაჩნდა ხალხთან ახლო ურთიერთობა, ხალხში ტრიალი. მწერლის რწმენის დადასტურებაა მისი ბიოგრაფია. კ. პაუსტოვსკის უმუშავნია ტრამვაის კონდუქტორად, საველე ჰოსპიტლის ინტრატად, სამხედრო ქარხნის მუშად, მეგზურად. ბევრი უმოგზაურნია სხვადასხვა ადგილს, ჰქონია ურთიერთობა საზოგადოების ყველაფერნის წარმომადგენელთან. ასე სწავლობდა იგი ხალხის ყოფას და ამ ყოფაში ეძებდა მშვენიერს, ამაღლებულს.

კ. პაუსტოვსკის მოთხრობაში „რომანტიკოსები" ცხოვრება ორად იყოფა. ერთია რეალური, ობიექტური სინამდვილე. მეორეა გამოგონებული, განსაკუთრებული, რომანტიკული, მწერლის საკვანძო გმირებია მეოცნებენი, რომანტიკოსები, ნიჭიერი, მაგრამ ხელმოცარული ადამიანები. მათ საპირისპიროდ გამოყვანილია უარყოფითი პერსონაჟები. დანტესი

უტრირებული უარყოფით მხარეები ცხოვრებისა. ერთი შეხედვით, თითქოს ეს ხელოვნური გაყოფაა და ამით თითქოს დარღვეულია სინამდვილის ასახვის რეალისტური მეთოდი. მაგრამ თუ მოთხრობის არქიტექტონიას ღრმად ჩაეუკვირდებით, დავინახავთ, რომ ზემორე მოხსენებული გაყოფა მხოლოდ მხატვრული ხერხია. ამ ხერხით გამოთქმულია მწერლის მისწრაფება უკეთესისაკენ და კ. პაუტოვსკის მიერ არჩეული პირობითობა ცხოვრებისეულ რეალიზმს არ ირღვევს.

კ. პაუტოვსკის პერსონაჟები უბრალო ადამიანებია, მაგრამ მათში ჩაექრობლად უკიეს შემოქმედის სული. ეს განსაკუთრებით ჩანს ორ დიდ მოთხრობაში — „ყარაბუღაზი" და „კოლხიდა".

ორივე მოთხრობა კ. პაუტოვსკიმ დაწერა მას შემდეგ, რაც კარგად შეისწავლა ამერიკაკასია და იმიერკასპია.

„ყარაბუღაზი" 1932 წელს გამოქვეყნდა პირველად. ამ მოთხრობაში მკაფიოდ ჩანს საანლის ღრმა ცოდნა, გამოყვანილი და დახატულია უდიდი შემართების მქონე, მამაცი ადამიანები, ჩვენი ეპოქის ბუმბერაზი გმირები. გმირულმა რომანტიკამ და შემოქმედებითმა პათოსმა განაპირობა „ყარაბუღაზის" დიდი წარმატება.

კ. პაუტოვსკი კარგად იცნობდა საერთოდ ამიერკავკასიას და, კერძოდ, საქართველოს. 1921 წელს ოდესიდან იგი ამიერკავკასიაში ჩამოვიდა და ლოტერატურულ მუშაკად მეშობდა გაზეთებში. მას უცხოური და უმუშაკესი სოხუმში, ბათუმში, თბილისსა და სხვაგან. ამერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები უდიდეს საფუძველად კ. პაუტოვსკის ნარკვევებს — „მიწის მარილი", „ცისფერი ეცენლის ზონა" და ახ. მაგრამ ყველაზე ნნიშვნელოვანი, რაც საქართველოზე დაუწერია კ. პაუტოვსკის, მაინც „კოლხიდაა".

ამჯერად კ. პაუტოვსკის ყურადღება მიაპყრო კოლხეთის ჰაობების ამოშრობის პრობლემამ. ბათუმში, გზეთ „მაიაკში" მუშაობისას კ. პაუტოვსკი დაინტერესდა ძველი კოლეთით, იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში და საკუთარი თვალით ნახა, რა უბედურება მოჰქონდა კოლხეთის ჰაობებს, ციებისა და სხვადასხვა ავადმყოფობის კერას. 1933 წელს კ. პაუტოვსკმან ისევ იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში. ახლა უკვე ფართო ფრონტით უტეევდნენ კოლხეთის ჰაობებს და ქართული მიწაწყლიდან სამუდამოდ იდევნებოდა მალარია და სიღარიბე. 1934 წელს „კოლხიდა" გამოქვეყნდა. ამ მოთხრობაში კ. პაუტოვსკი კოლხეთის ჰაობების ამოშრობის ამბავს კადმოგვაცემს, როგორც ადამიანთა ხასიათების ჩამოყალიბების ისტორიას.

„კოლხეთის" პერსონაჟები დადებითით გმირები არიან და გარდა ქუდმაღალი და ცხეირაკეკილი ბოტანიკოსის ჭაშნიანა, ადამიანური სითბოთი და სიყვარულით ხიბლაეენ მკითხველს. ესენია; გაბენია, კახიანი, ახმეტელი, გელა, ნეკსკია და სხვანი.

მოთხრობის ძირითადი კონფლიქტი „საწარმოო" ხასიათისაა. დავა მიმდინარეობს გაბენასა და ახმეტელს შორის. გაბენია მოიხრეა კოლხეთის ჰაობების ამოშრობისა. ახმეტელს კი ეშინია ამის, რადგან, ჰაობების ამოშრობასთან ერთად, დაიღუპება ნეტრია, რომელიც შორეულო არგენტინიდან ჩამოიყვანეს ბეწვეულის პრობლემის გადასაწყვეტად. მაგრამ გაბენიასა და ახმეტელის კონფლიქტს გადაწყვეტს თავად ცხოვრების ლოგიკა. ახმეტელი მიხვდება, რომ მისი შეხედულებანი ჩამორჩა ცხოვრებას და შეედომას აღიარებს.

ყურადღებას იქცევს მოთხრობის კიდევ ერთი გმირი — თვითნასწავლი მხატვარი ბერო. ბეროს სახის შექმნისას მწერალს უსარგებლია გენიალური ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ბიოგრაფიით. დუქნის კედელზე ბერო ხატავს მომავალი კოლხეთის სურათს. ამ ამბავს მწერალი ასე აღწერს: „ზეთის საღებავებით ხატავდა ბერო დუქნის კედელზე ორაჩვეულებრივ სურათს. სურათის სიუჟეტი გადუნიან უკარნახა. სურათი გამოხატავდა მომავალ კოლხიდას, როცა ვრცელი, თბილი ჭაობების ნაცვლად, ეს მიწა ფოროთხლის ბაღებით აყვავდებოდა. ოქროსფერი ნაყოფი, ელნათურებს რომ ჰგავდა, ბრწყინავდა შავ ფოთლებში. ვარდისფერი მთები ბოლავდა როგორც ნახანძრალი. თეთრი ხომალდები მისცურავდა ლოტოსებსა და ნავებს შორის, რომლებზეც მორთულ-მოკაზმული ქალები ისხდნენ. ბაღებში ქეიფობდნენ მეგრელები. მათ გალიეე ეცეთ და ნაბდის ქუდები ეხურთ. ამ ბავშვურ პეიზაჟისაკენ ხელებს იწვდიდა ჩოხაში გამოწყობილი გრძელთმიანი მოხუცი, რომელსაც ლუთნარდო და ვინჩის სახე ჰქონდა".

საინტერესო და საყურადღებოა ის, რომ ბერის სურათი არ არის უბრალო ლამაზი კომპოზენტი მოთხრობაში. იგი მოთხრობის ძირითადი იდეური აზრის გადმოსაცემად ჩარიცხა მწერალმა. ეს აზრი გამოთქმულია ბერის სურათის გამო გაბენასა და ლაშნის კამათში.

„— რამდენად მეტად ვუყურებ ამ სურათს, იმდენად მეტად ვღშფოთდები... განა ეს ლამაზებია? ლუდის ბოთლებია!.. ფოთლები?... ეს ხომ მწვანე ფერის ჭურჭლის ნამსხვრევებია... არც ოიოწში შემოსული როდისმე ხომალდები, იმიტომ რომ თხელი წყალია; არც მეე-

თამარ ჯეირანაშვილი
კონსტანტინ პაუტოვსკის ხსოვნისათვის

ნარეულობა იქნება კოლხიდაში ასე მრავალფეროვანია, როგორც სურათზეა. არ მეცმის, რატომ აძლევენ უფლებას მხატვრებს ყველაფერი ისე გადააკეთონ, როგორც მოუპრანებათ.

გაბუნიამ გაიღიმა. ლაშენს ცოცმა ოფლმა დაასხა.

— ნება მომეცით გკითხოთ, რა გიგია ამ სურათში?—თქვა ლაშენმა ხმით რომელიც მას თავადვე საზიზღრად მოეჩვენა.—რა ნახეთ ან ნათხუნაში?

— მომავალი. — უპასუხა გაბუნიამ. — ბარონო, თქვენ ლენინი და პისარევი ეწყალიხთვეთ?

— რაღაც-რაღაც.

— გაგახსენებთ. — გაბუნია ნელა და ენერგიულად ლაპარაკობდა. — ლენინი ამბობდა, რომ ყველაზე ელემენტარული საერთო იდეაში არის ფანტაზიის ნატეხი. იგი ამბობდა, რომ სასულელა ფანტაზიის ეარაფოდა ყველაზე მკაცრ მეცნიერებაშიც კი. რომ არ ყოფილიყო ფანტაზია, არ იქნებოდა კოლუტაკი, როგორც არ იქნებოდა ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონდო კარბოზია

ხელოვნების თეორიის საკითხები შ. ნუცუბიძის შემოქმედებაში

შალვა ისაკიას ძე ნუცუბიძე XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის მამამთავარია. იგი სამეცნიერო ასპარეზზე ათიან წლებში გამოვიდა და ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა ქართული ფილოსოფიის განვითარებას. შრომელმხრივი და მრავალფეროვანია შ. ნუცუბიძის შემოქმედება. მის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხელოვნების თეორიის საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ადრინდელი პერიოდი. შ. ნუცუბიძემ ესთეტიკის პრობლემებს უძღვნა წერილები — „ჩერნიშევსკი, როგორც მოაზროვნე" (1928 წ.), „ხელოვანი და კლასი" (1929 წ.) და ფუნდამენტური ნაშრომი — „ხელოვნების თეორია. მონისტური ესთეტიკის საფუძვლები" (1929 წ.). ამ ნაშრომებში მრავალი საკითხია დაყენებული და თავისებურად ეადაწყვეტილი. შეიძლება ზოგიერთი რამ სადავო იყოს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ვფიქრობთ, შალვა ნუცუბიძის გარდაცვალებიდან ერთი და დასახელებული ნაშრომების დაწერიდან ორმოცი წელის თავზე, ჩვენი მკითხველისათვის არ იქნება ინტერესმოკლებული მოგიხმა ამ ძირითადი დებულებებისა, რომელთაც ქართული საბჭოთა ესთეტიკური აზრი-ნების ისტორიაში დადებითი როლი შეასრულეს.

ხელოვნების თეორიის საკითხებს შ. ნუცუბიძე მატერიალიზმის პოზიციებიდან აშუქებს. იგი ხშირად მიმართავს ნ. ჩერნიშევსკისა და გ. პლეხანოვის ესთეტიკურ შეხედულებებს და გვიჩვენებს, რომ „სინამდვილეს ეკუთვნის პირველობა, ხელოვნება კი მისი მსახურია". ჩერნიშევსკის წინაშე, შ. ნუცუბიძის აზრით, იდგა მატერიალისტური ესთეტიკის შექმნის ამოცანა და ეს ამ ბრწყინვალედ შეასრულა. მის მიერ მოპოვებული შედეგები მემკვიდრეობით მიიღო მარქსისტულმა ესთეტიკურმა თეორიამ. ამ უკანასკნელმა უფრო ვრცელდ, საფუძვლიანად და თანმიმდევრულად განიხილა ესთეტიკის ძირითადი საკითხები. ხელოვნების თეორიის განვითარება დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე შ. ნუცუბიძეს მიაჩნდა იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ უდიდესი მნიშვნელობის ფრონტად გარდამავალ პერიოდში. „მართალია, — წერს ის, — მარქსისტულად ესთეტიკის საკითხების დამუშავებას დიდი ისტორია არა აქვს, მაგრამ გ. პლეხანოვით დაწყებული ხელოვნების საკითხების დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით შეწყდომა დღეს უკვე ერთი უდიდესი ფრონტია მარქსისტული იდეოლოგიური მუშაობისა".[1] შ. ნუცუბიძეს პრინციპულად მისაღებად მიაჩნია გ. პლეხანოვის აზრი, რომ ხელოვნება სოციალური ცხოვრების უძველესი მოვლენაა, ადამიანის შემოქმედებითი უნარის სპეციფიკური ნაყოფია. შ. ნუცუბიძე იზიარებს მარქსისტულ დებულებას, რომ ხელოვნება იდეოლოგიის ერთი სახეობათაგანია სამართლის, მეცნიერების, რელიგიის და სხვ. ვგვრდით. საზოგადოებრივი ცნობიერება საერთოდ, და კერძოდ, მისი ერთ-ერთი ფორმა — ხელოვნება არის საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვა. „ესთეტიკური ფენომენი, ე. ი. ესთეტიკური იდეა, ფორმა, გეშოლება, მიმართულება, — ამბობს შ. ნუცუბიძე, — უკუაჩენს საზოგადოების სტრუქტურას, რომელსაც თავისდარად საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეული მდგომარეობა უდევს საფუძვლად, რაც საზოგადოებრივობის ელემენტებს გარკვეულ წარმოებით მიმართებაში აყენებს. ერთის სტრუქტურა თავის ეამოხატულებას ჰპოვებს მეორის სტრუქტურაში; მათ შორის უშუალო კავშირია, რომელიც ყოველთვის და ყოველგან კავშირის იმ უბრალო ფორმაში არ დაიჭირება, რომელსაც მიზეზობრივი მიმართება ეწოდება".[2]

ხელოვნება სინამდვილის ასახვაა, „ხელოვნებას ყოველთვის სინამდვილესთან აქვს საქმე". ამ მხრივ ის არ განსხვავდება საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებისაგან. ხელოვნების სპეციფიკურობა შეიძლება დადგენილ იქნას მისი ასახვის ობიექტის, ასახვის ფორმის და სხვა ნიშნების მიხედვით. შ. ნუცუბიძე ამ მიმართულებით აწარმოებს ძიებას

---

[1] შ. ნუცუბიძე, ხელოვნების თეორია, 1929 წ., გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 170.

„ხელოვნება, — წერს ის, — იდეოლოგიაა და, მასასადამე, ყოველთვის სოციალური ძირი აქვს, მაგრამ ის არაა ისეთი ჯუნის იდეოლოგია, როგორიცაა საზოგადოებრივ ურთიერთობასთან მოწესრიგებისა და უფლებრივი ურთიერთობის ნიადაგთან დაკავშირებული იდეოლოგია — ზნეობა, სამართალი და სხვა".3 რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? იგი პირველ ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ ხელოვნება სინამდვილეს ასახავს მხატვრული სახეებით, ხოლო მხატვრული სახე ზოგადისა და ინდივიდუალურის ერთიანობას წარმოადგენს.

ხელოვნების დამახასიათებელია ისიც, რომ იგი ასახავს არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ ბუნებასაც. ხელოვნება მიბაძავა ბუნებისადმი, მაგრამ არა პასიური. შემოქმედება ყოველთვის რეფოლუციურ-გარდამქმნელო მოიგნებს შეიცავს. შემოქმედება და მოქმედება ერთიმანეთად მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია. „ხელოვნება ბუნების მიბაძვაა... გარდამქმნელი და, ასე ვთქვათ, რეფოლუციური მოიგნები, რომელიც იმალება ყოველ შემოქმედებით მოიგნებში, სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ ხელოვნების „მიბაძვითი" ხასიათი ბუნებისადმი სრულ პასიურობაში ჩამოიქნა. ამიტომაც, თუ ძველი ცნება „მიბაძვისა" უნდა შენარჩუნებული იქნას, მასში შეუძლებელია წმინდა ტექნიკური შინაარსი ჩაიდვას. უკმეხელია, რომ ბუნება ხელოვნებისათვის მოაკარი მასწავლებელია, მაგრამ არა ბატონი და მბრძანებელი"4, — წერს შ. ნუციუბიძე. ხელოვნებისათვის ბუნება და ადამიანი უბრალო მეკანიკური ჯამი როდია. ხელოვნება ადამიანის და გარემოს შემოქმედებით სინთეზის გამოხატულებაა. ადამიანი აქტიურ სოციალურ არსებას წარმოადგენს. გარემო, რომელიც ადამიანთან დამოკიდებულებაშია განხილული, არაა უცხო მისთვის, პირიქით, ის ადამიანურად გარდაქმნილი გარემოა, რომელშიც ჩართულია ადამიანი, როგორც მისი ნაწილი.

ხელოვნების ძირითად იდეას, შ. ნუციუბიძის აზრით, შეადგენს მშვენიერება. აქ ჩანს ხელოვნების სპეციფიკურობა მისი ასახვის ობიექტის მიხედვით. „მშვენიერება, — ამბობს ის, — მოცემულია ადამიანისა და ბუნების დამოკიდებულებაში, რომელსაც პრაქტიკული ხასიათი აქვს".5 მაშასადამე, ხელოვნების საგანია ადამიანი და ბუნება, უფრო ზუსტად, ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულება, ადამიანის მოქმედება, მისი ცხოვრება.

შ. ნუციუბიძე „ხელოვნების თეორიაში" აყენებს ხელოვნების შემეცნებითი და ემოციური მხარეების ურთიერთობის საკითხს. ხელოვნება სინამდვილის ასახვაა, მისი შემეცნებაა, მაგრამ სინამდვილის შემეცნება მისი სპეციფიკური ნიშნი არ არის. ხელოვნებისათვის შემეცნება საშუალებაა და არა მიზანი. „შემოქმედებისათვის, — წერს შ. ნუციუბიძე,—შემეცნება გარკვეული მნიშვნელობის მქონეა და ამდენად განუუქმნელი პირობა, მაგრამ ეს იმდენად ვრცელი და ზოგადი გარემოებაა, რომ ხელოვნების სპეციფიკურობისათვის ვერაფითარი სიცხადის შემტან მოქმედება ვერ გამოდგება".6 ხელოვნებაში შემეცნება მხოლოდ გამოყენებით როლს თამაშობს, სინამდვილის განგითარების კანონების შემეცნება მეცნიერების, კერძოდ, ფილოსოფიის ამოცანაა.

ფილოსოფიური ჭეშმარიტება სინამდვილის სწორი სურათია, მისი განგითარების კანონების ცოდნაა. ამდენად შემეცნება სპეციფიკური ნიშნია არა ხელოვნებისათვის, არამედ მეცნიერებისათვის. შ. ნუციუბიძე ხედავს კაკვარის ჭეშმარიტებასა და ძირითად ესთეტიკურ ფენომენს — მშვენიერებას შორის, მაგრამ უარყოფს მათ იგივეობას. ის წერს: „მშვენიერება ის სფეროს ეკუთვნის, რომელსაც ეკუთვნის ჭეშმარიტება, მაგრამ თვით არაა ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება, როგორც ასეთი, შემეცნების მიზანია და უკანასკნელის მიღწევაა ეფექტი ჭეშმარიტებაში იმლეგა. მშვენიერება შემოქმედების მიზანია, და იგიც ისევვე უკანასკნელისათვის მიზანი, როგორც ეს პირველ კონტექსტშია მოცემული. მშვენიერება ისეთსავე როლს თამაშობს შემოქმედებისათვის, როგორც ჭეშმარიტება შემეცნებისათვის. შემეცნება მაშინაა სწორი, თუ ის ჭეშმარიტებისაკენ სავალ გზას აღგია და მისკან არ უხვევს; შემოქმედება მაშინაა ნამდვილი, თუ ის მშვენიერებისაკენ მიმართული და მას არ ღალატობს".7

როგორც ჩანს, შ. ნუციუბიძეს ემოციური მხარე უფრო არსებითად მიაჩნია ხელოვნებისათვის, ვიდრე შემეცნებითი. ხელოვნებამ უნდა მოახდინოს ემოციური შემოქმედება ადამიანზე, უნდა გამოიწვიოს მასში სიამოვნება-უსიამოვნების გრძნობა და ამ გზით აღსაჩენოს ის, მიმართულება მისეული მის მოქმედებას; ხელოვნებას მეცნიერებასთან აკავშირებს შემეცნებითი მხარე, მაგრამ ის მეცნიერებისათვის უფრო არსებითია, ვიდრე ხელოვნებისათვის; მეორე მხრივ, არც მეცნიერებისათვისაა უცხო ემოციური მხარე. ყოველ დიდ აღმოჩენას თან ახლავს „სიძლიერისა და გამარჯვების გასვედა", მაგრამ იგი არაა მისთვის არსებითი, სპეციფიკური. ამ საკითხზე დღესაც მიმდინარეობს კამათი. შ. ნუციუბიძის დასკვნა ჩვენ მარეგზულად მიგვაჩნია.

არც ხელოვნების სხვა პირობები და ნიშნები რჩება ყურადღების გარეშე შ. ნუციუბიძეს. შემოქმედებისათვის აუცილებელია, მისი აზრით, თავისუფლება. „შემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლების ნიადაგზე",8 აცხადებს ის. რა თქმა უნდა, ეს არ შეიძლება გავიგოთ აბსოლუტური თავისუფლების სახით. ხელოვანი, მწერალი ცხოვრობს საზოგადოებაში, ეკუთვნის ამა თუ იმ საზოგადოებრივ ჯგუფს, დროს და ეპოქას და არ შეიძლება იგი ყველაფრისაგან თავისუფალი იყოს. მისი თავისუფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული ობიექტურ აუცილებლობასთან. შემოქმედებითი თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ მხატვრული წამოსახვის ფორმა არცებობს უამრავი შესაძლებლობა, რომელთაგან ხელოვანი ირ-

3 იქვე, გვ. 5.
4 იქვე, გვ. 225.
5 იქვე, გვ. 234.

6 იქვე, გვ. 225.
7 იქვე, გვ. 74.
8 იქვე, გვ. 60.

ჩვენ და ქმნის მისი გემოვნების, განწყობილების, იდეის შესაბამისს სახეს, რომლის თავისებურებანი დამოკიდებულია მის ფანტაზიაზე. საბოლოო ანგარიში, შემოქმედის ესთეტიკური იდეალი ეპოქის სულისკვეთების გამოხატულებაა, მაგრამ მას ღრმა ინდივიდუალობის მეჩვენი აზის. შ. ნუცუბიძე აქაც რეალისმის მოთხოვნებს იცავს. ის ამბობს: „ხელოვანის თავისუფლება ნიშნავს მის რაობას, მის ნაირობას, მის თავისებურებას... მიდგომაა, კომპოზიციას, ენაზე, გემოვნებას სხვაობა — ლიტერატურული ფილ ისა ზოგადოდ. ხელოვნებისა და შემოქმედების ფაქტია. ხელოვნება კონკრეტული მოვლენაა და როგორც ასეთი თვით ფაქტით თავისი არსებობისა სხვადასხვა რაობის დემონსტრაციაა. ამას და მეტს არაფერს შეიტანს ცნება შემოქმედების თავისუფლებისა“.9 თავისუფლების გამოვლენად მას მიანნია ფანტაზია. განსხვავებით შეცნიერებისაგან, ხელოვნებაში ფანტაზიას დიდი როლი აკისრია. შ. ნუცუბიძე არ ცნობს ფანტაზიის როლს მეცნიერებაში, ხელოვნისათვის კი ფანტაზია აუცილებელია, მაგრამ იმ პირობით, რომ სინამდვილესთან არ გაწყდეს კავშირი. ფანტაზიამ სინამდვილეში უნდა ჰოვოს საზრები.

ხელოვნების, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების თავისებური ფორმის, სხვა ნიშნებიდან შ. ნუცუბიძეს ვანხილული აქვს კლასობრივ საზოგადოებაში მისი კლასობრიობის საკითხი. როგორც ზემოთ ითქვა, ხელოვნება ასახავს ბუნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას, საზოგადოებრივ ცხოვრებას, რაც ბუნებრივი პირობების გარემოცვაში მიმდინარეობს. ხელოვნება სოციალურ ძარწმა დამყარებული. ადამიანი, რომლის ინტერესებსაც გამოხატავს ის, ეკუთვნის გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფს, ის არ არის აბსტრაქტული არსება. ხელოვნებაში ადამიანი აღებულია კონკრეტულ-ისტორიულად, ამდენად გარემოსადმი მისი დამოკიდებულება გაპირობებულია კლასობრივი მდგომარეობით, სოციალური წინააღმდეგობებით, რაც არ შეიძლება ხელოვნებაში არ აისახოს. მონისტური იდეოლოგიიდან გამომდინარე, შ. ნუცუბიძე წერს: „რამდენადაც „ადამიანიც აღებულია არა აბსტრაქტულ-ინდივიდუალურად“, არამედ სოციალურ-კონკრეტულად, ამიტომ „ადამიანის“ და „გარემოს“ მიმართება რთულდება წინააღმდეგობათა სოციალური ფენებით, რომელთა შორის მთავარია კლასობრივი წინააღმდეგობა, როგორც ესთეტიკური თვალსაზრისის სოციალური იდეოლოგიის ერთ-ერთ მომენტად გარდამქმნელი გარემოება“.10

კლასობრივი მომენტი რელიეფურად იჩენს თავს მშვენიერების იდეაში, რომელიც ხელოვნების ძირითადი მოძენია. მშვენიერება ბუნებაში და მშვენიერება ხელოვნებაში — ეი საკითხი, რომლის გარკვევას შ. ნუცუბიძე დიდ ადგილს უთმობს თავის წიგნში „ხელოვნების თეორია“. ავტორი აღიარებს, რომ მშვენიერებისადმი მიდგომა და მისი შეფასება დამოკიდებულია იმ საზოგადოებრივ გარემოზე, რომელშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს შემოქმედი, იმ სოციალურ წრეზე, რომელსაც ის ეკუთვნის. ამიტომ აქ აბსტრაქტული პასუხი გამოუსადეგარია. „ესთეტიკური, ისე როგორც ყოველ სხვა შემოქმედებას, — ამბობს შ. ნუცუბიძე, — ეწევა სოციალური ადამიანი. მისი მიდგომა და გაგება მშვენიერებისა პირობადებული არაა აბსტრაქტული ბუნებით, რომლის მიხედვით ადამიანი რჩება ბუნების გარეშე, არამედ მთელი გარემოთი, რომელშიც შემოდის სოციალური გარემო“.11

მშვენიერება, შ. ნუცუბიძის აზრით, არის ხელოვნების ძირითადი იდეა. შემოქმედება მის ირგვლივ იშლება, მას კანონის ძალა აქვს ხელოვნებაში, მაგრამ მშვენიერება ხელოვნების გარეშეც არსებობს, „მშვენიერება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ხელოვნება. იგი ბუნებაშიც შეიძლება იყოს“,12 — აღნიშნავს შ. ნუცუბიძე.

ბუნებაში არსებულ მშვენიერებას უშუალო დამოკიდებულება აქვს ადამიანთან. იგი არაა მშვენიერება თავისთავად. მხოლოდ ადამიანი აძლევს მას ახეთ მნიშვნელობას. მშვენიერება მოცემულია ადამიანისა და ბუნების დამოკიდებულებაში. ბუნების მოვლენები დაყოფა მშვენიერ და მახინჯ მოვლენებად ადამიანური საქმეა, ბუნება თავისთავად ინდიფერენტულია მათ მიმართ. მშვენიერებაზე ლაპარაკი ბუნებაში შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული და პირობითი მნიშვნელობით. მშვენიერება „სპეციფიკურ — ადამიანურ“ სფეროს ეკუთვნის. გამორიცხული არ არის ბუნების მახინჯი მოვლენის გადაქცევა ხელოვნების მშვენერებად. „ცხვრადატეხილი ადამიანი, როგორც ბუნების ფენომენი, — წერს შ. ნუცუბიძე, — არ შეიძლება იწოდოს მშვენერად. ეს საკითხი უდავოა და თვალნათლეცვია. იმავე დროს ივივე ფენომენი, მოცემული, ვთქვათ, რ ო დ ე ნ ის ქანდაკებაში, ესთეტიკურად მშვენიერია, ამ ორი მოვლენის შედარება ადვილად მოსაყრნებელია, რადგან ორივე მოვლენა ერთსა და იმავე სფეროს ეკუთვნის... ე. ი. ადამიანთან როგორღაც არის დაკავშირებული. „მშვენერი“ და „უშნო“ ბუნებაში, მაგრამ არა ბ უ ნ ებ ისაგან, არამედ ადამიანისაგან. ბუნება ამ საკითხში სასესენი ფენომენია“.13

მოკლე წერილში შეუძლებელია ყველა იმ საკითხის გაშუქება, რასაც „ხელოვნების თეორიის“ ავტორი ეხება (მაგ. ესთეტიკური კატეგორიები, ელემენტები და სხვ.). ნათქვამლანაც ცხადია, რომ შაღვა ნუცუბიძე გარდამავალ პერიოდში სინტეზრესო მოსაზრებებს თავაზობს ქართველ მკითხველს ესთეტიკის შარადიული პრობლემების შესახებ, გადამწყვეტ ნაბიჯს დგამს აღეთოლოგიური იდეალიზმიდან მარქსისტული მატერიალიზმისაკენ და მტკიცე მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის თავისი მომავალი შემოქმედებისათვის, რომელშიც ის საყოველთაოდ ცნობილ მეცნიერად აკეთებ.

9 შ. ნუცუბიძე, ხელოვანი და კლასი, იხ. ჟურ. „საბჭოთა მწერლობა“, 1929 წ., № 3, გვ. 78.

10 შ. ნუცუბიძე, ხელოვნების თეორია, 1929 წ., გვ. 234.

11 იქვე, გვ. 234-235.

12 იქვე, გვ. 11.

13 იქვე, გვ. 225-226.

თამაზ ჩხენკელი

მშვენიერი მძლეველი

1

ნაიდუმლო სფეროშია შთაბეჭდილი, სფეროკი შეეხებასა და შესაბამისობას გულისხმობს. იგი ორი სანელის ერთიანობას წარმოადგენს და ზენასა და ქვენასაგან, ზეციერი და ქვეყნიერი ნაზეევრსფეროებისაგან შედგება. ეს ნახევრსფეროები იმგვარად შეადგენს მთელს, რომ ყოველივე, რაც ზესანელშია, ქვესანელშიც არსობს, ზოლო ყველაფერი, რაც დედამიწაზე ხდება ზესანელშიც მეორდება და ზეციერი კვლავ მიწიერად ხორციელდება. ეს ურთიერთშესაბამისობა ორი ნახევრისა, რომლებიც ერთ მთლიანობას ჰქმნიან და ბურთის სიმრგვალედ ირწყმებიან, მათი ურთიერთმონაცვლეობის, ანუ ბრუნვის შესაგვანია. ბურთი ბრუნავს: ასეთია მისი ბუნება. ზემო ქვემოდ მოიქცევა, ხოლო ქვემო—ზემოდ... ზეციერი და მიწიერი მარტო ერთიმეორეში კი არ საცნაურყოფენ ერთმანეთს,—ხფერული ბრუნვის გამოსახმით ზეციერი მიწიერად გარდაიცვლება ხოლმე, მიწიერი კი ზეციერად, ხოლო აქედან ის ცხადდება, აქედან ის ეშშარიტება ცნაურდება, რომ ღმერთებს შეუძლიათ კაცებრივი შეიმოსონ, ხოლო კაცი ღმრთეებრივი.

ეგ ისევე სწორია, როგორც ის, რომ დაგლეჯილი უსირი ოდესღაც კაცი იყო... და შემდგომ იქმნა ღმერთად... რომ გვეკითხა, ვინ იყო დასაბამად ან პირველყოფილისა უსირი, ღმერთი თუ კაცი, ამაზე პასუხის მიგება გაჭირდებოდა. მობრუნავ სფეროს არა აქვს დასაბამი... დრო-დაღრო და ერთბაშად იგი ერთიცაა და მეორეც—კაციც და ღვთაებრივი ვარსკვლავიც, მაგრამ არც ერთი და არც მეორე პირველყოფილისა... და მართებულად იტყვიან ხოლმე მის გამო: ი გ ი წ ი თ ე ლ ი ა.[2]

[1] М. Э. Матье. Древнеегипетские мифы. М.-Л., 1956, стр. 112.

[2] Томас Манн. Иосиф и его братья. М., 1968, стр. 193—194.

თუმცა წარხდი, — მოიქეც ისევ.
თუმცა გეძინა, — ალდეგ ძილისგან.
თუმცაღა მოჰკვდი, — გაცოცხლდი ისევ.

ოზირისის აღდგომა[1]

„მზეს უკვე კარგად მოეარა და ახლა მოქანცული მგზავრივით, ტაატით მიდიოდა დასაღამოსაკენ. მის სხივებს შუადღის მცხუნვარება აღარ ჰქონდა, სამაგიეროდ თვით ჰაერი და მიწა გაჟღენთილიყო მზით. მზე იყო ბალახში, მზე იყო ფოთლებში, მზე იყო თავჩაქინდრეულ ხეებში. თვით ფერდაკარგულ ჩრდილშიც კი წითლად ცახცახებდა მზე... მზეზე გაფიცებებულ ნეხვს შავი, ხოჭოს მსგავსი ჭიები დახვეოდნენ და მიწაში ამოგანვლულ თხილისოდენა ბურთებს გაჭირვებით მიაგორებდნენ... მზე ჩადიოდა.

მოღლილი მზის... ბინდში მკრთალად მოჩანდა ჭაბუკის გაფითრებული სახე, შემკრთალი, ოდნავ გაპობილი ბაგე, გაოცებული დიდრონი თვალები. გაღმა, მთებზე მჯდარი, სხივშემოცლილი მზის დისკო ღალანა. მზე აღმა ისროდა ფერდაკარგულ შუქს. დაჭრელიყო, ფეხაკრეფით მოდიოდა ბინდი. უმეცრესი კენწეტები კი ისროდნენ გრძელ ჩრდილებს. მზე ჩადიოდა, ღამდებოდა. ახლა უკვე შეიძლებოდა მზისთვის თვალის გასწორება...

მზეს აღარ ჰქონდა ძალა... (ჭაბუკის) თვალებში მზეგაუვალი ბინდი ჩაწოლილიყო. თანდათან უმძიმდებოდა ქუთუთოები, თითქოს ერთმანეთს უახლოვდებოდა და იხურებოდა... წუთისოფლის დიდი ღელე თავდებოდა.

მოდიოდა ღამე... მწვერვალზე კი ისევ ენთო ჩკვდრის მზე. ჩკვდრის მზე შემოღამების წინ სულ რამდენიმე წამით გაანუმკეტს ხოლმე მთათა მწვერვალებს და უმალვე გაჭრება. საოცარია უკვე ჩასული, ქვეყნის კიდეს მიფარებული მზის ეს უკანასკნელი ამოსხივება, სულთმობრძავის

ღისარებასავით გაუგებარი და სევდიანი. საოცარია მისი სახელიც.

მკვდრის მზე...

ერთმა... ბერიაკაცმა ამიხსნა: მკვდრის მზე იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდებაო. ზოგიერთს ჰგონია, ყველა მკვდრისთვის ამოდის ეს დადღილი მზე, ნამდვილად კი გრძელი სოფლიც წუთისოფელითვი მაცდურია, არე იქაური მზე აშუქებს ყველასათვისო".3

ეს ნაწყვეტები გიორგი შატბერაშვილის მოთხრობის „მკვდრის მზის" უკანასკნელი რვა გვერდიდან არის ამოკრეფილი და ურთიერთზე მისადაგებული. „მკვდრის მზე" თანადროული ქართული პროზის ღირსშესანშნავი ნაწარმოებია და ჰქ მოტანილი სტრიქონების ბრწყინვალება არ გააკვირვებს მკითხველს. გასაოცარი მწერლის უტყუარი ალღო, რომლითაც იგი ღრმამნიშვნელოვან მითოსური ქვეტექსტის მქონე სახეებს ძერწავს. წინამდებარე ნაკვეთის ყოველი ცალკე ფრაზა მთელი მითოსია. დ ი, — მადლიანი ნიჭით ცხებული შემოქმედისაგან არც არის მოელოდნელი, რაკი „მითი თავისი არსებით იდენტურია პოეტური შემოქმედებისა, ხოლო ცალკეული მითოლოგიური წარმოდგენები მჭიდროდ არის გადაკმანსული პოეტურ მეტაფორასთან".4 მოტანილ ნაკვეთში გიორგი შატბერაშვილი, თავისდა უნებურად, შეუმეცარი გუმანით გადმოგცემს მზის ჩასვლისა და მზის ღმერთის სიკვდილისა თუ მიძინების უძველესი მისტერიის ცოცხალ სურათს.

მზე ჩადის, — ჰაბუკი კვდება. ეს ორი მომენტი ურთიერთგაპირობებელია. ჰაბუკს, ხალხური იდიომი რომ მოვიშველიოთ, „თვალი უდგება" (ამ გამოთქმაში „მზის დადგომა" ანუ სიკვდილი იგულისხმება). მსა თანდათან „უმძიმდება ქუთუთოები, ერთმანეთს უახლოვდება და იხერება". ასე თავდება „წუთისოფლის ღიდი დღე". მაგრამ როგორ იყო განცდილი დღის დასრულება ქართულ მითოსურ მსოფლშეგრძნებაში?

„ჩვენი წინაპრების წარმოდგენით, დღის დადგომა და დასრულება ცის კარებთან იყო დაკავშირებული. მაშინდელი რწმენით ცას **ორი კარი** უნდა ჰქონოდა", — გვამცნობს ივანე ჯავახიშვილი. „ოიროსაკენ უწინ ცისკრის აღებაჲ უძღოდ... ანალოგიით მოსალოდნელია, რომ საღამო და ბინდი ქართველს თავდაპირველად იმავე ცისკრის დახშად ჰქონოდა წარმოდგენილი. ეს აპორიული და ანალოგიით მოპოვებული დასკვნა თვით საღამოს ძველი სახელის პირველადი მნიშვნელობითაც მტკიცდება. ძველქართულში წუხჴა და დაწუხჴა — დახურვას, დახუჴვას ნიშნავდა". სიტყვა საღამო კი „ოდინდელი გამონაშკვამის საღამოს ცის კარის შერჩენილი მხოლოდ პირველი ნაწილიღაა". დროის **ალმნიშვნელ** ტერმინად კი არსებობდა სიღამეო.5

ამრიგად, ქართველის წარმოდგენით არსებობდა და დღისა და საღამოს ცის კარი. საინტერესოა, რომ მეგრულში შემონახულია შუადღის კარიც — ონდღეშკარი. ეს არ არის მოულოდნელი. ივანე ჯავახიშვილის ა ბრითი: „**ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და ხვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა... ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია**" (ხაზგასმა აეტორისაა, თ. ჩ.)6.

აქვე უნდა ვახსენით რომაელთა ი ა ნ უ ს ი, რომელიც თავდაპირველად სინათლისა და მზის ღმერთი იყო, — ცისკრზე ცის კარის გამღები, ხოლო საღამოს ცის კარის დამბჭველი. მის სახელს „კარიდან" (იანუს) წარმოშობილად მიიჩნევენ.

ქუთუთოების ერთმანეთთან მიახლოება ცის კარების დახშვას, დაწუხვას (მწუხარე მომაკვდავს ჰქვია ხვსსურეულად), დახუჴვას ნიშნავს. ეგვიპტერ მითში („რა და გველი"), მზის ღმერთი რა პირდაპირ ამბობს: „მე ვარ თვალთა გამზელი და სინათლის შემქმედი, თვალთა დამწუხველი და წყვდიადის შემქმედი"7. ხვსსურულ საკოლო ტექსტებში არსებობს ტერმინი **„წელიწად-დღლ"** და **„წელიწად-წუხრა"**, რითაც წელიწადის დადგომა და დასრულება აღინიშნებოდა.

გიორგი შატბერაშვილს ზემომოტანილ ნაწყვეტში აღწერილია ერთი მეტად უცნაური მოვლენა: „ზზეზე გაფიცხებულ ნეხვს შავი, ხოჭოს მსგავსი ჭიები დახვეოდნენ და მიწაში ამოგანლილ თხილისოდენა ბურთებს გაჭირვებით მიაგორებდნენ" (480). თუ ეს ფრაზა წოგნური წარმომაელობის არაა და მწერლის უშუალო დაკვირვებამ დაუკავშირა მზის ჩასვლას, მაშინ იგი მით უფრო განმაცვიფრებელია. საქმე ისაა, რომ ძველელს ეგვიპტურ მითში „მზეს, ამ უზარმაზარ ბუთს, ცაზე მზის ხოჭო მიაგორებს ისევე, როგორც ფუნაგორიები მიაგორებენ თავიანთ ბუთოვებს დედამიწაზე".8 აქვე უნდა დავსძინოთ, რომ „ხოჭო" ზევსის ერთ-ერთი იპოსტასია.9

მითოსის კვლევისას ამგვარი დამთხვევები დი-

---

3 გიორგი შატბერაშვილი. მოთხრობები. 1967. გვ. 480-488.

4 В. Вундт. Миф и религия. С.-П., стр. 18.

5 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. 1950. გვ. 146-149.

6 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 1. 1960. გვ. 116.

7 М. Э. Матье. дсльзь. წიგ. გვ. 91.

8 იქვე, გვ. 18.

9 А. Ф. Лосев. Античная мифология. М., 1957, стр. 13.

თამაზ ჩხენკელი
მშვენიერი მძლევარი

ადად მნიშვნელოვანია, რადგან მითი თავისუფალი გამონაგონი არ არის. იგი დაწერილი ფორმით მოცემული მსოფლიოს სურათია და ეს სურათი ადამიანისათვის გაშინაგნებული სამყაროს მოდელს ასახავს. ამის გამოა, რომ მითის ძირითადი სტრუქტურა სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხებისათვის მიახლოებით ერთნაირი, ხოლო ზოგჯერ იდენტურია.

ქაბუკი კვდება, მაგრამ მზეც კვდება და სულთმობრძავი, ქვეყნის კიდეს მიფარებული, მიწისქვეშა სენელნი მიმავალი დაღლილი მზე მკვდართა მზეა. „სოფლია მისი სახელი" — გვეუბნება მწერალი და თუმცა შუბათელი გლეხკაცის პირით გვიცხადებს ძის ხალხურ შინაარსს, ამ მითოსური ტერმინის პირველადი მნიშვნელობა უცნობი რჩება ჩვენთვის...

„მზის სიკვდილი, — ამბობს აკად. რენე ბერთელო, — შემდეგ აღდგომა მზისა, ისე ვით ყოველწლიური სიკვდილი და აღდგომის ხორცშეხმა, გარდაიქცა კაცის სიკვდილისა და აღდგომის სიმბოლოდ... ეგვიპტურ მზის სარწმუნოებაში მზის ცხოვრება კაცის ცხოვრების მსგავსად იყო წარმოდგენილი... მზე ჩადის ოზირისის სამეფოში, იქ, სადაც სიკვდილი სუფევს..." („ღვთისმეტყველება", გვ. 20, 21), მზის ციკლური ბრუნვა ზესკნელ-ქვესკნელში ძველი სამყაროს ხალხების ნიშნულობაღიები რჩებნენ. მზისებრ კვდებოდა მასთან დაკავშირებული ყველა ღვთაება, ჩადიოდა ზეკეთში ან სულეთში, რომ შემდეგ მზესავით გაძლიერებული და განახლებული კვლავ ამოსულიყო ქვესკნელიდან. მზისა და ბუნების ევგატაციის განმასახიერებელი ეს ღმერთები ზამთრობით ქვესკნელში ინმქმბიდნენ, გაზაფხულზე კი მკვდრეთით აღმდგარნი უბრუნდებოდნენ დედამიწის ზედაპირს, რომ კვლავ მწვანით შეემოსათ გაშიშვლებული ბუნება.

„ზაფხულის მზეში ღმერთი ცოცხლადაა დაკნებული, ხოლო ზამთრის მზეში მისი მკრთალი ათინანთი და აჩრდილიდაა... და რაკი იგი მკვდართა საუფლოშია წასული, ცოცხლეს თავის ორეულს ეტოვებს... იგი უნათებს როგორც ცოცხალთ, ისე მიცვალებულთ. როცა იგი მიცვალებულებთან არის არ იტანჯება, ხუნდებში არ იდალება, როგორც მაგალითად, პაფლაგონელებს ეგონათ. პირიქით, როგორც უძველესი დროიდან იცოდნენ თრაკიელებმა, განსაკუთრებით კი, ჰეროდოტეს მიხედვით, თრაკიელნი ვეტებმა, რომელთაც „სუმადთა სულის უკვდავება", — იგი უშფოთველი დიდებით ეფინება ხოლმე ნეტარ სულებს, როგორც თვინიერი მზე".[10]

ორფიკული რელიგიის თანახმად (ორფიზმი მცირეაზიური წარმოშობისად იგულვება), „ჩასული და უხილავ ზეესთან, ბნელი საუფლოსა და სიკვდილის კალთის მნათობთან" დაინახე იყო გაიგიგებული, იგი „ღამეული მზეა, რომელიც ქვეშო ნახევარსფეროში ნათობს"[11]... ეს ღამეული მზე, მკვდართა მზედ (солнце мертвых) იყო მიჩნეული და ერთიანი ღმერთის მეოთხე ასპექტსა, ანუ მიწისქვეშა ზევსის ძეობრივ იპოლტასს — დიონისეს განასახიერებდა.[12]

ზევეთში ჩასული მზეზე თრაკიელთა რელიგიურ წარმოდგენებს უცნაური სიზუსტით ემთხვევა მთიელი ქართველების ხალხური წარმოდგენები, რომელზეც ვაჟა-ფშაველა მოგვითხრობს: „ფშაელის წარმოდგენით საიქიო ქვეყანის შუაგულში არის. საიქიოს ის ეძახის „შავეთს". შავეთში მართალნი არიან მკრთალ ნათელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაელს, როგორც ჩასული მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზედ. ყველამ იცის, რომ მთის წვერები ცოტადღა არიან ამ დროს წითლები. ამას ფშაელი ეძახის „მკვდართა მზეს". (IX,16). სვანურად შავეთის მკრთალ ნათელს „მუდიირ რიჰაარ" ეწოდება.[13]

ცხადია, რომ სულის უკვდავების მაღიარებელი თრაკიელ ვეტებს, ფშაელებსა და შუბათელი ბერიაკების რწმენა ამ შემთხვევაში ანალოგიურია: მკვდართა მზე ან მკვდრის მზე „ნეტარ სულებს", „მართალთ", — მხოლოდ იმათ უნათებს, „ვინც ღირსეულად კვდება". როგორცა ჩანს, ასეთი თვალსაზრისი უცხო არ არის ევროპელ ხალხების მითოლოგიაშიც, საიდანაც ის ახალ ევროპულ პროზაშიც იკოსება. ესპანელი მწერალი ბლასკო იბანესის (1867-1928) წიგნში „მკვდართა მზე" ასეთი პასაჟი გვხვდება: «...Славу он назвал **«солнцем мертвых»**... думая об этом светиле, существующем только в **избранных»...**[14]

მწერალმა ედიშერ ყიფიანმა ჩვენი ყურადღება მიაქცია ლერმონტოვის „დემონის" ერთ ადგილზე, სადაც მკვდართა მზის კლასიკური სურათია გადმოცემული.

Снега Кавказа, на мгновенье
Отлив румяный сохраня.
Сияют в темном отдаленье.
Но этот луч полуживой
В пустыне отблеска не встретит,
И путь ничей он не осветит
С своей вершины ледяной!..[15]

მზე დაიღალა. იგი „მოქანცული მგზავრივით" მიდის დასავლეთისაკენ. (მთიან აჭარაში დღემდე

[10] Вяч. Иванов. Дионис и прадионисийство, Баку, 1923, стр. 166.

[11] იქვე, გვ. 163.

[12] იქვე, გვ. 180.

[13] ბ. ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. I. 1962. გვ. 178.

[14] Бласко Ибаньес. Солнце мертвых. М., 1965. стр. 18.

[15] М. Ю. Лермонтов, т. I, 1967 г., стр. 435.

ფიციებებ „ზითვალის მადმა“, — მზის თვალის მადმა, ხოლო ალტეფში „უშუალდ ბაკუ მარდიმ“ — დაუდლელი მზის მადლმა: შეად. „დაუდლაკი მზის სახელს ეფიციელმდინ“.[16] „მოდალელი მზის მადლმა“ ეფიციას ფშაველი (ეაკა, IX,19) და სამიათსა წლის წინანდელ ეგიპტელთ ბალნაბში მკვდართა საუფლოს ჩაბნდარი ოზირისიც „დადლილ ღმერთად“[17] იხსენიება, რადგან „მოდალელი მზე“ ან „მკვდართა მზე“— დადლილი ღმერთის ასტრალური სახეა.

2

ხევსურულ ლექსებში „მზის შუქის ჩაბრძანებად“ (№ 521), „ვარსკვლავის მაწილვად“ (№ 164) ან „მზის უკუღმა ჩახდომად“ (№ 174) განიხილება ბაცის სიკვდილი.

თუშურ „დალაში“ მიცკალებული „მზით შედის სამოდამო სამყოფლაში“, სადაც „ტიალი, გაუმაძღარი მცერავი“, ე. ი. სარეველი ან გველი ჰკლაპავს მას...[18]

მზეო, დდეგ და დაგვიანდი,
მზე სდგებარ უკენობისაო...[19]

დასტირის შვილს დედა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს მზე-ღმერთის ქვესკნელში ჩასვენებას მისტერიანო ქვეყნიერნი. „უკენობის“ ანუ უკანობის მზე — იგივე „მკვდართა მზე“ უკანა-სასნელში ჩადის...

მზე ჩაგვივდა უკუღმა,
ჩავარდა შუა ზღვაშიო,[20]

მოსთქვამდნენ ქართველნი ეროკლეს სიკვდილის გამო და აქაც, ეროკლეს სახელის მიღმა ასტრალური ღმერთის სახე იმალება. მზე ქვესკნელიდან ამოდის და შემდეგ კვლავ უკე ანუ „უკეუღმა“ ჩადის იმავე ქვესკნელში ანუ ზღვაში, რადგან ზღვა შავეთის წყალს განასახიერებს.

ხევნური თქმულების მიხედვით, „მზე ღამე ზღვაში ჩადის, ზღვითვე მიეგზავრება აღმოსავლეთისაკენ და დილის ცაზე ადის“[21]. ქვესკნელის წყლების გავლით ასევე ამოდის ცაზე ეგიპტური მზის ღმერთი რა. უძველეს ხეთურ საგალობელშიც ზღვიდან ამოდის მზის ღმერთი:

ცათა მზიურო ღმერთო, ქვეყნიერთა
მწყემსო,
ზღვიდან აღმოხდები შენ, ზღვიდან, —
ზესკნელის ძეო...
ცათა მზიურო ღმერთო, უფალო ჩემო.[22]

---

[16] კონსტანტინე გამსახურდია. ტ. 11. 1959, გვ. 99.

[17] М. Э. Матье. დასახ. წიგნი. გვ. 115.

[18] ხალხური სიბრძნე, ტ. IV. 1965. გვ. 299.

[19] იქვე. გვ. 300.

[20] იქვე. გვ. 200.

[21] ბ. ნიკარაძე. დასახ. წიგნი. გვ. 145.

[22] Вонцех Замаровский. Тайны хеттов. М., 1968, стр. 289.

როგორც ზახნოვიჩი აღნიშნავს. «в «Беседе трех святителей»... заходящее солнце скрывается на ночь в морские воды: «выкатило красное солнышко из-за моря Хвалынского... Выкупалось солнце в море»[23]. ვახტანგ კოტეტიშვილს ხალხური ტირილიდან მოაქვს ერთი ლექსი, მზიური მითოსის უბრწყინვალესი ნიმუში, რომელშიც მზის ქვესკნელში მოგზაურობის იგივე სურათია გადმოცემული:

ქაჯებმ მზე წუალში ჩაავდეს,
წუალს მისცეს დგანდგანებითა,
წუალმა იბრალა, იწუალა,
გაავდო ქანქანებითა.
წუალში რო ვვეკენ დაუხვდეს,
ბადე ბადეს აქვთ გაბმითა,
შავმა ვვეკმ უთხრა: „შავჭამოთ“,
წითელმ უშქინა ავითა,
თეთრმა ვვეკმ უთხრა: „ნუ შავჭამთ,
ხმელთ მნათობარი მავიდა“.[24]

შავ-თეთრ-წითელი გველების ანალოგებად „ხოგაის მინდის“ თქმულებაში მ ა ვ ნ ე ნ ი ანუ ქ ა მ ნ ი გვევლინებიან. ეს მავნენი შ ა ვ-თბილ ისარს „ეისაც დაჰკრავდეს, მაშინვე კვდებოდა, წ ი თ ე ლ ს ეისაც დაჰკრავდეს ნახეკრად კვდებოდა, თ ე თ რ ი სულ არ კლავდა... მინდი დაუტყვევებიათ (მავნეებს) და თან წაუყვანიათ“.[25] ქვესკნელში, დატყვევებულ მინდის დიონისესავით გლეჯენ დედამიწის სტიქიური ძალების განმასახიერებელი მედიდრულ-მატერიალური დემინები და მის დანაწილებულ გულს თავიანთ ო რ ს უ ლ დიაცებს აჭმევენ... ასე კვდება ღვთაებრივი მინდი:

მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ხოგაის მინდი კვდებოდა,
ჩამოდოდა ვარსკვლავი,
მთვარე უკუღმა დგებოდა...

ამ ცოხილი ლექსში ასტრალური ღვთაების გ ა რ დ ა-ც ვ ა ლ ე ბ ა სთან დაკავშირებული ციური სხეულების ქვესკნელს ჩახდომის გრანდიოზული სურათია გადმოცემული. „დამცხრალი, წითელი მზე“, იგივე „მკვდართა მზეა“ და „უკეუღმა მდგარი მთვარეც“, ცხადია ქვესკნელს ჩასახდომადაა ვამზადებული.

---

[23] М. И. Шахнович. Мифы о сотворении мира. М., 1969, стр. 32.

[24] ვ. კოტეტიშვილი. რჩეული ნაწერები. 1967. გვ. 318.

[25] ა. ბაჩეჩილაძე. გადმოცემა „ხოგაის მინდზე“... 1959. გვ. 25 (ტექსტშივე, შემოკლებით).

თამაზ ჩხენკელი
მშვენიერი მძლეპარი

შავ-თეთრ-წითელი გველებიცა და მავნეთა ისრებიც ამირანიანის ამავე ფერის გველეშაპებს შეეხამებიენან. შ ა ვ მ ა გველეშაპმა გადაღალა მზის გაბმასახიერებელი ამირანი და შ ა ვ ზ ღ ვ ი მიაშურა. ეს „შავი ზღვა“, როგორაც ვოქვით, შავეთის წყალია, სიიდანეკ განახლებული მზე ისევ უნდა ამოვიდეს. ფრობენიუსის მიხედვით („ზნის ღმერთის საუკუნეში“), ვეშაპი ზღვაა ანუ ქვესკნელი, შთანთქმეული გმირი — საღამოს მზე, ხოლო ვეშაპიდან გამოსული გმირი — დილის მზე26... ამირანის სკუნერ მითში „დევი დროდადრო მზეს ჩაყლაპავს და ამის გამო ზღვაზ მზის დაბნელება. ამირანი ჩაყოფაა დევან, მაგრამ ჯაბუკის საშინელ არსებას გვერდი გამოსჭრა, განთავისუფლდა და ასე გაუკაფა გზა დატყვეეულულ ცის მნათობს, რომელიც ამირანის გზით გამოდის დევის (გველეშაპის) მუცლიდან“.27

ქვესკნელს დანთქმული მზე კვლავ ზესკნელს უნდა ავიდეს. „დ ი დ ი პ ი რ ი მ ზ“ კვლავ ი ა ლ ბ უ ზ ზ ე უნდა დაბრძანდეს. ძველი ხალხების მითოსში მთა ეს განმასახიერებელი იყო და იალბუზი (იალ-ბურ-სი) ამ შემთხვევაში, „ზეციური მთაა“, იგივე „ბროლის კოშკი“ ამირანიანისა, რომელშიც მზე ანუ ლ ო მი (ცამეტმი) იწვა, ეს მთა იგივე ფ ა ს ი ს მთაა, რომელზეც ამირანის ქვესკნელიდან ამომყვანი ფ ა ს კუნჭი ჯდებოდა და რომლიდანაც ღვთაებრივი მდინარე ფ ა ს ი ს ი იღებდა სათავეს.

აღსანიშნავია, რომ მთიელური ტექსტის მიხედვით, „იალბუზზე ბრძანებული დიდი პირიმზე ო რ ი წყლის პატრონი და ე ა მ-უ ე ა მ ო მოარული“.28 რატომ „ორი წყლის“? შესაძლოა, იმიტომ რომ „ორი წყალი“ ქვესკნელისა და ზესკნელის წყლებს გულისხმობს. ცნობილია, რომ მზე და წყალი, ზეცა და ზღვა მრავალი ხალხის მითოლოგიაშია ურთიერთდაკავშირებული. „ოგვედაში avisha ცასა და ოკეანესაც ნიშნავს... გალდეები ერთი სიტყვით აღნიშნავენ ცასა და წყალს. ცენტროალურ ამერიკაში ნაჰუას ენაზე ოკეანეს ციური წყლები ეწოდება“.29 მზე და ზღვა მონოლურადაც ერთი სიტყვით აღინიშნება — ნინგაზ.

ნიკო ხიზანაშვილის ერთი ჩანაწერის თანახმად, ბიბრმზე წმინდა გორაკი „ცა-ღრუბელთა საქმის“ გამრიგეა, მას „დევი ჰკავს მინად და როცა ხალხი დააშავებს რასმე, ზ ღ ვ ი ა ა ე ნ ნ გაეშურება. იქ ხოროხშელს და სეტყვას აკაღიებს ღოდრებით ზურგზედ დევსა და მოჰფენს მთელ არმარეს“.30 იგივეს სნაციის ხევსურეთის მზეკალი. „მაღალზე მ ყ დ ა რი“ მზეკალი ეალაკს, ხოლო შემდგ „ცის ხორხოშით“ ანადგურებს თავის ქვეშევრდომთა ხოდაპუნებს.31 მზეკალის მითიურ სახეს აფარებენო თამარ დედოფალი „ზღვების გადამყენებელი“. იგი „შავ ზღვაში სდგამს სამანს“, რომ ცაზე „ცეცარ არ გაობავარღეს“.32 პირიმზეცა და მზეკალიც მზის განმასახიერებელი ღვთაებნი არიან, დარ-ავდრის გამგებელნი ანუ ზეციერი წყლების პატრონნნი და სავარაუდებელია, რომ პირიმზე წმინდა გორაგი მამრული კორელატი იყოს მასზე უფრო არქაული მდედრი ღვთაებისა (პირიმზე ფუძის ანგელოსი ვეფხვმაყარნი მზეკალის ეპითეტია).33

ორი წყლის პატრონი დიდი პირიმზე „ეამ-უეამოდ მოარულია“. მითოსურ ფორმულაში არაფერია შემთხვევით და კონტექსტის მიხედვით სავარაუდებელია, რომ ე ა მ ი და უ ე ა მ ი ბ ა ისევე იყოს ურთიერთდაპირისპირებული, როგორც ზესკნელ-ქვესკნელის „ორი წყალი“ ან ზენა და ქვენა, ნათელი და ბნელი ნახვარსფეროები, რომელთა წრიდ ვალს მზე. ქართულში მზის უძველესი სახელია დ ღ ე და ხევსურული პანთეონის ტრიადის მეორე წევრს, მზეკალს, „დღე დღესინდელიც“ ეწოდება. როგორც ჩანს, მზე განიხილებოდა როგორც მთლიანი წლის, ისე ცალკეული დღეების ღვთაებად. რასაც 363 წმინდა გორაგის ახსებობაც ამტკიცებს. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ფშაური საკალენი ტექსტის ერთი გამოთქმა, სახელდობრ: „ცხრა ოც და სამი წმ. გორგი“,34 რაც 183 დღის ანუ ნახევარი წლის შესატყვისია (183+183=366. რაც შეეხება 363-ს ეს რიცხვი ქრისტიანული „სამების“ ინტერეიით დაკანონებული კორეტტივია, ს ა მ ი — სამყარ მეორდება). ცხადი ხდება, რომ მზის წლიური მიმოქცევის გზა და შესაბამისად წელიწადიც, ო რ ა დ ი ო ფ ო დ ი. რა ნიშნით უნდა გაყოფილიყო წელიწადი? აშკარაა — მზის ანუ დღის დამცრობა-გადიდების ნიშნით. საგულვებელია ორგვარი დაყოფა: 1. ზამთრის მზებუდობიდან ზაფხულის მზებუდობამდე, როცა უკიდურესად დამცრობილი, „დ ე კ ნ ა ს“ (სპა) მიწურული მზე კვლავ იწყებს გადიდებას და ზაფხულში თავისი ძალების ზენტის აღწევს, და ზაფხულის მზებუდო-

---

26 В. Я. Пропп. Истор. корни волшебной сказки. Л., 1946, стр. 214, 216.

27 მიხეილ ჩიქოვანი. მოჯაქეული ამირანი. 1947. გვ. 103 (ტექსტშივე შემოკლებით).

28 მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. 1. 1938. გვ. 35.

29 М. И. Шахнович. დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

30 ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი). ეთნოგრაფიული ჩანაწერები. 1940. გვ. 70.

31 თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმენოების ისტორიიდან. 1954. გვ. 70.

32 ა. შანიძე. ხევსურული პოეზია. 1931. № 542 (ტექსტშივე ნომრით).

33 В. В. Бардавелидзе. По этапам... 1957, стр. 104 (ტექსტშივე შემოკლებით).

34 მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. 1. 1938. გვ. 24.

ბიდან ზამთრის მზებუდოდამდე, როცა „მზე“ იკლებს. 2. შემოდგომის ბუნაობიდან გაზაფხულის ბუნაობამდე, როცა დღე ღამეზე მოკლეა და გაზაფხულის ბუნაობიდან შემოდგომის ბუნაობამდე, როცა ღამეზე დიდია დღე. სხვადასხვა ხალხები მზის მიმოქცევის ამ ორიენტირებიდან იწყებდნენ თავიანთ „ახალ წელს“: შემოდგომის ბუნაობიდან (სექტემბერში) დღე და ღამე „სწორდებოდა“ და შესაბამისად, მზე „სასწორის“ ზოდიაქოში შედიოდა, აქედან იწყებოდა ძველ-ქართული „ახალწლისაი“) გაზაფხულის ბუნაობიდან (მარტში დღე „ჯანნდა“ ღამეს) და ზამთრის მზებუდობიდან (როგორც ახლა), როცა დღე იწყებდა გადიდებას.

ამრიგად, შესაძლოა, რომ „ეკამდე“ და „უეკამოდ“ მოარული მზე (იგივე დ ი დ ი პ ი რ ი ბ ზ) ქვეშა და ზენა ნახევარსფეროებში ანე ქვესკნელსა და ზესკნელში მოარული მზე, უეკამოდ და ეკამდე მოარული, წელიწადის დღისა და ღამის (რაკი ხევსურული მითოლოგიის თანახმად, წელიწადიც თენდებოდა და ღამდებოდა), ანუ ზაფხულისა და ზამთრის მზე იყოს.

პირველ თავში აღინიშნა, რომ უხილავ, ღამეულ, მკედართა მზედ მიჩნეული დიონისე მიწიან-ქვეშა ზევსის ძეობრივ იპოსტასს განასახიერებდა. დიონისე ო რ მ ზ ი ა ნ ი, ო რ ს უ ლ ი და ო რ ჯ ე რ ზ ო ბ ი ი ი ა ნ ი, როგორც მიწიერი დედის საშოდან და ზეციერი მამის ბარკლიდან დაბადებული ღვთაება. და გასაკვირი არ არის, რომ შეწლილ ჯუნეოოსს იგი ო რ მ ზ ე დ მოსჩენენებოდა (ვ. ივანოვი). დიონისეს მსგავსად „ორმზიანია“ ხევსურული მითოსის მ ი ნ დ ი ც. „მინდი რომ დაბადებულ ც ა ზ ე ო რ მ ზ ე მ დ გ ა რ ა“ (ა. გაჩ. 24) — ვვეუბნება მითი. და ეს ორი მზე ზესკნელისა და ქვესკნელის, ცოცხალთა და მკედართა, ზაფხულისა და ზამთრის ანუ წელიწადის დღისა და ღამის მზეა.

ზამთრის მზებუდობისას, „ყველაზე დიდი ღამის დროს, როცა დედამიწა უფრო მეტად იყო მოწყვეტილი მზიურ ძალებს“, ძველ სამყაროში „შეაღამის მზის ან მზიანი ღამის მისტერიები“ სრულდებოდა. „სხვადასხვა ეპოქის ზიარებულნი (ხელდასხმულნი) ღვთიური სიტყვის განსახეულების, მესიის მზის, წელიწადის სწორედ ამ მონაკვეთში ელოდნენ“.[35]

3

ბურთი მზეს განასახიერებს, — ეს ცნობილია. „ბურთი და ჯვარი მზის ქალღმერთის მზეკალის ატრიბუტებია“, (В. В. Б. 105) „ბურთი **ბარბარ-ბარბოლოს** სახელწოდებად არის წარმოშობილი და იგი მზის ემბლემას წარმოადგენდა“, — წერს დენნა შენგელაია.[36] მისივე აზრით, ამავე სახელოდან მომდინარეობს სიტყვები ბ ო რ ბ-ცვი, როგორც ბინა მზის ქალღმერთისა და ბ ო რ ბ ა ლ ი, როგორც განსახიერება მზის სამრკვალისა (ფ. შ. 223). ამავე ძირისაა სხვენაყარი მზის ხალხური სახელი ბ ო რ-ჯოალი და მისგან წარმოებული — ბრჯოალი (ბრეყალი), ბურჯოელი (დიდ-დიდი ნაბერწყალი, საბა), ბურჩხა (ბალახია), ბორჯი (ფეხის თითებმა ბორჯი გაიდგა. ხალხ. სიბრძნე, IV, 70), ბუჯინი, ფორჩხი, ფრჩხილი, კიბორჩხალი, ჭეეერგაბრჯონელი (ბეგს. პოეზია), ბაარჩხალა მზე (ს. ჩიქოანნა), რქაბობოჯოლი (ა. აბაშელი) და სხვ. ბარბარ-ბარბოლის სახელოდან მომდინარეობს აგრეთვე — ბრიაკი (ბრიშა) ბორბოოლეკი[37] (ბროლის კრისტალი), ბურბულეთი, ბოოლი, ეეოგრაფიული სახელები: ბორი, ბორბალოო, ბორრჩხა და სხვ.

ჩიჩენიაში, უძველესი პირამიდის ერთ-ერთ კედელზე, არწივებთან და იაგუარებთან ერთად, რომლებიც მზის ღმერთს კაცთა გულებს აწოდებენ, შემთხვევით არ უნდა იყოს გამოსახული ბ ურ თ ი ს თ ა მ ბ ლ ი. დასავლეთ საქართველოში, „ხალხის მთავარი თავშესაქცევი თითქმის დღეკანდლამდე ბურთის თამაში ანუ ლელოს გატანა იყო... იმ მხარეს, რომელიც ლელოს გაიტანდა, ბურთი ციონში (ფაზისში) უნდა გადაეგდო... ბურთის ფაზისში გადაგდება, მისი ღვთაება ფ ა ს ი ს საკუთრებას ნიშნავს და მის ემბლემას, მასვე უძღვნიდნენ, მის ტაძლებში ისროდნენ“ (ფ. შ. 229).

ამ კონტექსტში თითქოს საცნაური ხდება ხევსურთა ღვთისშვილის გიორგი უ მ ზ ე ყ ი ს ანუ ნ ა ე ბ ა რ ნ ა შ ვ ე ნ ი ერ ის, ნაბვარში მ ე ბ ურ თ ა ლ ი ს სახელი. „უმზეური“ იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი ქვესკნელის მკედრია. „ნაბვარშვენიერიც“ ფაქტიურად, ამაზვეე მიგვითითებს, — ნაბვარი ხტონური წყალია. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „ნაბვარში მებურთალი“?

ქაჯავეთში ღვთისშვილებთან ერთად ჩასულ გახუა მეგრელაურს კბილსავარცხელანი დაედევნებინან. „სკვეა (ნასერწყალი, თ. ჩ.) რომ შამაჩინდისავ, ბურთს გვესრევენავ, — თქვისავ გახუაამავ... მემრავ განათდესავ ცის გიდელ-გიდელნივ (ეიდ, კედელი, თ. ჩ.)“.[38] ბურთის სროლასთან აქ გათენებაა დაკავშირებული.

---

35 მანანა გიგინეიშელი. „მზიანი ღამე“ ვეფხისტყაოსნისა... 1968. გვ. 54.

36 დენნა შენგელაია. მუდმივი თანამგზავრები. 1964. გვ. 228, 223 (ტექსტშივე შემოკლებით).

37 ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. 1960. გვ. 274.

38 თინათინ ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები... 1967. გვ. 189 (ტექსტშივე შემოკლებით).

თამაზ ჩხენაველი
მშვენიერი მძლევარი

ვერა ბარდაველიძეს თავის წიგნში ციტირებული აქვს ალექსი ოჩიაურის ჩანაწერები იმის შესახებ, რომ „დობილნი“, როშლებიც მზის ქალღმერთის ბარბარეს შვილებს ანუ მზის სხივებს განასახიერებდნენ (დიდი ედიდნ ნანაა შვილებს — „ბატონებსნ“ მსგავსად), — ამოძავალი ან ჩამავალი მზის სხივებს მოპყვებოდნენ და მინდორში (лужайка) ბერთის სათამაშოდ გადიოდნენ (В. В. Б. 12). ორივე მაგალითში ბ ერ თ ი მზის ნათელს უკავშირდება და იმას გვაფიქრებინებს, რომ გ ი ო რ გ ი უ მ ზ ე უ რ ი, ნ ა ღ ვ ა რ ნ ი მ ბ ერ თ ა ლ ი, მიწისქვეშა მზესთან წილნაყარი ღვთაება ან, როგორც ვახტანგ კოტიტიშვილი ვარაუდობდა, თეთრი გიორგის „ქვესკნელური სახე“, მისი ხტონური იპოსტასია.[39]

ქალღმერთ ნანასადმი მიძღვნილ ცნობილ სალაღობელში ჩვილი ბატონიშვილი „ოქროს აკვანში“ წევს, „ოქროსქარჩინაზე და ოქროსკულულიანია“, „მარგალიტის მტევანი და ოქროს ბურთია“. ოქრო ძითოსში მნათობია ატრიბუტია: ოქროსთმიანია ბერძენთა მზის ღმერთი ჰელიოსი და აპოლონიც. ქართული ხალხური წარმოდგენაც ოქროს მზესთან აკავშირებს. ხეფსურთა საკრალური ენაზეც (ჯვრის ენა) „ოქროს ბურთი“ ეწოდება ვაჟს და ფშაურ ლექსშიც „ოქროს ბურთავ“ — ოსსეთება იგი.

რატომ ერქვა ნ ა ნ ა ს ღვთაებრივ ძეს ოქროს ბ ერ თ ი? იმიტომ, რომ ნანა მზის ქალღმერთის ბარბაოლის თაყვანი ეპოსტასი იყო და ცხადია, მისი ჩვილი ძე მზის წ ი ლ ი ან წუელი იქნებოდა. „ეს ენობრივი ფაქტი... მშობლებისა და შვილების ერთგვაროვნების წარმოდგენას აკლესს“, აღნიშნავს ვერა ბარდაველიძე (В. В. Б. 106).

მზე — ღ მ ერ თ ი ი ა, ხ ო ლ ო ო კ ა ც ნ ი მზის შვილები, ანუ ღვთისშვილები არიან. ქართველთა ამ უძველესი რწმენის გამოხატულებაა უზენაესთან თანაზზიარობის გამომხატველი დაფიცება: ჩემმა მზემ, შენმა მზემ... კაცი მზის წილი, მიკრომზე ანუ ოქროს ბერთი იყო და ამ ფიცით იგი თავის თავსა და ამავე დროს თავის დამბადებელსაც იფიცებდა (შეადარე ხალხური: ჩემს წილ ღმერთს ეფიცებენ). ასეთ მსოფლგაგებასთან არის დაკავშირებული ვერა ბარდაველიძის აზრით, რელიგიის ისტორიაში ცნობილი რ ი ე უ ლ ო ბ ის ინსტიტუტი და ღმერთაცის უნიკალურები კონცეფცია (В. В. Б. 109).

მზის წილის მფლობელს ნ ა წ ი ლ ი ა ნ ი ეწოდებოდა. ხეფსურთა ღრმა რწმენით, ნაწილი ბეჭედსშუა ჰქონდა კაცს და იგი მზის ნათელს გამოასხივებდა. ნაწილიანი კაცი პირმზიანი, ლამაზი და სიკეთით სავსე იყო, რაკი მზის ანუ ღვთის მსგავსი და მასთან წილნაყარი იყო. მას ღვთისაგან კაცთა სიყვარული აქვს განჰინებული. სწორედ ამიტომ ნაწილიანს სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც სდევნიან გველნი, რომელნიც ნ ა წ ი ლ ი ს წართმევას უპირებენ მას (В. В. Б. 110).

ნაწილს, მზის ასოციაციით, თ ვ ა ლ ი ც ეწოდებოდა. მზე და თვალი ერთიანნი სუბსტანციის ორ პოლუსს წარმოადგენდა, რითაც მაკროკოსმისა და მიკროკოსმის ურთიერთგამსაზღვრელი ერთიანობა იყო მინიშნებული და კ აცის ღ ერ თ ი ს წილნაყარობის, მასთან ოფიციალურ თანაზზიარობის იდეა იყო გამოხატული. „მზისა და ადამიანის ეს ე რ თ წ ი ლ ო ბ ა (ხაზგასმა ავტორისაა, თ. ჩ.) ჰქმნის მათი ცნობიერი არსებობის შესაძლებლობას. ცალ-ცალკე... ასეთი არსებობა დასაშვებია, მაგრამ წარმოუდგენელი“.[40]

„თუ ადამიანს ძალუძს ღვთაებრიობის მორწმა, იგი თავად უნდა იყოს ღვთის მ ს გ ა ვ ს ი, რადგან ემპედოკლე იმ აზრისაა, რომ მ ს გ ა ვ ი მხოლოდ მ ს გ ა ვ ს ი მიერ შ ე ი ც ნ ო ბ ა (შეადარე რუსთაველს: მსგავსი ყველი მსგავსსა შობს, თ. ჩ.). ეს შეხედულებაა გამოთქმული გოეთეს შეგონებაში:

თვალი მზიური რომ არ ყოფილიყო,
როგორღა განვიცდიდით შუქსა და ნათელს?
ჩვენში ღვთაებრივი ძალა რომ არ იყოს,
როგორ მიეწყდებოდით ღვთაებრივ სახეს?...“[41]

თვალისა და მზის ურთიერთმსგავსება ძველთაგანვე შენიშნული: „გრძნობის ყველა ორგანოთა შორის თვალი ყველაზე უფრო ემსგავსება მზეს“ (პლატონი, პოლიტეია, 6). სვანეთში, თვალის ტკივილით დაავადებულნი მზეს ეკვდრებიან გაგვაკურნეო, თვალის სინათლე ნუ მოგვაკლებო.[42] თვალის შესაღოც იმპრეულ ლექსში ნათქვამია:

ქრისტე ღმერთი ბუთაობდა
ბუბუტელთოს მთაზეღაო,
გოუარდა ოქროს ბუტოი,
ქე დეეცა თვალზედაო...[43]

ცხადია, აქ ქრისტე წარმართულ ასტრალურ ღვთაებას ენაცვლება. მზე თვალზე ეეცმა და ეს გასაგებია, — თვალი მზის სიმბოლოა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „მზის სახელის უძველესი ფორმად მ ზ ი რ ა (მზერა) და მ ჭ ა ტ ი უნდა ყოფილიყო“. მისივე აზრით, თავდაპირველად მ ზ ი ნ ვ ა იქნებოდა არა ბ ზ ი ნ ვ ა, რაც გამოშე-

---

39 ვ. კოტიტიშვილი. დასახ. წიგნი. გვ. 290.

40 ვ. კვეესელავა. ფაუსტური პარადიგმები. II. 1961. გვ. 105.

41 Р. Штейнер. Мистерии древности и христианство. МСМ XII, стр. 85.

42 ვ. ბარდაველიძე. სვანური დღეობათა კალენდარი. 1939. გვ. 14, 15.

43 ლ.ტ. ინსტიტუტის გამოუქვეყნებელი მასალებიდან.

ქებას ნიშნავდა[44]. მზე და მზერა, ნ. მარის აზრითაც ერთი ძირის სიტყვებია.[45]

„დიდი ბრძენის პლოტინის მსოფლხილვაში გვხვდება: „თვალი მზიური“. გოეთემ მზიურობა თვალისა ერთს თავის ზაირში (ეს ლექსი ზემოთ არის მოტანილი, თ. ჩ.) შესანიშნავ ხტრენლად გამოპკვეთა: თუ არ იყოს თვალი მზიური, ვით შეიძლოს ხილვა მზისა? მტვენის მწიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს: „თვალი ჩასული მტევანში“. თვალით აქ ნაგულისხმევი მზე. პლოტინი, გოეთე, ქართველი მევენახე — სამივე დიდ სიიდეშოლ აცსაურებენ, მხოლოდ ერთი განსხვავებით: პლოტინისათვის და გოეთესათვის თვალი „ზიზიური“, ქართველი მევენახისათვის კი იგი ზზეა თვითონ. ხატული „სახეობის“ მზრივ, ქართველი მევენახის თქმას თვითონ გოეთეც აროგნებდა პირველობას“ (მ ზ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ებ ა, 104).

4

ცნობილ ხევსურულ ლექსში, იახსარი თ ვ ალ ი თხრის დევს (№ 542). ხევსურული მითების პროზაულ ტექსტშიც ხშირად ლაის ანდნშნელი ეს ამბავი: იახსარმა „დევს ლახტი ესროლა, თვალი გამასთხარა“ (თ. ოჩ. 148). იახსარს ამ გმირობაში ზოგჯერ კოპალა ენაცვლება: „კოპალამ... ამიადლა საგმირო და ყველანი ამოწყვეტა... ერთი დევი გაიქცა დაჭრილი, თვალწამთხრილი“ (თ. ოჩ. 155). სხვა ტექსტის მიხედვით, *იმავე* კოპალამ „დევს თვალი მოსთხარა“ (თ. ოჩ. 158). ამ პასაჟებში, იახსარიც და კოპალიც, როგორც გიგია ჭინჭარაული იტყვის, — „ო რ ი ვ ე რ თ ი „ს“ (თ. ოჩ. 165).

გმირთაგან დამარცხებულ დევს ეს თითქმის საკრძალოება თვალი ზედ „შუბლის შუაში უხის“ (№ 545). ამ დევს, როგორც სხვა ლექსიდან ირკვევა, „თვალსაცერა“ ჰქვია, ხოლო მის ძმობილებს „თავდოლაბა“ და „ეიშლოკანა“ (№ 546). აღსანიშნავია, რომ მთიან აჭარაში „დოლაბაჲ ძროხის ერთ-ერთი სახელია,[46] რაც შეეხება „ეიშლოკანას“, იგი დემნა შენგელაიას მიერ შენიშნულ „ეეშა-ეიშ-ეაშლ“ ძირს უკავშირდება (დ. შ. 196, 228). და ცხადი ხდება, რომ ეს დევები ხტონური წყლების ნაყოფიერებისა და მარცვლეულის ბარაქიანობის გამომხატველ დემონებს წარმოადგენენ. ამას ისიც ადასტურებს, რომ ეგვე დევები „სახნის-საკვეთლის“ ოსტატები არიან. მათი სახნისით მოხნილ მიწაზე „ერთ ფეხ ყანას ო რ თ ა ვ თ ა ვ ებმოდ“ (№ 175). ამავე დროს საცნაურია, რომ „ვეშ ა წყარო... ვეფან ბ ე ე ღ ი ს კარს ამოფარ“ (№ 518). დევების მეფესაც ხომ „ბეღელი“ ჰქვია (თ. ოჩ. 151).

მიწისა და საკონლის ბარაქიანობასთან კავშირს უნდა გულისხმობდეს დევის სახელი „ცალრქა“, რომელიც სულეთის „ცალარქა“ ხარის ანალოგიურია: „სულეთს ხარი ნხვეს ცალარქ, ბარაქა მესტემრეთია“ (№ 560). დევმა რომ ხარად შეიძლება იეცალოს ფერი ამას თინანთნ ოჩიაურის „ტექსტებიც“ ამტკიცებს: „დევი ისე მოვიდა, როგორც ნისლა ხარი“ (თ. ოჩ. 166).

ამ რამდენიმე წლის წინათ, ბიჭვინთაში აღმოჩენილი ქანდაკების მკვეთრად ითიფალურ ფიგურას, რომელიც ხევსურეთსა და ჩრდილო კავკასიაში აღმორჩენილი ასეთივე ითიფალური და თავზურქადასმული ქანდაკებების ანალოგიურია, — რეპიტეური წოწოლა ქედი ახურავს[47] და იმ დევის შესაბვანია ეისაკ „ძაბრითოვ ქედ ეზურისაკ“. სწორედ ამ დევს მოპარა ბუდანის ჯვარმა თ ვ ა ლ ი. ეს თვალი თურმე ხან გ ვ ე ლ ად ეჩეკნებოდა ჯვარს, ხანაც მ ყ ვ ა რ ად (თ. ოჩ. 165). რატომ უნდა მოსხეკნებოდა ბუდანის ჯვარს ეს თვალი ბეგელად და მყვარად? იმიტომ რომ „ბაყაყი, ბეგელი და ჯოჯო ვ ი შ ა ტ ა ზოომორფულ ბაბილონურ ტალიმანებს წარმოადგენენ. ბეგელი მთელ საქართველოში ბარაქის მომნიეველ არსებად იყო ცნობილი... ბეგელებს ხვითო ან ნატგრისთვალი აქვთ და ეს თვალი დოვლათის წყაროა“ (დ. შ. 197).

დევების „რქიანობა“ ხარის დაუმორჩილებელ ძალს, — ბეგიზისნთან დევის სახელი „ეერხელის ბ უ ღ ა“ (ვაკ, IX, 79), — ხოლო მათი ფაჩვნირობა თუ ბეწვმრავლობა, — თვალნირზე „სრუ თმა სხმიე“ (თ. ოჩ. 175), ან „ბატყლიეთი“ ბალანი ჰქონიათო (თ. ოჩ. 172), — მეცნარეულ სიუხვეს და სეკსუალურ ძალმოსილებას — „ბამლაყვერობას“ (№ 543), განსაახიერებს. ხორცელია ქალება თავისი ნაბით „ბირბოდეს იქისაკე“, ან „დევებს ისრ ფუკარბეა თავ, რო ძალად მისდენნე ქალები“ (თ. ოჩ. 175, 178). რაც შეეხება დევის ქალებს, ისინი ლამაზები, „ძეძეკენ გადმოყოლილნი, შიშველ და სკელბარკლინაები არიან“ (თ. ოჩ. 181, 182). ბეღელს, ლამაზ დევის ქალს, „ისეთი გრძელი თქმა ჰქონდა, რომ მიწაზე შეიდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცენარეული სიუხვე, ჩვენი შედარებაა ძველბერძული პოეზიაში".[48]

დევები მდედრული დასაბამის, დედამიწის პირველყოფილ ძალებს განასახიერებენ. ისინი ე ვ შ ა გ ო ო ნ ი, ე ვ შ ა-წ ყ ა რ ო ს ა ნ ს ი მ უ რ ი ს მცველნი და მკვიდრნი არიან. როცა წყაროსთაუოლა "საარსებოდ" წყაროზე დადგმა განიზრახა „ღევებს ამ გიუშვიათ" (თ. ონ. 186). დევების ქ ო რ წ ო ლ ი ე ბ ი მუდამ „სიმერის ჩქეფასთან" არის დაკავშირებული (№ 542). სულეთის ამ წყაროსაკენ, — „სულეთში ევშა წყაროა. სასმელად გემრიელია" (№ 560), — სამზეოდან ანუ „ბეღლის კარიდან მიწი-მიწ დარანი მიდის" (№ 541). ამ დ ა რ ა ნ ი თ, ივივე გვირაბით უკავშირდება ერომანეთის ქვესკნელი და სამზეო. დ ამისი მეშვეობით მოძრაობენ დედამიწის დემონები და ღვთისშვილები ზესკნელ-ქვესკნელში.

ვითარცა ქვესკნელის ნაშიერნი — დევები „მიწას ისე მოჰკვალავდნენ, როგორც ფიფქ თოვლს" (თ. ონ. 153). ასევე მოჰკვალავდა მიწას ურმიდან ფეხსაკმაგებელი ა ბ ბ ი ნ. ხნეულებდან ამოდიან ველეშპახის კბილებიდან აღმოცენებული, იარაღით შეკუნტული დედამიწის გოლიათი შვილები, რომელთაც კოლხეთის მეფის, ჭბის შვილის ა ე ტ ი პირობისამებრ უნდა შებრძოლებოდა იაზონი.[49] წელამდე მიწაშია ჩაფლული ბერგამოსის საყურთხეველის ფრიზზე გამოსახული, ზეესისთვის გიგანტების მავედრებელი მიწის დედუფალი გ ე ა, ხოლო „ოდისეაში" დედამიწისა და ნაყოფიერების დედოფათაება თმამშვენენი დ ე მ ე ტ რ ე სამგზის მოხნულ მინდორზე უმიჯნურდება ისანს (V, 127).

ო რ თ ა ვ ა ფ ა ვ ი ნ ი ხორაცი მხოლოდ ამ დევების მიერ გამოუმდიდილი ს ა ხ ნ ე ს ი ი ნ ი მოხნულ მიწაზე მოდის. სახნისი მიწასთან და ამიტომ ქვესკნელთან არის დაკავშირებული: „სახნისმა სთქვა, ქვესკნელ დავალ, მზისა შუქი მენატრებაო", ან „ბაბის ოჭოოს გუთანო, ზღვაში ნახნავნათესიოო".[50] რაც შეეხება მჭიდლობას, იგი როგორაც ჩანს, დევებისათვის ორგანელი ხელობაა, რაკი მადანი მიწაში ნაოფთანა დაკავშირებული. სვანურ თქმულებაში ამირანს დევ-მჭიდელი გამოსჭედავს და ციდან თმაჩამოშლილი ყამარი მას ქვესკნელიდან ზესკნელს აიყვანს,[51] ისევე როგორც ჩვენი ამირანი აპყავს თმებით დალს ერთ სვანურ ლექსში.[52] სავარაუდებელია, რომ ხევსურული ლექსით ცნობილი „სამანქანურის ჯაჭვიც" მათ მიერ იყოს გამოჭედილი:

ჯაჭვმა თქვა სამანქანურმა:
ქაჯებმ ამასხეს თითითა,
მიყიდოს აიმ ვაჟამა,
ვინც ზიდვა შაძლოს კისრითა,
მემრე წამიღოს ჭალასა,
აიქ გამხეხოს ქვიშითა (№ 301).

ქაჯი, დევი და ეშპაი, უმრავლეს შემთხვევაში, ერთი და იმავე არსების სხვადასხვა სახელებია... კოპალას ჯაჭვი ჰყოლია დამბული ერთი დევი. როცა ვისმეზე გაწყრებოდა, აუშვებდა, მერე კი ისე ეაბამდა. „იმ დევის ჯაჭვს ვითომც ნახლეტინნ იქვე, წყალში, მშრალზე არ ინახებოდა ის ჯაჭვი, თუ წყალში არა" (თ. ონ. 156). ნაწილიან თოროვეს „ეშპაის (ზოგი ეარანტით ვეელის) ნაჩეკარი ჯადოსნური ჯაჭვი აქვს, რომელსაც ტყვია არ ეკარება... იგი უსაოუოოდ უნდა დაბაბნ, თორემ წყლისკენ გაქანდება... თუ მაგარი პატრონი არ შეხვდა, წაიღებს და მასაც წყალში მიიტანს" (თ. ონ. 125)...

რატომ უნდა გიიხეხოს ჭალაზე ქვიშით ქაჯების ჯაჭვი? ან რატომ მაინცდამაინც წყალში უნდა ინახებოდეს დევის ჯაჭვი? ან წყლისკენ რატომ მისცურავს ნაწილიანი თორეოს ჯაჭვი? რატომ უნდა იყოს ძნელი მისი ზიდვა? სჯმე ისაა, რომ ეს ჯაჭვი „ეეშპაიანია", ე. ი. ეეშპაოა ანუ ეეშპაწყაროს მკვიდრთა — ეეშგათა ნაკეთებია. ამიტომ მირბის ტბის სიმეოსი თვალგამოთხრილი დევი. წყლიან ადგილსაც ამიტომ უწოდებენ დევთა საფლავს (თ. ონ. 164). ამიტომვე ისხდნენ „სრე წყალში" დევის ნაკმრეები ხვასერი ქალის შვილები. ამიტომ ძალუძს დევის urina-ს წალკოს „ხარნაცა და მახნავიც" (თ. ონ. 172). ოროცეულთა ამოსახრჩობადაც ამიტომ იციან მათ „ღვიძის ატეხა" და „წყლის დადუბება" (თ. ონ. 157, 146, 159). ამიტომვე უნდა გაბანაონს წყალში ცხოაჯერ ქაჯთ ხელმწიფის ქალი სამბილანა და გველეშპასაც წყლის პირში უნდა დაუსვან შესაჭმელად გამზადებული მსხვერპლი (თ. ონ. 193). რაც შეეხება მის ზიდვას, ცხადი უნდა იყოს, რომ მიწის სენელში ქვედაზიდულთა გამოქმედილი ჯადოსნური ჯაჭვის ზიდვა ძნელი იქნებოდა. აქვე უნდა შეენიშნოთ: სვანეთში, უშგულის მისადგომებთან ენგურის კლდოვან იერუოეს დ ე ვ ა ნ ე ბ ბ ა ლ ი — „დევების დიგმანელი" ჰქვია.

ამავე წყალთან უნდა იყოს დაკავშირებული ქაჯაევთიდან წამოლალული საქონელი. კოპალამ „ზ ე მ ო ა ზ ი" არეკა ქაჯაევთური ნახირი: „შაუწუხებია ქაჯების ნახირ უწყლოობას... კოპალას ლახტ დაუტარეა, წყალ ამაუფეანაკ" (თ. ონ. 194). რატომ აწუხებს უწყლობა ქაჯაევთურ ნახირს? ცხადია, იმიტომ რომ იგი ქვესკნელიდან არის წამოლალული, იქიდან, სადაც წყლის საფეფლო, ხტონური ზღვა ან სიმერია. ღვთაებრივი ლახტის დაკვრით კოპალა ქვესკნელიდან ამოაჩქეფებს

---

48 ზურაბ კიკნაძე. ბილგამეშის ეპოსი (კოპენტ.). 1963. გვ. 94.

49 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა (თარგმანი აკაკი ურუშაძისა). 1948. გვ. 151.

50 ხალხური სიბრძნე. IV. გვ. 47, 264.

51 მ. ჩიქოვანი. ქართული ეპოსი. I. 1959. გვ. 311.

52 ირინოლა (თარგ. დავით წერედელიანისა). 1968. გვ. 55.

წყალს და მით დაარწყულებს ნახირს. „ზე მთა“ — ღრუბელთა მთაა, იგივე „ზეციური მთა“. ამ მთაზე ფლოქვის დარტყმით წყაროს აღენენ ზევსის ვეჯანი, პერენისა და მურომეცის ცხენები.[53] აღსანიშნავია, რომ სვანურ ხალხურ ლექსში, „ცისკრის თეთრი ვარსკვლავის“ განმასახიერებელი ქალღმერთის კასლუდილის შამა:

დილით აყრის თავის ნახირს,
იფნის შოლტით მიმდევს უკან.
გადაიყვანს უთურ-მთაზე,
ვეძას ასმევს უთურ-მთისას.[54]

„ზე მთაზე“ ვეძა-წყაროა ანუ ვეშა-წყაროა და ღვთაებრივი ნახირის სწორედ ამ წყლით დარწყულებაა საჭირო.

ქაჯავეთიდან მორეკილ ნახირში გამოირჩევა „ცალრქა ფური“. აშკარაა, რომ იგი სულეთში მხვნელი „ცალრქა ხარისა“ და „ცალრქია დევის“ შესატყვისია. აკი გუდანის ჯვარმა სწორედ ამ უკანასკნელს მოპარა ბარაქის მომნიჭებელი „თეალი“. ამ ღვთაებრივი ფურის ვეშა რქისაგან პერის საწყაო გაუკეთებია ხევსურეს: „უთქვამს ი წმიდა გიორგის, ნემს ლუდს რო მოხარ შავთო, ამ ქაჯავეფური ფურის რქით აწყეეთ სალუდე ფორით“ (თ. ოჩ. 190). ცხადია, რომ ეს რქა იგივე სახენაცვალი „სიუხვის რქაა“, რომლითაც ჩვილ ზევსს პატრეს ერთ ფეულ ბარელიეფზე გამოსახული ნიმფა აღრასტეა და რომელიც პერგამოსის საკუთხეველის ფრიზზე გამოსახულ გეას უპყრია მარცხენა ხელში.

ისლანდიურ მითში უდგარდალოკთან სტუმრებული ტორი ძლიერებაში გამოსცადეს. მას უნდა დაეცალა ავსებული რქა, მაგრამ სამი ყლუპით ტორმა მხოლოდ მცირედი მოსვა, აღმოჩნდა, რომ ამ რქის თე ყანწის წვეტიანი ბოლო ზღვასთან იყო შეერთებული! 55 ეს „ზღვა“ ქვეყნელის დაუშრეტელი წყალი და ხევსურულ ლექსებში სიკვდილი სწორედ ამ „ზღვიდან“ მოდის, რაკი იგი მკვდართა საუფლოშია.

5

„პირველად მორიგემ რომ ღვთისშვილნი გადმოუშვნა, მაშინ ისინი გერგეტს დაბინავ-ვ“ (თ. ოჩ. 156). გერგეტი ხევსურული ოლიმპოა. ხევსურთა უზნეესი ღმერთი თავის კარზე ოქროს ტახტზე იჯდა და ოქროსავე ბაგეებს სმოდაღა, რათა ღვთის ნაბადებთათვის თავისი ნება ეუწყებინა. ღვთაებრივი ტრიადის მეორე წევრს — მზეკალს, ვისაგანაც მარცვლეულის აღორძინება იყო დამკიდებული და ამიტომ მინდორის ჯვარიც ეწოდებოდა (В. В. Б. 17), უზენაესი ღმერთისაგან, ჰეროსგანაც, ღრუბლთა მპრანეს ხელოვნება ჰქონდა მომადლებული.

გერგეტის მთის ზეციურ გამოქვაბულში ანუ „ბეთლემის სახლში“ (თ. ოჩ. 191), რომელიც „გამოქვაბულის“ ქრისტიანული კორეკტივია და ამავე დროს, სპას განმარტებით „უთრის სახლს“ ნიშნავს, — იგივე „ბეთლ-ში“, ერთი ხევსურული მითის თანახმად, იდგა „ოქროს აკვანი“ და შიგ „ყმაწვილი იწვა“. ამ ყმაწვილს თავზე მტრედებად გარდაცვლილი ღვთისშვილები დასტრიალებდნენ და „იფქლის მარცვლებს აკმეკდნენ“ (თ. ოჩ. 191). იფქლი — შემოდგომაზე ნათესი ხორბალია (სპა). ალ. ჭინჭარაულის განმარტებით, იგი მხოლოდ მაღალ ადგილებში ითესება. „ბარში არ გვარობს“. იფქლს ხევსურეთში „შიშველმარცვალსაც ეძახიან.[56]

ვინ უნდა იწვეს ამ ოქროს აკვანში, რომელიც ხალხური რწმენით ზოგჯერ ბახალთის უძირო ტბაში დგას? ცხადია, მინდორის ჯვრის, იგივე მზეკალის ღვთაებრივი ძე, მკვდართა ფლეს „სიღრმეთა თვინიერი მზე“,[57] რაკი იგი ჯერხნობით მიწისქვეშა სენელში იმყოფება. რატომ აკმეკენ მას იფქლის მარცვლებს? ამიტომ, რომ იგი მარცვლეულის ვეგეტაციური ღვთაებაა („თეთრი ბერის ნაწილია“, — როგორც ერთ იავნაწყრიში თქმული და თვითონაც ხორცსის მარცვალიკეთაა დამარხული. „მკვდართა წიგნში“, სიკვდილის შემდეგ ოზირისთან შემსგავსებული ზამარცვალი ამბობს: „მე ვარ ოზირისი... მე ვცხოვრობ როგორც მარცვალი... მე ქერი ვარ“.[58] იქვე, სქოლიოში, მატიუს დამოწმებული ჰაკეს პლუტარქე. „ამბობენ, რომ ოზირისი დამარხულია, როცა დათესილი მარცვალი მიწაშია დაფარული, და რომ ეს ღმერთი კვლავ აღორძინდება და გაცოცხლდება, როცა მარცვალი ყლორტებს ამოიყრის“. და აი, ოქროს აკვანში ზამთრის მზეტბილობისას თვალახელილ ყრმას, — ბერსეფონეს კალთაში ჩასახული და გამოკვებული ლიკნტის მსგავსად, რომელიც „უძველესი სამოწამოქმედო ყოფის ჩვეულებისაებრ ხორცსის საცერშია ჩაწვენილი“,[59] — ქვესკნელის წიაღიდან აღსადგომად იფქლის მარცვლებს აკმეკენ ხევსური ღვთისშვილები. ამავე ღვთისშვილებს მოაქვთ წლის დასაწყისში მორიგე ღმერთის კარიდან სანაყავი, ცხრაენინა სპილენძის

---

53 ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. 1961. გვ. 358.

54 ირინოლა... გვ. 32.

55 М. И. Стеблин-Каменский. Культура Исландии. Л., 1967, стр. 71.

56 ალ. ჭინჭარაული. ხევსურულის თავისებურებანი. 1960. გვ. 200.

57 Вяч. Иванов. Дионис..., стр. 74.

58 М. Э. Матье. დასახ. წიგნი. გვ. 54.

59 Вяч. Иванов. Дионис..., стр. 168, 169.

ზარი, პურეულის საწყაი რქა, საცერი და „ქერ-ფერონი“ (В. В. Б. 15). ზეციერი ქერის ოჭრის მარცვლები მიწიერთათვის წლიური ჭირნახულის საწინდარი და პირველსახე იყო.

მომაკვდავი და კვლავ აღდგომილი ღმერთების მითოსი სამეურნეო წლის პრეზვასთან არის დაკავშირებული. წლის მიწურულს მზე ებოდრებს. მზვმდომის შემდეგ იწყებოდა მზის გაძლიერება, დღის გადიდება. მიწაში დამარხული ნორჩლის მარცვალი თვალს გაახელდა და შესაბამისად, გაზაფხულამდე მიწის სესლენი მძინარე ეგეტაციური ღვთაება გაიღვიძებდა, რათა გაშიშვლებულ ღედამიწას მწვანე სამოსად მოვლინებოდა.

დემნა შენგელაიას აზრით, ქართული მითოსის „ამირანი ვეგეტაციური ღვთაებაა და... მას პურის თავთავთან რაღაც ღვთაებრივი კავშირი აქვს“.[60] ვეშაპის ბუცლიან ანუ ქვესკნელიდან გამოსული ამირანი პირშიშველი და თმაგაცვენილია. ანალოგიური მომენტი გვხვდება როგორც ინდიელთა საგებში, ისე ბერძნულ მითოლოგიაში, რომლის ერთი მითის ვერსიით, ველის ხახაში ჩაბნეული პერაკლეს სიცხისაგან გასაცივდება თმა.[61] თმაგაცვენილი ამირანი ქართლური ვარიანტით, წყაროზე იბანს ხელნარის და „უკეთესი წვერ-ულვაშით“ იმოსება. (მ. ჩიქ. 275). კახური ვარიანტით, იგი „დიდ გუბეში“ შედის და იქიდან ისე გამოდის „როგორც ოქროსმოსილი“ (მ. ჩიქ. 308). მოსის ფშაური ვარიანტში მისი წვერულვაშით შემმოსველი იგრი ბატონიაა. საგულისხმოა, რომ ოგრისთან მისულმა ამირანმა იახსოვრეთ „საკმისას“ ჩასახმა, თითქოს „სიმერში მჩქეფელ“ დეკვთან მისულიყოს. ფშაური ვერსია ბუნებრივ კავშირის ძებნის იერსახეა და სიმერში მექორწილე დეკეს შორის და ეს ასეც უნდა ყოფილიყო: მიხეილ ჩიქოვანის თქმით, იგრი ვახტანგ ჯორგასალის ცხოვრებაში ნახსენებ ვიგრის ანალოგიერია, ხოლო ეს უკანასკნელი „ძველად ვეშპას ნიშნავდა“ (მ. ჩიქ. 114). ამრიგად, ქვესკნელში ჩასული ამირანი ჯერ შიშველება ინანასავით (გავიხსენოთ, ეფეას მიერ „საიქიოს წარმოდგენაში“ მოტანილი ხალხური ლექსის სტრიქონი, რომელიც მიეცალებულებს თმასა და წვერულვაშს წასძოვს, IX, 17), ხოლო შემდეგ, ქვესკნელისგე უკვდავების ანუ ვეშაპწყაროთთ კვლავ „ოქროსფერი თმით“ იმოსება. მითოსური მსოფლშეგრძნების მიხედვით, „ბალახი, ყვავილები და საერთოდ მცენარე დედამიწის თმებად იხსენიებოდა“[62] და თუშური „დალაშში“ გმირისადმი, რომელიც ვეგეტაციური ღვთაების ატრიბუტით არის მოსილი, პირდაპირაა ნათქვამი: „შენი წვერი და ულვაშიც [illegible] მწვანედ ამოდიოდესო“.[63] „ამირანი... ქვეყანის ყოველ გაზაფხულს ფასკუნჯის შემწეობით მოელინებოდა ხოლმე... და დედამიწა ჰყვაოდა. შემოდგომით იგი კვლავ ქვესკნელში ინამებოდა მომავალ გაზაფხულამდე“.[64]

განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით, თქმულება „ხოგაის მინდიზზე“. თინათინ ოჩიაურის აზრით, ნაროზაულისაგან დავით გოგოჭურის მიერ ჩაწერილი ეს თქმულება „სამი დამოუკიდებელი ხალხური თქმულებისაგან“ შედგება და მხოლოდ „მესამე ნაწილი წარმოადგენს უშუალოდ ხოგაის მინდის ამბავს“ (თ. ოჩ. 99). იმისდა მიუხედავად თუ ვის მიეწეროს იგი, საინტერესოა გავაანალიზოთ თქმულებაში გამეფავნებული მითოსური ხასიათის ელემენტები.

მინდი ორი მზის ნიშნით დამაგებული და ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს „ორი მზე“ — ცოცხალთა და მკვდართა, ზესკნელისა და ქვესკნელის, ზაფხულისა და ზამთრის მზეა. ცხადია, ასეთი ვმირი თუ ღვთაება დიონისეს მსგავსად, ორბენებოვანი ანუ ორ-სულ ი, სამზეოსა და ქვესკნელის მკვდრიც იქნებოდა. თქმულებაში მინდი „ალალი ქვეყნის“, — იგივე „ნეტარი სულეთის“ ან „მართალთა“ ქვეყნის მდგმერია და მას თქმულებაში „გუგულების ქვეყანაც“ ეწოდება (ა. ჯაჩ. 27).

იმის გამო, რომ „გუგულ“ შედარებით ადრე მოფრინდება ხოლმე და გაზაფხულ გვამცნობს, მას მცენარეულის პატრონად ანუ ღვთაებად მიიჩნევენ“,[65] — გვაუწყებს შტერნბერგი. გუგული ოდესღაც ჭერას შემცველი ღვთაება თუ ღვმინი ყოფილა და მხოლოდ შემდეგ ქეცეულ მის ატრიბუტულ რედიმენტად.[66] ხოლო ჰერა, მზექალის ანუ მინდოლის ჯერის მსგავსად, ნაყოფიერებისა და ზღვა-ლიერების მბრძანებელია და სავარაუდებელია, რომ გუგული, როგორც მცენარეულის პატრონი, ბუნებასა განმასახიერებელი იყოს, რაკი ეს უკანასკნელი მარცვლეულის მფარველად ითვლებოდა (გავიხსენოთ, ქართულ ზღაპრებში გუგულისათვის შერქმეული „კაფე-თესა“). ასეთი ანალოგია მოულოდნელი არ იქნება თუ გავიხვალისწინებთ შტერნბერგის ცნობას: 1861 წელს, ოესსეთში აღმოაჩინეს გუგულის მოკვდინებისა და დამარხვის წარმართული რიტუალი. აკეთებდნენ თოჯინას, რომელიც ანტროპომორფირებულ გუგულს წარმოადგენდა, აწევენდნენ კუბოში და მარხავდნენ. შემდეგ წყვებოდა ფერხული, რადგან გუგული მკვდრეთით

[60] დ. შენგელაია. წერილები. 1955. გვ. 189.

[61] В. Я. Пропп. დასახ. წიგნი. გვ. 217, 222.

[62] ვ. კოტეტიშვილი. რჩეული ნაწერები. გვ. 287.

[63] ხალხური სიბრძნე. IV. გვ. 297.

[64] დ. შენგელაია. წერილები. გვ. 232-33.

[65] А. Я. Штернберг. Первобытная религия. Л., 1936, стр. 462.

[66] А. Ф. Лосев. დასახ. წიგნი. გვ. 21.

უნდა ამდგარიყო.[67] ცხადია, რომ აქ, გუგული, რომელიღაც ვეგეტაციური ღვთაების განმასახიერებელია.

არსრაში გაზაფხულის მომყვანი გუგული ცალთვალაა. წარმართულ მითოლოგიაში მზე თვითონ არის თვალი და მაშასადამე, მისი განმასახიერებელი ღვთაებაც ცალთვალა უნდა იყოს. ცალთვალაა ოზორისისა და იზიდის ძე ჰორი, რომელსაც თვალსა თხრის სეტი, რითაც მზის დაბნელებასა მინიშნებული.[68] ამავე დროს, გუგული მინდვრის ბარაქის პატრონია, ხოლო „თვალი ბარაქის ღვთაების ემბლემატიური ნიშანია. „ამიტომ ამბობენ ჩვენში ბარაქიანი ყანის შესახებ ღღესაც ღვთის თვალი, ე. ი. მზე ტრიალებსო... და ამიტომვე არის ქისტური ბარაქის ღვთაება ელთა ცალთვალა" (დ. შ. 223). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გუგული თვალი მინდიმ გამოსთხარა და ამ მხრივ, იგი ღვეგებისათვის თვალის გამომთხრელ და თვალის მომპარავ ღვთისშვილებს ენათესავება.

გუგულები „ალალი ქვეყნის" პურს აკმეევენ მინდის. საგულისხმოა, რომ „ალალი ქვეყნის პურს რამდენ ლეკმასაც მაკბენ, იმდენივე მიემატებინ" (ა. გაჯ. 21). ეს პური ულეველია, რაკი დედამიწის ბარაქიანობას განასახიერებს. თუშური „დალაის" მიხედვით, „სულეთში პირგაღმიდინარე კოდები დგანან". ამსუბუქებული მინდი „ფრენა-ფრენით" მიყოლია გუგულს და ცხადია, რომ ეს ამსუბუქება მარცვლეული საკაზაფხულო ზესწრაფვის გამომხატველია.

მინდი „მეპურეველი" და მეპურსატანეა", რადგან პურეულთან დაკავშირებული ღვთაებაა. ამბერკი გაჩეჩილაძე მორეულად შენიშნავს: „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თქმა ულის ის ადგილი, სადაც ყანაში ჩაცვენილი პურის მარცვლები ეშფდარებიან მინდის: ნუ მწირავ, ცოთ ფრფა მეცემსა, ამიღო. მარცვალი წუხს, რომ მას ყანაში დარჩენილს გაკყინავს. იგი ალარ გამოდგება თესლად განაყოფიერებისათვის და გამრავლებისათვის. მინდი კიბეს, აგროვებს მარცვლებს, რომ დაღუპვას გადაარჩინოს ისინი" (ა. გაჯ. 48).

მინდი სამზეოში ცალთვალა გუგულს მოპყავს. ასევე მოპყავს ამირანი ფასკუნჯს, ხოლო ტალეფინუში ფუტკარს.[69] როგორც ჩანს, გაზაფხულის მომყვანი გუგული უბრალო ფრინველი არაა, იგი პერას უძველესი ტოტემი და მკვდრეთით აღმდგარი ღვთაების განმასახიერებელი და მცენარეული პატრონია.

ვაჟა-ფშაველას ერთ მოთხრობაში „გუგული", „უნდა მიუხვიდე ძირში იმ ხეს, რომელზეც ზის და გუგუს იძახის... ტანთ, ფეხთ გაიხადო, ხეს სამჯერ შემოუარო გარსა და სამჯერ წარმოსთქვა ეს სიტყვები: გუგულო, ღალა მოგპარე, ფრინველ ზნირი, კარაქმრავალო" (VII, 45). ამ ნაწყვეტში თვითეული ფრაზა მითოსურ დოკუმენტაციას შეიცავს. ხეზე მჯდარი გუგული — ცხოვრების ხეზე დაბდარებელ, მზე-ღმერთის ქვეყანელიდან ამმოყვან ფასკუნჯს გვგონენს. ხის სამჯერ შემოვლა, შესაძლოა, მზის ბრუნვას განასახიერებდეს, ხოლო რაკი გუგული გაზაფხულის მზისა და მარცვლეულის პატრონია, გასაგები ხდება, რატომ უნდა მოპარონ მას ღალა.

წმინდა ეთნოგრაფიულ მასალად იკითხება ამავე მოთხრობის სხვა პასაჟი: „აი, ბიჭო, გუგულის-კაბა (სოკოა, თ. ჩ.). მშვენიერი, წითელი ფერისა იყოს, თითქოს იცინისო...

ეს ინის ნიშნია, — განაგრძობდა მამაჩემი, რომ გუგული მოსულია და ვიდრე პატრონის (ე. ი. გუგულის, თ. ჩ.) ხმას არ გაიგებს, არ ეჩვენება არავის. გაისმის თუ არა ტყეში გუგუ-უ-უ-ამოღაღადება, მზესვით ამოაშუქებს ტყეში, ყვითელ, დასალპობად გამზადებული ფოთლების ეროვიდან და დაუძახებს გუგულს: სადა ხარ მშვენიერო მძღვანარო? ჩამიცეი ტანზე... ლამაზი — მოჭეტებულად გალამაზდიო" (VII, 46).

გუგული აქ განახლებული მზის განმასახიერებელი და მახარობელია. იგია მიწიდან აღორძინებულთა პატრონი, „ნაყოფთა მომცემი და განმზრდელი". გაზაფხულის მაცნე გუგულმა წითელი კაბა უნდა ჩაიცვა, რადგან „წითელი ფერი სამზეოს ანუ შუასკენლის სიმბოლური ფერია. ბაბილონელი ქალღმერთი იშთარი თამუზს უკვდავების წყლით გაკოცცლების შემდეგ წითელი სამოსით მოსავს" (დ. შ. 193)... კალევალას 49-ე რუნაში ნათქვამია: „შენ ჯურღმულიდან გამოხვალ მზეო, ვითა გუგული ოქროსი"....[70] და ეფასაული, ირსებითად, ხალხური „მშვენიერი მძღვანარი". მზის ერთ-ერთი უძველესი სახელი—sol invictus-ის, — დაუმარცხებელი მზის ქართულ შესატყვისად შეგვიძლია ვიგულვოთ.

6

„გუგულების ქვეყანას საზღვართან წყალი ჩამოუდიოდა. როცა გუგულები თავის ქვეყანაში ბრუნდებოდნენ და წყალს გადმოვიდოდნენ, პაპანა ციდაკაცებად იქცეოდნენ. როცა თავის ქვეყნიდან მიდიოდნენ და წყალს გადავიდოდნენ, — ფრინველებად" (ა. გაჯ. 27). ეს სიზღუ-არი — ქვეყნელის შავი ზღვაა, შავეთის ანუ სულეთის მდინარე.

---

[67] А. Я. Штернберг. დასახ. წიგნი. გვ. 462.

[68] Ф. Ф. Зелинский. Религия эллинизма. П., 1922, стр. 48.

[69] В. Замаровский. დასახ. წიგნი. გვ. 290.

[70] კალევალა (თარგმ. მუხრან მაჭავარიანისა). 1969. გვ. 694.

თამაზ ჩხენკელი
მშვენიერი მძღვანარი

შავეთში უკუნეთია, ხოლო უკუნის ან უკანაკნელის პირველსახე სიკვდილია. ხვესურული მითოლოგიის თანახმად, სიკვდილი ქვესკნელის ამ ზღვიდან მოდის: „სიკვდილმ თქვა ზღვა-ზღვა წამოვალ, ზღვა ჩქეფთი შემოვიარე“ (№ 523). სხვა ლექსში: „სიკვდილ წამოვა ქვენითა... სათავეი ამ წყლისაო“ (№ 521). ხვესურები საკაშოში მკვდარს „წყალთ ულოკავდნენ“ (წყაროს უშენებდნენ) და „წყალ წილა“ უხდიდნენ, რომ მას სიცოცხლე „სულეთ წყალჩი წილი ჩადეთოდ“.[71]

ძველი ხალხების მითოლოგიაში მკვდართა საუფლო ყველგან ქვესკნელის წყლებს უკავშირდება: „ბერძნების აიდს, ძველბერაელთა შეოლს, შუმერულად კური ეწოდებოდა. თავდაპირველად ეს სიტყვა მთას აღნიშნავდა. შემდეგ უფრო ზოგადი მნიშვნელობა მიიღო — უცხო ქვეყანა... შუმერული კოსმოგონიის თვალსაზრისით, კური წარმოადგენდა ცარიელ სივრცეს ედადმიწის ქერქსა და პირველქმნილ ოკეანეს შორის მოქცეულს. სწორედ იქ ჩაიიოდნენ მკვდრთა ლანდები“.[72]

ქალაქის (ქარქ) ქვექართული შესატყვისის „ზღუდრთან“ დაკავშირებით, ლევან ჭილაშვილი შენიშნავს: ეს სიტყვა, შესაძლოა, მომდინარეობდესო ზ ძირიდან — ზღვა-ზღუა-ზღვარისაზღვარი.[73] იქვე, გურჯაანის „ზღუდრის“ შესახებ ლ. ჭილაშვილი წერს: იგი მდებარეობს „თანამედროვე სასაფლაოს მახლობლად. ადგილი კრძალვისა და პატივისცემის საგნად არის გამხდარი, სადაც ყოველწლიურად გაზაფხულზე ეწყობა რელიგიური დღესასწაული „ზღუდრობაო“. ხომ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს „ზღუდერი“ ძველადაც სასფლაოსთან იყო? თუ ასეა, მაშინ გასაგები იქნება მის მიმართ კრძალვაცა და მისი სახელის ზღუ-ასთან დაკავშირებაც, ვინაიდან სამყაროს მიღსსერ მოდელში „ზღვა“ ქვესკნელთან ანუ მკვდართა საუფლოსთან არის გაიგივებული. გასაგები იქნება ისიც, თუ მაინდამაინც ამ ადგილზე რატომ დღესასწაულობდნენ ყოველ გაზაფხულეს, რადგან გაზაფხული ვეგეტაციური დღესასწაულის დროა, ხოლო ეს უკანასკნელი სულთა მკვდრეთით აღდგომასთან არის დაკავშირებული.

სახლეურზე გადასვლა სიკვდილს, გარდაცვალებას ანუ სულის ქვესკნელის მდინარეზე გადასვლას, სიმურის ფონში გასულას წარმოადგენ. არსებობს ხვესურთა მისამღერი ენის განსაკეთილშეფერებელი ტერმინი: გასულ ფონ ბა. კაცი მაშინ გასულფონდება, როცა მას „ჯვარი დაიჭერს“, ე. ი. როცა ღვთაება შეიპყრობს: „ბეჩოობს, გულ ეწუხს, ტირის, ოფლი სდის, დაიჭერს ჯვარიდ, მაშინ გასულფონდებს“.[74] ჯვარი ანუ ღვთისშვილი ზოგჯერ სიზმარში ეცხადება კაცს: „აწვალებს — ისე ეზმა მაიქცავ, მე უნდა დამყვავ“.[75] ღვთისშვილის ნებას დაყოლილი კაცი ქანდარავა, რაკი მასზე ფრინველივით ჯდება ღვთაება.[76] ასეთი კაცი მედიუმი, ღვთის ნების **განმაცხადებელი** და ამიტომ მეენე, ქადაგი ანუ ორაკული. საგულისხმოა, რომ „გასულფონებისათვის“ შინაგანად გამზადებული წყლისკენ იზიდებიან და ეს წყალი განმწმენდელი: წყლისკენ რო **ზიდულს,** ალბად სიწმინდე უნდოდ“.[77]

„ზერეალურ სფეროში გადასვლა წყლების გადალახვასთან არის დაკავშირებული ეგვიპტურ წარმოდგენებშიც: ადამიანის სული იქითა ქვეყანაში ოზირისთან ერთად ნაივი მოგზაურობს“... შამაშის ანუ მზის გზაზე დამდგარი გილგამეშიც „სამყაროს საწყისამდე (სა-წყ-ის თვითონ შეიცავს წყ-ალ ძირს, თ. ჩ.) პირველყოფილი წყლების გაელით“ უნდა ჩაერმავდეს.[78]

ამოგვად, შინაგანი სულიერი მგზაურობის გამოსახატელი, ღმერთთან ზიარების აღმნიშვნელი საკრალური ტერმინი „გასულფონება“, სემანტიკურადაც ამყოფებენ „წყალთან“ კავშირს, ხოლო ეს წყალი ქვესკნელის ზღვა ანუ სულეთის სა-ზღუ-არია. ღვთაების რეალობს წვდომა სულის ფონში გასვლას ნიშნავდა და მასში არეკლილია ქვესკნელში შთახდომისას მისტერიული ცოდნის მოხვეჭა. ეს ტერმინი უნიკალურია ღრმა რელიგიური აზრით დატვირთული ცნების თვალსაჩინო ექსპრესიულობით.

ქვესკნელს შთახდომა — სულის უკდავებასთან წილნაყარობას, მარადიულთან ზიარებას ნიშნავდა და აზრი ცნობილი იყო ძველი საქართველოს ხალხებისათვის. გიორგი მელიქიშვილის ვარაუდით, ქართული ს-ამ-ა-რ, მ-ა-ფ-ლა და „სიკვდილის“ აღმნიშვნელ ცნობილ ინდოევროპულ ძირს mer, mr-ს შეიძლება უკავშირდებოდეს, რაკი, მისივე აზრით, სიკვდილის და სამუდამოს ცნებათა სიახლოვე „ადვილი გასაგებია“.[79]

---

71 მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940. გვ. 20, 34; თეფო სახოკიას ვარაუდით, ბეგრულში სიკვდილის აღმნიშვნელი „ღერ“-ი, ღერ-ღრასგან არის წარმოებული. იქვე. გვ. 167.

72 С. Н. Крамер. История начинается в Шумере. М., 1965, стр. 180.

73 ლევან ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I. 1968. გვ. 74

74 თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. 1954. გვ. 19.

75 იქვე. გვ. 18.

76 იქვე. გვ. 6.

77 იქვე. გვ. 18.

78 ზ. კიქნაძე. გილგამეშის ეპოსი. გვ. 225.

79 გ. მელიქიშვილი. საქართველოს... უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. 1965. გვ. 229.

ანტიკური ხანის ბერძენისთვის ქვესკნელში მოგზაურობა წარმავალზე გამარჯვებასა და სულში მარადიულის დაფიქრებას გამოხატავდა (ოდისეა. ჟირაკლე). ამავე აზრით არის მოტანილი ბიბლიაში იონას ეშვაპისაგან შთანთქმის ეპიზოდი: და უბრძანა უფალმან ეშვაპსა დიდსა შთანთქნეად იონა და იყო იონა მუცელსა ეშვაპისასა სამ დღე და სამ ღამე. და ილოცა იონა უფალსა მიმართ... განმაგდე მე სიღრმეჰ მიმართ გულსა ზღვისასა და მდინარეთა მომიცეს მე... ბარე მოგებსა მე წყალი, ვიდრე სულად ჩემადმდე. ეფსკოცელმან მომიცა მე უკანასკნელმან... და აღმოვედინ ხრწნისაგან ცხორება ჩემი (დანიელი, 11. ბ.). „ცხოველის მუცელში ნამყოფი, სიკვდილის სამეფოში. სხვა ქვეყანაში ნამყოფად ითვლებოდა... გველის საშოთი გასული სხვა ქვეყანაში გადადიოდა"[80] ხოლო ასეთი კაცი ღრეობითან ზიარებულად, უკვდავებასთან ზეწაღაად მიიჩნეოდა.

სულეთში ჩასვლასთან იყო დაკავშირებული კაცისა თუ ღვთაების სახე-ცვლაც. პირველი ასეთი მტამორფოზა შუმერულ მითში ასახულია: ქვესკნელში ჩასული ენლილი რიგრიგობით იღებს შაევოს კარიბჭის მცველის, ქვესკნელის მდინარის კაცისა და შუმერული ქარონის სახეს.[81] ბერძნულ მითოსში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ასეთი მეტამორფოზები: ზეკეს ზნრიად გეველინება ხარისა ან გველის, აქტეონი ირმის სახით. აქელო, მდინარის ღმერთი, ჰერაკლესთან ბრძოლისას ჯერ გველად, ხოლო შემდეგ ხარად გადაიქცევა. ომეროსის აღწერილი აქვს „ზღვის გრძნეული მოხეული" პროტეესის სხვადასხვა სახედ ქცევა, როცა მენელაოსმა მუსა შეპყრობა განიზრახა (ოდისეა, IV, 456-59). ხეესტუულ მითოლოგიურ ტექსტებში ამგვარ „ხვადაქცევას" თუ „სახეცვლას" აღე (საფარველი, ნიღაბი) ეწოდებოდა და უკვე ამ ტერმინის არსებობა ცხადყოფს, რომ ასეთ მეტამორფოზებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ქვესკნელის საზღვარზე გადასული გუგუული ფრაჟაცებად იქცეოდნენ. ვირები, რომელთა მწყემსადაც დაიყენეს მინდი, „მართლა ვირები ეი არ იყვნენ, არამედ პაწაწა ბეწეწიკეები" (ბ. გაბ. 25). აღსანიშნავია, რომ ვირი დიონისეული ცხოველია. ვირზე შემკული მიდის დიონისე ელიფსანთან სიგიჟისაგან განსაკურნავად და ვირის ყროყინით აფრთხობს იგი გიგანტებს[82] (დიონისეურ. ღვთაებრივ სიგიჟეს ხეესტუულად ღაბუშობა ეწოდება. ღაბუში ღვთისშვილთან „გართულს", ღვთაებრივ ხელს ნიშნავს).

ვირისი ნაღვარმშვენიერი ბუნის საფარველით დადის სულეთში. იახსარი დევს სიმერში ჩაყვავება და იქიდან ტრედის აღით ამოდის. სიმერში გადაჩქეფული კოპალა აქტეონივით ირმად ეცევა. სულეთში ჩასული მგგრელური „დამაბალ ლას პეპელას ალით". ეუდანის ჯვარი ხან ტრედის სახით დადის, ხან ხატად იარება... დევები ვერძისა და ხარის სახით ეცხადებიან ხორციელთ, ხოლო ზოგჯერ კაცის სახითაც (თ. ოჩ. 138-196).

ქვესკნელში ჩამსვლელთა ასეთი ტრანსფორმაცია აუცილებელი და გარდუვალია. გარდაქმნისა და გარდა-ცვალების ეს კანონი უნივერსალურია. ქაჯავეთს მიმავალი მინდი თუ გახეა ამიტომ სტოკეთნენ თავიანთ სხეულებს ტხორკა გამოქვაბულთან და სულის ამარა ჩადიან სულეთს. სულეთი თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, რომ იქ სული უნდა ჩავიდეს, რომ ხორციელი ვერ ჩავა იქ. „მესოპოტამიური წარმოდგენების მიხედვით, როგორც ჩანს, მიცვალებულნი შიშვლად ჩადიან მკვდართა სამეფოში... ამ წესისაგან თვით ქალღმერთი ინანა არ ყოფილა თავისუფალი"...[83]

სულეთის საზღვრის გადალახვი სული ქვესკნელიდან მეორედ იბადება. იგი განაცვლებული და გარდაცვლილი (სახეცვლილი) ამოდის იქიდან და კვლავ უბრუნდება იმავე გარსს, რომელიც სულეთში ჩასულისას ვიხილა (აღსანიშნავია, რომ ორფიზმი სხეულს სულის სამსოდად განიხილავდა). შიშველი, „სამსოლვაძრობილი" სული ხელმეორედ იმოსავს საკმელს: ზამთარში უხილავი მზის სული კვლავ უბრუნდება თავის ასტრალურ ორეულს, ხილულ მზეს. „დადაღული ღმერთი ვეფხვი ფეფელი თავის სხეულს", მზის განმასახიერებელი გუგული კვლავ იცავს უკვდავი ძალიერების გამომხატველ წიოელ, ლამაზ გუგულს-ვაბას (გუგული მანამდე შიშველი იყო და იქნება ამიტომ უნდა გიგხადათ „ტანი და ფეხი" ხის შემოვლისას ვაჟას მოთხრობის მგრძნეს), სულეთის გადამცხველი მინდი თუ გახეა კვლავ იმოსავენ ხორციელებას...

ძილისგან დგება ოზირისი,
ილვიძებს, ილვიძებს დაღლილი ღმერთი.
დგება ღმერთი,
ეუფლება კვლავ თავის სხეულს,
აღდგომად იწევს ოზირისი...[84]

7

დაგლეჯილი უსარი (ივივე ოზირისი) მკვდრეთით დგება. ასევე იბადება მეორედ ტიტანებისაგან დაგლეჯილი დიონისე. დიონისე ორ-სული, ორ-სახე და ორ ჯერ შობი-

[80] В. Я. Пропп. დასახ. წიგნი. გვ. 213.
[81] С. Н. Крамер. დასახ. წიგნი. გვ. 109.

[82] Вяч. Иванов. Дионис..., стр. 134.
[83] ზ. კიკნაძე. დასახ. წიგნი. გვ. 136.

თამაზ ჩხენაველი
მშვენიერი მძლეველი

ლია, როგორც ბნელ მდედრულ საწყისთან ნათელცეცხლოვანი მამრული საწყისის დაპირისპირების ჭეშმარიტული ღმერთი. „დიონისე გამოცსახდებულია „ორდედოვნად“ და „ორკერშობილად“ არა სემელესაგან მეორედ დაბადების აზრით, არამედ კარიდან ორკერი გამოსელის აზრით (ასე განმარტავდნენ მის საკულტო სახელს — „დითირამბოს“), — ცალკერძ, მიწიერი დედის საშოდან და ცალკერძ, ზეციური მამის ბარკლიდან... შემთხვევით არ გვეხდება ღმერთის ორმაგი კერპები და ნიღბები ამდენ ადგილას“.[85]

მე-4 თავში ხსენებული, ბიკვინთაში აღმოჩენილი ქანდაკება, რომლის პირისახე „მარკვენა მხრიდან ოღნაგ მომდიმარია, ხოლო მარცხენა მხრიდან მოწყენილი, სევდიანი“ (დ. ჯანელიძე), — აშკარად დიონისუტია. ორთვალიანია და ამიტომ ორსახიანიც ხეცსოერული ლქმის „თვალსაცერა“ დეკი, რომელსაც მეორე „ეუნეკულში“ სხვა თვალი უზის და „ეკეინისკენაც ხენასა“ (№ 545). ეს დეკი ორსახიან იანუს ვეკოონეს. ორ-სეკი და ორსახოვანია წინაჯდომისტერი, ორმაგი ფუნქციის მატარებელი ყველა მიწოსქმენა და მიწისზედა ან, როგორც ეაკა იტყოდა, „უჩინისა და მზექვეყნის“ (IX, 153) ღვთაება. ორსტენებოვანი და ორსახოვანია ქართული მითოსის ამირანი, როგორც ვეფეტაციური ღვთაება და როგორც „ხესენელისა და ქვესკნელის, მზიერი „ცისა“ და „ზღვის“ ღვთაება“.[86]

ბირქუში. ივანე ჯავახიშვილისა და ვერა ბარდაველიძის ვარაუდით, ბირქუში იგივე ესეპი ანუ ესისია (В. В. Б. 111). ამირანის ღვთაებრივი ძმა, ბეკმზე მზის ნიშნით აღბეჭდილი ესუპი, ღემნა შენგელაიას აზრით, „იგივე ვიშან-ეუშანია და მეფიდრო კავშირში იმყოფება ეურარტულ თეუშბასთან“ (დ. შ. 197). ხოლო თეუშბა იგივე თეშბეია და „მასში ადვილად იცნობა მომავალი პერგამოსელი ზეუსბაჭხოსი“.[87]

ბრიტანეთის მუზეუმში, ხეთების დიდ უფალს — თეშუბს „მარცხენა ხელში უპყრია სამთითა ბოძაღი (ბოსეიდონისეთ, თ. ჩ.), ხოლო მარჯვენა ხელში ჩაქუჩი უჭირავს. თავზე მუზარადი ჰხურავს“... ბოძაღი თეშუბის ღრუბელთმატონობას, „ელვა ქუხილის უფროსობას“, ხოლო ჩაქუჩი მეტელობის ფუნქციას ასახიერებს (ვ. ჩიქ. 71). ქვის ჩაქუჩი — „მიოლნირი“ (молния) უპყრია ხელთ ტორსაც და ამ ჩაქუჩით იგი ელვას აჩენს.[88] თეშუბივით მეტელი, საავდრო ღრუბლებისა და ელვის გამჩენია პირქუში და ამიტომ „ცეცხლისალიანიც“ (თ. ოჩ. 147). საკულტოდ ეს რომ ცეცხლისა და მეტეორიის ღმერთი, ბელთმეუფე ზეესის ძე — ჰეფესტოსი, რომელიც ოკეანის სიღრმეში ალიზარდა, მიწისქვეშა ცეცხლის განმასახიერებელი და მეტელია. მას ჩაქუჩით ხელში გამოსახავდნენ და ეს ჩაქუჩი ზოგჯერ ზეესის ატრიბუტადაც ითვლებოდა.

წყალიც და ცეცხლიც ქვესკნელის მამანაზნებელია. პირქუშს პირიდან ნაკეთი გადმოდის[89] და აშკარა ხდება, რომ ცეცხლის განმასახიერებელი „ნათისწყლიანი კოკუნი“, რომელიც ხეესურულ ლექსებში ზოგჯერ შუბნერთან და კოპალასთანაც იხსენება, პირქუშის ატრიბუტია. პირქუშსვე ეკუთვნის „ცეცხლისალიანი მპორახი“ (თ. ოჩ. 164), რაც იგივე „მიოლნირია“. ქვესკნელიდან თორღვამაც „ამიაყოლინაკეთი და ნაკეფრცხალი“[90] და გამორიცხული არ არის, რომ თორღვას სახელი მოგვიანებით აეფარა პირქუშისას და წყლისკენ მზიდველი ჯაკეიც ამ უკანასკნელის ვამოქმედილი იყოს. „ცეცხლისალიანობის“ ასპექტით, როგორც ჩანს, პირქუში ამირანისის დეკეს „პირეცეცხლსა“ და „ქარცეცხლსაც“ უკავშირდება.

ხეესურული ლეგენდის თანახმად, პირქუში ერთ დროს უღამაზესი კაცი ყოფილა. ქალებისაგან თავმოპაზრებულს მორიგე ღმერთისთვის ეთხოვია შვილი და მს პირქუშად, ე. ი. პირბნელად უქცევია იგი (В. В. Б. 111). სილამაზე — ქართულ მითებში მზიერობის მიმანიშნებელია და იქნებ შესაძლებელია ეიფქვერთ, რომ მანამდე იგი პირი-მზე კაცი ყოფილიყო, როგორც არ უნდა იყოს, პირქუშობა მისი ერთერთი ატრიბუტია (აკი ნაწილიანია, ე. ი. მზის ნიშნით არის აღბეჭდილი იგი). და ხეესურული მითის ამ პასაჟში აშკარად ჩვეული პირქუშის ზეესეულ-ქვესკნელში „მოარულობა“.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს „კალევალას“ მეტედელი ვაინამეინი. იგი დედამიწისა და ქვესკნელის — ვაიო

როცა ვეინემეინმა „მიატოკა ტიტანის ტანი, მან ბაგეთაგან ისაკუთა ველზე, ვითარცა ოქროს ცოცვნა და კვერნამ“.[92] აქვე უნდა აღინიშნოს: სვანურ ოქმელებაში კვერნა მზესთან და ოქროსთან დაკავშირებული ცხოველია.[93] როგორც ეხედავთ, ფინელთა ღვთაებრივი მგზველი პირქუშვიეთი ცა-ღრუბელთან, ცეცხლთან და ალთან არის დაკავშირებული. მისი საუფლო ზეცაა და ქვეყნელიდან ამოსული მზესავით ოქროვანია...

კოპალა. ხეესურული მითის მიხედვით, „კოპალა უძილაურთის თავს, ირემთა-კალოს რომ ეძახიან, ეს დაარსდა“ (თ. ონჩ. 157). უძილაურთის „ირემთა-კალო“, სვანური ლექსის „ალსლეგილოს“ სამოსახლოს ჰგავს, სადაც „თეთრი ცეხე დგას“ და მითიური „ფურ-ირმეში ყანას ბეკინ, ხარ-ირმეში კალოს ლეწენ“.[94] „ეშუშაანინთ“ წყალზე წასული კოპალა „სიმერში გადაჩჩეფიფაზ“ და ირმად გადაიქცევა. (№ 543). ირმად ქცეული კოპალა „დაღალულ-პიროფლიანი“ მოდის და მას ბზეზე ისოვის აყრიან თუშები (აქ პირველად ადრესტად ოქნები „უშაბი“ ან „ეშუშაანი“ საგულვებელი). ქვეყნელიდან ამოსული კოპალას გველ-ბაყაყების ხმიანობა ესმის: „ჭანჭახთას ამავიარე, გველ-მყალთ დაედგა ღრიალ“ (თ. ონჩ. 142). ეს „ჭანჭ-ახთა“ უბრალო გეოგრაფიული სახელი არ უნდა იყოს. „ჭანჭახინი“—ნამიან, სველ ადგილს ნიშნავს.[95] გამოყოფილი ძირი თავისუფლად უკავშირდება სიტყვებს: ჭანჭ-რობი, ჭონჭ-ყო, ჭოჭ-ი, ჭა-ობი, ჭა, და სხვ. ამავე ძირისა უნდა იყოს: ჭანჭ-ყალი, — ნაყლული ჭეერ[illegible]ლის ხმა (საბა). გეორ-ეი ჭანჭ-ალი — testis და სხვ. ფონეტიკურად, რომ შუმერული კურისა და ქართული ფაი (მთა) — ფა-ი-ს ის (მდინარე) ანალოგიურად, ჭანჭახი კავკასიონის მწვერვალისა და რიონის შენაკადი მდინარის სახელია. კოპალას „ჭანჭახი“, როგორცა ჩანს, ქვეყნელის წყლების მახლობლადაა, რაკი „გველ-მყალთ“ სამუდარი ადგილია. გველ-მყალთნი ესალმებიან ახლადშობილ მზეს, ერთ ეგვიპტურ ლეგენდაში, როცა იგი ჰერმოპოლის ბორკვეზე ჯდება.[96] არისტოფანეს „ბაყაყებში“ ქვეყნელის ჩამავალ დიონისეს ბაყაყები ყიყინით ეგებებიან. ბა-ყ-ყ-ი ხომ დამ-ყ-ყ-ებელ ადგილთან ანუ ჭაობთანაა დაკავშირებული და აშკარაა, რომ მისი ყ-ყ-ინიც (იგივე ყ-ყ-ანი) ამავე ძირს შეიცავს.

სად უნდა მიეიდეს სიმეჯნი ირმად ქცეული, ჭანჭახთას ამოველილი კოპალა? ცხადია, ირემთ-კალოზე, რადგან იქ არის მისი სადგომი. ქართულ ზღაპრებში ირემი ზესკენელ-ქვესკენელ[illegible] დამაკავშირებელი ცხოველია და აშკარაა, რომ ირემი კოპალას ზეცეფრი ამოსტანია. ამტომაა აქვს მას „შშვენიერი, გოზა-წითელი მშველდი“, ამიტომვეა „მხარ-თეთრი“ (ე. ი. ფრთა თეთრი) და ბაღრიეთი ლამაზი, რაც არც ერთ ღვთისშვილზე არ არის ნათქვამი. კოპალა თითქოს ფშავ-ხევსურული მითოსის ამოლონი:

> **კოპალას მშვილდო მშვენვარო,**
> **გოზა-წითელო, ფარიოო,**
> **რა ლამაზ სასინჭავი ხარ**
> **ბორბალს რომ დამბართოვო,**
> **წინ კი ვერავინ დაგიდგა,**
> **რახან ლახტ მიიმართოვო** (№ 554. R 37).

ერთი თუშური ლექსის მიხედვით, „ნარილების მტკიცეთ, მთა-მთა“ წამოსული კოპალა ბორლეის მთაზე ადის („ბორბლის მთა“ ეკუთვნის ნახსენები აქვს თავის წერილში, IX. 154-55), სადაც —

> **ციხეს ავგებენ ბორბალსა**
> **ბროლის მარილის ქვისასა,**
> **შიბაედ შიგ გალოს ატანენ**
> **გრძელ-გრძელსა მითხოროსასა...**[97]

რატომ „ატანენ გრძელ-გრძელ გალოს“ ციხეს? იმიტომ, რომ „გრძელი“ ან „წითელი გალო“ ქალიკეთ ლამაზი ბაღრის ალრინეტია („აკი მას მიქადებდია, — ეუბნება დეკის ეაკი მამამისს, — ბაღრისა წითელ გალოთა სადილად დაკაზრეკვენებ“. ფშაური ამირანიანი). ხოლო ბადრი თეთრონის მფლობელი და ამიტომ ზესკენელს მოარული ღვთაებაა. თუ რატომ ენაცვლება გალო შიბს, ცხადი გახდება ქვემოთ.

ბარბოლი „ბროლის მარილის ქვის“ ციხეს ავგებენ. რატომ „ბროლის მარილისას? იმიტომ რომ მარ-ილი ივიგე მარ-მარ-ილოა, ხოლო ეს ძირი, დემნა შენგელაიას აზრით, ისევე როგორც ბროლი, მზის ქალღმერთის ბარბოლის სახელს შეიცავს, „ეს მინერალები სითეთრით ცის განსახიერებას წარმოადგენენ“ (დ. შ. 223).

კოპალას, კასლედილის მამასავით, „ზეთოზეტ ეაკაკეს ღვთაებრივი ნახირი. „ზე მთა“ სვანური „უთურ-მთისა“ და ქართული „ალგეთის მთის“ შესატყვისია. ამ მთაზე „წამოუტანთ ირემი“ აბრანსა და მის ძმებს და ამავე მთაზე დგას ამირანიანის „ბრილის ქვის კოშკი“, რომელიც კასლედილის „თეთრი ციხისა“ და ხეესურული „ცხრათავაა, მშვენიერი, ცას წვერმიზდენილი“

---

92 იქვე. 273.

93 ბ. ნიეარაძე. დასახ. წიგნი. გვ. 146.

94 ირინოლა... გვ. 32.

95 ეაკა-ფშაველას მეკრე ლექსიკონი (შეადგინა ალექსი ჭინჭარაულმა). 1969. გვ. 331.

96 М. Э. Матье. Мифы древнего Египта. Л., 1940, стр. 10.

97 მასალები... I. გვ. 47-48.

თამაზ ჩხენკელი
მშვენიერი მძლეავარი

�si (№ 541) ანალოგიური. თუკი სწორია ხევსურეთ მთქმელის შენიშვნა იმის შესახებ, რომ კოპალა და იახსარი „ორივ ერთი ას“, მაშინ საფარიანეველია, რომ „ბორბალის მთა“, იგივე „ბეღნიულეთი“, მზის ანუ ბ ა ბ ა რ ო ლ ი ს სადგომი მთა ან ბორცვი, რადგან ქვეყნული სიმშვიდიან ამისელი და „ფრთეშებრტყიელი“ იახსარი „ბ ე ბ ე ლ ი ს ქ ვ ა ზ ე“ ან „ბ ე ღ ნ ი ს ქ ვ ა ზ ე“ ყდება. ეს ქვა წ ი თ ე ლ ი ა და მასზე მზის სიმბოლო — „ჯ ვ ა რ ი ა გამოსახული“ (№ 542. ᲒᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲜᲘ). სიმერში ი რ მ ი ნ დ ი ქეყნელი კოპალა ბობრალეზე ამბორდება, და ო რ ო ბ ო ლ ი ᲰᲐᲜᲚ, სწორედ აქ, ხტონერი წყლების ნაღვაწში მ ე ბ ე ტ ი ნ ა ლ ი გიორგი უ მ ᲰᲔᲜᲘᲡ მსგავსად. კოპალა „თავის გასართობად ბ ე ტ ო ნ ა ᲡᲘ ᲧᲘᲠᲪᲘ“,98 როგორც მზიური ღვთაება.

ᲬᲔᲚᲘᲡᲘᲠᲘ ᲪᲮᲝᲠᲐᲗᲔᲚᲐ ᲙᲝᲜᲬᲘᲚᲘ („ცხრათვალნა“ მზის ატრიბუტია) გვერდით აღვილზე ᲬᲔᲒᲚᲐ. ᲬᲔᲒᲚᲘ „ოქროს თმიანი“ (ფრთიანი, თ. ჩ.) ანგელოზები ანუ ღვთისშვილები სხეგან“. ღ ვ თ ი ს კ ა რ ᲬᲔᲒᲚᲘ მდგარ ამ აღვილისეს, იგივე ცხოვრების ხეს წვერში „ᲪᲮᲠᲐᲙᲔᲪᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲙᲘᲓᲘᲗ“ (№ 541). ᲝᲥᲠᲝᲡ ტᲑᲘᲡ სიმერიდან ანუ ქვეყნელის ᲬᲔᲒᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲘᲐᲮᲡᲐᲠᲘ ᲐᲛ ᲨᲔᲜᲘᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲚ და მას „თვალს ვერ ᲬᲐᲛᲘᲭᲕᲔᲜᲔᲑᲜᲔ“ (№ 542), რაკი ᲬᲔᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲘᲡ ᲨᲣᲛᲔᲓᲐᲠᲘ. ცად მიმავალ იახსარს ᲚᲔᲑᲢᲘᲗ „ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲐᲠᲘ“ უნდა შეუკიდნ და ეს ᲑᲐᲠᲘ ᲪᲐᲜᲐᲕᲐᲚᲘ (ᲘᲡᲠᲔᲚᲘᲡ ᲪᲘᲡ) ᲒᲐᲜᲛᲐᲡᲮᲘᲠᲔᲑᲚᲘᲐ.

ᲐᲠᲡᲠᲘᲠᲔᲚᲘ. ამირანი, ᲞᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘ, კოპალა და იახსარი მიწოსქვეშა და მიწისზედა, ხილულისა და უხილავის ან უჩინისა და მზექვეყნის ღვთაებანი და ᲨᲐᲜᲗᲐᲛᲐᲓᲐ, ᲝᲠᲛᲐᲖᲓᲘ, ᲝᲠᲝᲑᲝᲜᲘᲗᲘᲡᲐᲜᲘ და ᲝᲠ ᲡᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ მოარული არიან.

8

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲝᲠᲛᲐᲖᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲛᲘᲓᲒᲔᲚᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲡ. მინდი, გიორგი თევდორაძის ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲡ თანახმად, „დარ-ავდრის ხატის ცეკ ტაროსთან ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ და ᲪᲐᲮᲘ ᲪᲘᲡᲐᲠᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲚᲘᲡ ᲘᲛᲘᲚᲘ ᲜᲘᲗᲔᲑᲘᲗ.99 ᲐᲛ ᲞᲐᲡᲐᲯᲘᲗ თვალნათლივ არის გამოკვეთილი ერთის მხრივ, ᲝᲠᲗᲝᲒᲘᲠᲗ ᲓᲐᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲔᲠᲬᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ მინდის წილნაყარობა, ᲮᲝᲠᲪ მეორე მხრივ, მისი ᲮᲔᲡᲣᲠᲔᲚᲗᲐᲜ ᲙᲐᲨᲨᲘᲠᲘ, ᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲒᲘᲡ ᲐᲮᲠᲘᲡ, ᲪᲘᲡᲐᲠᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲡ და მიწის ᲙᲐᲨᲨᲘᲠᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲛᲭᲛᲝᲡ (ᲑᲔᲠᲬᲘᲡᲣᲚᲘ ᲘᲠᲘᲜᲘ). დარ-ავდრის გამგებლობა, მოიოგე ᲚᲔᲠᲬᲘᲡ ნᲔᲑᲘᲗ. მზეკვლის აქვს მინდეᲑᲔᲚᲘ ᲭᲘᲗᲘ მსგავსად და თევდორაძისეული ᲞᲐᲡᲐᲯᲘᲗ მინდი, გარკვეული აზრით, უკავშირდება ᲗᲐᲮ.

98 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 1. გვ. 98.

99 გიორგი თევდორაძე. ხუთი წესი ფშავ-ხევსურეთში. 1939. გვ. 98.

მზეკვლი, იგივე მ ი ნ დ ო რ ი ს ᲯᲕᲠᲘ, მარკალელების მფარველია, მასზეა დამოკიდებული ᲞᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲐᲗᲔᲚᲐ: „ქერ-ოქრონ ᲔᲠᲗ ᲒᲐᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ. ᲛᲗᲘᲚᲘᲡᲬᲕᲐᲜᲘᲡᲓᲔ ᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲒᲐᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲐᲚᲐᲪᲐᲛ, თ. ჩ.), მაგვაყოლენ ᲩᲘᲚᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐᲛᲓᲔ, ᲒᲐᲛᲘᲜᲓᲔᲑᲣᲠᲜᲔ ᲩᲘᲚᲘ ᲧᲛᲐᲜᲘ ᲥᲔᲠ-ᲝᲥᲠᲝᲜᲘᲡ“.[100] — ᲫᲐᲮᲐᲜᲘ ᲨᲘᲠᲘᲜᲘ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲡ ᲦᲐᲚᲐᲨᲘ ᲣᲮᲔᲑᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲝᲓᲐᲠᲘ „ᲦᲕᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲓᲐᲜ“ ᲬᲐᲛᲝᲠᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ „ᲥᲔᲠ-ᲝᲥᲠᲝᲜᲘᲡ“. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘᲡᲐᲯᲘ ᲦᲐᲚᲐᲨᲘ, თუმცა სხვა სახისაც: „ᲓᲝᲜᲔᲑᲠᲘᲗ, ᲥᲐᲠᲯ-ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗ“ ᲛᲗᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲡᲐᲮᲘᲠᲔᲑᲔᲚ, ᲒᲐᲮᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ და მინდის ᲐᲠᲮᲝᲢᲘᲡᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲜ ᲒᲣᲓᲒᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲯᲘᲗ. ᲪᲮᲔᲑᲐᲜ, ᲛᲗᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲔ ᲡᲐᲠᲬᲛᲝᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲒᲐᲠᲘᲡᲐᲯᲘ ᲥᲐᲨᲘᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ როგორც მ ᲔᲓ ᲔᲠᲣᲚ ᲦᲕᲗᲔᲑᲘᲡᲐ. ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲤᲣᲠᲩᲘ „ᲥᲔᲠ-ᲝᲥᲠᲝᲜᲘᲡ“ ᲓᲔ-ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘᲡᲐᲯᲘᲗ ᲦᲐᲚᲐᲨᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲤᲣᲠᲩᲘ „ᲓᲔᲓᲐᲡᲢᲝᲜ“ ᲓᲔ-ᲓᲐᲐᲡ „ᲓᲔᲓᲐᲡᲢᲝᲜᲘᲡ“ ᲙᲐᲨᲘᲠᲘ (ᲐᲛ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ ᲐᲚᲘᲡᲣᲠᲘᲜᲗᲐᲐ, ᲐᲥᲐᲠᲘᲡᲐᲜ ᲒᲐᲠᲩᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲪᲮᲝᲠᲗᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ „ᲓᲔ ᲓᲔ ᲤᲣᲠᲩᲐᲐ“ 103). ᲬᲚᲘᲡ ᲤᲣᲠᲩᲘ — ᲓᲔᲓᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲔᲜᲐ ᲨᲔᲣᲪᲘᲜᲐᲗᲐ ᲡᲘᲜᲗᲔᲜᲘᲛᲐᲓ (ᲐᲚ. ᲜᲘᲜᲘᲫᲘᲡ „ᲥᲐᲠ-

100 თ. ᲩᲩᲘᲐᲠᲘ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ... გვ. 70.

101 ᲐᲚ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ. ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲘᲠᲗᲜᲝᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ. 1. 1929. გვ. 111.

102 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 1. გვ. 92.

103 Შ. ᲜᲘᲪᲐᲠᲐᲫᲔ... ᲩᲝᲛᲝᲐᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘ. გვ. 159.

თელ სინონიმთა ლექსიკონი“. 1961. ეს სიტყვა ღღმდე ცოცხალია გუნიაში), ხოლო „დ ე კ ნ ა, სპას განმარტებით. ეწოდება მზის უკიდურეს სამხრეთ წერტილს, რომელსაც ზამთრის მზებუღობისას „ვერ გასცილდება“ მზე. მ ზ ე მ ი დ ი (სვანური შემოდგომას „შ უ ღ ღ ვ ე ნ“ ჰქვია, რაც ნიშნავს მ ზ ე-მიდ, მ ი დ ი-ლირი104). დღე მცირდება (მეგრულად შემოდგომას „დამორრილი“—„დღამორრილი“, ე. ი. დღეპატარა ეწოდება). ზამთარში მზე სამხრეთ ნახევარსფეროში, ქვესკნელში ანუ მითოსური თვალსაზრისით, ღედა-მიწის საშინაო ბადეფეტილი: სვანური ოქმულების მიხედვით, „მზის მსგავსი“ და მზის განმასხივრებელი ამირანი სამ-სამი თვე ჯერ დ ე კ ე ე ლ ნ, ხოლო შემდეგ კ ე ბ ო ს ფაშვნი უნდა მოშუშდეს,105 რომ ხელმეორედ იშვას (სვარაუდებელია, ეს სახელები შესაბამის „ზოდიაქოებსაც“ უკავშირდებოდეს). ამასთან ბაკავშირებით, შეუძლებელი არ გავიხსენთ, რომ შუმერში „მზის ხბოდ“ იწოდებოდა მ ა რ დ უ ტ ი, ისევე როგორც რა ეგვიპტეში „ოქროს ხბოდ“, ხოლო ირლანდი ბ ა ბ ა ნ ი „ძროხისკაწმობილად“. ზემოთქმულიდან ის ცხადდება, რომ ამირანის შობაული ღეკნა და კერო ქვესკნელში მყოფი მზიერი ღეთაების ზოომორფული ინოსტასები ირიან და ღედა-მიწის საშოს ვანასახიერებენ და ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა ისინი ხეხსრული შეეფთის ცალკეკი ხართან და ჯაკავეთურ დიდრქიან ფურთან დაკავეკავშირებინა. ამავე სვანური თქმულების მიხედვით, ალანის ცოლი, როცა გაიგეს, რომ ნაშვილები ვაჟი ოქროსთმიანი ბ ა ლ ი ღეთაებრივი ძ ე ა. ძ რ ო ხ ე ბ ი ნ ტ ფ ვ ე ლ ს თავს ანებებს და საჩქაროდ რ ძ ე ში ბ ა ნ ს მზიერ ყმაწვილს.106

რატომ მიინდამინე რ ძ ე ში? იმიტომ რომ „მზის შვილი“ ამირანი ფ უ რ ი ს ნაშვილია, ხოლო ფ ე რ ი კი ასტრალური სამყაროს თ ვ ი ს ფერს განასახიერებს. „თეთრის სიტყვა თ ვ ი-ი და მისი სვანური შესატყვისი ი თ ვ ი-ნე. შესაძლოა, ეტიმოლოგიურადაც ასტრალურ სამყაროსთან) კერძოდ, მთვარის უძველეს სახელთან, — იკანე ჯავახიშვილის ვარაუდით ო თ ე-სთან, ხოლო ნ. მარის ვარაუდით თ ვ ი-თან იყოს დაკავშირებული.107 აკი არსებობს „თითბერი“, რაც თ უ-ფერს, ე. ი. მთვარის ფერს ანუ თ ვ ი ს ნიშნავს.

მზისადმი მიძღვნილ სვანურ საგალობელში „ბარბონ-ფოლშ“ ასეთი კოსმისური სურათი იშლება:

წვეთავს ირმის სავსე ძუძუ,
თეთრად რჩება ირმის ყვალი,
კლდეებიდან გადმოდგენ
რძის და თაფლის უშრეტ სარავს.
მზე შემოაქვეთ რქებით ხარებს,
მზე შენია. ბარბონ-ფოლშ...108

ამ უბრწყინვალეს მზისიერ პიმნში რ ძ ე ასტრალური სამყაროს თითქოს გიგიეგეტეფა. ირმის სავსე ძუძეფდან თეთრად დარჩენილი ყვალი, იგივე „რძის ბაზა“, იმ ოქროსრქიანი ირმის „ნახტომია“, რომელიც ამირანს და მის ძმას „წამოუტანთ“ ზეციურ მთაზე და რომლისეულსაც ამირანის სახეს აფარებენ ბატონიშვილ ერეკლეს „ძუძუ ეწოვნია“. თუ ამასაც გავითვალისწინებენ, რომ მეგრულად ბ ტ ა ეწოდება მზესაც და რძესაც, რაც შემთხვევით არ ყოფილა. მაშინ „სემასიოლოგიურად გაუგებარი“ ადარ იქნება რძის ხეხსრული სახელი ზ ნ ს ა ბ ა ი, რომელშიც ზ ე — როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, — „მზეს მოგვაგონებს“109 (აღსანიშნავია: აკაბრელში ბზის თვალი — „ზოთვალად“ გამოთქმული)110. ჭ ზ ნ ს ბ ა ი ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრებაში“, ფარნავაზის სიხმართან დაკავშირებულ მითოსურ პასაჟში გვხვდება — ფარნავაზმა „მოჰხოცა ს ბ ა ი ბ ი ს ა ნ“.111 — რაც იქნებ იმაზეც მეტყველებდეს, რომ ეს კომპოზიტი მითოსური ხასიათის უძველესი და ბუნებრივი ტერმინია (და ბოლო... რა შეიძლება იყოს მზის ცვარი, თუ არა რძე?)....

ცნობილ ხეხსრულ ლექსში მ ი ნ დ ი ს სიკეთილი ასტრალური სამყაროს შეძრწუნებასთან არის დაკავშირებული („მზე წითლდებოდა...). მინდი, შესაძლოა, მზეკალის, იგივე მინდორის ჯვარის ღეთაებრივი ძე ან მამრული კორელატი — იგივე მ ი ნ დ ი ტ ი ს (წმ. გიორგი (B. B. Б. 7). იყოს. რასაც მისი დარაკეფრის ტაროსთან კავშირი და მძვინვარე მდედრული ფიმონების მიერ მისი დანაწიოცებული ეულის შეჯნ მაც ადასტურებს. ამ თვალსაზრისით მეტად მაკ თუნებელია მ ი ნ დ ი ს სახელის ა-მ ი ნ დ-თან, მ ი ნ დ-ორთან და საფეკვეზე ალებულ მ ი ნ დ-თან დაკავშირებაც. იკანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ფკვილის ძნიშვნელობით“ ნამპარი „ძველისმკეკი ქართული ტერმინი“ სი-მინდ-ია, სი-მინდ-ი, სა-მინდ-ალი, ფ. გორგიჯანიძეს თავის ლექსიკონში „ოდნავ განსხვავებული სახით აქვს

---

104 ბ. ნიკორაძე დასახ. წიგნი, გვ. 65.

105 იქვე. გვ. 151.

106 იქვე. გვ. 153.

107 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I. გვ. 131.

108 ირინოლა... გვ. 61.

109 არნ. ჩიქობავა. სახლის ფუძის უძველესი ფორმა... 1942. გვ. 170.

110 ფ. ნიკორაძე. დასახ. წიგნი. გვ. 52.

111 ქართლის ცხოვრება. 1955. გვ. 21.

თამაზ ჩხენკელი
მეცნიერი მკლევარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტანილი: სიმინდრი“...112 რაც იქნება ამ ტერმინის მინდორთან კავშირის აქაოდენდეს. როგორც არ უნდა იყოს, ცხადია, რომ მინდ ფუძით აღნიშნული საგნებს, მოკლეებსა და ღვთაებებს გარკვეული კავშირი აქვთ. ისინი თავისთავად ისწრაფიან მითოსოურ სტრუქტურაში გაერთიანებისაკენ.

როგორც დარ-ავდრის ტაროსთან, პურეულთან და გეგეულთან დაკავშირებულ ღვთაებას, ორი მზის ნაშზე დაბადებულ მინდის (რომელსაც დამადგენისთანავე ორი კბილი113 დაჰყვა და რომლის გულ ორსულ ღიაცვი ჭამენ) აშკარა კავშირი აქვს მინდორის ჯვართან. ქვესკნელი გაელით იგი ყოველ გაზაფხულს სამზეოში ადის, რათა მკვდრეთით აღმდგარი „ანნიწყალოს“ და ზეციერ „ბეღელში“ ანე „ბეთლემში“ გამოელებული კვლავ ქვესკნელს დაუბრუნდეს.

9

ჩვენ დიონისეს ცოცხლად გლეჯენ („ბანწილაკენ“ — diamelismos) მენადები, რომ ღვთაებნი დარსუულდენ და ღმერთის უკვდავებით აიავსონ. სხვა მითში მას დედამიწის სტიქიონი ძალების განმასსახიერებელი ტიტანები ნთქავენ. ეს ტიტანები მდედრული ტკბონერი ღვთაების მძინებარე ორგიასტული მსაზარბა არიან (ხვვაურულ ლექსში დევები პირდაპირ ეუბნებიან მოსაკლავად „შაშზიაზეს ბულს“: „ჩვენის გულიანად დაწვალდიო“, № 546, გ.) დიონისეს შთაშთქმელი ტიტანები ამ აქტით ღვთაებრივსა და მარადიულეს ეზიარნენ. შემდეგ მათ დაფერფლავს ზეესი და ამ ფერფლიდან კაცთა მოდგმა წარმოშვება. დიონ ქრიზოსტომოსის „სიტყვანის“ მიხედვით, ადამიანები „ტიტანების თესლიდან არიან წარმოშობილნი“ (XXX). ორფიკული ჰიმნის თანახმად, ტიტანები „ბრავალნარჯენი კაცობრობის დასაბამი და პირველშყარნი“ (XXXVII, 4)...

მაგრამ კაცის ბუნში ტიტანების მიერ შეჭმული ღვთაებრივი მსხვერპლის ნაწილიც ღვივის და ამიტომ ადამიანი ორ სულ არსება, მიწიერიც და ზეციერიც. „ადამიანი წარმოსდგება ორი ელემენტისაგან: დიონისუსისა და ტიტანურისაგან (ანუ „ღვთაებრივისა და დედურისაგან“, თ. ჩ.)... ტიტანური ელემენტი იკავებს ადამიანს ინდივიდუალიზაციის, განპიროვნების რაკეში. ადამიანის ვალი ამ მოერთოს თავის თავში ტიტანურს“.114

ქვესკნელის გადალახვით ანლად იბადება მარადიულთან წილხაყარი სული. უნიერსალურთან ზიარებით ითრგუნება პირთნული. წარუველთან წილისყრით მარცხდება წარმავალი. ამიტომ ალარ ისურვა შეგრელაურმა მოკვდეა, თაგვისგან ბეჭგამოხრულ გვამში ჩაპრიმა: „შაშზიზეკ ჩემმ გვამმაოდ. ბაკმეკა გაგბედავ“ (თ. ოო. 190)...

მინდი მზეკალის გუგეულ მოაკვეა სამზეოში. დევებმა დაგლეჯეს ღვთაება და მინდის განწყალულო გული თავიანთ ორსულ ღიაცვის აჭამეს: „იქნებ მინდის გულ ჩაედვას, მინდის ფერ ბალღებ დაიბადნენო“ (ა. ჯან. 28). ცხადია, „ორსულო“ ღიაცვი იმიტომ ჭამენ მინდის გულს, რომ ღვთაებრივი „დაორსულდეს“. ასევე ორსულდება ერი ბერძნულ მითში სემელე, რომელსაც ტიტანებმა ბიერ დაგლეჯილი ენერგია (დიონისესთან გაიგიგებული იტალიკური ღმერთი) გახრესილ გულს სასმელში გაუზავებენ.115 ხორბლის საცერში ჩაწყვნილი ლიკნიტის მსგავსად, ბეღელში ანუ ბეთლემში (სახლი პურისა) დგას მინდის ოჭროს აკვანი. ამ აკვანში მწოლიარე ყრმას იფქლის მარცვლებს აჭმევენ ხვეესრი ღვთისმშობელები. ზამთრის მზეკუდრობისას (ვ. ი. ახალი წელის ანუ მზის დაწყებისას) დედამიწაში დამარხული მარცვალი თვალს გაახელს და ქვესკნელიდან წვალებით ამოვა პურის თავთავად აღმოცენებული მინდი.

განწიალული მინდი — ყანის წვალია (წუე-ელი, ბე-წუ-ი, წუ-ანილი, მ-წუ-ანე, წი-წუ-ი, წუ-ელი, წუ-ეთი, წუ-თი). იგი მარცვლეულის პატარინი მინდორის ჯვარის, იგივე მზეკალის ოქროსფერი მარცვალი, ღვთაებრივი ძე, წელი ან წილია. მინდის ხტონური დემონები, დედამიწის ნაყოფიერების განმასახიერებელი დევები ბეკეულ ნდა მიხი ვეგეტაციური განწიალვა გაზაფხულზე ხდება და საკარაფუდენია, რომ ეს აქტი ღვეთის ძეს, ანუ ბეკეულ უკაეშრეფბოდეს, რაკი შემპარ განაყოფიერება მოსდეს. ამ აზრით, დევებმა ქორწილი, შესაძლოა, არქაული პლასტი იყოს გაზაფხულზე მკვდრეთით აღმდგარი წინაარსიური ძალერეობის დედამიწის განმასახიერებელ მდედრულ ღვთაებებთან ქორწილისა.

მარცვლის აღმოცენება უდიდეს სასწაულად იყო მიჩნეული და ელევსინური მისტერიების საფუძველიც ეს იყო. შემოდგომაზე მიწამი ჩათესილი მარცვლის გაზაფხულზე მწვანე ყლორტებად აღმოცენებამ წარმოშვა წარმოდგენა მკვდრეთით აღდგომის შესაძლებლობაზე...

ზაფხულის მზეკუდრობის შემდეგ, განწიელულ და ჭირნახულ მინდის, იზიდასა და რეას მსგავსად შეგიროვეს დაღალული მზეკალი. ხვეესრები სულეთიდან მოლალული ღვთაებრივი ფურის რქით აწყვეენ სალუდე ფორა (მარცვლს). მთელი სოფლის მიერ ერთად მოტანილი წყალში მოხარშავენ ლუდს!116 და საღვთო სასმელით თავდავიწყებულნი კვლავ ეზიარებიან თავიანთ მარადიულ და ერთიან ღმერთს, რათა წარიხოცონ წუთისოფლის ვარამი და წარმავალობა.

---

112 იგ. ჯაჯანიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I. 1930. გვ. 363, 364.

113 გ. თევდორაძე. დასახ. წიგნი. გვ. 98.

114 გაზ. „სამშობლო“. დიონისეს კულტი და საქართველო. 1916. № 244.

115 А. Лосев. დასახ. წიგნი. გვ. 166.

116 ნ. ხიზანაშვილი. დასახ. წიგნი. გვ. 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარლამ დონაძე

ინდოეთის ხალხის დიდი შვილი

(მაჰათმა განდის დაბადების ასი წლისთავი)

1969 წლის 2 ოქტომბერს შესრულდა ასი წელი ინდოელი ხალხის დიდი შვილის მაჰათმა განდის დაბადებიდან. მშობლიური ქვეყნისადმი უსაზღვრო თავდადებამ, ღრმა პატრიოტიზმმა და შშფოთვარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოღვაწეობამ განდს ინდოელი ხალხის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოუპოვა და მარადიული დიდების შარავანდედით შემოსა

განდისადმი ღრმა სიყვარულსა და მის განუზომელ ავტორიტეტზე ინდოეთში მიგვითითებს ის მეტსახელი „მაჰათმა“ („დიდი სული“), რომელიც სიცოცხლეშივე შერქვა მას ინდოელ ხალხს მეორე დიდმა შვილმა რაბინდრანათ თაგორმა. განდის ნეშტის კრემაციის ადგილი რაჯპათი (დელიში, სიღვთო მდინარის, განგის, შენაკადის ჯამნის ნაპირზე) ინდოელი ხალხის ერთერთ ყველაზე წმიდათაწმიდა, სათაყვანებელ ადგილად არის ქცეული[1]. იგი გახდა ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულების რელიგიური რიტუალებისა და სახალხო ზეიმების ჩატარების ადგილი. ყოველწლიურად მილიონობით ინდოელი და უცხოელი ნახულობს განდის კრემაციის ადგილს, რათა ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკოს იგი და ამით გამოხატოს თავისი მოწიწება და პატივისცემა ამ დიდი ადამიანისადმი. ამავამად ინდოეთში არ მოიძებნება ისეთი დასახლებული პუნქტი, სადაც განდის ხსოვნის აღსანიშნავად ამართული არ იყოს მისი სკულპტურული გამოსახულება, ან სხვა რაიმე მემორიალი. თვით უბადრუკ ქოხებსა და მიწურებშიც კი არის მისი პატარა ქანდაკებები. სამხრეთ ინდოეთის ცალკეულ ადგილებში განდის ქანდაკებებმა შეცვალა ღმერთების ტრადიციული გამოსახულება პაგოდებსა და ტაძარ-მონასტრებში.

განდის აზრები და შეხედულებები, მისი მოძღვრება, რომელიც განდიზმის სახელს ატარებს, ამავამად რესპუბლიკის ოფიციალურ იდეოლოგიად არის გამოცხადებული. იგი მმართველი პარტიის — სრულიად ინდოეთის ეროვნული კონგრესისა და მთელი სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ამ ოფიციალური იდეოლოგიით არის გაჟღენთილი რესპუბლიკის კანონმდებლობა, კულტურა, მეცნიერება, სკოლები. იგი უდევს საფუძვლად სამინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპებს. იგი ისწავლება ყველა ტიპის სასწავლებელში. პრესა, რადიო, ტელევიზია სისტემატურად ეწევიან მის პროპაგანდას.

ინდოელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის თითქმის ყველა გამორჩენილი წარმომადგენელი ალტაცებული იყო განდის პიროვნებით, გრძნობდა მის სიდიადესა და მომჯადოვებელ ძალას. მასში ყველა ხედავდა ერის მამას, სახალხო ბელადს, ერის ერთობისა და თავისუფ-

---

1 განდი მოჰკლეს 1948 წლის 30 იანვარს დელიში. მკვლელობა მოაწყო „ჰინდუ მაჰასაბჰას“ ულტრარეაქციულმა და კლერიკალურმა ორგანიზაციამ. მკვლელი იყო ინდუსი ფანატიკოსი ნათჯურამ გოძე. განდი ორგანიზებული შეთქმულების მსხვერპლი გახდა

ლებისათვის ბრძოლის სიმბოლოს. მართალია, ბევრი მთგანნი არ იზიარებდა განდის ამა თუ იმ შეხედულებას, ტატიკურ ნაბიჯსა და ზოგ რაოენი არ ეთანხმებოდა მას, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათ დაენახათ განდის სიბრძნე, უპრალოება და თავმდაბლობა, ფართო ჰორიზონტი, ძლიერი ნებისყოფა, მასების სულში ჩაწედომის, მათი ეგზალტაციის უნარი, ადამიანური სიმართლისა და ცხოვრებისეული ბუმბერაზების ძიების დაფიგურებული ლტოლვა, რაც მთელი თავი მაღლა აყენებდა მას სხვა თანამედროვე მოღვაწეებთან შედარებით.

„განდი იყო ფართო ჰორიზონტისა და ძლიერი ნების ადამიანი, თანაც ასკეტი, რომელსაც თავისთავში ჩაანშო ემოციები, გაკეთილშობილი ისინი. ამ თვისებების გამო იგი მაგნიტივით იზიდავდა თავისკენ ადამიანებს და აღძრავდა მათში ღირმესი ერთგულებისა და მიმზიდველობის გრძნობას“. — წერდა მის შესახებ ინდოელი ხალხის მეორე საყვარელი შვილი. აშ განსაკუთრებული ჯავახარლალ ნერუ.[2] „მისი სიტყვა იყო მარტივი, შმვიდი და ნათელი. გარკვნილად ამ ყინულოვან ქერქში. — განაგრძობს ნერუ, — დფაფრული იყო მოგიზგიზე ცეცხლი... მის მიერ წარმოთქმული სიტყვები აღწევდა ჩვენი აზროვნების სიღრმემდე და აწვევდა გაასაკეფრებელ დუღილს“.[3] „ამ პატარა, ფიზიკურად სუსტ ადამიანში იყო რაღაც მტკიცე, როგორც ფოლადი, ურყევი, როგორც სალი კლდე, რის დაფფლვა არ შეეძლო არავითარ ფიზიკურ ძალას... ჩქონდა რაღაც მეფური სიდიადე... რაც მისდამი ენებრო მოწიწებას იწვევდა“[4] „განდი იყო მებრძოლი, ნაციონალიზმისა და ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლო... ამ სიმბოლოს ირგვლივ გაერთიანდნენ ადამიანები, იცნეს რა განდი თავიანთ ბელადად“[5].

„განდიში, — წერს ინდოეთის რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტი ვ. ვ. გირი, — ბედნიერად შეხამებული იყო სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი, სოციალური რეფორმატორი, ორატორი... მასწავლებელი, ჰუმანიტარების მაძიებელი, ბრძენი, წმინდანი, წინასწარმეტყველი“, „არავინ თავის თავში ისე არ წამოსახატავდა და ისე სრულად არავის ჩქონდა ღრმად წინასწარხედვის უნარი, როგორც განდის«. „მხოლოდ მან შეძლო გაედო ხიდი საკუთარი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს შორის, თავისი ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, განდი, განუყოფელად იყო მასთან დაკავშირებული“[6].

„განდი გამოცანაა ევროპელებისათვის, — წერს ერიშნა გოშალნი, — ისინი გრძნობენ მისი პიროვნების ძალას, ზოგჯერ მიმზიდველობას. იგი მოულოდნელობაა. ბუნება ისეთი ძალაა, რომელიც შეუცნობელია ევროპელებისთვის“[7]. ჯ. ნერუ, ო. პოსადი, ს. რადჰაკრიშნენ, ლ. ჯ. შასტრი, ზ. ჰუსეინ, ვ. გირი და ინდოელი ხალხის სხვა გამორჩეული შვილები განდის სახით ხედავდნენ არა მარტო ინდოელი ხალხის ერთობისა და თავისუფლების სიმბოლოს, არამედ მისი განმათავისუფლებელი პრძოლის დიდ ორგანიზატორსაც. მათი შეხედულებით, ინდოელთა ბრძოლის ორგანიზაციო გზით მოიპოვა სანუკვარი თავისუფლება. განდის დიდი პატრიოტული მოღვაწეობა, მისი ბრძენი ახრები და ტაქტიკური პრინციპები, მათ ამ გზით ინდოეთის ბიჯი მოპოვებული გამარჯვების გადამწყვეტ პირობად მიიჩნიათ. „ჩვენ ინდოეთში აღრმფილნი ვიყავ მშვიდობისმოყვარეულ მეთოდებზე, — ამბობდა ჯ. ნერუ. — ჩვენ მივდევთ ჩვენი ეპოქის გაჩენილნი წარმომადგენლის მაჰათმა განდის საქმეებს“.[8]

მრავალმა დასავლეთელმა მოაზროვნემ (ბერტრანდ. ფილოსოფოსმა, სოციოლოგმა, მოთალელისტმა) ამოოცეა თავისი მოსაზრება განდის შესახებ, ზოგმა იგი ქრისტეს, მაჰმადის და სოკრატ მუნს შეადარა და ნახევრადღერთად და წმინდანადდამანად მონათვა. ჩვეულებრთა ერთმა ნაწილმა წინ წამოსწია მისი მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრივი ხასიათი. მეორეებმა კი მთავარი ყურადღება მიაქცივს მის პრაქტიკულ მოღვაწეობას და მისი მრავალფეროვანი სახიერადგადებრივ-პატრიოტული მოღვაწეობა ფაორთოდ გაეშუქეს ინდოეთის 20-40-იანი წლების მშფოთვარე ამბების ფონზე. ბეერისათვის იგი დღეგდე დარჩა ამოუცნობ სფინქსად.

ღიდმა ფრანგმა მწერალმა და ჰუმანისტმა რომენ როლანმა ხაზი გაუსვა განდის იდეურ ნათესაობას ლევ ტოლსტოისთან. მისი თქმით, „ანდომ მომაკვდავი ტოლსტოისაგან მიიღო ის ღვთიური სინათლე, რასაც ძველი რუსი მოცალქული ატარებდა თავის სულში. მან იგი გაათბო თავისი სიყვარეულთი, გამოკვება თავისი სულგანთ და მისგან შექმნა ჩირაღდანი, რომელმაც გაანუქა ინდოეთი. ამ შუქის ანარეკლმა მსოფლიის ყველა ნაწილში შეაღწია“[9].

დიდმა გერმანელმა მოაზროვნემ და მეცნიერ-

---

[2] Д. Неру. Автобиография. М., 1955, გვ. 275.

[3] Д. Неру, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

[4] იქვე, გვ. 145-146.

[5] მისივე, Открытие Индии, М. 1955. გვ. 393.

[6] იხ. ჟურნალი «Индия» № 2 (19). 1969, გვ. 2-3.

[7] Кришна Крипалан, Неру и Ганди, იხ. ჟურ. «Азия и Африка сегодня» № 8, 1968, გვ. 29.

[8] გაზ. „კომუნისტი“, 1955 წლის 25 ივნისი.

[9] «Современный Восток», 1960, № 9, გვ. 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა ალბერტ ინშტაინმა განდის სიდიადე მის მაღალ ადამიანურ თვისებებში: სიბრძნეში, თავმდაბლობაში, უბრალოებაში, გაბედულობაში, მის მომჭადოებელ ძალაში დაინახა. მომავალი თაობა ძნელად დაიჯერებს იმას, რომ ასეთი ადამიანი, მისი სისხლი და ხორცი, ოდესმე დადიოდა ჩვენს მიწაზე[10].

განდი, მისი მოფლმხედველობა და პატრიოტული მოღვაწეობა საბჭოური ისტორიოკრაფიის ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ბევრი იწერებოდა და ამჟამადაც იწერება მის შესახებ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 50-იანი წლების მეორე ნახევრამდე საბჭოთა ისტორიოსების ნაწილი ზოშაზე მეტად აზიანდებდა განდის მოძღვრების ნეგატერ მხრეს. განდი შეფასებული იყო როგორც ერეკციული მოაზროვნე და რრდილში იყო მიყენებული მისი მოღვაწეობის პოზიტიური მხარე; დაკნინებულად იყო წარმოჩენილი ამ დიდი პატრიოტის როლი ინდოელი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ზოგიერთი ავტორი ისე შორს წავიდა, რომ განდი გამოიყენა ინგლისის იმპერიალიზმის აგენტად და ინდოელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელშმშლელ პიროვნებად. თქმა არ უნდა, რომ ეს იყო უმართებელი ბრალდება, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ისტორიულ სინამდვილესთან. საბედნიეროდ, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ შეძლო თავი დაეღწია ამ მეძავეურობისათვის. მან შეძლო ახლებური შექმნა განვნილი როგორც განდის მთელი სიდიადე, ისე მისი მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრივი ხასიათი.[11]

განდიზმი, როგორც მოძღვრება და მსოფლმხედველობა, არ წარმოადგენს ერთიან მწყობრ სისტემას და არც ერთიანი მეთოდოლოგიური საწყისებიდან ამოდის. იგი არის სოციალ-პოლიტიკური, ეთიკურ-ფილოსოფიური და რელიგიურ შეხედულებათა კრებადობა .მასში მეტნაკლები პრობორციით გაერთიანებულია იდეალისტური ფილოსოფიის, ეთიკური ნორმების, სოციალ-პოლიტიკურ მოძღვრებათა და რელიგიურ დოგმათა (ინდუიზმის, ბუდიზმის, ჯაინიზმის, ქრისტიანობის...) ელემენტები. ამ ელემენტების ნაწილი რელიგიურ-მისტიკურ და რეკაციულ ელფერს ატარებს და ჩამორჩენილი ყოფის ფორმების იდეალიზებულ გამოხატულებას წარმოადგენს.[12]

[10] «Индия», № 8 (19), 1969, გვ. 4.

[11] იხ. А. М. Дяков-ისა და И. М. Реиснер-ის წერილი განდის როლის ახლებურად გაშუქების შესახებ. «Советское востоковедение», № 5, 1956, გვ. 21—34.

[12] თავის დროზე კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა განდიზმს მიიჩნევდა ისეთ რეაქციულ მიმდინარეობად, რომელიც აიდეაგანდიზმის ფილოსოფიური საფუძველი ობიექტური იდეალიზმის კონცეფცია, რომელიც ... რელიგიური დოგმებითა შეზავებული და შეფენილი მაზებიანი, ეთიკის სფეროში მისი შეხედულებების კეკეკუთხედი გახდა ჯაინიზმის რელიგიასაგან ნასესხები „ჰიმსის“ დოგმა, იგი მოითხოვს ყველას მიმართ სრულ შემწყნარებლობას და კატეგორიულად კრძალავს ყოველგვარი ცოცხალი არსებისადმი ძალადობის გამოყენებას და მისთვის ენების მიყენებას. მისი პოლემედელის ტაქტიკის საფუძველია ძალდატანება. განდი გამოდის იქედან, რომ მიზანი და საშუალება განუყოფელია. კარგი მიზნის მიღწევა მხოლოდ კარგი საშუალებებით შეიძლება. ყოველგვარი ძალადობა, ოფით ბორბრეებისა და მოძალადეების დასაორგანებად გამოიყენებელი. ცუდი, მიეღებელი საშუალებაა და მას. არ უნდა მივმართოთ.

ეიდეალებდა რა პატრიარქალურ ცხოვრებას და ქუმა-დიდებას ასხამდა ინდოეთის წარსულს, რომელშიც „ოქროს საუკუნეს“ და სოციალურ იდილას ხედავდა, განდი მოსახლეობას მოუწოდებდა აღედგინათ ამ წარსულთან დარღვეული კავშირი და მასობრივად მიემართათ მამამაპაპეური კეკ-სახნისისა და ხელით სართავი და სპესოვი დაზგებისათვის, ეტარებინათ მხოლოდ შინამრეწველური წესით ნაწარმი ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი. განდის შეხედულებით, ინდოეთისათვის მოუღებელია საზოგადოებრივი განვითარების სხვების მიერ განვლილი გზა — ფორმაციები თავისი აღმავალი საფეხურებით. მისი აზრით, ინდოეთი მუდამ ორიგინალური გზით მიდიოდა წინ და ასე ივლის მომავალშიც. განდს ის გზა, რაც ევროპრობიმამ განვლო პრიველუოფილი თემური წყობილებიდან სოციალისტურ საზოგადოებამდე, არ მიჩნია პროგრესულ. აღმავალ საფეხურის განვითარებად.[13]

ლებდა ჩამორჩენილ ყოფაცხოვრების ფორმებს, ქადაგებდა წარსულთან დაბრუნებას და ხელს უშლიდა ხალხის მასების რევოლუციურ მოძრაობას. აქედან გამომდინარე, პროგრამა რევოლუციური ძალებისაკან მოითხოვდა მის წინააღმდეგ გადამტვრევი ბრძოლის გამოცხადებას (იხ. კომინტერნის პროგრამა, გვ. 111).

13 ინდოეთის კომუნისტური პარტიის ახლანდელმა თავმჯდომარემ დანგემ კარგა ხნის წინათ, ციხეში ყოფნის დროს დაწერა სპეციალური გამოკვლევა „ინდოეთი პირველუოფილი კომუნიზმიდან მონობამდე“, რომელშიც კონკრეტული მასალების მარქსისტული ანალიზის საფუძველზე დაამტკიცა, რომ ინდოეთის განვითარების გზა არავითარ ორიგინალურს არ შეიცავდა, რომ მანაც განვლო სხვების მიერ განვლილი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები.

ვარლამ დონაძე
ინდოელი ხალხის დიდი ვვილი

ასეთმა მსოფლმხედველობამ ხელი შეუშალა განდის ობიექტურად შეეფასებინა წარმოების კაპიტალისტური წესი და მისი ადგილი ისტორიულ განვითარებაში, დაენახა მისი დაღუპვისა და სოციალისტური საზოგადოებით მისი შეცვლის გარდუვალობა. ამის ნაცვლად იგი მკაცრად აკრიტიკებს თანამედროვე ცივილიზაციას, „მაშინიზმს“ და გმობს დიდ ქალაქებს, მიაჩნია რა ისინი ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურების წყაროდ. პატრიარქალობის იდეალიზაციაში განდის ისე შორს შესტოპა, რომ მან შეიჩვენა და მოსპობის დირსად ცნო მეცნიერებისა და ცივილიზაციის ისეთი მიღწევები როგორიცაა რკინიგზები, მსგავი ფაბრიკა-ქარხნები, კვებრიგაშულობის საშუალებები, საავადმყოფოები, მედიცინის სხვა მიღწევანი.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ აგრეთვე განდის სწავლებას რელიგიის შესახებაც. კერძოდ, ინდოეთის ცხოვრებაში მისი როლის შესახებ. კარგად ხედავდა რა ცალკეული რელიგიებს (ისლამის, ბუდიზმის, ინდუიზმის, ქრისტიანობის...) უარყოფით მხარეებს, განდი მაინც დელიტერ ნიადაგზე იდგა და ათეიზმის მტერი იყო.[14] ზმა სერდა შეექმნა თავისებური უნივერსალური, კოსმოპოლიტური რელიგია, რომელიც თავის თავში შეიწოვდა სხვადასხვა რელიგიების „კარგ“ ნიშან-თვისებებს და გაუშვებდი იქნებოდა მათთვის დამახასიათებელი ნეგატიური მხარეებისაგან. ასეთი რელიგია, რომლის ძირითადი ბაზად დარჩებოდა ინდუიზმის რელიგია, მისი „ზოგადკაცობრიული თვისებებით“, განდს მასზე მორალური აღზრდისა და სულიერი გაჯანსაღების აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

ინდუიზმისა და ბუდიზმის რელიგიურ დოგმათა და ძველი „ვედების“ სიბრძნის გაერთიანებაზეს წითელი ზოლივით გასდევს აზრი კლასობრივი პრაშნიისა და კლასობრივი ბრძოლის უარყოფის შესახებ. ინდოეთის საზოგადოება ურარსულშიც და აუშვიშიც, მის შიგნით არსებული დიდი სოციალური კონტრასტების მიუხედავად, განდს ერთიან იდეიერად, „ძმური კავშირით“ შეკრულ საზოგადოებრივ წყობილებად ჰქონდა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარეობდა მისი სისტემატური მოწოდება შეენარჩუნებინათ ინდოეთში კლასობრივი ზავი, „ძმური“ დამოკიდებულება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. ეს, რასაკვირველია, იმას ოდი ნიშნავს, რომ განდი ეკი ხედავდა მკვეთრ სოციალურ კონტრასტებს, სიმდიდრე-ფუფუნებისა და მშრომელთა ეუტანელ ყოფას შორის არსებულ ფუსკრულს. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილების არეკრთხეულ მოვლამ და სოფლისა და ქალაქის მშრომელებთან უშუალო კონტაქტმა საშუალება მისცა მას კარგად შეესწავლა ამ ხალხის [illegible] დითი ყოფა და გამოქმედავებოდა მათ. [illegible] ერთხელ გამოსულა საკარიდ და დაუგია მუშებისა და გლეხების ეკსპლოატაცია, მეწარმეთა, მემამულეთა და კოლონიური ხელისუფლების მიერ, მათ მიმართ ჩადენილი ძალადობა და თვითნებობა. განდი მკაცრად ჰკიცხავდა გამფცველ წრეების წარმომადგენლებს და მოუწოდებდა ყოფილიყვნენ ყველაფერში ზომიერნი, თავი შეეკავებინათ უზომო ფუფუნებისა და კომფორტისაგან. იგი მუდამ ურჩევდა მემამულეებს, კაპიტალისტებსა და მეეაზშეებს მოწყალე და სამართლიანი ყოფილიყვნენ მათი „უბედური ძმების“ — მუშების, გლეხებისა და ქალაქის ღარიბობის მიმართ, ანგარიში გაეწიათ მათი ვიკალი ცხოვრებისათვის, არ მიეცათ მათთვის დრტვინვისა და უკმაყოფილების საშუალება. „ვიდდიდეთ მუშებს ხელფასი, შეუმცირეთ სამუშაო დღე, გაიუმჯობესეთ მათი სანიანო პირობები“.—ურჩევდა იგი მეწარმეებს, „შეამცირეთ საჯარო გადასახადები, ანატიეთ ძველი დავალიანება, მიეცით მათ ზედმეტი მიწები, დაეხმარეთ დამშეულებს სურსათით, სათესლე მასალით, გამწეკეთ ძალით“, უქადაგებდა იგი მემამულეებს. მაგრამ, ამასთან ერთად, მშრომელებისაგან იგი მოითხოვდა თავშეკავებას და კლასობრივი კონფლიქტებისათვის თავის არიდებას.

განდი, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ძალადუტანლობის, ბოროტებისათვის ძალით წინააღეფდგომლობის ტაქტიკის მქადაგებელი იყო. აქედან გამომდინარე იგი გამორიცხავს ჩაგრულების მიერ მჩაგვრელების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას. მოითხოვს რა მათგან მოთმინებასა და დიდსულოვნების გამოჩენას.

სწორედ აქ ყველაზე მეტად ვლინდება განდის პოლიტიკური კრედო, მისი როგორც ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგიური მრწამსის გამომხატველის ნამდვილი პოლიტიკური სახე. როგორც დიდი ინდოელი პატრიოტი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილი ორგანიზატორი, განდი მთელი ცხოვრებით შრომელი მასების მხარეზე იყო. მათი პატრიოტული შეკავშირება, დარაზმვა და გამთავისუფლებელ ბრძოლაში აქტიური ჩაბმა ძალ ეროვნული დამოკიდებლობის მოპოვების პირველ პირობად და საწინდრად მიაჩნდა. მაგრამ როგორც ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგი, განდი ცდილობდა დავმეხრეუბინა მუშების, გლეხებისა და სხვა მშრომელების კლასობრივი თვითშეგნება. შეენარჩუნებინა კლასობრივი თანამშრომლობის სულისკვეთება და არ დაეშვა მძაფრი კლასობრივი კონფლიქტები.

მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, განდის პატრიოტულ მოღვაწეობასა და პრაქტიკულ საქმიანობაში იმდენნაი ბეური რამ იყო აღმოფრთოვანებული, წარმტაცი და განსაცვიფრებელი, რაც

---

[14] ყველა რელიგიათა შორის პრიმატს იგი მაინც ინდუიზმს ანიჭებდა და მასში ხედავდა ცხოვრების „სიბრძნეს“, სხვა რელიგიებისათვის მისაბაძ ზოგადკაცობრიულ შინაარსს.

ნიბლავდა, აჯადოებდა მილიონებს, და რაზმავდა მათ განდის ირგვლივ.

პირველ ყოვლისა, ეს ითქმის განდის პირად თვისებებზე. იგი, როგორც ალნშნავენ ჯ. ნერუ და ინდოთის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები, იყო უაღრესად უბრალო, ყველფერში თავშეკავებული, მომხეტელობისა, კეთილისა და განდიდების დაუძინებელი მტერი. ამას უნდა დავამატოს მუდამ „მდაბიო“ ხალხში ტრიალი, ჭამაცმასა და ჩაცმა-დახურვაში ასკეტიზმამდე მისული თავშეკავებულობა. ხალხს ადათ-ჩვეულებებისათვის პატივისცემა და სხვ.

ინდოთის ეროვნული კონგრესის ზოგიერთი ზომიერი ლიდერებისაგან განსხვავებით, განდი ღრმა ეროვნული მოვლენა იყო. იგი არა მარტო საფუძველიანად იცნობდა ინდოთის მაღალ თვითმყოფად კულტურას, მის ტრადიციებსა და ცხოვრების წესს, არამედ მთელი არსებით უყვარდა იგი და ეწეოდა მის სისტემატურ პროპაგანდას[15] ეროვნული კულტურის ძარღვმაგარ სათავეებთან ორგანული კავშირი საშუალებას აძლევდა მას საკადრისი პასუხი გაეცა მის ადგილ მხსენებლებისათვის, ნიღაბი ჩამოეხადა დასავლურად მოაზროვნე ინდოელთა „პატრიოტზმისათვის“, სრულიაფფილად შეესწავლა ხალხს განწყობილება და ძალზე ახლო ყოფილიყო მასთან.

განდი იყო დიდი ინდოელი პატრიოტი და ჰუმანისტი, რომელიც მკაცრად ჰქმიბდა ყოველგვარ ჩაგრას და ბაგიდულად ესარჩლებოდა ეროვნული და სოციალური ჩაგრის, რასობრივ-კასტური და ფიზიკრნაციის ყველა მსხვერპლს. მისი იდეალი იყო ყოველგვარი ჩაგრისა და უბედურებისაგან თავისუფალი, შრომელთა კეთილდღეობისათვის მებრძოლი, სოციალურად მოწესრიგებული ინდოეთი.

„მე ვიბრძოვე ისეთი ინდოეთისათვის, — წერს იგი. — რომელშიც ეფარიბვნი ხალხი იგრძნობს, რომ ეს ქვეყანა ნამდვილად მათი ქვეყანაა, რომელს მშენებლობაში მათ ენენაცთ გადამწყვეტი ხმა... სადაც არ იქნებიან ადამიანთა მაღალი და დაბალი კლასები... სადაც ყველა თემი იცხოვრებს სრული თანხმობით... ასეთ ინდოეთში ადგილი არ შეიძლება ჰქონდეს მიუკარებლობას, შეჩვენებას ან ისეთ უბედურებას, როგორიცაა ალკოჰოლი და ნარკოტიკი... ქალები ისარგებლებენ ისეთი უფლებებით, როგორც მამაკაცები...“[16]

მთელი მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში განდი ენერგიულად იბრძოდა ინდოეთის სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის (ჯონრა სვარაჯი), სამარცხვინო ბოიზე მეტ-რავდა ინგლისელ კოლონიზატორებს და დაუპატიჟებელ სტუმრებად ნათლავდა მათ. იგი მრავალი კონკრეტული ფაქტით ნათელყოფდა ამ მოძალადეთა მიერ ინდოელი ხალხისათვის თავზე დადებილ უბედურებას და მოფიდიდებლად ამხელდა მათი „ცივილიზატორული მისიის“ ნამდვილ არსს. პერიოდულ შიმშილობას, მოსახლეობის ცხოვრების მათხოვრულ დონეს, სიკვდილიანობას, გაუგონარ ანტისანიტარიას, უუფლებობას, საყოველთაო უმეცრებას, რაც ინდოეთის მშრომელთა ხვედრი იყო, განდი ქვეყნის კოლონიურ დამონების პროდუქტად მიიჩნევდა და პასუხისმგებლობას ამისათვის ინგლისელ კოლონიზატორებს აკისრებდა.

მთელი არსებით იბრძოდა რა კოლონიური ჩაგრისგან თავისუფალი, სუვერენული ინდოეთისათვის, განდი, ამავე დროს, როგორც ყოველგვარი ძალადატანების მტერი, უთანაფოფდა რევოლუციურ, ძალდატანებითი ბრძოლის გზას და სამშობლოს განთავისუფლებას მშვიდობიან საშუალებებს უკავშრებდა. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ განდი ქადაგებდა პასიურ მორჩილებას და ინდოეთის მოსახლეობას მოუწოდებდა შერიგებოდნენ ქვეყნის უუფლებობას, არ გადაიდგათ რაიმე ქმედითი ნაბიჯი დამონებელი სამშობლოს განსთავისუფლებლად. „მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, მარტო ერთადერთი არჩევანი რომ დარჩენილიყო — არჩევანი სიმხდალესა და ძალადობას შორის, — წერდა იგი 1920 წელს, — მაშინ მე ძალადობას აირჩევდი. უფრო ვამჯობინებდი ინდოეთს მიემართა იარაღისათვის თავის ღირსების დასაცავად, ვინემ მისი სიმხდალის გამო დარჩენილიყო.. საკუთარი შერცხვენის უსუსური მსხვერპლი“.[17]

მაგრამ განდის მტკიცედ სწამდა, რომ მასობრივ ფორმებში მომარაკვებული ძალდატანლობა ისეთი ძმლვარი ძალა იქნებოდა, რომელიც ინგლისელ კოლონიზატორებს აიძულებდა ეცნოთ თავიანთი კოლონიური პოლიტიკის უსამართლობა, ხელი აეღოთ ინდოეთში ბატონობაზე და მიეცათ ამ ქვეყნისათვის ნანატრი თავისუფლება. ძალდატანლობა როგორც ჯონრა სვარაჯის მოპოვების ძირითადი გზა, რასაც განდი „მშვიდობიან რევოლუციას“ უწოდებდა, ერთადერთ გზად მიაჩნდა ინდოეთისათვის, მისი ცხოვრებისა და ისტორიული თავისებურებების გამო. ეს ძალდატანლობა მოქმედებაში, განდის თქმით, მოასწავებს შეგნებულ ტანჯვას. მაგრამ ეს არ არის მორალმოქმედებისადმი მორჩილი დაქვემდებარება, არამედ ადამიანის ყვე-

---

15 ამავე დროს იგი პატივისცემით ეკიდებოდა სხვა ქვეყნების კულტურას და მხარს უჭერდა ინდური კულტურის განაყოფიერებას ყოველივე კარგით, რაც გაიჩნდა სხვა ქვეყნების კულტურაში.

16 Д. Неру, Откр. Индии, гз. 391.

17 მისივე. Автобиография, гз. 97.

ლა სულიერი ძალის დაპირისპირებაა ტირანის ნებისადმი. „მე მოვუწოდებ ინდოელთ, — ამბობდა იგი, — თავი შეიკავონ ძალადობისაგან ორა იმიტომ, რომ იგი, სულია. მე მინდა, რომ მან ძალადობისაგან თავი შეიკავოს და დარწმუნებული იყოს თავის ძალაში.[18]

ძალადაუტანლობის, როგორც შეგნებაში მომზდარ რევოლუციის, განდის სატიაგრახი უწოდა.[19] იგი მას წარმოდგენილი ჰქონდა ინგლისის კოლონიურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე ხელის აღების. მასობრივი სამოქალაქო უარობის, ინდოელ მოხალეთა მიერ ტიტულებზე ხელის აღების, მთავრობის ლონისძიებათა და ინგლისური საქონლის ბოიკოტის, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ბოიკოტის, მშვიდობიანი დემონსტრაციებისა და პოლიტიკური გაფიცვების მოწყობის, ხარტალებისა და გამონაკლის შემთხვევებში გადასახადების გადახდისაგან თავის შეკავების სახით. ამ მეთოდს იყენებდა იგი თავისი ხანგრძლივი პატიმრობული მოღვაწეობის მთელ პერიოდში, რომელიც 1919 წლით იწყება და ინდოელთათვის დომინიონის სტატუტის მინიჭებით მთავრდება. სატიაგრახის კომპანიაში იგი მასობრივად ამამდა ინდოელი ხალხის ეროვნულ ფენებს — მუშებს, ხელოსნებს, გლეხებს, სტუდენტ-მოსწავლეებს, წვრილბურჟუაზიულ წრეებს. განდის კარგად ესმოდა, რომ სატიაგრახის ფორმით განაღებული განმათავისუფლებელი ბრძოლა მხოლოდ მაშინ დამთავრდებოდა წარმატებით, როდესაც იგი მიიღებდა დიდ გაჭანებას და მიღონონთნი მშრომელებს ჩაითრევდა თავის ოროგებში. მართლაც, მიღონონ პატრიოტთა გამოყენება პასიური მდგომარეობიდან და იმპერიულ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში მათი აქტიური ჩაბმა, მათი მძლავრ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალად ქცევა, განდის დიდი საზოგადოებრივ-პატრიოტული მოღვაწეობის განეკუთვნელი ნაწილი იყო.

განდის ერთ-ერთი დამსახურება ამ მიმართულებით იყო სრულიად ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის გამასაღრება და ადეკოკატთა და ბურჟუათა ვიწრო ორგანიზაციიდან, როგორც წერდა ჯ. ნერუ, მისი მრავალმილიონიან მასობრივ ანტიიმპერიალისტურ პარტიად ქცევა. მისი რნეეთთა და წინადადებათ იყო, რომ კონგრესის ხელმძღვანელობამ 1920 წლიდან გახსნა ამ პარტიის რიგები მუშების, გლეხების, ხელოსნებისა და სხვა შრომელებისათვის, დაარსა მრავალი ახალი პირველადი ორგანიზაცია, რამაც ძირეულად შეეცვალა კონგრესის პარტიის სოციალური შემადგენლობა. განდის წყალობით იყო, რომ ეროვნული კონგრესი იქცა ინდოელთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მედროშედ. მისი საბრძოლო დროშის ქვეშ დაირაზმნენ მილიონობით პატრიოტები და გააჩაღეს ენერგიული ბრძოლა ინგლისელთა კოლონიური ბაგეთის წინააღმდეგ. კონგრესი, მისი ოფიცერი და პოლიტიკური ბელადის განდის წინადადებით, ჩაედგა სათავეში სატიაგრახისა და ხარტალის იმ კამპანიას, რომელიც მისი აპატრის ჩანაფიქრით, ძალადაუტანლობის ჩარჩოებში უნდა ჩატარებულიყო.

„ბაპათმა განდიმ, — კეთილუნლობი ინდოეთის კომენტატორი პარტიის მოწოდებაში ეახლოდის მოკვლასთან დაკავშირებთან, — გადაახალინა ინდოეთის პოლიტიკის ბილი სცენა. ოცანი წლების მისმა მოწოდებამ ოთხას მილიონ ინდოელებში ალაგზნო იმპერიალიზმისადმი მასობრივი წინააღმდეგობის იდეა. ამ მოწოდებამ, გამოაღვიძა დემოკრატიული სული და დასაწყისი ჩაუდვა სრულიად ახალ ეპოქას ინდოეთის ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის“.[20]

განდის დიდი პატრიოტულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შემადგენელი ნაწილი და მუდმივი სამოქმედო პროგრამა იყო შუენეულელი ბრძოლა ინდოეთის საზოგადოებრივი წყობის ერთ-ერთი მუწუკის — „მიუკარებლობის“ სამარცხვინო სისტემის წინააღმდეგ. განდიმ სამოღაწეო ასპარეზზე ბამოსული პირველი დიდიანეე გაბედულად ხმა აღიმაღლა ამ სამარცხვინო ინსტიტუტის წინააღმდეგ და გამოესარჩლა ბედკრულ, მოსახლეობის ყველაზე დაბეჩავებულ ნაწილის—პარიეს ან „მიუკარებლეს“. (ორმეოცაე ინდუიზმის რელიგიური ადათ-ჩვეულებანი და თაობიდან თაობამდე გადაცემული ძველი ტრადიციები ადამიანებად არ ცნობდა. განდის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეკერ წარმოედგინა ინდოეთის ეგზმარიტი დამოუკიდებლობა და ეროვნული აღორძინება „მიუკარებლობის“ სამარცხვინო სისტემის ლიკვიდაციის ეა პარიათა სრული ემანსიპაციის გარეშე. ბედკრულ პარიეს ან „მიუკარებლეს“, რომლის სხვა კასტებთან სრული გათანაბრება მოითხოვა მან, განდიმ „ხარიჯანები“ („ღვთის შვილები“) უწოდა, რითაც მოახსნა მათ ძველი სამარცხვინო სახელი მიუნებული მორალური ტრაკმა. განდი დიდხანს ცხოვრობდა „მიუკარებელთა“ შორის, ცვლიბოდა მათ არაადამიანურ ყოფას, პრაქტიკულად იზიარებდა მათ ხვედრს და წყალალრეულს უთვლიდა ყველას, ვინც ამბენად იგულებდა „ღვთის შვილებს“, არ ცნობდა მათ ინდოეთის სრულფასოვან შვილებად. „მიუკარებლობის სრული აღმოფხვრა, ეი რა მსურს მე, რისთვის ცხოვრობ მე და რის გულისთვ-

---

[18] Д. Неру. Автобиография, гл. 927.

[19] სატიაგრახი ხელოვნურად შექმნილი ტერმინია. გუჯარათის ენაზე იგი ნიშნავს სიმტკიცეშეუპოვრობას ჭეშმარიტებაში (სათ — სიმართლე, იაგრახა — სიმტკიცე).

[20] ციტ. А. Шифман-ის წერილიდან «Лев Толстой и Махатма Ганди», «Современный Восток», 1960, № 9, გვ. 18.

ს-ც მზადა ვარ ეოცვკდე. მე მინდა მივაღწიო ამას არა შორეულ მომავალში, არამედ დღესვე". წერდა განდი.[21]

განდის „მიუკარებლობის" მოსპობის მხარეზე-ლასვერად განაღებულ კომპანიაში ეროვნული კონგრესიც კი ჩართია, როგორც ეს ორგანიზაცია დაიყენა კასტური სისტემის ნიველირების გზაზე. განდის მიერ ამ მიმართულებით განაღებულმა კომპანიამ, რომელსაც თანგრძნობით ემოვლმბაერნენ ინდოეთის პროგრესული წრეები, დიდი შეარყია როგორც ამ სამარცხინო ინსტიტუტის საფუძვლები, ისე კასტური სისტემა საეროოდ. ამდენად ეს იყო ეაღრესად საპირო. კეთილშობილური ბრძოლა, რომელსაც დიდი პროგრესული ნნიშვნელობა ჰქონდა.

განდის მორიგი დამსახურება იყო შეუპოვარი ბრძოლის წარმოება ინდუს-მუსლიმანთა შეულლის წინააღმდეგ. შეულლა, რასაც ხელოვნურად აღვივებდნენ ინგლისელი კოლონიზატორები და ინდუს-მუსლიმანთა ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციული წრეები (და რომელიც ზნრაფდ საერთოერთო ხოცვა-ჟლეტაში გადადიოდა). იგი სისტემატურად ქადაგებდა ინდოეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების სოლიდარობასა და ინტერესთა ერთიანობას რელიგიური, ტომური თუ კასტური კუთვნილების გაეურჩეველად.

განდიმ ხმა აღიმაღლა აგრეთვე ქალთა სრული უფფლებობის წინააღმდეგ. დაჩაგრა ქალთა სოციალური ისტატაეზმის მფარველი ძველი ტრადიციები და რელიგიურ-კასტური ადათები და მოითხოვა ინდოეთის საზოგადოების ამ ნაწილეის სრული ემანსიპაცია. მაგრამ განდი არ დაკმაყოფილდა მარტო სიტყვიერი ქადაგებით. მან ეს საქმეში ჩაიბა ათასობით მისი მიმდევარი კონგრესსტები, ამიმბრავა მთელი საზოგადოებრივი აზრი. ასეული ათასი პატიერიტ ქალი ჩაბა სატიაგრახის პატერიტულ კომპანიაში, რითაც პრაქტიკულად გამოიყენა უუფფლებობის დეკომპრეზიდან და აქცია ისინი სერიოზულ საზოგადოებრივ ძალად.

მოელი ინსპირაციი იბრძოდა რა ინდოეთის ტერიტორიელი, პოლიტიკური და ისტორიულ-კულტურული ერთობისათვის, განდი, ამასთან ერთად, ენერგიულად მხარს უჭერდა ინდოეთის ცალეული ხალხების (რომელთა ნაწილი უკვე ერად იყო ფორმირებული) თვითგამორკვევისათვის გაბრაღებულ მოძრაობას (მარათჰების, ბენგალელების, გუჯარათების, სიკჰების, ასამლეიბის...) იგი მოითხოვდა ქვეყნის ისეთ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ დაყოფას, რომლის შედეგადაც ერთ უნაზე მოლაპარაკე ხალხები ერთ ტერიტორიულ ფარგლებში გაერთიანებდნენ და ეგზებოდათ საკუთარ ენაზე განათლების მიღების, ოელიგიური რიტუალების შესრულების, ძაროლმსაყოველის უფლება, ეროვნული კულტურა და სხვ.

დასასრულ განდიმ ფარიო მასშტაბის კამპანია გაიაღა ხელით როვისა და ხელით ქსოვის საყოველთაოდ გავრცელების სასარგებლოდ („სვადეშის", „ქჰადის"). აიყვანა ეს კამპანია საერთოეროვნულ დონემდე. მილიონობით ხელოსანი და შინამეწველი ჩაება ამ უძველეს ტოადიციულ საქმიანობაში, რითაც აგრეთვე დიდი სასარგებლო პატრიოტული საქმე გააკეთა.

დროთა განმავლობაში, კერძოდ, ინდოეთის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, განდიზმის თეორიული პრინციპებისა და ტაქტიკის ნაწილმა დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა და მიმზიდველობა. სატიაგრახი, ხარტალი, რელიგიური დოგმები... ისტორიის არქივს ჩაბარდა. ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში. როდესაც ცხოვრებამ ახალი ამოცანები დაიყენა ინდოეთის სუვერენული რესპუბლიკის წინაშე, ისინი ინდოელ ხალხს ალარ ესაჭიროვდა. მათ მხოლოდ კლერიკალურ-რეაქციული წრეები თუ ეგოიუტენიან. მაგრამ დარჩა წარუშლელი მოგონება განდის უდიდეს საზოგადოებრივ-პატრიოტულ მოღვაწეობის შესახებ, დარჩა მისი უკვდავი ინდერძი, ის პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები, რომელიც წამეკვანი იყო მის მოძღვრებაში. სწორედ მას სწევდნენ წინ და სათუთად ეპყრობოდნენ ინდოკოთის რესპუბლიკის გამოჩენილი ხელმძღვანელები ჯ. ნერუ, რ. პრახი, ს. რადჰაკრიშნანი, ლ. შასტრი, ზაკირ ჰუსეინი და სხვები. ამ კურსს თანმიმდევრულად აგრძელებს და ინვითარებს ინდოეთის რესპუბლიკის ახლანდელი პრემიერი ინდირა განდი.

მაპათმა განდი იყო დიდი ერის დიდი შვილი. მას ღრმად სწამდა თავისი ქვეყნის ნათელი მომავალი. სისხლხორცეულად დაკავშირებული იყო თავის ხალხთან. მის კულტურასთან, ყოველმხრივ ხელს უწყობდა მასების გამოოვიტებას და მათ ჩაბმას განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

აი რით დაიმსახურა მან თავისი ხალხის ღრმა სიყვარული და პატეისცემა, რით მოიპოვა მარადიული უკვდავება სიკვდილის შემდეგ, რატომ ასე საყოველთაო სახალხო ზეიმით აღნიშნა ინდოელმა ხალხმა მისი დაბადების 100 წლისთავი.

---

21 ციტირებულია „A. Litman-ის წერილიდან, Моханас Карамчанд Ганди и его учение. იხ. Ганди, «Моя жизнь», М., 1959, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲥᲔᲛᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

შენიშვნები ზ. კიკნაძის წერილის გამო

(ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲪᲘᲡᲐᲠᲘ“, 1969 ᲬᲚᲘ, № 11).

ჟურნალ „ცისარის“ 1969 წლის ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ზურაბ კიკნაძის წერილი — „დიონისესა და კრონოსის გამო „ვეფხისტყაოსანში“, ეს წერილი ერთგვარ გამოხმაურებას წარმოადგენს ჩვენს ნაშრომზე — „დიონოსისა“ და „დივნოსის“ საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც საკითხის დასმის წესით დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობის“ ამავე წლის მარტვე ნომერში.

გავახსენებთ მკითხველს, რომ ამ ნაშრომში ჩვენს მიერ შემდეგი მოსაზრებანი იყო გამოთქმული:

1) შოთა რუსთაველი თავისი პოემის 177-ე სტროფში იმოწმებს „დიონოსსა“ და „ეზროსს“, ხოლო 1492-ე სტროფში ახსენებს „დივნოსს“. საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არიან დასახელებული პირნი, რუსთველოლოგთა შეუნელებელ ყურადღებას იპყრობდა 250 წლის განმავლობაში.

2) ამ პრობლემის გარშემო არსებულ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა შეინიშნება. ერთნი ფიქრობენ, რომ „დიონოსში“ და „დივნოსში“ რუსთაველი ჯულსსმობს დიონისე არეოპაგელს (მეფე ვახტანგ VI, შ. ნუცუბიძე, ივ. ლოლაშვილი, ალ. ბარამიძე), მეორენი თვლიან, რომ რუსთაველს მხედველობაში ჰყავს დიონისე ჰალიკარნასელი (თეიმურაზ ბაგრატიონი, კ. ჭიჭინაძე), ანდა დიონისე სირაკუზელი (გ. ცაგარელი). „ვეფხისტყაოსნის“ 177-ე სტროფში ხახსენები „დიონოსე“ ეგონათ „დივანი“ — ლეკსთა კრებული პოეტ ეზოსი (შ. ნუცუბიძე, პ. ინგოროყვა); აკად. აკაკი შანიძის აზრით კი, ეზოა არის ეზდრა წინასწარმეტყველი, ნოლო დიონოსის მაგივრად აღნიშნულ სტროფში უნდა ეწეროს „დიაგნოსი“.

აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება აგრეთვე სიტყვა „ეზროსის“ გაგებაშიც. ზოგნი თვლიან, რომ ეზროსი არის ეზდრა წინასწარმეტყველი (ვახტანგ VI, აკაკი შანიძე და სხვ.), თეიმურაზ ბაგრატიონი თვლიდა, რომ „ეზროს“ ნიშნავს „ეაზროს“, შ. ნუცუბიძის და პ. ინგოროყვას შეხედულებით, ეზროსი არის მეთორმეტე საუკუნის ებრაელი პოეტი ეზრა, რომელსაც ეკუთვნის „დივანოსი“ — ლეკსთა კრებული. ამის გარდა, დავა წარმოიშვა იმის გამოც, ერთი და იგივე თუ სხვადასხვა პირია 177-ე სტროფში დამოწმებული „დიონოსი“ და 1492-ე სტროფში ნახსენები „დივნოსი“.

ჩვენს წერილში მოცემულია აღნიშნული ჰიპოთეზების კრიტიკა და ნაოკვამია, რომ ისინი ვერ აკმაყოფილებენ ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭირო მინიმალურ პირობებს. აღნიშნული ჰიპოთეზების მცდარობის მთავარი მიზეზი არის 177-ე და 1492-ე სტროფების განხილვა „ვეფხისტყაოსნის“ კონტექსტის გარეშე, იმ ეპიზოდების არსის გაუთვალისწინებლად, რომლებსაც ისინი წინ უძღვიან. „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო კონტექსტთან კავშირში აღნიშნული სტროფების განხილვის შედეგად ჩვენ გავარკვიეთ, რომ 177-ე სტროფში დამოწმებული „დიონოსი“ და 1492-ე სტროფში ნახსენები „დივნოსი“ ერთი და იგივე პირია, ბერძნული მითოლოგიიდან აღებული ღმერთი დიონისე, რომელსაც აიგივებენ ეგვიპტელთა ღმერთ ოზირისთან, ანუ ეზროსთან. ორივე ღმერთი ერთნაირ ფუნქციებს ახორციელებდა. ისინი იყენენ ვარდ-ყვავილების, ვაზის და, საერთოდ, მცენარეულის მეუფენი, ამავე დროს კარგის დამნერგავად და სრულყოფის ღმერთებადაც ითვლებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დებულების ნათელსაყოფად შემდეგი მოსაზრებანი იქნა გამოყენებული. 177-ე სტროფში რუსთაველი ლაპარაკობს ვარდის შესახებ, რომელიც ზამთარში ყინვისაგან დაიზიკრება, დაკუნება და ჩაკვდება. ამის დამდასტურებლად რუსთაველი დიონისოს იმოწმებს. უდავოა, რომ შესაძლებელია დიამოწმებდა ისეთ პირს, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს ყვავილებთან, მეცნარეულობასთან, ამ საქმეში ჩახედულია, ანდა განაგებს ბუნების ფერისცვალებას. ბუნების ასეთი განმგებელი არის დიონისე ღმერთი, რომელიც დიონისოდ არის სახელდებული 177-ე სტროფში.

დიონისე მართლაც არის მეცნარეულის, ყვავილის, ვაზის ღმერთი ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით. დიონისეს, როგორც ხეების, მეცნარეულის მეფეს, უწოდებდნენ კიდეც Dendrites ანუ ხისს. დიონისეს სადდებულად იმართებოდა ხოლმე ყვავილების დღესასწაულები — ანტესტერიები. და რაც მთავარია, იდღიონიელი გაგებით ვარდ-ყვავილების ჭკნობა თუ ხელახლად აღორძინება მხოლოდ ღვთიებას შეეძლო და არა რომელიმე ღვთისმსახურს, კი(ლაც) იგი დიონისე არეოპაგელი ყოფილიყო, ანდა ეზღარა წინასწარმეტყველი. ამიტომ ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია, რომ ამ რომელიღაც ღმერთზეა ლაპარაკი და ეს ღმერთი არის დიონისე — ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ღმერთი, რომელთანაც დაკავშირებული იყო ბუნების აყვავება და ჭკნობა დროის წლიური ციკლის დროს.

ასევე, 1492-ე სტროფში ნახსენები „დიენოსი“ ჩვენ მიგვაჩნია იმავე დიონისე ღმერთად შემდეგ მოსაზრებათა გამო.

1) ის, რაზეც ლაპარაკი ამ სტროფში, მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის ფუნქციაა. „დაფარული საქმის განცხადება“ ქმედებას წარმოადგენს. იდუმალის, საიდუმლოს. დაფარულის გამოჩენა, ცხადად ქცევა, იმდროინდელი გაგებით, მხოლოდ ღმერთის საქმე იყო და არა მოკვდავი ადამიანის, თუნდაც იგი წმინდანადაც ჩაერიცხად. ამიტომ, გამოიცხადა, რომ ამ სტროფში ნახსენები „დიენოსი“ იყოს დიონისე არეოპაგელი, დიონისე სირაკუზელი, ანდა დიონისე ჰალიკარნასელი. „ბოლოდ ყოელი დამალული საქმის ცხადად გამოცხადება“ (939) რუსთაველის მიხედვით ღმერთის საქმეა.

2) დიონისე არეოპაგელის ნაწერებში არსად არ გვხვდება ცნებები „კარგი“ და „ავი“, „ეეფხისტყაოსნის“ 1492-ე სტროფში კი ლაპარაკია „კარგზე“ და „ავზე“.

3) შოთა რუსთაველისათვის ანტონიმებია კეთილი და ბოროტი. ავი და კარგი. მისთვის კეთილი და კარგი, ავი და ბოროტი არ არიან სინონიმები, ამიტომ 1492-ე სტროფში ნახსენები ავი და კარგი არამცთუ ემთხვევა დიონისე არეოპაგელთან მოცემულ მსჯელობას კეთილისა და ბოროტის შესახებ, არამედ გამოიცხადა ყოველგვარ ანალოგიის. რაც შეეხება დიონისე ღმერთს, იგი ცნობილია, როგორც კარგის დამცველი სრულყოფილი და გამახანგრძლივებელი.

4) ძალზე საეჭვოა, რომ „ეეფხისტყაოსნის“ ფინალში, რიმელიც ეძღვნება თინათინისა და ავთანდილის შეუღლებას (ნესტანი უკვე გამოხსნილია, ტარიელისა და ნესტანის ქორწილი გადახდილია, ეკალიმა უკვე ცოლია ბოროტს). იმის საილუსტრაციოდ, რომ შემოკლებას, თინათინისა და ავთანდილის შეუღლება ავის შემოკლებას, კარგის გახანგრძლივებას, სრულყოფის მიღწევას ნიშნავს, დაემოწმებინა თეოლოგი. მისტიკოსი დიონისე არეოპაგელი.

ასეთია ზოგადად ის მოსაზრებანი, რის საფუძველზე ჩვენ დავასკვენით, რომ 1492-სტროფში მოხსენებული „დიენოსი“ დიონისე არეოპაგელი კი არ არის, არამედ ღმერთი დიონისე.

ზურაბ კიკნაძე თავის წერილში არ იზიარებს ჩვენს ახალ ჰიპოთეზის, რადგან იგი ფიქრობს, რომ „საკითხები უცნაურადაა დასმული“ და ჩვენი „წერილი მთელ წყება გაუგებრობაზეა აგებული“.

პატივცემული ზურაბ კიკნაძის შენიშვნის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ გავბედეთ და წამოვაყენეთ ახალი ჰიპოთეზა. კრიტიკულ წერილში მას თავისი რაიმე ახალი შეხედულება არა აქვს გამოთქმული დასმული საკითხის თაობაზე; იგი არსებითად არ ეხება ჩვენი ჰიპოთეზის დამადასტურებელ ძირითად არგუმენტებს, იგი მხოლოდ ცნობილი რუსთველოლოგების პ. ინგოროყვასა და აკად. შ. ნუცუბიძის თვალსაზრისის გამზიარებადად და განმეორებადად გვეელინება, ამიტომ მასთან სადავო არაფერი უნდა გვქონდეს, მაგრამ იძულებული ვართ, გარკვეული რეაგირება მოვახდინოთ მის კრიტიკულ შენიშვნებზე, რათა მკითხველი არ იქნას შეცდომაში შეყვანილი. საქმე ის არის, რომ ის, რაც სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ზ. კიკნაძეს „გაუგებრობათა წყებად მიაჩნია“. ქვემოთ ჩვენ შეეცადებით გავფახტოთ ის გაუგებრობის ბურუსი, რომელშიც გაჰხეია ზ. კიკნაძეს საკმაოდ ნათელი საკითხები.

გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა პ ი რ ე ლ ი. არ შეეფერება სიმართლეს ზ. კიკნაძის განცხადება იმის თაობაზე, თითქოს „რუსთველოლოგთა უმრავლესობას ეჭვი არ ეპარება, რომ „ეეფხისტყაოსანში“ ნახსენებია დიონისე არეოპაგელი, ავტორი შეუსაფუძნეებში განთქმული მისტიური წიგნებისა“. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 177-ე სტროფსა და 1492-ე სტროფებში ხსენებული დიონისესა და დიენოსის ირგელივ რუსთველოლოგიაში ახრთა დიდი სხვადასხვაობაა და, რაც

ლ ი ნ ი ბ ი ნ ი ბ ი ბ ა ნ ა ს ი ა ნ ი
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი ზ. კ ი კ ნ ა ძ ი ს წ ე რ ი ლ ი ს ბ ა ბ ო

ძოვაროა, ამ საკითხზე გამოძღვნილი ჰიპოთეზები აქამდე კრიტიკულად არავის განუხილავს, თუმცა ისინი ერთსა და იმავე საკითხზე ერთმანეთის უარმყოფელ შეხედულებებს შეიცავენ.

გ ა ნ ვ ე ბ რ ო ბ ა მ ე ო რ ე. ზ. კიკნაძე ფიქრობს, შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“ ამიტომ შექმნა, რომ ცხადყოო „ბოროტების არსისა და გაჩენის საკითხი, რომელიც ემპირიული სინამდვილის მეას იფარება. ეს რომ თავიდანვე ცხადი ყოფილიყო ყველასთვის, არც დაიწერებოდა რუსთველის პოემა, უფრო სწრაფად, არ დაიწერებოდა ამგვარი „ვეფხისტყაოსანი“, იგი უკეთეს შემთხვევაში ემპირიული სინამდვილის ასახვა იქნებოდა მხოლოდ“. რომ იტყვიან, კომენტარები ზედმეტია...

ნუთუ ზ. კიკნაძეს სერიოზულად სჯერა, რომ ემპირიული სინამდვილის მიღმა არ არსებული იმანენტური, მისტიური ლანდების „ასახვა“ უფრო მისასლმებელი და დასაფასებელია, ვიდრე რეალური სამყაროს ასახვა, იმ სამყაროსი, რომელსაც სიტყვა „ემპირიული“ ნათლავს ატორი? ნუთუ ზ. კიკნაძე სერიოზულად ფიქრობს, რომ შოთა რუსთაველის მიზანი იყო ბოროტების არსისა და გაჩენის საკითხის გადაწყვეტა, ნუთუ ამისთვის დაწერა მან თავისი უკვდავი პოემა? ნუთუ ზ. კიკნაძე მისტიკური, ირეალური ამბების „ეაცცხადებაში“ ხედავს „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადეს?!

გ ა ნ ვ ე ბ რ ო ბ ა მ ე ს ა მ ე. დოინნეს არეოპაგელი დიდი ღვთისმეტყველი, დიდი თეოლოგი და მისტიკოსი იყო, მაგრამ არ იქნება სწორი მისი გაიგივება შოთა რუსთაველთან, არ შეიძლება ითქვა, რომ ისინი ერთ საქმეს ემსახურებოდნენ. ზ. კიკნაძე კი ოგივეობის ნიშნის სვამს რუსთაველსა და დოინნეს არეოპაგელს შორის. ეს კარგად ჩანს ზ. კიკნაძის შემდეგი სიტყვებიდან: „დაფარული საქმე“ სიკეთე-ბოროტებისა არეოპაგელმა განაცხადა თავის ნაწერებში, რუსთველმაც, ვაცცხადა... იგივე დაფარული საქმე პოემაში“. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია!

გ ა ნ ვ ე ბ რ ო ბ ა მ ე ო თ ხ ე. ზ. კიკნაძე გვარწმუნებს, რომ „თვით ქართულ თქმაშიც „უხანო“ ყ ო ვ ე ლ ნ ი ბოროტს გულისხმობს (ხანჩვილი-დ. ქ.). ამ სენტენციამ მხოლოდ გაოცება შეიძლება გამოიწვიოს. სიტყვა „უხანო“ სულხან-საბას მიხედვით წიშნავს არ ხ ა ნ გ რ ძ ე ლ ს, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით — „უხანო“ (უხანოს) ხანმოკლე, წუთიერი; დღემოკლე. [ალთაია] ცოცხალი, რომ ყოფილიყო, ის უხანო ახლა მარიამის ხნისა იქნებოდა (ლ. ქიაჩელი). რომელმა თქვა არა სჯობდეს გარეთ ტანჯვას შენთან შვება, თუნდაც იყოს წმაილი და უხანო ნეტარება? (ს. შაშნიაშვილი)“ (ტ. 6, გვ. 1731).

ამ ბოლო მაგალითში სიტყვა „უხანო“ ყოველგვარ ბოროტებას, ავს, რაიმეს ცუდს გამოხატავს. აქ როგორც ვხედავთ, უხანო ნეტარებაც კი შეიძლება იყოს. ზურაბ კიკნაძე კი გვარწმუნებს, რომ სიტყვა „უხანო“ ყ ო ვ ე ლ ნ ი ბ ო ბ ო ტ ს გ უ ლ ი ს ხ მ ობ ს“ (ხაჩნ-ჩვილი-დ. ქ.).

გ ა ნ ვ ე ბ რ ო ბ ა მ ე ხ უ თ ე. პატივცემულ ზ. კიკნაძეს სწორად არ ესმის სიტყვა „ეაცცხადებს“. მას სიტყვა „ეაცცხადება“ — ჰგონია „ეგამცნოს“, „ეგეთხრას“ სინონიმად. მართალია, ამ სიტყვას ეს მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ სადაო სტროფში — „ეაცცხადებს“ ნიშნავს («явление») მოავლენს. ეს ჩვენთვის ცხადი გახდება, თუ მოვიშველიებთ სახარების სათანადო ადგილების რუსულ თარგმანს.

„ესე სამ ჯნის განეცხადა იესუ მოწაფეთა მთ“ (ი. 21,1) так, трижды явился Иисус ученикам. ან კიდევ, არა არს დაფარული, რომელ არა განაცხადნეს (მ. 10,26) нет сокрытого, которое не станет явным; რადთა განაცხადენენ საქმენი მისნი (ი. 31,21) чтобы стали явны дела его;

როგორც ვხედავთ, ეაცცხადება, ანუ განცხადება ნიშნავს არა გეამცნოს (сообщить), არამედ გამოაჩინოს, მოავლინოს, სხვისთვის დასანახი გახდეს ან გახდაოს (явить).

ამრიგად, სადაო სტროფის პირველი ტაეპი „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიენოს ეაცცხადებს“ ახალ ქართულზე ასე იქნებაა: „ამ დაფარულ საქმის ბრძენი დიენოსი აელენს, გამოაჩენს, ხილულად აქცევს. აქ საქმე ეკვალენ ქმედებასთან, მოვლენასთან და არა სიტყვიერ გამოხატვასთან.

შემდეგ ტაეპში უკვე ლაპარაკია იმ დაფარულ საქმეზე, რომელსაც გამოაჩენს, გამოავლენს (явить) დიენოსი. ეს არის ქარგის მოვლინება, ავ-ბოროტის არ დაბადება, ავის შემოკლება, კარგის გახანგრძლივება, გაზმეორება, კარგის სრულყოფა და არ დაკნინება — ამას ყველაფერს, მანამდე დაფარულს, გამოაჩენს დიენოსი. ამ საქმის გაკეთება კი მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის ფუნქციას შეადგენს. არც ერთ მოციქულს, არც ერთ მღვდელმთავარს, ეპისკოპოსს არ ძალუძს დაფარული გაცხადება, ანუ გამოვლენა-გამოჩენა. ვიმეორებთ, ეს მხოლოდ ღმერთს შეუძლია და ასეთ ღმერთად სადაო სტროფში ნაგულისხმევია დიონისე ღმერთი. ამიტომ აქ არ შეიძლებაᲐ იგულისხმებოდეს დიონისე არეოპაგელი-სქოლასტი-თეოლოგი.

დაფარული გაცხადება რომ მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს შეუძლია და არა ადამიანს (დიონისე არეოპაგელი კი ადამიანი, მოკვდავი იყო), ეს კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ 1050-ე სტროფიდან:

უმამან უთხრა: „მადლი ღმერთსა, შემოქმედსა,
არსთა მხადსა,

ვისგან ძალნი ზეციერნი გაგებენ აქა ქმნადსა, იგი იქმნა ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა (1050).

გაუგებრობა მეექვსე. ჩ. კიკნაძეს „კარგი“ „კეთილის“, „ავი“ კი „ბოროტის“ სინონიმებად მიიჩნია. რამდენად სწორია ეს?

ჩვენს შრომაში ნათქვამია, რომ დიონისე არეოპაგელის შრომებში ყველგან ლაპარაკია კეთილსა და ბოროტის შესახებ და იგი სულაც არ იცნობს ავისა და კარგის ცნებებს. ეს არ არის შემთხვევითი. ამ დებულებას ვერ უარყოფს პატივცემული კრიტიკოსი. მან ვერც ის უარყო, რომ რუსთაველისთვის ანტონიმებს წარმოადგენენ ავი და კარგი, ბოროტი და კეთილი. ჩვენს შრომაში ამის მრავალი მაგალითია მოტანილი. იმასაც ვერ უარყოფს ჩ. კიკნაძე, რომ „ბოროტ“ და „კეთილ“ ზნეობრივ-ფილოსოფიური კატეგორიებია. ხოლო „კარგი“ და „ავი“ გარეგანი მოვლენების აღმნიშვნელი.

„ვეფხისტყაოსანში“ არის მხოლოდ ერთადერთი ადგილი, სადაც კარგი და ბოროტი ერთმანეთის გვერდითაა ნახსენები (1492-ე სტროფი). ამ შემთხვევაში დარღვევა, ეტყობა, კამოწმეულა იყო გადამწერთა და გამომცემელთა დაუფიქრობით. ეს მედარი წყაითხა ნაწილობრივ უკვე გამოსწორებული „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის გამოცემაში, რომლის რედაქტორები არიან ჩვენი დიდი მეცნიერი აკადემიკოსი აკაკი შანიძე და პროფ. ალ ბარამიძე. ამ გამოცემის მიხედვით, ეს ადგილი ასე იკითხება:: „ღმერთი კარგსა მოაელენებს, **ავ-ბოროტსა** არ დაპაადებს“. „ავ-ბოროტის“ ცნება უდავოდ განსხვავდება წმინდა სახით ალებულ „ბოროტის“ ცნებისაგან. ამ ცნების ძირითად კომპონენტს „ავი“ შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული თეოლოგია იცნობს მხოლოდ კეთილისა და ბოროტის ცნებებს და არა ავსა და კარგს.

კარგი და კეთილი, იგი და ბოროტი არ არიან სინონიმები და ისინი „ქართულ ენაში ერთმანეთს ვერ შეეცლიან“, რადგან ის, რაც კარგია, შეიძლება კეთილი არ იყოს; ასევე, რაიმე შეიძლება ავი იყოს, მაგრამ არა ბოროტი. ასე, მაგალითად: ძაღლი ავია, მაგრამ არა ბოროტი, კედელი კარგია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ კედელი კეთილია. ასეთ მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლებოდა.

გაუგებრობა მეშვიდე. იმის დასამტკიცებლად, რომ დიონისე ორგანისტული ღვთიებაა, ჩ. კიკნაძე სიტყვა „გაბახებას“ უკავშირებს დიონისეს კულტს, რომელსაც რომაელები „ბაკხოს“ უწოდებენენ. მისი აზრით, დიონისეს კულტით გაჭიწეული „თავაშეებული ორგიების დროს მრავალი ქალწული, გადარეულ მენადებს ადევნებენენ, ჭკარგიდან ქალწულობას. საქართველოში ამას „გაბახებას“ ეტყოდნენ. ე. ი. გაბახუნას, დიონისესადმი თავის შეწირვას“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი თითქოს გამოწოფილი ამბავია.

სიტყვა „გაბახება“ ბახუსისგან არ არის წარმოებული; აგრეთვე, არ არის ერთი და იგივე გაბახება და გაბახუნება (ასეთი სიტყვა „გაბახუნება“ არ არის ქართული ენის არც ერთ ლექსიკონში).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „გაბახება“ ასე გამოიყურება: „გ-ა-ბ-ა-ხ-ებ-ს“ (გაბახა, გაუბახებია) კუთხ. (იმერ. გურ.) ვრდ. „შეარცხვენს, სახელს გაუტეხს, თავს მოსჭრის, „ახლა რომ გამაბახოს, უთოოფთ ვერ გადამირჩება“ (ე. ნინოშ.).“

„გაბახება“ (გაბახებისა) კუთხ. (იმერ. გურ.) სახელი გ-ა-ბ-ა-ხ-ებ-ს ზმნის მოქმედებისა. — სახელის გატეხა, თავის მოჭრა, შერცხვენა. „გაბახება სდმიენია ჩემი ოჯახის!“ (ე. ნინოშ.).“.

პატივცემული ჩ. კიკნაძე ფიქრობს, რომ გაბახება კავშირშია ბახუსთან, რადგან გაბახების ძირი უნდა იყოს „ბახ“. მაგრამ ჩ. კიკნაძის კვლევა, ეუღუბრყვილო ეტიმოლოგიური ვარაუდის ნიმუშია. „გაბახების“ ძირი „ბახუნი“ კი არ არის, არამედ სიტყვა „ბახ-ი“-ა. „გაბახება“ არ შეიძლება დაკავშირებული იყოს დიონისეს კულტთან. ამის გარდა, დიონისეს კულტის გამო ჭაღწეულობის დაკარგვა საამაო იქნებოდა და არა სამარცხვინო. გაბახება კი ნიშნავს შერცხვენას.

ჩვენს ფუნქციებში არ შედის სიტყვა „გაბახების“ ეტიმოლოგიის დადგენა (იგი არ ეხება ძირითად პრობლემას). მაგრამ ჩვენ შეგვიძლია სხვა ვარიანტები წამოვაყენოთ ამ სიტყვის წარმოქმნისა და მათ ექნებათ არანაკლები პრეტენზია ეშმარიტებაზე. ასე, მაგალითად: სიტყვა „გაბახების“ ძირად შეგვიძლია მივიჩნიოთ „ბახ“-ი, რაც იმერულ დიალექტში ნიშნავს უკარგის ცხენს. ისიც ცნობილია, რომ შერცხვენისა და თავის მოჭრის მიზნით ფუნს დამნაშავეს ცხენის კუდზე გამოაბამდნენ ხოლმე და ისე აპარებდნენ. შეარცხვენდნენ ანუ გაბახებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩ. კიკნაძე აბობს. სიტყვა „გაბახებაზ“ მთელ საქართველოში იხმარებოდა, რაც არ არის მართალი. ეს სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ იმერეთსა და გურიაში იხმარება, სხვა ქართულმა დიალექტმა ეს სიტყვა არ იცის.

გაუგებრობა მერვე. „ვეფხისტყაოსნის“ 1415-ე სტროფი, რომელშიაც მოხსენებულია მრისხანე ღმერთი კრონოსი, ჩვენს წერილში მოყვანილია იმის დამადასტურებლად, რომ შოთა რუსთაველს შემოქმედებისთვის არ არის უცხო ბერძნული მითოლოგიის გამოყენება ძხტვრული ტროპების შესაქმნელად. ამრიგად,

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲙᲣᲛᲑᲣᲨᲕᲘᲚᲘ
ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ Ჩ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ამ საკითხს პირდაპირი კავშირი არა აქვს „დიენისოსთან“ და „დიონისოსთ“ რაობის გარკვევასთან. ჩვენთვის საკმარისი იყო იმის ცოდნაება, რომ ამ სტროფში მოხსენებული კრონოსი არის ბერძნული მითოლოგიიდან აღებული ღმერთი, ხოლო მართებულად იქნებოდა გაგებული მისი „ნაჩოთული მითოლოგიური აზრი“, თუ უმართებულოდ, ამას პრინციპული მნიშვნელობა არა ჰქონდა წერილში დაყენებული ძირითადი პრობლემების გადასაწყვეტად. პატ. ზ. კიკნაძეც კი გვეთანხმება, რომ აქ მოხსენებული კრონოსი ღმერთია და არა პლანეტა. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია თავი აგვარიდებინა ამ საკითხზე კამათისათვის. მაგრამ ზ. კიკნაძეს ისეთი გაუგებრობაზე აქვს აშენებული თავისი მსჯელობა, რომ ჩვენ იძულებული ვართ ამ საკითხზეც სიტყვა შევიტანოთ.

ჩვენს წერილში ნათქვამია, რომ აწ განსვენებულ აკად. შალვა ნუცუბიძეს 1415-ე სტროფში ნახსენები კრონოსი პლანეტად მიანნდა და არა ღმერთად. პატივცემულ ზ. კიკნაძეს კი რატომღაც მგონია, რომ აკად. შ. ნუცუბიძეც კრონოსს ღმერთად თვლიდა და მოჰყავს მისი თარგმანი.

ზ. კიკნაძეს რომ გადაეთვალიერებინა ის კომენტარები, რომლებიც აკად. შ. ნუცუბიძემ დაურთო თავის თარგმანს, ეს შეცდომა არ მოუვიდოდა. იქ შემდეგს ვკითხულობთ: Кронос — Сатурн: у Руставели иначе называется Эуалом 1417. Эуал—Сатурн или Кронос 960[1], როგორც აქედან ჩანს, ნუცუბიძე კრონოსს ითვლიდა ზეკალთან, ხოლო ზეკალი ეარსკვლავია, ანუ პლანეტა. ამაში ეჭვი არაკის ეპარება, ოღონდ რუსთველი ზეკალს ეარსკვლავად[2] იხსენებს:

964. ამა მმოწმობენ ვარსკვლავნი,
შვიდნივე მემოწმენიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზეკალ
ჩემთვის ბნდებიან, —
მთვარე, ასპირონზ, მარიხი მოვლენ და
ბოროდად მყვებიან.

როგორც ვხედავთ, აკად. შ. ნუცუბიძის მიხედვით კრონოსი იგივე ეარსკვლავი ზეკალია. ანუ სატურნი. საქმე ის არის, რომ კრონოსი არა მარტო აკად. შალვა ნუცუბიძეს ეკონა პლანეტა, არამედ ზოგიერთ სხვა გამოჩენილ რუსთველოლოგსაც. ასე, მაგალითად: აკად. აკაკი შანიძის მიერ შედგენილ ლექსიკონშიც წერია:

„კრონოსი“ 1415.2 სატურნი ანუ ზეკალი (პლანეტა) (კრონოს ბერძნული, ზეკალი — არაბული, სატურნი კი — ლათინური).

ამრიგად, ზემოთქმულებიდან ჩანს, რომ ორივე კითხვა სმარილოდ, ყოველ შემთხვევაში, ეჭვ-ნაძის მხარეზე არაა.

გაეგებრობა მეცხრე. ჩვენ ვკრთოთ ვერ გავიხარებინ 1415-ე სტროფის „ეკანაძისეულ ინტერპრეტაციას.

ზ. კიკნაძე თითქმის ყველა დეტალს, გათვალისწინებით გადმოგვცემს მითს კრონოსის შესახებ და ცდილობს იგი ჩაატოს 1415-ე სტროფის ერთ სტრიქონში — „მათვე რიხვით გადუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა“. ზურაბ კიკნაძის აზრით, „ქჯეტი კრონოსსა და ტიტანებს განაუახიერებენ“. ეს ყველაფერი შეტრიალებული და აზრი გაბუნდოვანებული. სტროფის აზრი კი სრულიად ნათელია. აქ ნათქვამია: „ძმადნაფიცების ომრნაბი შედეგად ქჯეტს ღვთის რისხვა დაატყდათ თავს. ეს იმის ტოლფასია, თითქოს კრონოსმა რისხვით გადმოხედა მათ, ძოიღოქა, რის შედეგად მათვე (ქჯეტს) „რისხვით გადუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა“ (1415.3). ამ უკანასკნელ ფრაზოლოგიურ ერთეულს შოთა რუსთველი 1309-ე სტროფშიც ხმარობს.

ნესტან-დარეჯანი ტარიელისადმი წერილში უჩივის ბედს და ამბობს: „რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა ზვიდისა“ (1309.4), რაც თითქმის იგივეა: „მათვე რისხვით გადუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა“.

ნუთუ ზ. კიკნაძე ფიქრობს, რომ 1309-ე სტროფშიც გადმოცემულია მთლიანად მითი კრონოსის შესახებ და ნესტანი და ტარიელიც ქჯეტი არიან, ან იგივე კრონოსი და ტიტანები?

გაეგებრობა მეათე. ჩვენს წერილში ნათქვამია, რომ 177-ე სტროფში დამოწმებული „დიონისი“ „არის ბერძენთა ოლიმპის ერთ-ერთი ღმერთი დიონისე, რომელიც ვაზის, ყვავილების და საერთოდ ყოველგვარი მცენარის ღმერთია, რომლის წყალობით და მეოხებით იზრდება და ნაყოფს იძლევა ყველაფერი“. აგრეთვე ისიც აღნიშნულია, რომ დიონისეს უკაკნრთის შესახებ და ცხადია იგი ამ მოვლენის დამადასტურებლად იმოწმებს დიონისეს, სწორედ იმ ღმერთს, რომელსაც მითოლოგიით მიეწერება ამ საქმის ჩადენა.

ზ. კიკნაძე ვკარწმუნებს, რომ დიონისე იყო ძალო�d და ძალოnd და ვაზისა და ღვინის მეფე და არა საერთოდ მცენარეულისა და ყვავილებისა. ეს მტკიცება არ შეეფერება სიმართლეს. რადგან ყველა ენციკლოპედიაში, გამოკვლევაში ბერძნული მითოლოგიის შესახებ ღმერთ დიონისეს ფუნქციაა, არა მარტო ვაზის, არამედ საერ-

[1] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, перевод Ш. Нуцубидзе. 1957 г. стр. 366.

[2] „ვეფხისტყაოსანში“ ეარსკვლავი პლანეტას ნიშნავს.

